საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა და როლი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში

ავტორი: ალექსანდრე სვანიშვილი

სპეციალობა: საჯარო მმართველობა

ხელმძღვანელი: ირაკლი კობახიძე

დისერტაცია წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

დისერტაცია ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილის განსაზღვრას სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და ადგილობრივი თანასაზოგადოების როლსა და მნიშვნელობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. თვითმმართველობის თეორიებისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრინციპების ანალიზით ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის დუალისტური ხასიათის, მისი როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი, თვითორგანიზებული საწყისის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც შეფასებულია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების არსებული მდგომარეობა და ნაჩვენებია საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი ხარვეზები. დასაბუთებულია, რომ თვითმმართველობა, მისი დუალისტური ბუნებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ხასიათის ცვლილებებთან ერთად, აუცილებლად საჭიროებს თვითმმართველობის განხორციელების საზოგადოებრივი საწყისის, ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც თვითორგანიზებული ერთობის გაძლიერებას. სინერგეტიკის თეორიაზე დაყრდნობით გაანალიზებულია თვითორგანიზებისა და ორგანიზების საკითხები, ადგილობრივი თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნები და მისი ფორმები, განვითარების ეტაპები, მათ შორის, თანასაზოგადოების ხელოვნურად ფორმირების მცდელობები და თვითორგანიზების სამართლებრივი ფორმები. ნაჩვენებია, რომ თანასაზოგადოება, როგორც თვითორგანიზებული ერთობა ვერც იძულებითი ზემოქმედებით და ვერც საკანონმდებლო ვალდებულებებით ვერ ჩამოყალიბდება. თვითორგანიზება არის ბუნებრივი ევოლუციური პროცესი, რომლის ფორმები ესადაგება შესაბამისი ეპოქის მოთხოვნებს. ამ დასკვნიდან გამომდინარე, იან ვან დეიკის, მ. კასტელსის, პ. ბურდიესა და ჯ. კოულმენის, ასევე პოსტსტრუქტურალისტების ჟ. დელეზის და ფ. გვატარის თეორიებზე დაყრდნობით შეფასებულია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და გლობალიზაციის ზეგავლენა მოსახლეობის ტერიტორიული ერთობის ფორმირებაზე. დასაბუთებულია, რომ თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები პრინციპულად ცვლის არსებულ იერარქიულ ფორმებს. ნაშრომში კეთდება დასკვნა, რომ თანასაზოგადოების დღეს არსებულმა ტრადიციულმა ფორმებმა ამოწურეს თავის შესაძლებლობები და შედეგის მომტანი ვერ იქნება მათი სტიმულირება (თუნდაც კანონის გზით) ან საუკუნეების წინანდელი იმ ფორმების „აღორძინება“, რომლებიც მისაღები და ტრადიციული იყო შესაბამისი ეპოქისათვის. XXI საუკუნე, საინფორმაციო საზოგადოების ეპოქა, მოითხოვს თანასაზოგადოების ახალი ტიპის ფორმებს, რომლებიც საზოგადოების თვითორგანიზებით ყალიბდება ქსელური ურთიერთობების სახით, რაც გზას უხსნის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე უშუალო მონაწილეობითი დემოკრატიის ფორმების განვითარებას. კ. პეიტმანის, ჟ. ციმერმანის, პ. ბახრარის და ბ. ბარბერის მონაწილეობითი დემოკრატიის თეორიების საფუძველზე მოცემულია თვითორგანიზების თანამედროვე ფორმების ადგილობრივ თვითმმართველობაში ასახვის შესაძლებლობა, რაც დაკავშირებულია დასახლების, როგორც ადგილობრივი თანასაზოგადოების ყველაზე ბუნებრივი ტერიტორიული ერთეულისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასა და ადგილობრივი თანასაზოგადოების მიერ მონაწილეობითი ფორმით ამ ერთეულის მართვაზე.

შინაარსი

შესავალი

ნაწილი I. ადგილობრივი თვითმმართველობის არსი. თვითმმართველობის ადგილი და როლი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიები

თავი III. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება

თავი IV. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საჯარო ინსტიტუტი

თავი V. თვითმმართველობის ცნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიასა და საქართველოს კანონმდებლობაში. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ხარვეზები

თავი VI. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები

ნაწილი II. ადგილობრივი თანასაზოგადოება, თვითორგანიზება და თვითორგანიზების ფორმები

თავი I. ადგილობრივი თანასაზოგადოება

- ტერმინის შესახებ
- თანასაზოგადოება, როგორც სოციალური ერთობის სახე
- ადგილობრივი თანასაზოგადოების კვლევის თეორიული მიდგომები
- ადგილობრივი თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნები

თავი II. თვითორგანიზება

- თვითორგანიზების თეორიის ისტორიული ასპექტები
- თვითორგანიზება და ორგანიზება

თავი III. ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების ძირითადი ასპექტები

თავი IV. ადგილობრივი თანასაზოგადოების ისტორიული ასპექტები

თავი V. თანასაზოგადოების ხელოვნურად ჩამოყალიბების მცდელობები

თავი VI. მოქალაქეთა თვითორგანიზების სამართლებრივი ფორმები

- ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმების კლასიფიკაცია
- სამეზობლო კავშირები
- კონდომინიუმი
- სათემო კავშირები
- საერთო კრება
- ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა

ნაწილი III. ადგილობრივი თანასაზოგადოების პერსპექტივები

თავი I. სოციოკულტურული გაქტორი. ტრადიციები თუ ინოვაციები

თავი II. თვითორგანიზების თანამედროვე ფორმები: ქსელური საზოგადოება, საზოგადოებრივი ქსელები და ონ-ლაინ საზოგადოება

- ქსელური საზოგადოება
- სოციალური ქსელები
- ვირტუალური თანასაზოგადოება (virtual community)

თავი III. წარმომადგენლობითი დემოკრატიიდან მონაწილეობით დემოკრატიისკენ

ნაწილი IV. ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების ძირითადი პრობლემები, რეკომენდაციები და დასკვნები

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობისა და თანასაზოგადოების არსებული მდგომარეობის შეფასება

თავი II. ადგილობრივი თანასაზოგადოების დაბალი სოციალურ-პოლიტიკური აქტიობის ძირითადი მიზეზები და რეკომენდაციები

დასკვნები

ბიბლიოგრაფია

ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა და როლი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში

შესავალი

საქართველოში, 1998 წლიდან (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირველი არჩევნებიდან) დღემდე არა ერთი ცვლილება განხორციელდა თვითმმართველობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. ცვლილებები, როგორც წესი, წინ უძღოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ყოველ ახალ არჩევნებს (1998, 2002, 2006, 2010, 2014 წ.წ.). საკანონმდებლო რეფორმები შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც ინსტიტუციურ მოწყობას, ასევე ტერიტორიულ საფუძვლებს. მიუხედავად რეფორმების რადიკალური ხასიათისა არსებული სურათი პრაქტიკულად არ შეცვლილა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები რჩებიან მოსახლეობისგან მოწყვეტილ და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ ორგანოებად. უკვე, 18 წელია, საქართველოში შექმნილია თვითმმართველობის ორგანოები, მაგრამ ისინი კვლავინდებურად გაუცხოებულია მოსახლეობისაგან. საზოგადოება არ არის ჩართული თვითმმართველობის განხორციელების პროცესში და მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება. თვითმმართველობის შექმნიდან დღემდე ჩატარებული ყველა კვლევა აჩვენებს, რომ უაღრესად დაბალია როგორც თვითმმართველობის ორგანოებისადმი ნდობის, ასევე თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დონე. ეს ადასტურებს, რომ პრობლემის გამომწვევი მიზეზი უფრო ღრმაა და იგი მხოლოდ კანონმდებლობის, თუნდაც რადიკალური, ცვლილებებით არ შეიძლება გადაიჭრას.

თვითმმართველობის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე (1997 წ), არსებობდა მოსაზრება, რომ თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციული გარდაქმნა იყო საკმარისი თვითმმართველობათა შესაქმნელად. რეფორმის

დაგეგმვისა და განხორციელების კონცეპტუალური საფუძველი ჩამოყალიბებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 14 ივლისს N362 ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამაში. ამ პროგრამაში, ზემო აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად გათვალისწინებული იქნა თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზის, მისი საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლების, ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციული რეფორმირებისა და ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილიყო „ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი მომსახურებისა და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების ეფექტიანობის ამაღლება“. ამ პროგრამაში, რომელიც წარმოადგენდა თვითმმართველობის ჩამოყალიბების კონცეფციას, გამოიკვეთა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის მიზნისადმი დამოკიდებულება: თვითმმართველობის დანიშნულებაა ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი მომსახურებისა და ადმინისტრაციულ ფუნქციათა განხორციელება.

ამდენად, თვითმმართველობის ორგანოები აღიქმებოდა როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთა ფუნქციონირებაც დამოკიდებულია მათი უფლებამოსილებების, ამ უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო საფინანსო-ეკონომიკურ საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცედურების განმსაზღვრელ სამართლებრივ ბაზაზე. ერთი მხრივ, ცხადია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს და მათი ფუნქციონირებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უფლებამოსილებებიც და ამ უფლებამოსილებების უზრუნველყოფის საშუალებების არსებობაც. მაგრამ, თვითმმართველობის მიზანია არა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების (ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი მომსახურება და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება) გადაწყვეტა, არამედ ამ საკითხების გადაწყვეტა ადგილობრივი

მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. სწორედ ეს განასხვავებს თვითმმართველობის ორგანოებს სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და განაპირობებს თვითმმართველობის განხორციელების არსებით სპეციფიკას.

თვითმმართველობის მიზნისადმი თავიდანვე არასწორი დამოკიდებულების შედეგად რეალურად, ჩვენ მივიღეთ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები, მაგრამ არა თვითმმართველობის ორგანოები. თვითმმართველობის რეფორმის დაწყების შემდგომ პერიოდშიც, მიუხედავად ხელისუფლებების ცვლილებისა, სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულება თვითმმართველობის დანიშნულებისა და მიზნის მიმართ არ შეცვლილა. მართალია, 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, რომელიც თვითმმართველობის კონცეფციის განსაზღვრისას ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს საზოგადო საქმეების მნიშვნელოვანი წილის მართვასა და მოწესრიგებას „ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“ (მუხლი 3. პუნქტი 1), მაგრამ, ამ მიდგომამ პრაქტიკაში შესაბამისი ასახვა ვერ ჰპოვა. უფრო მეტიც, 2014 წ. მიღებულმა ორგანულმა კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა თვითმმართველობის ცნების განმარტებისას საერთოდ გამოტოვა თვითმმართველობის ეს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი და განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“ (მუხლი 3. პუნქტი 1). რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია თვითმმართველობების უფლებამოსილებები, სახელმწიფოსა და თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნა, თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაფართოება, რათა მათ, როგორც ეს მითითებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპულ ქარტიაში (მუხლი 3. პუნქტი 1) შეძლონ

„საზოგადო საქმეების მნიშვნელოვანი წილის მართვა და მოწესრიგება“, უაღრესად მნიშვნელოვანია ფისკალური დეცენტრალიზაცია, რათა თვითმმართველობებს ქონდეთ საკმარისი საკუთარი ფინანსური რესურსები უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების, როგორც ამ უფლებამოსილების განმსაზღვრელის, გარეშე ჩვენ მივიღებთ კარგად ფუნქციონირებად ადმინისტრაციულ ორგანოებს და არა თვითმმართველობებს. ეს დაადასტურა თვითმმართველობის არსებობის 18 წლიანმა გამოცდილებამ და ნათელი გახადა, რომ მხოლოდ იურიდიული გაფორმება ვერ უზრუნველყოფს თვითმმართველობათა შექმნას. „ზემოდან“ ინიცირებული რეფორმა შეეჯახა სისტემური ხასიათის პრობლემებს, რომლებიც განპირობებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების სხვადასხვაობით, ერთიანი საჯარო ინტერესის ჩამოუყალიბებლობით და სამოქალაქო საზოგადოების სისუსტით. ამიტომ, ამ პრობლემათა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საჯარო მმართველობის სისტემის კარდინალური ტრანსფორმაციით, რომელიც მიმართული იქნება ამ სისტემის დეცენტრალიზაციის, თვითმმართველობითი და თვითორგანიზების პრინციპების განვითარებისკენ.

საკითხი საჭიროებს ახლებურ გააზრებას. დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება ცვლის არა მხოლოდ მმართველობის სტრუქტურას, არამედ მოსახლეობისა და ხელისუფლების ურთიერთობის არსებულ პარადიგმას, რომლის მიხედვით ხელისუფლება წარმოადგენს მართვის სუბიექტს, ხოლო საზოგადოება კი ობიექტს. თანამედროვე, პოსტარაკლასიკური პარადიგმა მართვის სუბიექტის ადგილს განსაზღვრავს თავად ობიექტის (საზოგადოების) სტრუქტურაში. შესაბამისად, ახალი პარადიგმით სოციალური მართვა პოლისუბიექტურია. ხელისუფლება - საზოგადოება წარმოადგენს არა იერარქიულ, არამედ ქსელურ სისტემას. წარმომადგენლობითი დემოკრატია, როგორც იერარქიული სისტემა იცვლება მონაწილეობითი დემოკრატიით, როგორც ქსელური სისტემით. ამგვარი მიდგომა პრინციპულად ცვლის ადგილობრივი თვითმმართველობის არსს და მის სამართლებრივ სტატუსს.

ამიტომ, თვითმმართველობა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მხოლოდ ფორმალიზებული, იერარქიული, სამართლებრივი ინსტიტუტი. სამართლებრივ ინსტიტუტთან ერთად, იგი უპირატესად არის სოციალური ინსტიტუტი, რომლის ჩამოყალიბებაც და განვითარებაც მოსახლეობის, როგორც სოციალური ქსელის თვითორგანიზებასა და არაფორმალურ ურთიერთობების არსებობაზეა დამოკიდებული.

თემის აქტუალობა

საქართველოში თვითმმართველობის განვითარების მიზნით დღემდე ჩატარებული რეფორმების უმთავრესი ნაკლი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში თვითმმართველობის მთავარი სუბიექტის – მოსახლეობის ფაქტორის გაუთვალისწინებლობაა. ამიტომაც არის, რომ, როგორც ამას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებული პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, თვითმმართველობის ორგანოები კვლავინდებურად დამოკიდებულნი არიან უფრო მეტად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე და არა იმ მოსახლეობის მიმართ, რომლის მიერაც მოხდა მათი არჩევა. თვითმმართველობის სფეროში ჩატარებული რეფორმების წარუმატებლობა განპირობებულია იმითაც, რომ ეს რეფორმები იგეგმება და ნორმატიულ შინაარსს იძენს საქართველოში ამ პროცესის მიმდინარეობის სიღრმისეული შესწავლისა და მეცნიერულად გააზრების გარეშე. სამწუხაროდ, საქართველოში ძალზედ მწირია მეცნიერული შრომები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო მუნიციპალური სამართალი, როგორც სამართლის დარგი მხოლოდ ჩამოყალიბების ეტაპზეა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად „იოლი“ გზის ძიება და ევროპის განვითარებული ქვეყნების თვითმმართველობის მოდელების კალკირება ვერ იქნება შედეგის მომტანი. ევროპის ქვეყნებში თვითმმართველობები შეიქმნა ბუნებრივი გზით, მოსახლეობის თვითორგანიზების ინსტიტუციური გაფორმებით. საქართველოში არის რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა. თვითმმართველობის ჩამოყალიბება და რეფორმირება ხდება „ზემოდან“ საკანონმდებლო აქტების მიღებითა და მათი ცვლილებებით. ასეთი მდგომარეობა

დამახასიათებელია ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნისათვის, რომელთაც 70 წელზე მეტი მოუწიათ ზეცენტრალიზებული მართვის პირობებსა და ტოტალიტარულ რეჟიმში ცხოვრება. საბჭოური მემკვიდრეობის დაძლევა და ფორმალური მიდგომით, მხოლოდ საკანონმდებლო რეფორმებით, თვითმმართველობის ჩამოყალიბება იქნება შეუძლებელი ადგილობრივი თვითმმართველობის არსის ახლებური გააზრების, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში თვითმმართველობის ადგილის განსაზღვრის, ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც თანასაზოგადოების სოციალური და სამართლებრივი ინსტიტუტის და თვითმმართველობის განმაპირობებელი როგორც არაფორმალური, ისე ინსტიტუციონალიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მეცნიერული შესწავლის გარეშე.

აქედან გამომდინარე, კვლევის უპირველესი ამოცანაა თვითმმართველობის არსისა და მისი ადგილის განსაზღვრა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. ამ ინსტიტუტის შინაგანი თვისებების კვლევა, თვითორგანიზების, როგორც თვითმმართველობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობის დასაბუთება, თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში მოსახლეობის თვითორგანიზების ფორმების და მისი ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი. ასევე, თანამედროვე, უპირატესად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და გლობალიზაციის გავლენა ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი სუბიექტის - მოსახლეობის ტერიტორიული ერთობის ფორმირებაზე, რაც პრინციპულად ცვლის საზოგადოების ტრადიციული, იერარქიულ სისტემას არაიერარქიული, ქსელური სისტემით. კვლევის, ზემო აღნიშნული, ამოცანები განაპირობებს კვლევის სტრატეგიას: მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და ამ ინსტიტუტის სპეციფიკის გაანალიზება, იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის რეალურ ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასევე სოციალური თვითორგანიზების, ქსელური საზოგადოებისა და მონაწილეობითი დემოკრატიის თეორიათა საფუძველზე განხილული იქნეს ახალი ტიპის სოციალური ერთობის ფორმირების

შესაძლო მიმართულებები. თემის აქტუალობა განპირობებულია საქართველოში მოსახლეობის თვითორგანიზების განვითარებისა და მისი ფორმების, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებისათვის აუცილებელი წინაპირობის მნიშვნელობით. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პრობლემათა კვლევა თვითორგანიზების თეორიათა გამოყენებით არ შესრულებულა, რისი მიზეზიცაა ერთი მხრივ სოციალური პროცესების მართვისადმი ტრადიციული მიდგომა, მართვის აღქმა, როგორც ორგანიზებული პროცესისა, რომელიც გამორიცხავს თვითორგანიზების მნიშვნელობას, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოში რეალური თვითმმართველობის პრაქტიკის არ ქონა, რაც განაპირობებს შესაბამისი ემპირიული ბაზის არ არსებობას. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს არც „თანასაზოგადოების“, არც „ტერიტორიული ერთობის“ და არც „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის“ ინსტიტუტებს. ასევე, არ არის შესწავლილი თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა და მისი შესაძლებლობები მოსახლეობის ტერიტორიული თვითორგანიზების პროცესზე, თუ რა გავლენა შეუძლიათ მოახდინონ და როგორ შეიძლება გამოყენებული იქნეს ტექნოლოგიური მიღწევები (უპირატესად საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები) მოსახლეობის თვითორგანიზებისა და თვითმმართველობის განვითარებისათვის.

კვლევის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- ადგილობრივი თვითმმართველობის დუალისტური ხასიათის, მისი როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი, თვითორგანიზებული საწყისის დასაბუთებითა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრინციპების ანალიზის საფუძველზე შეფასდება საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების არსებული მდგომარეობა და ნაჩვენები იქნება საქართველოს კანონმდებლობის კონცეფტუალური ხასიათის ძირითადი ხარვეზები;

- შეფასდება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზეგავლენა მოსახლეობის ტერიტორიული ერთობის ფორმირებაზე და დასაბუთებული იქნება, რომ არსებულმა ტრადიციულმა, იერარქიულ ფორმებმა ამოწურეს თავის შესაძლებლობა და საჭიროა ძირითადი აქცენტის აღება თანასაზოგადოების ახალი ტიპის ფორმებზე, რომლებიც საზოგადოების თვითორგანიზებით ყალიბდება ქსელური ურთიერთობების სახით, რაც გზას უხსნის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე უშუალო მონაწილეობითი დემოკრატიის ფორმების განვითარებას. მოცემული იქნება თვითორგანიზების თანამედროვე ფორმებისა და მონაწილეობითი დემოკრატიის ადგილობრივ თვითმმართველობაში ასახვის შესაძლებლობები;
- საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება ადგილობრივი თანასაზოგადოების თვითორგანიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები, ის მექანიზმები და ფორმები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება რეალური ზეგავლენის მოხდენა ადგილობრივი საზოგადოების თვითორგანიზების პროცესზე.

კვლევის მიზნებია:

ა) სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილისა და როლის განსაზღვრა; ადგილობრივი თვითმმართველობის დუალისტური ხასიათის, მისი როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი, თვითორგანიზებული საწყისის ჩვენება;

ბ) ლოკალურ ტერიტორიასთან დაკავშირებული სოციალური ერთობის არსებითი ნიშნების ანალიზი, ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც თვითორგანიზებული ერთობის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირებისა და განვითარების პროცესში. ტერიტორიასთან დაკავშირებული სოციალური ერთობის ფორმების კლასიფიკაცია;

გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის ჩვენება მოსახლეობის თვითორგანიზების ფორმებზე და განვითარების შესაძლო მიმართულების განსაზღვრა.

კვლევით დასახული მიზნის მისაღწევად გადაწყვეტილი უნდა იქნეს შემდეგი **ამოცანები**:

- ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, დანიშნულების, მისი მიზნის განსაზღვრისა და თვითმმართველობის თეორიათა ანალიზის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილისა და როლის განსაზღვრა;
- სოციალური ერთობის და მიკროტერიტორიაზე მოსახლეობის თვითორგანიზების თეორიული საფუძვლების კვლევა;
- ტერიტორიული თვითორგანიზების ისტორიული საფუძვლების და ტერიტორიული თვითორგანიზების სხვადასხვა ფორმების შესწავლა, მათი შედარებითი ანალიზი;
- ტერიტორიული თვითორგანიზების ფორმირებისა და საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სფეროში საქართველოს არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი; საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონებთან შედარებითი ანალიზის ჩატარება და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;
- იმ მიზეზების ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურ პასიურობას;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის შეფასება ტერიტორიასთან დაკავშირებულ მოსახლეობის თვითორგანიზების ფორმებზე და განვითარების შესაძლო მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტია ტერიტორიასთან დაკავშირებული სოციალური ერთობა, როგორც მოსახლეობის თვითორგანიზაციის ფორმა; თვითორგანიზებული სოციალური ერთობის ჩამოყალიბების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

კვლევის საგანია ადგილობრივი თვითმმართველობა და ტერიტორიასთან დაკავშირებული მოსახლეობის თვითორგანიზების ფორმები

კვლევის ჰიპოთეზაა:

1) ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების და საზოგადოების ტერიტორიული თვითორგანიზების სინერგიულ ერთობას.

2) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ქსელური ურთიერთობის განვითარებას, პრინციპულად ცვლის მოქალაქეთა თვითორგანიზების ტრადიციულ, იერარქიულ ფორმებს და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე იძლევა უშუალო მონაწილეობითი დემოკრატიის ფორმების განვითარების შესაძლებლობას.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევაში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, ისტორიული, ჰერმენევტიკული, შედარებითი ანალიზის, სინერგეტიკული, ლოგიკური, კომპლექსური და სამართლებრივი მოდელირების მეთოდები.

მმართველობის სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილის განსაზღვრის კვლევის თეორიულ საფუძვლად აღებულია ადგილობრივი თვითმმართველობის დუალისტური თეორია, რომლის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა თავისთავში აერთიანებს როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე საზოგადოებრივ საწყისებს. ადგილობრივი თვითმმართველობა არ უნდა იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ სახელმწიფო ან როგორც მხოლოდ საზოგადოებრივი ინსტიტუტი. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

ხდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯახებაც და ჰარმონიზებაც. ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობა არის სახელმწიფოსა და საზოგადოების დამაკავშირებელი შუალედური რგოლი. იგი არის ერთი მხრივ არის საზოგადოებასა და სახელმწიფოს მაკავშირებელი, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სახელმწიფო მართვის განვითარების მასტიმულირებელი ინსტრუმენტი. თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კანონით დადგენილ ფორმალიზებულ ინსტიტუტებს, არამედ ადგილობრივი საზოგადოების მიერ ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების განხორციელების მიზნით ფორმირებულ ინსტიტუტებს.

მოსახლეობის თვითორგანიზების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულია დისიპატიური სტრუქტურების თეორია და გაუწონასწორებელი პროცესების თერმოდინამიკა (ი. პრიგოჟინი და ი. სტენგერსი), სინერგეტიკა (გ. ჰაკენი), ავტოპოეზისე (უ. მატურანა და ფ. ვარელა), სისტემათა ზოგადი თეორია (ლ. ფონ ბერტოლანფი) და კიბერნეტიკა (ნ. ვინერი). ამ თეორიათა საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი პარადიგმა, რომელიც მართვის კლასიკური შეხედულებისგან (მართვის სუბიექტი - ხელისუფლების ორგანო იმყოფება მართვის ობიექტის - საზოგადოების ზემოთ, განუსაზღვრავს მას მიზანს და მიჰყავის ამ მიზნისკენ) განსხვავებით, პოსტარაკლასიკური პარადიგმა მართვის სუბიექტის ადგილს განსაზღვრავს თავად მართვის ობიექტის (ანუ, საზოგადოების) სტრუქტურაში. შესაბამისად, ახალი პარადიგმით სოციალური მართვა პოლისუბიექტურია. ამის ნათელი მაგალითია არაიერარქიული სტრუქტურის ტერიტორიული თანასაზოგადოება, სადაც სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა არის არა დაპირისპირებული, არამედ სინერგიული. მართვის პროცესი წარმოიშვება არა ერთ წერტილში, არამედ თავის საწყისს იღებს სოციალურ თვითორგანიზაციის სხვა და სხვა წერტილებში. ფ. ტიონისის განმარტებით ადგილობრივი მოსახლეობის თვითორგანიზება, ერთობა (Gemeinshaft) ფორმირდება ინსტიქტების, გრძნობების, ორგანული ურთიერთობების საფუძველზე და ქმნის

არაფორმალურ სოციალურ ჯგუფებს, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბირთვს. გ. ჰაკენი თავის წიგნში „ინფორმაცია და სინერგეტიკა“ ადგენს თვითორგანიზებადი სისტემის ძირითად ნიშნებს, რომ „თვითორგანიზებადია სისტემა თუ ის გარეშე სპეციფიური ზეგავლენის გარეშე იძენს გარკვეულ დროით ან სივრცით სტრუქტურას. სპეციფიურ ზეგავლენად მიიჩნევა ის გარე ჩარევა, რომელიც სისტემას განუსაზღვრავს (თავს ახვევს) სტრუქტურასა და ფუნქციებს. თვითორგანიზებული სისტემა გარედან განიცდის მხოლოდ არასპეციფიურ გავლენებს.“ შესაბამისად, გ. ჰაკენის განმარტებით თვითორგანიზებად სისტემისათვის შეუთავსებელია გარედან სისტემის ფუნქციონირების წესების, სტრუქტურისა და ფუნქციების განსაზღვრა. ანალოგიურ დასკვნას აკეთებს უ. მატურანა ავტოპოეზისის თეორიით, რომლის თანახმად ცოცხალი სისტემები თავად ქმნიან თავის თავს, ამასთან ინარჩუნებენ საკუთარ ორგანიზაციას საკუთარი სტრუქტურების ვარიაციების გზით. ამ თეორიის თანახმად, სისტემები ავტონომიურნი არიან და მისი შექმნა არ არის დამოკიდებული გარემოზე. სისტემისშემქმნელი ფაქტორები წარმოიშვებიან თავად ამ სისტემაში. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ სისტემა არის ჩაკეტილი და არ რეაგირებს გარემოს ცვლილებებზე. ავტოპოეტიკურ სისტემებში გარემო იმპულსები იწვევენ შიდა რეაქციებს. ამ იმპულსებმა შეიძლება შეცვალონ სისტემის შიდა სტრუქტურები, მაგრამ არა თავად სისტემა. ზემო აღნიშნული თეორიების საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომში ხდება დასაბუთება და დასკვნის გაკეთება, რომ მხოლოდ გარეგანი ზემოქმედება, რომელიც მიმართული იქნება ასეთი სისტემის შესაქმნელად იქნება წარუმატებელი. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის მოწესრიგებისათვის გატარებული საკანონმდებლო და ორგანიზაციული ზომები, რომელიც მიმართული იქნება მისი ინსტიტუციურ სტრუქტურაზე, თვითორგანიზების ხელშეწყობის გარეშე იქნება უშედეგო. ამგვარი მიდგომა მხოლოდ ხელს უშლის თვითმმართველობის ჩამოყალიბებას, რადგან ასეთ პირობებში თვითორგანიზების სისტემა თავად ეძებს თავის განვითარების გზას და ცდილობს გადალახოს დაწესებული მარეგულირებელი ბარიერები,

რომელიც არ შეესაბამება მის შინაგან, თვითორგანიზებად ბუნებას. გარეგანი მოქმედებით შესაძლებელია მხოლოდ თვითორგანიზებადი სისტემის სტიმულირება და არა მისი შექმნა.

მიკროტერიტორიულ დონეზე მოსახლეობის თვითორგანიზების საკითხების შესწავლისას გამოყენებული იქნა დონალდ და რიჩარდ უორენების, გ. გალსტერის, მ. გოტდინერის და თ. სატლსის კვლევები სამეზობლო თემების, როგორც სოციოკულტურული სისტემის შესახებ.

ქსელური საზოგადოებისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სოციალურ ერთობაზე ზეგავლენისა და თვითორგანიზების ახალი ფორმების ანალიზისას გამოყენებული იქნა იან ვან დეიკის, მ. კასტელსის, პ. ბურდიესა და ჯ. კოულმენის, ასევე პოსტსტრუქტურალისტების ჟ. დელეზის და ფ. გვატარის თეორიები, ხოლო თვითორგანიზების თანამედროვე ფორმების ადგილობრივ თვითმმართველობაში ასახვისა და განვითარების პერსპექტივები ეფუძნება კ. პეიტმანის, კ. მაკფერსონის, ჟ. ციმერმანის, პ. ბახრარის და ბ. ბარბერის მონაწილეობითი დემოკრატიის თეორიებს.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევით მიერ მიღებული შედეგები და რეკომენდაციები შესაძლოა გამოყენებული იქნეს:

1) ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად;

2) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოსახლეობის თვითორგანიზების პროცესის ხელშესაწყობად;

3) მოსახლეობის მიერ მათთვის ყველაზე მისაღები თვითორგანიზების ინსტიტუციური ფორმების შესარჩევად;

4) თვითმმართველობების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესების მომავალი კვლევების საფუძვლად.

ნაწილი I. ადგილობრივი თვითმმართველობის არსი. თვითმმართველობის ადგილი და როლი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

ადგილობრივი თვითმმართველობას განსაკუთრებული ადგილი უკავია მართველობის სისტემაში, რადგან იგი წარმოადგენს მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლებას. სწორედ აქ არის ის მოკლე დისტანცია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რომლის გადალახვაც დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და თვითმმართველობის რეფორმის უმთავრესი მიზანია. საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ქმნიან საზოგადოების ფორმირებისა და სახელმწიფოს უმთავრეს საფუძველს, ყალიბდება მიკროტერიტორიებზე სოფლებში, უბნებში, ქალაქებში არსებული ტრადიციების, ადათების, ჩვეულებების გავლენით და არაფორმალური თუ ფორმალიზებული სოციალური კონტროლით. მაგრამ, ეს ურთიერთობები თვით ტოტალიტალურ მმართველობის პირობებშიც კი გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებენ თავის სახეს და თქმა იმისა, რომ ხელისუფლება (ადგილობრივი თუ ცენტრალური) სრულად მართავს ამ პროცესებს არა სწორია. ამავდროულად, არც უკიდურესი, მეორე დასკვნის გაკეთება არ იქნება სწორი, რომ თანასაზოგადოება, ტერიტორიული ერთობა არსებობს და ვითარდება სტიქიურად ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ზეგავლენის გარეშე.

ჯერ კიდევ თომას ჰობსი (1936) მიუთითებდა, რომ „თქვენ თუ შეგიძლიათ დაუშვათ, რომ ადამიანთა დიდ მასას შეუძლია დაიცვას სამართლიანობა და სხვა ბუნებრივი კანონები ხელისუფლების მხრიდან იძულების გარეშე, მაშინ ჩვენ შეგვიძლია იგივე დაშვება გავავრცელოთ მთლიანად კაცობრიობაზე და მაშინ არავითარი საჭიროება და აუცილებლობა აღარ იქნებოდა, არც სამოქალაქო

მართველობისა და აღარც სახელმწიფოსი. მსოფლიო იარსებებდა დაქვემდებარების გარეშე“ (стр. 144). ასეთი დაშვება, ცხადია, უტოპიურია. ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც არ დათანხმდებიან ნებაყოფლობით დაიცვან „სამართლიანობა და სხვა ბუნებრივი კანონები“. ამასთან, როგორც თომას ჰობსის, ასევე საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის სხვა მომხრეთა აზრით სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების თვითორგანიზაციის პროდუქტს. ამგვარი გაგებით, ერთი მხრივ უნდა ვაღიაროთ ბუნებრივი განვითარების, თვითორგანიზაციის, როგორც ტერიტორიული ერთობის იმანენტური თვისების არსებობა, ხოლო მეორე მხრივ ძალაუფლების, ორგანიზაციული საწყისის, როგორც ნებისმიერი სოციალური სისტემის ასევე იმანენტური თვისების არსებობის აუცილებლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობა, თავის სახელწოდებაშივე გულისხმობს ადგილობრივ (ტერიტორიულ) თვითორგანიზებულობას, ანუ მოსახლეობის განმსაზღვრელ როლს მმართველობით საქმიანობაში. ამიტომ, თვითმმართველობისას მართვის ტრადიციული გაგება როგორც მიმართება სუბიექტისა ობიექტზე არ არის მართებული. თვითმმართველობისას მოსახლეობა წარმოადგენს მართვის როგორც ობიექტს, ასევე მართვის სუბიექტს. მართვის ობიექტი გულისხმობს პასიურ მდგომარეობას, რომელზედაც ხორციელდება მართვა. მოსახლეობის მიჩნევა მართვის ობიექტად მარტივი გასაგებია, თუმცა, მისი როგორც მართვის სუბიექტის გაგება სცილდება დამკვიდრებულ ტრადიციულ ჩარჩოებს. ამასთან, მეორე მხრივ, ყველასთვის ცნობილია პრინციპი, რომ ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი აღიარებს რა რესპუბლიკური სახელმწიფოს ამ უზენაეს პრინციპს აცხადებს, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“, რომელიც „თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. მაგრამ, ამ პრინციპის რეალიზება ეწინააღმდეგება ხალხის, როგორც მართვის ობიექტის ტრადიციულ გაგებას. მოსახლეობის, როგორც მართვის სუბიექტის დაყვანა მხოლოდ

რეფერენდუმებსა და არჩევნებში მონაწილეობაზე არ არის მართებული. ამიტომაცაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ხალხის მიერ ძალაუფლების განხორციელებაზე რეფერენდუმსა და არჩევნებთან ერთად მიუთითებს „უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებზე“. კონსტიტუცია არ აკონკრეტებს (და ალბათ, შეუძლებელიცაა დაკონკრეტდეს) უშუალო დემოკრატიის რა ფორმები შეიძლება არსებობდეს, რომელშიც რეალურად გამოვლინდება მოსახლეობის, როგორც მართვის სუბიექტის ადგილი. სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე, როცა ხელისუფლების ორგანოთა სისტემა და მათი უფლებამოსილებები ზუსტადაა გაწერილი და ფორმალიზებული, მათი რადიკალური ცვლილების გარეშე, პრაქტიკულად არ არსებობს მოსახლეობის მიერ ძალაუფლების განხორციელების სხვა ფორმა გარდა რეფერენდუმისა და არჩევნებისა. სამაგიეროდ, ბევრად უფრო ფართოა და არის „თავისუფალი სივრცე“ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, სადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უშუალო დემოკრატიის ფორმები.

სწორედ ადგილობრივი ხელისუფლებაა ის „ასპარეზი“ სადაც ხალხი რეალურად ავლენს თავის ძალას, როგორც ხელისუფლების წყაროს. ჯერ კიდევ ალექსის დე ტოკვილი (1992) მიუთითებდა, რომ „ხალხი არის ხელისუფლების წყარო, მაგრამ ისე უშუალოდ როგორც თემში [ადგილობრივ თვითმმართველობაში], სხვაგან ვერსად ვერ ახორციელებს თავის ხელისუფლებას“ (стр. 92.). ალექსანდრე სოლჟელიცინის (1996) აზრით, „ადგილებზე მოსახლეობის თვითორგანიზაცია არის ერთადერთი შესაძლებლობა მოსახლეობაში არსებული პოტენციალის, ცოდნისა და ენერგიის რეალიზებისა და მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის არსებული უფსკრულის ლიკვიდაციისათვის“ (стр. 583).

ამასთან, როგორც „მრავალრიცხოვანი კვლევები და პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს დემოკრატიული, ლიბერალური ღირებულებები სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც ხშირ შემთხვევაში მოქალაქეთათვის ყოველთვის არ არის გასაგები და ვერ ხედავენ მასში პრაქტიკულ სარგებელს. მაგრამ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ხელისუფლების განხორციელებაში, მოახდინონ მასზე ზეგავლენა მათ

საცხოვრებელ ტერიტორიაზე ცხოვრების დონის ასამაღლებლად ყველასთვის გასაგებია“ (Антипьев, К.А. 2013. стр. 5).

ალექსის დე ტოკვილი (1992) თვითმმართველობის დანიშნულებას ხედავდა იმაში, რომ „თვითმმართველობა გზას უხსნის მოსახლეობას თავისუფლებისაკენ და ასწავლის მას ისარგებლოს თავისუფლებით“ (стр. 218). თვითმმართველობის, როგორც ინდივიდის აქტიურ მოქალაქედ აღზრდის ფაქტორზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძეც (1877) „თვითმმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს.“ თვითმმართველობის განსხვავებული დანიშნულებაა წინა პლანზე წამოწეული ლ. შტეინისა და გ. ელინეკის შრომებში, სადაც თვითმმართველობა განიხილება, როგორც საკითხების გადაწყვეტის უფრო ეფექტური მექანიზმი, ვიდრე ეს სახელმწიფო ბიუროკრატიაა, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ ყველაზე უფრო უკეთ იცის როგორ მოაგვაროს ადგილობრივი პრობლემები. თუმცა ეს ორი მიდგომა, მხოლოდ ერთი შეხედვითაა განსხვავებული. რეალობაში ორივე ეს მიდგომა მთლიანობაში განსაზღვრავს თვითმმართველობის არსს: მხოლოდ თვითორგანიზებადი, აქტიური მოსახლეობის მიერ არის შესაძლებელი ადგილობრივი პრობლემების ეფექტური მოგვარება.

ამ მიდგომებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა შეიძლება ორი ძირითადი მიმართულებით განვიხილოთ: პირველი ეს არის მართვის ეფექტიანობა, როცა გადაწყვეტილებები მიიღება ოპერატიულად და მორგებულია ადგილობრივ საჭიროებებზე, ხოლო მეორე მიმართულებაა მოსახლეობის მიერ ხელისუფლების განხორციელება, რაც ზრდის უფლებებისა და თავისუფლებების რაოდენობას საზოგადოებაში და ასევე ზრდის მოქალაქეთა შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ საკითხების დაგეგმვასა და გადაწყვეტაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობას საკმაოდ დეტალურად ასაბუთებს ვ. აბრამოვი (1997). მისი აზრით ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვანია, რადგან:

1) ადგილობრივი საჭიროებები ყველაზე უფრო ახლოსაა და გასაგებია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომლებიც ირჩევენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მონაწილეობენ თვითმმართველობის განხორციელებაში და ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის წარმატებით;

2) ადგილობრივი თვითმმართველობა ანვითარებს მოქალაქეთა თვითორგანიზებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას. მოქალაქეები ეჩვევიან პრობლემების გადაწყვეტას საკუთარი ძალებით და აღარ არიან მთავრობის „წყალობის“ მომლოდინე;

3) ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრება თანაბრად ვითარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. იგი ერთნაირად დინამიურია როგორც ცენტრში ისე პერიფერიებში;

4) ადგილობრივი თვითმმართველობა ერთმანეთთან აკავშირებს ადმინისტრაციასა და მოსახლეობას. მოქალაქეებს კერძო, პირად ინტერესებთან ერთად უნვითარდებათ და უყალიბდებათ საერთო ინტერესები, რაც განაპირობებს იმას, რომ მოქალაქეები ისევე ზრუნავენ ამ საერთო პრობლემების გადაწყვეტაზე, როგორც საკუთარ პრობლემებზე;

5) ადგილობრივი თვითმმართველობა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს გაეცნონ და პრაქტიკული მონაწილეობა მიიღონ საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

6) ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს უმაღლესი დონის სახელმწიფო მოღვაწეთა მომზადების სკოლას, რომლებიც თვითმმართველობის მეშვეობით არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ეცნობიან საზოგადოებისათვის პრობლემატურ სოციალურ საკითხებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, დაიწყო მცდელობები ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციონალიზაციისა და მისი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით. საკანონმდებლო რეფორმა ეყრდნობოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებებს. თუმცა, გასული წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ბაზაში შეტანილი არაერთგზის, მათ შორის რადიკალური ხასიათის ცვლილებისა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებული უფსკრული არ შემცირებულა. საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას ვერ ახდენენ თვითმმართველობისა და სოციალურ სისტემის განვითარებაზე. სოციალური სისტემა ვითარდება თავის შინაგანი კანონზომიერებით ხოლო ადგილობრივი ორგანოები კვლავინდებურად რჩებიან სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოებად.

ჯერ კიდევ ჰერბერტ სპენსერი (1992), თავის სტატიაში „კანონმდებელთა ცოდვები“, მიუთითებდა, რომ „არც ერთ ეშმაკურად მოფიქრებულ პოლიტიკურ დაწესებულებას არ გააჩნია ძალა თავისთავად. არ არის საკმარისი მხოლოდ გააზრება ამ დაწესებულებების საჭიროებისა და სარგებლობის მოტანის შესახებ. მთავარია იმ ადამიანთა ხასიათი, ვის მიმართაც უნდა იქნეს ეს დაწესებულება გამოყენებული. ყოველთვის, როცა არ არის საკმარისად ჰარმონიზებული ადამიანთა ხასიათი და დაწესებულების საქმიანობის ფორმები, ყველგან, სადაც დაწესებულებები შემოღებული იქნა იძულების წესით რევოლუციით თუ გაუაზრებელი რეფორმით, შედეგად ვიღებს უწესრიგობასა და არეულობას“ (стр. 129-137). სპენსერის აზრით „სოციალურ განვითარებას უფრო მეტად განაპირობებს ადამიანთა ინდივიდუალური აქტიობა და ნებაყოფლობითი კოოპერაცია, ვიდრე მთავრობის კონტროლქვეშ საქმიანობა“ (стр. 129-137). სოციალური ევოლუცია, მიუთითებს ჰ. სპენსერი, წინააღმდეგობრივი პროცესია, მაგრამ იგი, ძირითადად თავისდათავად, ავტომატურად მიმდინარეობს და ეწინააღმდეგება მის განვითარებაში მიზანმიმართულ ჩარევას. „ზრდის და განვითარების პროცესი

შეიძლება შევაჩეროთ ან შევაფერხოთ. მაგრამ შეუძლებელია მისი დაჩქარება ხელოვნური გზით“ (стр. 129-137).

რუსი მეცნიერი კ. ანტიპევი (2013) თავის მონოგრაფიაში „ადგილობრივი საზოგადოება, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძველი“ მართებულად მიუთითებს, რომ „სამართლებრივი საფუძვლების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, არც ერთ ნორმატიულ აქტს, არც ერთ ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებას არ ძალუძს ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩამოაყალიბოს ადგილობრივი თანასაზოგადოება და მასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობა. გადამწყვეტ როლს აქ თამაშობს სოციოკულტურა და სოციალური ღირებულებები. ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური საფუძვლების შეუფასებლობა, ადგილობრივ თვითმმართველობას აქცევს ადგილობრივ მმართველობად ან ადგილობრივ აღმასრულებლებად“ (стр. 5-6). ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ი. ბაბიჩევი (2007), რომ „თუ არ არსებობს ადგილობრივი თანასაზოგადოება, არ არსებობს არც ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური ბაზა“ (стр. 24-30).

ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობა არ ჯდება ხელისუფლების ორგანოს ტრადიციულ გაგებაში და თავის ბუნებით პრინციპულად განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლებისგან. ამავდროულად, არავინ დავობს იმის თაობაზეც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის ადგილობრივი ხელისუფლება, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის ამ სპეციფიკის შესასწავლად და იმ მიზეზების გასარკვევად, თუ რატომ არის, რომ რადიკალური საკანონმდებლო ცვლილებებიც კი ვერ იწვევს ხელშესახებ შედეგებს, საჭიროა განხილული იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, ცნება და ამ ინსტიტუტის მიმართება სახელმწიფო და საზოგადოებრივ სისტემასთან.

თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიები

სამეცნიერო წრეებში დავას არ იწვევს და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრეამბულაში განცხადებულ დებულებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის „ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი“. „ამ ინსტიტუტის განვითარების გარეშე დემოკრატიის თაობაზე საუბარი არც შეიძლება იყოს“. თუმცა რა ადგილი უნდა ეკავოს თვითმმართველობას სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, ამაზე ერთგვაროვანი ხედვა არ არსებობს.

თვითმმართველობის ადგილისა და როლის განსაზღვრაში ძირითადად იკვეთება ორი მიმართულება. პირველი მიმართულების მომხრეები ხაზს უსვამენ სახელმწიფო სტრუქტურებიდან თვითმმართველობის დამოუკიდებლობაზე, ხოლო მეორე მიმართულების მომხრეები მიუთითებენ მართვის სისტემის ერთიანობის აუცილებლობასა და დეზინტეგრაციის საფრთხეზე. ორივე მიმართულების მომხრეებს თავის მოსაზრების დასამტკიცებლად გააჩნიათ საკმაოდ წონადი არგუმენტები, რომლებიც თავის სათავეს იღებენ თვითმმართველობის ძირითადი თეორიებიდან.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთმიმართება, სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მართვის მოდელები, დაწყებული პლატონიდან და არისტოტელედან დღემდე, ყოველთვის წარმოადგენენ მსოფლიოს მოაზროვნეთა ინტერესის საგანს. თუმცა ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში მმართველობისა და თვითმმართველობის თეორიებს ფართო გამოყენება არ ქონდათ.

აგრარულ საზოგადოებაში ხდებოდა მხოლოდ ემპირიული მასალის დაგროვება და მათი გააზრება ფილოსოფიური თეორიების ბაზაზე. XIX საუკუნიდან, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებამ მისცა ბიძგი სახელმწიფოს შესახებ მეცნიერების სწრაფ განვითარებას. ევროპის ქვეყნებში დაწყებულმა კონსტიტუციონალიზმის მიმდინარეობამ განაპირობა არა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზების ახალი ფორმების წარმოშობა, არამედ დააყენა ადგილობრივი მართვის ახალი ტიპის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

მეცნიერთა კვლევები ტრანსფორმირდნენ თვითმმართველობის თეორიებად, რომლებიც ასახავდნენ როგორც დაგროვილ გამოცდილებას, ასევე ამ პერიოდის პოლიტიკურ შეხედულებებს“ (Трачук, П.А. 2011. стр. 749).

თვითმმართველობის თეორიები, თვითმმართველობის ბუნებიდან გამომდინარე საკმაოდ მრავალფეროვანია. მეცნიერთა მიერ ამ თეორიათა დაჯგუფებებშიც კი გვხვდება განსხვავება. მაგალითად, ნ. ლაზარევსკი (1910) გამოყოფს თვითმმართველობათა ოთხ ძირითად თეორიას: თავისუფალი თემის თეორიას, საზოგადოებრივ-სამეურნეო თეორიას, იურიდიულ თეორიას და პოლიტიკურ თეორიას. ვ. ფადეევი (1997), თავის ნაშრომში „მუნიციპალური სამართალი“ მიუთითებს თვითმმართველობათა ხუთ თეორიაზე: თავისუფალი თემის თეორია, საზოგადოებრივი თეორია, სახელმწიფოებრივი თეორია, სოციალური მომსახურების თეორია და დუალისტური თეორია. მიუხედავად ასეთი განსხვავებული მიდგომებისა, პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი თეორია: **თავისუფალი თემის თეორია** და **სახელმწიფოებრივი თეორია**, რომლებიც ასახავენ სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ურთიერთმიმართების ზემო აღნიშნულ მიდგომებს და ამ ორი რადიკალურად განსხვავებული თეორიათა გარკვეული სინთეზი - **დუალისტური თეორია**.

თავისუფალი თემის თეორიის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი მეცნიერი ა. ტურე, რომელიც ბუნებითი სამართლის თეორიაზე დაყრდნობით ასაბუთებდა, რომ თემი, როგორც ინსტიტუტი წარმოიშვა სახელმწიფოზე ადრე, მისი უფლებამოსილება არის თავისთავადი და არა სახელმწიფოსგან ბოძებული. შესაბამისად თემს უფლება აქვს თავად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე გადაწყვიტოს და მოაგვაროს საკუთარი საკითხები. ამ თეორიამ უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ჰპოვა ფართო მხარდაჭერა ევროპის სახელმწიფოებში. ამ მხრივ გამოსაყოფია იმ პერიოდის გერმანელი მეცნიერები, რომლებმაც არა მხოლოდ განავითარეს ეს თეორია, არამედ მოახდინეს ამ თეორიათა ასახვა საკანონმდებლო აქტებში. კერძოდ, ბავარიის სამეფოს 1818 წ. და ვიუტენბერგის 1919 წ. კონსტიტუციებში. განსაკუთრებით საყურადღებოა ბელგიის სამეფოს 1831 წ.

კონსტიტუცია, რომელიც შეიცავდა სპეციალურ თავს სათემო (მუნიციპალური) მმართველობის შესახებ და საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად აღიარებდა მეოთხე - მუნიციპალური ხელისუფლების არსებობას. თავისუფალი თემის თეორია აყენებდა თვითმმართველობის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თვითმმართველობის ორგანოთა არჩევითობას;

ბ) საკუთრივ თვითმმართველობის უფლებამოსილებისა და სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებათა გამიჯვნას;

გ) თვითმმართველობისა და სახელმწიფოს კომპეტენციათა გამიჯვნას;

დ) თვითმმართველობის ორგანოების, როგორც სახელმწიფო ორგანოსგან განსხვავებული ინსტიტუტის არსებობას;

ე) სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველობის კომპეტენციებში ჩაურევლობას.

ეს თეორია იყო იმ პერიოდში მიმდინარე პროცესების გამოძახილი და მიზნად ისახავდა მეცნიერულად დაესაბუთებინა სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების მიერ ადგილობრივი მეურნეობის მართვის საკითხებში ჩარევისა და ზემოქმედების შეზღუდვის აუცილებლობა. თავისუფალი თემის თეორია ეფუძნებოდა თემის თვითმყოფადობას, ხელშეუვალობას, დამოუკიდებლობას და საკუთარი ინტერესების თვითრეალიზების შესაძლებლობას. იგი მიმართული იყო ცენტრალიზებული მართვის წინააღმდეგ და ასაბუთებდა სახელმწიფოსგან თემის დამოუკიდებლობას. ამიტომაც იყო, რომ თავისუფალი თემის თეორიამ პოპულარობა მოიპოვა არა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ინდუსტრიულმა განვითარებამ და საბაზრო ეკონომიკამ მოითხოვა მეტი თავისუფლება ბიუროკრატიული ჩარავებისგან, არამედ XX საუკუნის ბოლოსაც, როცა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოშიც, დაიწყო ცენტრალიზებული მართვის რეფორმირება და თვითმმართველობათა ჩამოყალიბება. ამ სახელმწიფოების (ლიტვა, ლატვია, ბულგარეთი, მოლდოვა,

რუსეთი) 90-იანი წლების კანონმდებლობაში შეგვიძლია ვნახოთ აშკარა ხაზგასმა სახელმწიფოსაგან თვითმმართველობის გამიჯვნის შესახებ. ანალოგიური მიდგომა იყო საქართველოს კანონმდებლობაშიც. 1997 წ. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ერთმანეთისგან არა მხოლოდ განაცალკავებდა ადგილობრივ მმართველობას (რომელიც კანონით წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს) და ადგილობრივ თვითმმართველობას, არამედ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად აღიარებდა „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთგამიჯვნას“ (მუხლი 6).

თავისუფალი თემის თეორიის გამოძახილი შეიძლება ვნახოთ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპის ქარტიასა და მის გათვალისწინებით 2010 წ. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ დამატებაშიც, რომლის მიხედვით თვითმმართველობა „უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“ (მუხლი 101[2]). ანუ, თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთვნება არა მხოლოდ კანონით დადგენილი, არამედ ისეთი საკითხების გადაწყვეტაც, რაც სახელმწიფოს მიერ კანონით პირდაპირ დადგენილი არ არის. შესაბამისად თვითმმართველობას გააჩნია არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი უფლებები, არამედ „თავისთავადი“ უფლებები, რაზეც მიუთითებს თავისუფალი თემის თეორია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ თეორიაში წამყვანი როლი ენიჭება თემის თვითორგანიზებას, ინიციატივებს, პრობლემებისადმი შემოქმედებით მიდგომებს, ანუ სამოქალაქო აქტიურობას, როცა თემის თითოეული წევრი თანაბრად არის ჩართული გადაწყვეტილებების მომზადებისა და განხორციელების პროცესში და იღებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ეს არის ის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რაზეც დამოკიდებულია პოსტსაბჭოთა საზოგადოების სამოქალაქო საზოგადოებად გარდაქმნა. „ამ თეორიის

პოლიტიკური ასპექტები მოიცავდა თემის მართვის საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობისათვის საჭირო პიროებების შექმნას და მათ აღზრდას სამოქალაქო აქტიურობის სულისკვეთებით“ (Шустов, В.Г.).

თვითმმართველობის, როგორც ინდივიდუმის მოქალაქედ ჩამოყალიბების ხელშემწყობ ინსტიტუტზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძეც (1877) „თვითმმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს.“ პასუხისმგებლიანი, ინიციატივიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება არის პოსტსაბჭოური სახელმწიფოების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. ამიტომაც იყო, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ცენტრალიზებული მართვიდან დეცენტრალიზებულ მართვაზე გადასვლის პროცესში თავისუფალი თემის თეორიის დებულებებმა მოიპოვა ხელახალი პოპულარობა. ა. სოლჟენიცინი (1998) თავის სტატიაში „რუსეთი ნანგრევებში“ აღნიშნავდა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა არის არა ვალდებულება, არამედ უფლება, ამასთან უფლება, რომელიც უნდა დაიცვა და დაამტკიცო. ნებისმიერი მცდელობა მისი ზემოდან დაფუძნებისა განწირულია მარცხისაკენ“ (стр. 187-192). ა. სოლჟენიცინის ამ მოსაზრებას სამართლებრივი კუთხით შეიძლება ნაკლებად დავეთანხმოთ, თუმცა მისი სულისკვეთება იმსახურებს მხარდაჭერასა და გამოხატავს თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს. თავად თვითმმართველობის თავისუფალი თემის თეორიას ნამდვილად გააჩნია საკმაოდ მყარი არგუმენტები. ყველა კვლევა ადასტურებს და არავისთვის არის სადაო, რომ სახელმწიფოს წარმოშობამდე პირველყოფილი თემი იყო ადამიანთა ერთობის ორგანიზაციული ფორმა. ამდენად, როცა საუბარია თემის უფლებებზე, ეს უფლებები მომდინარეობს თემში გაერთიანებულ პირების მიერ საკუთარი, „ბუნებრივი“ უფლებების ნაწილის თემისათვის გადაცემით და არა „გარედან“ უფლების ბოძებით. თავდაპირველად თემის უფლებები საკმაოდ ფართო იყო და იგი მოიცავდა ისეთ საკითხებსაც, რომელიც დღეს ცალსახად სახელმწიფო

უფლებამოსილებას განეკუთვნება (მაგ. თავდაცვა, სასამართლო და ა.შ.). ევოლუციის პროცესმა განაპირობა შემდგომ სათემო კავშირების და სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამდენად, სწორედ სახელმწიფო უფლებამოსილებებია თემისგან დელეგირებული და არა პირიქით. ამ მსჯელობას, რომელიც ერთი შეხედვით, უტყუარი გვეჩვენება, გააჩნია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზი. თავისუფალი თემის თეორია მიჯნავს ერთმანეთისგან სახელმწიფოსა და თვითმმართველობას, მაგრამ სრულიად წაშლილია ზღვარი საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და თვითმმართველობას შორის. ამ თეორიით ორივე ეს ინსტიტუტი გაიგივებულია, რაც მისი პრინციპული ხარვეზია. საზოგადოებრივი ურთიერთობები არის ნებაყოფლობითი, ფაკულტატური და იგი მთლიანად დამოკიდებულია ამ ურთიერთობის სუბიექტთა ნებაზე. მაშინ როცა თვითმმართველობა ვალდებულებითი ხასიათის მატარებელია. ამის თაობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში რუსი იურისტი ნ. კორკუნოვი (1909), რომ „თემის საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ის თვითმართვადია არის არა ფაკულტატური, არამედ ვალდებულებითი. ეს საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს და არა, შეიძლება ხორციელდებოდეს. სახელმწიფო ამ საქმიანობას კი არ უშვებს, არამედ მოითხოვს მის განხორციელებას“ (стр. 489).

თავისუფალი თემის თეორიის ხარვეზზე მიუთითებდა ასევე ცნობილი გერმანელი იურისტი გ. ელინეკი (2004) „სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებში ნებისმიერი ტერიტორიული კავშირი არის ამ სახელმწიფოს ნაწილი. ტერიტორიული კავშირის წევრები წარმოადგენენ სახელმწიფოს ქვეშევრდომებს. კავშირის ხელისუფლებითი საქმიანობა ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლებას და იგი ხელისუფლებით ხასიათს იძენს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ნებით“ (стр. 479). ამდენად, თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლებითი ინსტიტუტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ძალით. თვითმმართველობის უფლებამოსილებები წარმოიშვება სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. ამიტომაც, მიუხედავად, ერთი შეხედვით საკმაო მიმზიდველობისა, თავისუფალი თემის თეორიამ XIX საუკუნის მეორე

ნახევრიდან დაკარგა თავის აქტუალობა და იგი ჩაანაცვლა სახელმწიფოებრივმა თეორიამ.

სახელმწიფოებრივი თეორიის ფუძემდებლებს წარმოადგენდნენ გერმანელი მეცნიერები ლორენც შტეინი, რუდოლფ გნეისტი და პაულ ლაბანდი. სახელმწიფოებრივი თეორიის მიხედვით თვითმმართველობა არის სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა. თვითმმართველობის ყველა უფლება მომდინარეობს სახელმწიფოსგან და ადგილობრივი ორგანოების მიერ თვითმმართველობის განხორციელება ხდება არა საკუთარი, „თავისთავადი“ უფლებით, არამედ სახელმწიფოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და წესით.

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიით თვითმმართველობა განიხილება როგორც სახელმწიფოს ერთიანი მექანიზმის ნაწილი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხდება სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების გაიგივება. თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის თანახმად, თვითმმართველობა ხორციელდება არა სახელმწიფო მოხელეთა, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისა და მისადმი ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ორგანოების მიერ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ადგილობრივი მმართველობის შედეგებით. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობისათვის ცალკეული ფუნქციების გადაცემა განპირობებულია უმთავრესად ამ ფუნქციათა შესრულების ეფექტურობით. ცენტრალიზებული მართვის პირობებში ჩინოვნიკები, რომლებიც მოქმედებენ ადგილებზე, მოკლებულნი არიან დამოუკიდებლობასა და შესაბამისად ინიციატივას. გამომდინარე აქედან, ნაკლებად ხდება მათ საქმიანობაში ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინება, რითაც რთულდება თავად სახელმწიფო მართვის პროცესი. შესაბამისად, თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტის ეფექტურობა არის თვითმმართველობის არსებობის საფუძველი. ცალკეული საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს მოქმედების მეტ

თავისუფლებას, რათა ის მიესადაგოს ადგილობრივ პირობებს. სწორედ ეს განაპირობებს თვითმმართველობის სპეციფიკას და განსხვავებას სახელმწიფო ორგანოებისაგან.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის მიმდევრები უარყოფენ თვითმმართველობას, როგორც „თავისთავად“ უფლებას და თვითმმართველობას განიხილავენ სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილად, ერთმანეთისგან მიჯნავენ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებს და მიუთითებენ თვითმმართველობის ორგანოების მოქმედების თავისუფლების აუცილებლობასა და კანონით მის უზრუნველყოფაზე.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „თვითმმართველობა“ შემოღებული იქნა სწორედ სახელმწიფოებრივი თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის რ. გნეისტის (1896) მიერ. მისი განმარტებით „თვითმმართველობა (Selfgovernment) არის სათემო კავშირისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ძალაუფლება“ (стр. 41). ამ განმარტებაში უკვე ჩანს, რომ უფლებამოსილება არის სახელმწიფოსი, მაგრამ მისი განხორციელება ხდება არა სახელმწიფოს, არამედ თემის მიერ, ანუ იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ წარმოადგენს და არ არის სახელმწიფო ორგანოსადმი უშუალო დაქვემდებარებაში. თუმცა, საკითხმა თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა და მოქმედების თავისუფლება, წარმოშვა ორი ძირითადი მიმართულება თვითმმართველობის სახელმწიფოებრივ თეორიაში.

პირველ მიმართულებას, რომელიც ცნობილია პოლიტიკური თეორიის სახელწოდებით, სათავე დაუდო რ. გნეისტმა. ამ მიმართულების მიხედვით თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა განპირობებულია მათი არჩევითობით. რ. გნეისტის მიხედვით, არჩევითი პირები, რომლებიც თავის საქმიანობას უნდა ასრულებდნენ უსასყიდლოდ, არიან გარანტი იმისა, რომ თვითმმართველობა არ მოექცევა სახელმწიფო ჩინოვნიკების გავლენის ქვეშ. ამ მიმართულებას დიდი პოპულარობა არ ქონია, რადგან აქცენტის გაკეთება

არჩეული პირების მიერ საქმიანობის არაანაზღაურებად ხასიათზე, რამაც უნდა გამორიცხოს გარე ზეგავლენა, ასეთ საქმიანობას აქცევს მეორე ხარისხოვნად.

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის მეორე მიმართულება ცნობილია სამართლებრივი თეორიის სახელწოდებით, რომლის ფუძემდებლად ითვლება ლორენც შტეინი. ეს თეორია ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ არა სახელმწიფოს, არამედ თემის, ადგილობრივი საზოგადოების ორგანოებს, რომელზედაც ხდება სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების გადაცემა. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. კორკუნოვი (1909) აღნიშნავდა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ექვემდებარებიან სახელმწიფო ზედამხედველობას, მაგრამ არა სახელმწიფო დაქვემდებარებას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა განპირობებულია იმით, რომ მათი საქმიანობის მიმართულებებს და მართველობითი გადაწყვეტილებებს განსაზღვრავს იმ ადგილობრივი საზოგადოების ინტერესები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ და რომელთაც უნდა ემსახურებოდნენ“ (стр. 499). ამდენად, თვითმმართველობის სპეციფიკას და დამოუკიდებლობას განაპირობებს არა უფლებამოსილებების „თავისთავადობა“, არამედ ინტერესთა „თავისთავადობა“. სახელმწიფოსაგან თვითმმართველობის განმასხვავებელს წარმოადგენს არა ის, თუ რა უფლებამოსილება გააჩნია, არამედ ის თუ რა ინტერესებს ეფუძნება ამ უფლებამოსილებათა განხორციელება.

„საერთო ინტერესი“ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების, როგორც თვითმმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანზე მითითებაა მოცემული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მიერ განსაზღვრულ თვითმმართველობის კონცეფციაში, რომლის თანახმად, თვითმმართველობის ხორციელება „ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“ (მუხლი 3). ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გამოხატვა და დაცვა არის თვითმმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია. სწორედ ეს არის

თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გარანტი და ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი სახელმწიფო ორგანოებისაგან და არა მისი შექმნის წესი და თუნდაც უფლებამოსილება. „საერთო ინტერესის“ ცნება არის მოცემული კვლევის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც დეტალურად იქნება შემდეგ თავებში განხილული. აქ კი შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი მინიშნებით, რომ როცა თვითმმართველობა არ ან ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას (არ არის ორიენტირებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე), „ხდება მისი, როგორც სოციალური ინსტიტუტის დეფორმაცია. ასეთ შემთხვევაში იგი იწყებს პარაზიტირებას სოციალურ გარემოსა და სხვა ინსტიტუტებზე, რასაც მივყავართ კიდევ უფრო მეტ დისფუნქციაზე, პოზიტიური თვისებებისა და მოსახლეობაში ავტორიტეტის დაკარგვამდე“ (Кудрявцев, В. Н. 1982. стр. 38).

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივმა თეორიამ დასვა დღევანდელობისთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა სახელმწიფო მმართველობის ერთიან მექანიზმში. ლორენც შტეინს დამოუკიდებლობის გარანტად მიაჩნდა ის, რომ თვითმმართველი ტერიტორიული კოლექტივები წარმოადგენენ სამართლის სპეციალურ სუბიექტებს იურიდიული პირის უფლებით, რის საფუძველზეც ისინი შედიან სახელმწიფოსთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლი და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი). თვითმმართველობის სახელმწიფოსთან ურთიერთობებზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მიუთითებს ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე და უფლებების სასამართლო წესით დაცვაზე. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით, თვითმმართველი ერთეული აღიარებულია სამართლის სუბიექტად (საჯარო სამართლის იურიდიულ პირად) და სახელმწიფოსთან ურთიერთობისას წარმოდგენილია,

როგორც თანაბარუფლებიანი სუბიექტი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით ლ. შტეინის მოსაზრებები რეალიზებულია, თუმცა, როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს, ვერ იქნა მიღწეული მთავარი მიზანი - თვითმმართველობის დამოუკიდებლობა, რადგან „ლორენც შტეინის მოსაზრებები მხოლოდ თეორიაში შეიძლება იქნეს ეფექტური. პრაქტიკაში, სახელმწიფოს სრული ძალაუფლება არ ტოვებს ადგილს ადგილობრივი კოლექტივების თავისუფლებისა და თანაბარუფლებიანობისთვის“ (Трачук, П.А. 2011. стр. 751).

ამ ორი ძირითადი თეორიის ზოგადი მიმოხილვით ჩანს, როგორც ერთი, ისე მეორე თეორიის უპირატესობებიც და ნაკლოვანებებიც. თითოეული მათგანის გამოძახილი შეგვიძლია ვიპოვოთ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიაში, ისე კანონმდებლობაში. თითოეულ მათგანს გააჩნია საკმაოდ ძლიერი არგუმენტები როგორც თავის მართებულობის დასამტკიცებლად, ისე სხვა თეორიის საწინააღმდეგოდ. ამიტომ სრულიად მართებული იყო ნ. ლაზარევსკი (1910), რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აცხადებდა, რომ „თითოეული ეს თეორია ერთდროულად მართალიც არის და მცდარიც, რადგან ისინი ეხებიან თვითმმართველობის მხოლოდ ცალკეულ ნიშნებს, ამიტომაც თითოეული მათგანი ცალკე აღებული არ შეიძლება იქნეს აღიარებული და გამოყენებული ყველა ქვეყანისა და ყველა შემთხვევისთვის“ (стр. 78).

რეალობამაც აჩვენა, რომ მართებულობა ამ ორ თეორიას შორის უნდა ვეძებოთ. პრაქტიკაშიც და თანამედროვე მეცნიერებაშიც სწორედ ამ ორი თეორიის სხვადასხვა ვარიაციებით განხორციელებულმა სინთეზმა ჰპოვა მხარდაჭერა. ეს სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან, როგორც ჯერ კიდევ გ. ელინეკი აღნიშნავდა თეორიები „წმინდა“ სახით მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიძლება არსებობდეს. დუალიზმის ნიშნები იკვეთებოდა სახელმწიფოებრივი თეორიის განვითარების პირობებშიც. სახელმწიფოებრივი თეორიის ერთ-ერთი მიმდევარი გ. ელინეკი (2004) ასკვნიდა, რომ თვითმმართველობას გააჩნია როგორც თემიდან, ისე სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებები. მაგრამ, იმისათვის, რომ საკუთარმა

(თემიდან დელეგირებულმა) უფლებებმა შეიძინოს სავალდებულო ხასიათი, საჭიროა მოხდეს სახელმწიფოსგან მისი აღიარება. თუმცა აქვე აცხადებდა, რომ „თვითმმართველობა არის სახელმწიფო მმართველობა და არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შუალედური რგოლი“ (стр. 491). ამავე თეორიის მიმდევარს ბ. ჩიჩერინს (1894) კი მიაჩნდა, რომ თვითმმართველობის სახით „სახელმწიფო მმართველობაში ერთიანდება ორი ელემენტი: სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი“ (стр. 242). თვითმმართველობის დუალისტურ ბუნებაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძეც (1877): „თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორგანოა. ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორგანოც არის უმაღლესი მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა“.

თვითმმართველობათა დუალისტური თეორია ემყარება თვითმმართველობის ორგვაროვანი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისის აღიარებას. თუმცა, რა „დოზით“ უნდა იქნეს თითოეული ეს ელემენტი წარმოდგენილი, თანამედროვე თეორიებში უმთავრესად იდეოლოგიური მიდგომა იკვეთება, რომელიც სათავეს იღებს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. ძირითადად გამოიყოფა ოთხი მიმართულება და თეორია:

1) ლოკალისტური მიდგომა;

2) ნეომარქსისტული მიდგომა;

3) საზოგადოებრივი არჩევანის თეორია

4) „ვებერიანული“ თეორია

თვითმმართველობის **ლოკალისტური თეორია** ეფუძნება ლიბერალური დემოკრატიის კლასიკურ იდეებს და ითვლება ლიბერალების თეორიად, სადაც დომინირებს თავისუფალი თემის თეორიის პრინციპები. ლოკალისტები (G. Jones & J. Stewart. 1985) ძირითად აქცენტს ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკურ როლსა და მის მიერ გაწეულ საზოგადოებრივ მომსახურების გაწევაზე აკეთებენ. ეს თეორია ეფუძნება შემდეგ შეხედულებას:

- ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს აუცილებელ ინსტიტუტს ხელისუფლების განაწილების პრინციპის რეალიზაციისა და გადაწყვეტილების მიღებაში მოსახლეობის ჩართულობისათვის;
- დემოკრატიის ძალა მოსახლეობასთან უკუკავშირშია, რასაც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ღიაა ინიციატივებისა და ინოვაციებისადმი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ლოკალური ხასიათი უზრუნველყოფს მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი ხელისუფლების ხელმისაწვდომობას და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას ადგილობრივ მოთხოვნებზე;
- ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ ფართო შესაძლებლობა მოიპოვონ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყველაზე უკეთ ძალუძთ უზრუნველყონ ადგილობრივ საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების მოგვარება.

ამ შეხედულებებიდან გამომდინარე ლოკალისტებს ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის აუცილებლად მიაჩნიათ:

ა) ცენტრს, რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა მკვეთრი გამიჯვნა კანონის საფუძველზე;

ბ) საშემოსავლო გადასახადის, როგორც საკუთარი შემოსავალის დატოვება ადგილობრივ ბიუჯეტში;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ერთდონიანი სისტემა.

ნეომარქსისტული თეორიის საფუძველს წარმოადგენს ნეომარქსისტული შეხედულებები თანამედროვე სახელმწიფოზე. ეს არის სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიაზე დაფუძნებული თეორია, რომელიც ძირითადად ეყრდნობა

თავისუფალი თემის თეორიის პრინციპებს და ადგილობრივი თვითმმართველობას ანიჭებს პოლიტიკურ როლს კლასობრივი დაპირისპირების შესარბილებლად. ამ თეორიაში გამოიყოფა ორი მიმართულება:

ა) სოციალურ ურთიერთობათა თეორია;

ბ) რეგულაციის თეორია.

სოციალურ ურთიერთობათა თეორია ადგილობრივ თვითმმართველობას განიხილავს ერთი მხრივ, როგორც ადგილობრივი ინტერესების წარმომადგენელს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ადგილზე საერთო საზოგადოებრივი ინტერესების წარმომადგენელს, რაც განაპირობებს ადგილობრივი თვითმმართველობის კონფლიქტს ცენტრთან.

რეგულაციის თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ცვლილებებს, როგორც მუდმივი კონფლიქტის შედეგი განპირობებულია კაპიტალისტურ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებით. ეკონომიკური ფორმების ცვლილებას თან სდევს მართვის სტრუქტურის ცვლილება, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს ძალაუფლების ცენტრში კონცენტრაციასა და კონტროლის იერარქიულ სისტემაზე.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ეფუძნება ნეოკონსერვატიულ იდეოლოგიას, რომლის ცენტრშია ინდივიდუმი, რადგან სწორედ მის არჩევანზეა ყველაფერი დამოკიდებული. ამ თეორიის მიხედვით თავისუფალი ბაზარი არის საქონლისა და მომსახურების გადანაწილების ყველაზე ოპტიმალური მექანიზმი, რომლის წინაშეც უძლურია როგორც სახელმწიფო ბიუროკრატია, ისე წარმომადგენლობითი დემოკრატია. ამ თეორიის მომხრეთა აზრით (Duncan S. & Goodwin M. 1988) ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული სისტემა არაეფექტიანია და მის შესაცვლელად საჭიროა მოხდეს:

ა) გარე კონტრაქტირების (outsourcing) სისტემის დანერგვა. ყველა ის საზოგადოებრივი მომსახურება, რასაც დღემდე ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უნდა განხორციელდეს ღია ტენდერის საფუძველზე კერძო სუბიექტთა მიერ;

ბ) მუნიციპალიტეტების ფრაგმენტაცია. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთიანი ორგანო უნდა დაიყოს ურთიერთდამოუკიდებელ სპეციალიზირებულ ორგანოებად, რომლებიც მორგებულნი იქნებიან სხვადასხვა ჯგუფების სპეციფიურ ინტერესებზე.

ასეთი ცვლილების გატარების შემთხვევაში მომხმარებელს ეძლევა ფართო არჩევანის შესაძლებლობა თუ ვის მიმართოს და საიდან მიიღოს მომსახურება.

„ვებერიანული“ თეორია ეფუძნება მაქს ვებერის იდეებს იმის შესახებ, რომ ხელისუფლების სტრუქტურებისა და ორგანიზაციების საქმიანობის განმსაზღვრელია და მთავარი როლი ენიჭება ელიტას. ამ თეორიაშიაც გამოიყოფა ორი მთავარი მიმართულება:

ა) დუალისტური სახელმწიფოს თეორია;

ბ) დუალისტური პოლიტიკის თეორია

დუალისტური სახელმწიფოს თეორიის მიმდევრები (Bulpitt, J. 1983) ადგილობრივ თვითმმართველობას განიხილავენ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებას. მათი მოსაზრებით, სახელმწიფო ასრულებს ორ უმთავრეს ფუნქციას: სოციალურ ინვესტირებას - საბაზო საქონლითა და მომსახურების მიწოდების სახელმწიფო უზრუნველყოფა და სოციალურ უზრუნველყოფას - მოსახლეობის იმ ჯგუფთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელთაც არ ძალუძთ ბაზრის მეშვეობით მათი მიღება. ამ მიმართებით სახელმწიფო სოციალურ ინვესტირებას ძირითადად ახორციელებს ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე, ხოლო სოციალურ უზრუნველყოფას - მუნიციპალურ დონეზე. დუალისტური პოლიტიკის მომხრეები (Cawson, A. & Saunders, P. 1983) პოლიტიკას ყოფენ ორ ნაწილად. „მაღალი“ პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან, როგორიცაა კანონმდებლობა, ეკონომიკური რეგულირება, მართლწესრიგი, უშიშროება და თავდაცვა და სხვ. „დაბალი“ პოლიტიკა, რომელიც უკავშირდება ადგილობრივი მნიშვნელობის ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქალაქგეგმარება, დასუფთავება, გამწვანება, კომუნალური მომსახურება და სხვ. „მაღალ“ პოლიტიკას წარმართავს ცენტრი, რომელიც ასევე

განსაზღვრავს პრიორიტეტებს, მათ შორის „დაბალ“ პოლიტიკის საკითხებშიც, რომლის განხორციელებაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა. ამგვარად, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირება დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლების შეხედულებებზე, რითაც ეს თეორია უპირატესად იზიარებს თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის დებულებებს.

როგორც ვნახეთ, ზემო აღნიშნული თეორიები, მართალია იზიარებენ თვითმმართველობის დუალისტური თეორიის მიდგომებს, მაგრამ ძირითადად ეფუძნებიან სხვადასხვა იდეოლოგიურ შეხედულებებს და მათი განხილვა, მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების ჩვენება უშუალოდ დაკავშირებულია იდეოლოგიურ არჩევანთან. იდეოლოგია კი, როგორც ამას ცნობილი გერმანელი სოციოლოგი ნ. ლუმანი (2006) აღნიშნავდა, „განეკუთვნება ფუნციონალურ კატეგორიას, რომელიც მიზნად ისახავს არა ჭეშმარიტების მიღწევას, არამედ ადამიანთა ორიენტირებას გარკვეული სოციალური მოქმედებისა და ქცევისაკენ“ (стр.12) ამ თვალსაზრისით, პრინციპულად არასწორი მიმაჩნია თვითმმართველობის იდეოლოგიზირება, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი იქცევა არა მოსახლეობის, არამედ პოლიტიკურ ძალთა ინსტიტუტად, რაც ეწინააღმდეგება დუალისტური თეორიის იმ უმთავრეს პრინციპს, რომ თვითმმართველობა არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ელემენტების ერთობლიობა. თვითმმართველობის იდეოლოგიზირებით გამოდის, რომ ეს ინსტიტუტი განსაზღვრავს ადამიანთა ორიენტირებს „სოციალური მოქმედებისა და ქცევისაკენ“ და არა პირიქით, რომ მოსახლეობა განსაზღვრავდეს ამ ინსტიტუტის საქმიანობის ორიენტირებს. ამიტომ, ყველაზე უფრო მართებულია ამ თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელის ჰ. ალდერფერის (1973) მოსაზრება, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა კი არ უნდა დავუპირისპიროთ სახელმწიფოს, არამედ იგი უნდა იქნეს განხილული ერთიან სისტემაში, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე თვითმმართველობით საწყისებს“.

თავი III. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება

ტერმინი „ადგილობრივი თვითმმართველობა“ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა XVII საუკუნიდან და მოიაზრებოდა ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლების აღიარებაში თავად გადაეწყვიტათ მათ წინაშე არსებული ყოფითი პრობლემები და შესაბამისად ემართათ საკუთარი ცხოვრება. ამ უფლების ხასიათის (იყო ის ბუნებრივი, „თავისთავადი“ თუ სახელმწიფოსგან ბოძებული) განსაზღვრა იყო ის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც აისახა თვითმმართველობათა თეორიებში და შესაბამისად გავლენა მოახდინა ცნების დეფინიციაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული ოცდაათზე მეტი განმარტება, რომელთა კლასიფიცირებაც შეიძლება მათი ხასიათიდან გამომდინარე.

ტერმინის ნორმატიული განმარტება აქცენტს აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი ორგანოების არჩევითობასა და არაბიუროკრატიულ ხასიათზე. ინსტრუმენტარული მიდგომა წინა პლანზე წევს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის შესაძლებლობას ჩაერთონ მართვის პროცესებში. ამ მიდგომასთან ახლოს დგას თვითმმართველობის ცნების პარტისიპანტული განმარტება, რომელიც თვითმმართველობას განიხილავს როგორც მოსახლეობის მიერ პოლიტიკურ პროცესებში უშუალო და პირდაპირი მონაწილეობის საშუალებას. მათგან განსხვავებით გვხვდება მიდგომა, სადაც თვითმმართველობა განიხილება, როგორც მოსახლეობის დამოუკიდებელი საქმიანობის ფორმა, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვიტოს მათ წინაშე არსებული პრობლემები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პირველი განმარტება დაკავშირებულია ინგლისელი მეცნიერების ი. რედრიხისა და პ. აშლეის (1910) სახელებთან: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უშუალოდ ან მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით იმ ვალდებულებებისა და უფლებამოსილების განხორციელება, რაც მათ მინიჭებული

აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ან ეკუთვნით ზოგადი სამართლით (common law)“. გერმანელი იურისტის გ. ელინეკის (2004) განმარტებით „თვითმმართველობა, როგორც სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება იმ პირთა მიერ, რომლებიც არ არიან პროფესიული სახელმწიფო თანამდებობის პირები და სახელმწიფო-ბიუროკრატიული მმართველობისგან განსხვავებით ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ამ საკითხების გადაწყვეტით“ (стр. 456).

XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ პოპულარული იყო რუსი მეცნიერის ნ. ლაზარევსკის (1910) მიერ ჩამოყალიბებული განმარტება, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა არის დეცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობა, სადაც ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია ისეთი სამართლებრივი გარანტიების სისტემით, რომელიც ერთი მხრივ ითვალისწინებს დეცენტრალიზაციის აუცილებლობას, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მჭიდრო კავშირს შესაბამის ტერიტორიასთან და მოსახლეობასთან“.

ნ. ლაზარევსკისგან განსხვავებით, ამავე პერიოდის რუსი მეცნიერები ა. ვასილჩიკოვი და ბ. ჩიჩერინი თვითმმართველობის განმარტებისას ძირითად აქცენტს აკეთებდნენ ადგილობრივ საზოგადოებაზე. ა. ვასილჩიკოვის (1872) განმარტებით „თვითმმართველობად იწოდება მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც ადგილობრივი საქმეები წყდება მოსახლეობის მიერ და ადგილობრივი თანამდებობები უკავიათ ადგილობრივ მოსახლეობას“ (стр. 73). ბ. ჩიჩერინი (1894) თვითმმართველობას განმარტავდა როგორც თემს, რომელიც წარმოადგენს საერთო ინტერესების საფუძველზე გაერთიანებულ ადგილობრივი მოსახლეობის კავშირს. ანალოგიურ განმარტებას აკეთებდა კარლ მარქსი, რომლის მიხედვით თვითმმართველობა არის როცა „ხალხი მოქმედებს თავად და საკუთარი თავისთვის“ და იგი „თავად იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე“.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის დეფინიციისას ძირითადი აქცენტები კეთდება თვითმმართველობის

განმახორციელებელ მთავარ სუბიექტზე - ტერიტორიულ კოლექტივზე. „თვითმმართველობა განისაზღვრება როგორც ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობის - ტერიტორიული კოლექტივის (თანასაზოგადოების) და მათ მიერ არჩეული ორგანოების საქმიანობა მართონ საკუთარი საკითხები“ (Страшун, Б.А. 2000, стр. 726).

რუსი მეცნიერის ვ. ჩირკინის (2005) მოსაზრებით ადგილობრივი თვითმმართველობა, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, წარმოადგენს საჯარო ხელისუფლებას, მაგრამ ეს არის ტერიტორიული კოლექტივის, ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლიობის საჯარო ხელისუფლება. ეს მოსაზრება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ამ ნიშნით ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის გამოყოფა და გამიჯვნა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ასევე სხვა საზოგადოებრივი სტრუქტურებიდან, რადგან, როგორც ამას მიუთითებენ დ. ზერკინი და ვ. იგნატოვი „ადგილობრივი თვითმმართველობა არ არის ჩვეულებრივი თვითშემოქმედებითი საზოგადოებრივი სტრუქტურა. ეს არის სამოქალაქო და სამართლებრივი ინსტიტუტი, სახელმწიფო (პოლიტიკური) წყობის ელემენტი და ტერიტორიული თანასაზოგადოების საქმიანობის ორგანიზაციული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი და სახელმწიფოს მიერ დელეგირებული ცალკეული უფლებამოსილების განხორციელებას ადგილობრივი თანასაზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ადგილობრივი თანასაზოგადოების თვითორგანიზების ლეგიტიმური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თანასაზოგადოებისა და სახელმწიფოს კავშირს“ (Бородкин, Ф.М. 1997. стр. 98-111).

თვითმმართველობის, როგორც მოსახლეობისგან მომდინარე ხელისუფლებაზე მითითებას აკეთებს გერმანელი მეცნიერი თეოდორ მაუნცი (1994). მისი შეხედულებით „კომუნალურ ტერიტორიულ ერთეულებში საჯარო ხელისუფლება წარმოიშვება უშუალოდ მოსახლეობისგან, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის გათვალისწინებითა და

სახელმწიფოს მიერ მართველობით სტრუქტურების კომპეტენციების სუვერენული განსაზღვრის ფარგლებში მინიჭებული აქვს სახელმწიფოს მიერ კომუნალურ ტერიტორიული სტრუქტურებისათვის, ანუ თუ ხდება მათი აღიარება კონსტიტუციური წესით“ (стр. 14).

ამერიკელი პოლიტოლოგის ფილიპ შმიტერის (1996) აზრით თვითმმართველობისთვის დამახასიათებელია:

ა) გარკვეული დამოუკიდებლობა როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისგან, ასევე არასახელმწიფო, არასამთავრობო სტრუქტურებისგან (ორმაგი ავტონომია);

ბ) შესაძლებლობა განახორციელოს კოლექტიური აქტიობა საკუთარი ინტერესების დასაცავად და განსახორციელებლად (კოლექტიური ქმედების უნარი);

გ) სხვისი ფუნქციების მითვისების სურვილის არ არსებობა (სხვის უფლებამოსილებათა უზურპაციის არ არსებობა);

დ) მზაობა იმოქმედოს არსებული სამოქალაქო და სამართლებრივი ნორმების ფარგლებში“ (С. 16).

ნორვეგიელი პოლიტოლოგი ო. ოფერდალის (1999) მოსაზრებით თვითმმართველობის სახელმწიფო ხელისუფლებისგან განმასხვავებელი უმთავრესი ნიშანია ის, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს პოლიტიკური ტიპის მმართველობას. ეს მმართველობის ისეთი ტიპია, სადაც არაპროფესიონალები, სპეციალური ცოდნის არ მქონე ადამიანები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს მათთვის საერთო საკითხებზე“ (стр.164).

სხვადასხვა ავტორების ამ ცნების განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის არსი მდგომარეობს მოსახლეობისათვის შესაძლებლობის მიცემაში თავად გადაწყვიტონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და მართონ საკუთარი ცხოვრება.

ვ. იგნატოვისა და ვ. რუდოის (2001) მოსაზრებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ხასიათდება დიალექტიკური ბუნებით, რაც იმით

გამოიხატება, რომ თვითმმართველობა ერთი მხრივ წარმოადგენს ხელისუფლების შტოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებები და საკუთარი ნება მოახვიოს სხვას თავზე, ხოლო მეორე მხრივ - საზოგადოების შტოს, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს და ითვალისწინებს მოსახლეობის ნებასა და ინტერებს. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ცნობილი იურისტი გ. ბარაბაშევი (1996.), რომ თვითმმართველობა „მოწოდებულია დაიცვას მოსახლეობის უფლებები და თავისუფლებები ცენტრის დიქტატისაგან და მოსახლეობამდე დაიყვანოს ცენტრის კანონიერი ნება“ (стр. 20–34). ამ ინსტიტუტის არაერთგვაროვანი ბუნება, რომელიც თავისთავში შეიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ელემენტებს, განაპირობებს თანამედროვე მეცნიერებაში ამ საკითხისადმი უნივერსალური მიდგომის არ არსებობას.

თავი IV. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საჯარო ინსტიტუტი

ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც საჯარო ინსტიტუტის ტიპზე დღემდე მიმდინარეობს დისკუსია. თანამედროვე მეცნიერების ნაწილი (გ. ფადეევი, გ. ბარაბაშევი, ი. ტიხომიროვი, ბ. ნაკაშიძე) თვითმმართველობას მიიჩნევს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტად. მეცნიერების ნაწილი (მ. ბაგლაი, ა. სლივა, ბ. ჭიჭინაძე) წინა პლანზე აყენებენ თვითმმართველობის საჯარო-ხელისუფლებით ბუნებას. ხოლო მეცნიერთა ნაწილი (გ. ატამანჩუკი, ვ. ლაპინი, ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია) თვითმმართველობას მიიჩნევს შუალედურ სახელმწიფო-საზოგადოებრივ ინსტიტუტად.

ი. ტიხომიროვის (1984) მოსაზრებით „ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს საზოგადო საქმეების მართვის სისტემას, რომელიც იგება თვითორგანიზაციის, თვითშემოქმედების და თვითრეგულაციის საფუძველზე“ (стр.193). ამიტომ, ი. ტიხომიროვის (1994) აზრით „საჭიროა სრულად იქნეს აღდგენილი თვითმმართველობა მისი ჭეშმარიტი დანიშნულებით არა მხოლოდ როგორც სახელმწიფოს, არამედ როგორც სამოქალაქო საზოგადოების ელემენტი, რომელშიც ინტენსიურად უნდა ვითარდებოდეს საზოგადოებრივი თვითმმართველობის საწყისები“ (стр. 95).

ი. ტიხომიროვისგან განსხვავებით ი. ოვჩინიკოვს და ა. პისარევს (2007) მიაჩნიათ, რომ „მუნიციპალური მმართველობის განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ნაწილს, რადგან მის მიერ საკუთარი უფლებამოსილებათა განხორციელება არ ნიშნავს სახელმწიფო ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისგან მოწყვეტას“.

განსხვავებული შეხედულება აქვს გ. ატამანჩუკს (1997), რომელიც მიიჩნევს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა არის სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამაკავშირებელი და მათი ურთიერთმოსაზღვრე ინსტიტუტი. მასში გაერთიანებულია როგორც საზოგადოებრივი ასევე ხელისუფლებითი ელემენტები. ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს მართველობით ინსტიტუტს,

რომელიც მოწოდებულია წარმართოს, ორგანიზება გაუწიოს და დაარეგულიროს საზოგადოებრივი ურთიერთობები, ამავდროულად ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობის ინიციატივებისა და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც ასახავს ამ მოსახლეობის პასუხისმგებლობასა და შემოქმედებით ენერგიას“(стр.133). ანალოგიურ მიდგომას ემხრობა მ. მალიკოვი, რომ „თვითმმართველობისთვის დამახასიათებელია ორგვაროვანი ხასიათი. ერთი მხრივ ის არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, ხოლო მეორე მხრივ ხელისუფლების ინსტიტუციური ფორმა“.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტუტუტთან მიმართებაში, ასევე არაერთგავროვანია ქართველ მეცნიერთა მოსაზრებებიც. მაგალითად, ბ. ნაკაშიძის (1994) აზრით „ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ადგილობრივ საზოგადოებათა ინიციატივიან საქმიანობას, რომელსაც ისინი ადგილობრივი და სახელმწიფო ინტერესების შეხამების და ადგილობრივი ყოფის საკითხების გადაწყვეტის პირობებში თავიანთი პასუხისმგებლობით ახორციელებენ კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში“. საწინააღმდეგო შეხედულება აქვს ბორის ჭიჭინაძეს (2014), რომლის მოსაზრებით, „ადგილობრივი თვითმმართველობა - ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური წყობა, რომელიც ხელისუფლების გადანაწილებით უზრუნველყოფს მმართველობის იერარქიას. ..... საქართველოს მუნიციპალიტეტებს აქვთ განვითარების დიდი პერსპექტივა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქნება პოლიტიკური ნება მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის“. ო. მელქაძისა და ზ. ეზუგბაიას (2002) მოსაზრებით კი „ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც რთული და კომპლექსური მოვლენა არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს არც სახელმწიფო მექანიზმს და არც მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს, ვინაიდან იგი ადგილობრივი საჯარო ხელისუფლებაა და არა მოსახლეობის თვითორგანიზაციის მარტივი ფორმა“ (გვ. 78).

ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის მიმართ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა

ადასტურებს, რომ თვითმმართველობა არის დინამიური ერთეული, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას და გამოხატავს როგორც შესაბამისი მოსახლეობის სოციოკულტურულ თავისებურებებს, ტრადიციებს და წესებს, ასევე თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. ამიტომაც არ არსებობს ერთიანი უნივერსალური თეორია და მოდელი, რომელიც „შეიძლება იქნეს აღიარებული და გამოყენებული ყველა ქვეყანისა და ყველა შემთხვევისთვის“ (Лазаревский Н.И. 1910 стр. 78). მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია არსებობდეს საერთო ხედვები და საერთო, თუნდაც ზოგადი, პრინციპები თვითმმართველობის შესახებ.

საქართველოში თვითმმართველობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საკმაოდ მიმზიდველია თვითმმართველობის საზოგადოებრივ ინსტიტუტად განხილვა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეჭვ ქვეშ დგება როგორც შექმნისა და არსებობის, ასევე მიღებული გადაწყვეტილების ვალდებულებითი ხასიათი. საზოგადოებრივი ინსტიტუტების შექმნა-გაუქმება, ასევე მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ვალდებულება ნებაყოფლობითია და მთლიანად არის დამოკიდებული ამ საზოგადოების წევრთა ნებაზე. მაშინ, როცა თვითმმართველობა „უნდა ხორციელდებოდეს, და არა შეიძლება ხორციელდებოდეს. სახელმწიფო ამ საქმიანობას კი არ უშვებს, არამედ მოითხოვს მის განხორციელებას“ (Коркунов Н.М. 1909. стр. 489). მეორე მხრივ, არც თვითმმართველობის, როგორც ცალსახად სახელმწიფო ინსტიტუტის განხილვაა მართებული, რადგან ამ შემთხვევაში იკარგება თვითმმართველობის ისეთი აუცილებელი თვისებები, როგორიცაა ინიციატივა, თვითშემოქმედება, მოქმედების თავისუფლება და საქმიანობის დაფუძნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე. თუ ამ ნიშნებს ჩამოვაცლით, ვღებულობთ სახელმწიფოს ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც მოკლებულია შესასძლებლობას თავის საქმიანობა წარმართოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად და შეასრულოს ის დანიშნულება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვითმმართველობას გააჩნია გარდამავალი სტატუსი თვითორგანიზაციიდან მართველობისკენ და იგი განიცდის როგორც სპეციფიურ გარე, ისე შინაგანი პროცესებით გამოწვეულ ზემოქმედებას. თვითმმართველობის არსი მდგომარეობს ორი უმთავრესი საწყისის დიალექტიკურ კავშირში: ერთი მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ინტეგრირებულნი არიან სახელმწიფო მართველობით მექანიზმში, რის გამოც თვითმმართველობა წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების განცალკევებულ დონეს. მეორე მხრივ თვითმმართველობა არის ადგილობრივი თანასაზოგადოების თვითორგანიზების ფორმა. თვითმმართველობის ასეთი სტატუსი განაპირობებს როგორც გარე სპეციფიურ ზემოქმედების (კანონმდებლობის დახვეწის), ასევე, და საქართველოს შემთხვევაში უპირატესადაც, მოსახლეობის გააქტიურების სტიმულირების აუცილებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს მოსახლეობის მიერ საერთო ინტერესების ჩამოყალიბებას და შემდგომ მის რეალიზებას - შესაბამის პრობლემის გადაწყვეტას. ორივე ამ საკითხში თანაბრად არის ჩართული როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ფაქტორები: საერთო ინტერესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო ინტერესებს და გადაწყვეტის გზები და ფორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ წესებს.

აღნიშნული განაპირობებს თვითმმართველობის ბუნების სპეციფიკას. მასში ხდება როგორც ადგილობრივი საზოგადოების ისე სახელმწიფოს ინტერესებისა და ხედვების თავმოყრა და შეჯერება. თვითმმართველობა არის ორმხრივი ზემოქმედების არეალი: „ქვევიდან“ - ადგილობრივი საზოგადოების და „ზევიდან“ - სახელმწიფო ხელისუფლების. რომელიმე მათგანის შესუსტება ან გაქრობა იწვევს თვითმმართველობის შესუსტებას ან გაქრობას. ამიტომ, თვითმმართველობის სტაბილურობა და განვითარება ამ ორი ფაქტორის თანაბრად წარმოჩენასა და გაწონასწორებაზეა დამოკიდებული. ამასთან, ეს თანაბრობა და გაწონასწორებულობა არის სინერგიული და არა მექანიკური ხასიათის. ძლიერი

საზოგადოება და ძლიერი სახელმწიფო განაპირობებს ძლიერ თვითმმართველობას და პირიქით. მაგრამ სუსტი საზოგადოება და სუსტი სახელმწიფო არ ნიშნავს ძლიერ თვითმმართველობას (ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1992-93 წ.წ. საქართველო, როცა სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტის პირობებში ადგილებზე ყალიბდებოდა კრიმინალურ-კორუფციული ხელისუფლება).

ურთიერთობების სინერგიული ხასიათი ვლინდება იმაშიც, რომ არა მხოლოდ საზოგადოება „ქვევიდან“ და სახელმწიფო „ზემოდან“ ზემოქმედებს თვითმმართველობაზე, არამედ თავად თვითმმართველობა ახდენს ზეგავლენას ერთი მხრივ საზოგადოებაზე („ხალხს აფხიზლებს. საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს“), ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფოზე („უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვის რეჟიმის დემოკრატიულობას და წარმოადგენს ამგვარი რეჟიმის საფუძველს“).

თავი V. თვითმმართველობის ცნება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიასა და საქართველოს კანონმდებლობაში. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პრინციპული ხარვეზები

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, რომელიც მიღებული იქნა 1985 წ. წარმოადგენს არა მხოლოდ ყველაზე უფრო ფუძემდებლურ სამართლებრივ დოკუმენტს, არამედ იგი ასახავს იმ პერიოდის ყველაზე ცნობილი და გამოჩენილი ევროპელი მეცნიერების მიერ ურთიერთშეჯერებულ და შეთანხმებულ მიდგომებს თვითმმართველობის კონცეფციის თაობაზე. ამ მიმართებით, რა თქმა უნდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ცნებისა და არსის გარკვევისას უდიდესი და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობაც გააჩნია ქარტიის იმ მუხლს, რომლითაც განიმარტება ადგილობრივი თვითმმართველობა.

ქარტია შესრულებული იქნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთა ტექსტებს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ამ ფაქტს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ევროპული ქარტიის ოფიციალური თარგმანები პრინციპულად განსხვავდება ქარტიის აუტენტური ტექსტის იმ ნაწილთან, რომელიც ეხება თვითმმართველობის სუბიექტის განსაზღვრას. როგორც წინა თავებში გვქონდა მოცემული, თვითმმართველობის სუბიექტის დადგენა, ანუ ვინ არის თვითმმართველობის უფლების მატარებელი და განმახორციელებელი - საზოგადოება, სახელმწიფო თუ ორივე ერთად - არის ის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც განაპირობებს თვითმმართველობსი არსის და დანიშნულების სწორად გაგებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის ინგლისურ ტექსტში ასეთი სუბიექტია „local authorities“ (''Local self-government denotes the right and the ability of local authorities"), ქარტიის ფრანგულ ტექსტში თვითმმართველობის სუბიექტს წარმოადგენს „collectivités locales“ (''Par autonomie locale, on entend le droit et la capacité effective pour les collectivités locales de régler et de gérer"). ქართულ ოფიციალურ თარგმანში - „ადგილობრივი თვითმმართველობა

ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას“, ხოლო რუსულ ოფიციალურ თარგმანში - „Под местным самоуправлением понимается право и реальная способность органов местного самоуправления“. როგორც ვხედავთ, ქარტიის ოფიციალური თარგმანები ამ საკითხში უფრო გაურკვევლობას წარმოშობს ვიდრე სიცხადეს. ქარტიის ქართული, ოფიციალური თარგმანი თვითმმართველობის უფლების სუბიექტად მიიჩნევს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. დავა შეიძლება იმაზე, თვითმმართველობა არის თემის თუ სახელმწიფოს ან ორივეს ერთად უფლება, მაგრამ იგი არც ერთ შემთვევაში არ წარმოადგენს ორგანოს უფლებას. ასევე არა სწორია მითითება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე. ამგვარი მიდგომა ნიშნავს, რომ ხელისუფლება არის ერთიანი, რომელსაც გააჩნია ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. შესაბამისად გამოდის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არიან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ასევე აბსურდულია რუსული ოფიციალური თარგმანიც, რომელიც ერთი მხრივ, მართალია, თავს არიდებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ხსენებას, მაგრამ მეორე მხრივ ადგილი აქვს აშკარა ტავტოლოგიას, რომლის მიხედვით თვითმმართველობა არის თვითმმართველობის ორგანოთა უფლება. ამიტომ, ქარტიის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითმმართველობის კონცეფციის გააზრებისას უნდა დავეყრდნოთ მის აუტენტურ ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს. სამწუხაროდ, ამ ტექსტებშიც თვითმმართველობის სუბიექტის აღმნიშვნელი ტერმინებიც ურთიერთგანსხვავებულია.

ინგლისურ ტექსტში თვითმმართველობის სუბიექტია „local authority“, რომლიც უპირატესად ითარგმნება როგორც „ადგილობრივი ხელისუფლება“. ამდენად, ქარტიის ინგლისური ტექსტი მიუთითებს სუბიექტის ხელისუფლებით ანუ ვალდებულებით ხასიათზე. ცხადია, ეს არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილი, მაგრამ ის არის ხელისუფლების მატარებელი სუბიექტი. ინგლისური ტექსტისაგან განსხვავებით ფრანგულ ტექსტში თვითმმართველობის უფლების

სუბიექტია „collectivité locale“. ტერმინი „collectivité“ უპირატესად ითარგმნება როგორც ადამიანთა ერთობა, თემი, კოლექტივი. ამდენად, ფრანგულ ტექსტში უფრო მეტად ხაზგასმაა სუბიექტის, როგორც საზოგადოებრივ ინსტიტუტზე. ეს განსხვავება მით უფრო თვალსაჩინოა, რომ როგორც ინგლისურ ისე ფრანგულ ენაში არის ურთიერთშესატყვისი ტერმინები. ინგლისურ „local authority“-ს ფრანგულად შეესაბამება დაახლოებით იგივე ჟღერადობის „authority locale“, ხოლო ფრანგულ „collectivité locale“-ს - ინგლისური „local community“. ამდენად, ამ ტერმინთა განსხვავება არ შეიძლება დავაბრალოთ ენის სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობის სუბიექტის განსაზღვრაში ერთმნიშვნელოვანი, ცალსახა მიდგომა არც ევროპულ ქარტიაშია მოცემული. მაგრამ, ქარტიის როგორც ინგლისურ, ასევე ფრანგულ ტექსტებს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ამდენად, თავად ქვეყნის გადასაწყვეტია თუ რომელ მიდგომას აირჩევს და თავის სპეციფიკიდან გამომდინარე რომელ მიმართულებაზე გააკეთებს აქცენტს.

ქვეყნების უმეტესობა ამ პრობლემას კანონმდებლობით წყვეტს იმ სახით, რომ თვითმმართველობის სუბიექტად აცხადებს კანონით დადგენილ ტერიტორიულ ერთობას: მუნიციპალიტეტს, „გმინას“, „გრომადას“ და ა.შ. და ცალკე განმარტავენ ამ ტერიტორიულ ერთობას, რომელშიც იკვეთება შესაბამისი პოზიციები. მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ლიტვის კანონის (1994) მე-3 მუხლით თვითმმართველობა არის კანონით დადგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, თანასაზოგადოება, თემი რომელსაც გააჩნია კონსტიტუციის გარანტირებული თვითმმართველობის უფლება (Самоуправление – установленная законом государственная административно-территориальная единица, община которой обладает гарантированным Конституцией правом самоуправления).

უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის (1997) მე-2 მუხლით, თვითმმართველობა აღიარებულია ტერიტორიული „გრომადის“ უფლებად. ამავე მუხლის თანახმად, ტერიტორიული „გრომადა“ წარმოადგენს

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობის გაერთიანებას (территориальная громада — жители, объединенные постоянным проживанием в пределах административно-территориальным единицах).

სომხეთის კონსტიტუციის (1995) 104-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მუნიციპალიტეტის უფლება და შესაძლებლობა. ხოლო, კონსტიტუციის 104[1]-ე მუხლით მუნიციპალიტეტი განიმარტება, როგორც ერთ ან რამდენიმე დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობის ერთობა, თანასაზოგადოება (Муниципалитет – это общность населения одного или нескольких населенных пунктов).

დაახლოებით ერთგვაროვანია ამ საკითხისადმი რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის და ყაზახეთის კანონმდებლობათა მიდგომა. ამ კანონებით თვითმმართველობა განიხილება, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ორგანიზაციისა და საქმიანობის ფორმა.

როგორც ვხედავთ, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ძირითადი აქცენტი კეთდება თვითმმართველობის საზოგადოებრივ საწყისზე. მათგან განსხვავებული და ცალსახად დუალისტური მიდგომაა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ პოლონეთის კანონში (1999). კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით თვითმმართველობის სუბიექტად გამოცხადებულია „გმინა“. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით „გმინა“ განიმარტება როგორც ხელისუფლებისა და შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის ერთობლიობა (2. Всякий раз, когда настоящий закон ссылается на гмину, этот термин обозначает объединение местного органа власти и соответствующей территории).

საქართველოს ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით „ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა“. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მსგავსად, თვითმმართველობის სუბიექტად

განსაზღვრავს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეებს. კანონის ტექსტში სუბიექტის მიმართ მრავლობითი რიცხვი (მოქალაქეები) მართებულად მიუთითებს, რომ თვითმმართველობა არის არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური უფლება. თუმცა, უფრო მართებულია აქცენტი გაკეთდეს არა ზოგადად გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა რაოდენობაზე, არამედ საერთო ინტერესებით დაკავშირებულ თანასაზოგადოებაზე - „collectivités locales". ამასთან, თვითმმართველობის დუალისტური გაგებიდან გამომდინარე ყველაზე უფრო ოპტიმალურად მიმაჩნია თვითმმართველობის სუბიექტის განსაზღვრის პოლონეთის კანონით მოცემული მიდგომა, როცა თვითმმართველობის განმარტებისას ხაზგასმაა ხალისუფლებისა და ადგილობრივი თანასაზოგადოების ერთიანობაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიით განსაზღვრული კონცეფციის ტექსტის დანარჩენი ნაწილი, როგორც აუთენტური ისე თარგმანი თითქმის იდენტურია, თუმცა ამ შემთხვევაში უკვე არის პრინციპული სხვაობა ქარტიის კონცეფციასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის. პირველ რიგში ეს ეხება იმ საკითხთა დადგენას, რომელიც განეკუთვნება თვითმმართველობის უფლებამოსილებას. ქარტიის თანახმად თვითმმართველობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს „საზოგადო საქმეების მნიშვნელოვანი წილი". ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლით ეს სიტყვები ჩანაცვლებულია „ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებით". ევროპული ქარტიის კომენტარებში პირდაპირ არის მითითებული, რომ არ არის მართებული თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრისას გამოყენებული იქნეს ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ადგილობრივი საქმეები", „საკუთარი საქმეები", რადგან ეს ტერმინები ძალზედ ბუნდოვანია და რთულია მათი განმარტება. ცხადია, რომ არც ქარტიის ფორმულირება არ იძლევა მითითებას კონკრეტულ უფლებამოსილებაზე, მაგრამ მოცემულია პრინციპი, რომ ეს უნდა იყოს საზოგადო, საჯარო საქმეების „მნიშვნელოვანი წილი", რაც შემდგომ ივსება ქარტიის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის

სფეროს განსაზღვრის სუბსიდიარობის პრინციპით, რომლის თანახმად: „როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. მოვალეობების გადანაწილება სხვა ორგანოსათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ამოცანების მოცულობისა და ბუნების, ასევე ეკონომიკისა და ეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით“. ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ფართო და მრავალფეროვანი უფლებამოსილებების გადაცემა არის მნიშვნელოვანი როგორც ამ საკითხების ოპერატიულად და ოპტიმალურად გადასაწყვეტად, ასევე ამ საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებისთვის. ეს არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საერთო ინტერესების ჩამოსაყალიბებლად, რაც ქმნის ადგილობრივი თანასაზოგადოების საფუძველს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“ სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით“. ამდენად, საკითხის გამოსწორება და ევროპულ ქარტიასთან ამ მიმართებით საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი შესწორების შეტანასთან.

კიდევ უფრო მწვავეა პრობლემა, რომელიც ეხება უფლებამოსილების განხორციელების წესს. ევროპული ქარტიის თანახმად თვითმმართველობის მიერ უფლებამოსილების განხორციელება - „საზოგადო საქმეების მნიშვნელოვანი წილის მართვა და მოწესრიგება“ ხდება „კანონის ფარგლებში“. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად კი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა ხდება „საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე“. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პრინციპულ განსხვავებას. ევროპული ქარტია ამოდის რეგულირების ნეგატიული „ultra vires“ პრინციპიდან და მიუთითებს, რომ თვითმმართველობამ უნდა

იმოქმედოს „კანონის ფარგლებში“, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია რეგულირების პოზიტიური „intra vires“ პრინციპი და მითითებულია, რომ თვითმმართველობა უნდა ხორციელდებოდეს კანონმდებლობის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს პოზიცია კიდევ უფრო გამყარებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, „მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე“.

ამდენად, თვითმმართველობის არა მხოლოდ უფლებამოსილების ფარგლები, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ უფლებამოსილების განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით, ხოლო კანონით პირდაპირი მითითების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე აქტებისაგან. თვითმმართველობის ნორმატიული აქტი არ განეკუთვნება არც საქართველოს კანონქვემდებარე და მითუმეტეს, არც საქართველოს საკანონმდებლო აქტს. შესაბამისად, თვითმმართველობის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების წესი უნდა განისაზღვროს ან კანონით, ან საქართველოს კანონქვემდებარე აქტით (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს მთავრობის დადგენილება, მინისტრის ნორმატიული აქტი). ამდენად, თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, ვერ განსაზღვრავს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების წესს. ეს უკვე ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ევროპული ქარტიის პრინციპებს,

არამედ თავად თვითმმართველობის კოდექსაც, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების წესი დგინდება არა საქართველოს კანონმდებლობით, არამედ თვითმმართველობის ნორმატიული აქტით. მაგალითად, შინაური ცხოველების ყოლის წესის დადგენა, მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა და ა.შ. თავად „უფლებამოსილების განხორციელების წესს“, საქართველოს კანონმდებლობით ფართო გაგება გააჩნია. ეს წესი არ შემოიფარგლება მხოლოდ გადაწყვეტილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და აღსრულებაზე კონტროლის პროცედურების დადგენით, რაც განისაზღვრება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტის მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და კონტროლის წესები და რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. უფლებამოსილების განხორციელების წესი ბევრად უფრო ფართოა და მოიცავს უფლებამოსილების განხორციელების პრინციპებსა და კრიტერიუმებს, საქმიანობისა და მოქმედების ფორმებს, მიზანშეწონილობას, განხორციელების მექანიზმებს, საშუალებებს და ა.შ. ანუ, წესი მოიცავს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან თუ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს, რამაც შეიძლება საერთოდ გამოირიცხოს კიდეც მოქმედების თავისუფლება.

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს კონსტიტუციის 101[2]-ე მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსად განსაზღვრავს, რომ „მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს“. მაგრამ, არის თუ არა ეს დებულება საკმარისი საფუძველი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად? „ერთი მხრივ კანონი საუბრობს თვითმმართველობის ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობაზე, ხოლო მეორე მხრივ იმდენად დეტალურად გაწერს თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას და

უფლებამოსილებებს, თუ რა ევალებათ მათ და რა უნდა აკეთონ, რომ თავისუფლების 5% მაინც თუ რჩება, ესეც უკვე დიდ მიღწევად ითვლება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ხელისუფლების გაგრძელება და არა თვითმმართველობა“ (Солженицын, А. 1998. стр. 187). გარდა ამისა, ნორმის პოზიტიური ფორმა, რომ უფლებამოსილება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნიშნავს, რომ თუ რომელიმე უფლებამოსილების განხორციელებისათვის ასეთი წესი არ არის დადგენილი, იგი ვერ განხორციელდება. ეს უკვე ეწინააღმდეგება როგორც ევროპული ქარტიით, ასევე საქართველოს კონსტიტუციითა და თვითმმართველობის კოდექსით აღიარებულ თვითმმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვით თვითმმართველობა „უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“. ამ პრინციპიდან გამომდინარე, თვითმმართველობა უფლებამოსილია განახორციელოს როგორც კანონით დადგენილი, ასევე ყველა ის უფლებამოსილებაც, რომელიც არ არის კანონით დადგენილი, მაგრამ არ არის აკრძალული და არ შედის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში. მაგრამ, რეგულირების პოზიტიური „intra vires“ პრინციპიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ თვითმმართველობამ უფლებამოსილება განახორციელოს, კანონით ან კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით უნდა იქნეს დადგენილი ამ უფლებამოსილების განხორციელების წესი. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. კანონმა შეუძლებელია ასეთი სახის უფლებამოსილებები პოზიტიური ფორმით განსაზღვროს, რადგან ისინი წარმოადგენენ ე. წ. ნარჩენ უფლებამოსილებებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მიხედვით არა მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების, არამედ თვით დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების შემთხვევაშიც კი, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი, თვითმმართველობას უნდა ქონდეს

„თავისუფლება მოახდინონ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით“. მოქმედების თავისუფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია თვითმმართველობისთვის. ეს არის ის ძირითადი ფაქტორი, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოსახლეობის ინტერესების შესაბამის გადაწყვეტას და ქმნის თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის მონაწილეობის საფუძველს. თვითმმართველობა არის პროცესი, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინიციატივებს, შემოქმედებით მიდგომებსა და არაორდინალურ გადაწყვეტილებებს. ამ პროცესების დეტალური საკანონმდებლო რეგლამენტირება და კანონმდებლობის უფლებამოსილების განხორციელების წესად გამოცხადება თვითმმართველობას აქცევს მმართველობად, რაც რეალურად გამორიცხავს მოქმედების დამოუკიდებლობასაც და დამოუკიდებელ პასუხისმგებლობასაც. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია საბოლოოდ უარი ითქვას „intra vires“ პრინციპზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირებისა და საერთოდ საზოგადოების საბჭოური მემკვიდრეობით მიღებული ხედვების შესაცვლელად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ქარტიით დადგენილი კონცეფციასთან საქართველოს კანონმდებლობის კიდევ ერთი ხარვეზი უკავშირდება თვითმმართველობის მიზნის განსაზღვრას, თუ რისთვის ხორციელდება და რას უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობა. ქარტიის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება „ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“. სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, მანამდე არსებული ორგანული კანონებისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ცნების განმარტებიდან საერთოდ ამოღებულია სიტყვები „ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“.

თვითმმართველობის განხორციელება უშუალოდ არის დაკავშირებული მოქალაქეთა თვითორგანიზებულ ერთობის არსებობასთან, რომელიც მოწოდებულია ერთობლივად გადაწყვიტოს საერთო ინტერესების მქონე საკითხები. სწორედ ეს საერთო ინტერესები, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის თვითორგანიზებას და ადგილობრივი თანასაზოგადოების ჩამოყალიბებას, არის ის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რომელიც განასხვავებს ადგილობრივ თვითმმართველობას სახელმწიფო მმართველობისგან. სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის უფლებამოსილების განხორციელების განმსაზღვრელია სახელმწიფო და მისგან გამომდინარე უწყებრივი ინტერესები, მაშინ როცა თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებას განსაზღვრავს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მოსახლეობის ინტერესების, როგორც თვითმმართველობის საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი მიმართულების გარეშე რეალურად ვღებულობთ არა თვითმმართველობის, არამედ სახელმწიფო მმართველობის ადმინისტრაციულ ორგანოს. ასეთ შემთხვევაში, თვითმმართველობის კოდექსით მოცემული განმარტება, რომ თვითმმართველობა საქართველოს მოქალაქეთა უფლებაა, რჩება ცარიელ ფრაზად, რადგან გაურკვეველია რას ნიშნავს უფლება თუ ის არ ემსახურება მის ინტერესებს?

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის დუალისტური ფორმა: თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების ინსტიტუტი და თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, განაპირობებს მისი უფლებამოსილებების განსხვავებულ ხასიათსაც. ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება წარმოადგენს არა უფლებას, არამედ მის მოვალეობას. ხელისუფლების ორგანო ვალდებულია განახორციელოს კანონით მისთვის დაკისრებული უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილების განხორციელება არ არის დაკავშირებული ხელისუფლების ორგანოს ნებაზე სურს თუ არა მისი შესრულება. სრულიად განსხვავებულია ამ მხრივ საზოგადოებრივი ინსტიტუტის უფლებამოსილება, რომლის შესრულება თუ არ შესრულება მთლიანად

დამოკიდებულია ამ ინსტიტუტის წევრთა ნებაზე. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიით დადგენილია თვითმმართველობის უფლებამოსილების ორ წევროვანი დაყოფა - საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. დელეგირებული უფლებამოსილებები, რომელიც გადაცემულია სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობაზე შესაბამისი რესურსული უზრუნველყოფით, წარმოადგენს თვითმმართველობის ე.წ. სავალდებულო უფლებამოსილებას. ამ უფლებამოსილების განხორციელება არ არის დამოკიდებული თვითმმართველობის ნებაზე და იგი სავალდებულოდ უნდა განხორციელდეს. მაგალითად, საქართველოში ადგილობრივ თვითმმათველობაზე ერთ-ერთ დელეგირებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს წვევამდელთა და რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვა და მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა. თვითმმართველობა ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს და არ არის მის ნებაზე დამოკიდებულია გაიწვევს სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეებს თუ არა. რაც შეეხება საკუთარ უფლებამოსილებებს, საქართველოს კონსტიტუციით (101^2 მუხლის მე-2 პუნქტი) და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი), თვითმმართველობა ამ უფლებამოსილებებს ახორციელებს „დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით“. ტერმინი „დამოუკიდებლად“ აღნიშნავს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობას, თუმცა არ იძლევა პასუხს იმაზე ეს უფლებამოსილება სავალდებულოდ არის შესასრულებელი თუ ამ შემთხვევაშიც თვითმმართველობა „დამოუკიდებელია“ მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე განახორციელოს ეს უფლებამოსილება თუ არა. საკუთარი ინიციატივაზე, საქართველოს კონსტიტუცია (101^2 მუხლის მე-3 პუნქტი) და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი), მიუთითებს იმ უფლებამოსილებათა განხორციელებაზე, „რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“. საკითხი პრობლემატურია იმ თვალსაზრისით, რომ თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების ინსტიტუტი, გარკვეული დოზით უნდა ითვალისწინებდეს

ხელისუფლებისთვის დამახასიათებელ უფლებამოსილების სავალდებულო შესრულების ხასიათს და შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამის ზომის გატარებაც. ამ მიმართებით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი გამოყოფს მხოლოდ ერთ საკუთარ უფლებამოსილებას - ადგილობრივი ბიუჯეტის სავალდებულო მიღებას. კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, საკრებულოსა და გამგებელს/მერს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება და შემოღებული იქნება პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა თუ საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვეში არ დაამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ თვითმმართველობა უარს აცხადებს განახორციელოს ისეთი საკუთარი უფლებამოსილებები როგორიცაა მაგალითად, მოსახლეობის სასმელი წყლით მიწოდების უზრუნველყოფა, ნარჩენების გატანა, გზების შეკეთება და ა.შ.?

თვითმმართველობის, როგორც ხელისუფლების ინსტიტუტის როლი არ გამოიხატება მხოლოდ სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილებების ან თუნდაც ბიუჯეტის დამტკიცებაში. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც კანონი პირდაპირ უთითებს იმ უფლებამოსილებებზე, რომლებიც სავალდებულოა განსახორციელებლად. მაგალითად, შვედეთის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (1992) საკუთარი უფლებამოსილებებიდან სავალდებულოდ განსახორციელებლად გამოყოფს ისეთ უფლებამოსილებს, როგორიცაა განათლება, სკოლამდელი აღზრდა და ნარჩენების მართვა. პოლონეთის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის (1999) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ზოგადად განსაზღვრავს, რომ კანონით დგინდება ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც სავალდებულოა გმინისათვის. დაახლოებით ანალოგიური მიდგომაა სომხეთის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (2002), რომლის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები იყოფა სავალდებულო და ნებაყოფლობითად, ხოლო ამავე

მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სავალდებულო უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. ლიტვის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (1994), თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს ყოფს ორ ნაწილად: განსაკუთრებული უფლებამოსილებები, რომელთა შესრულებაზეც თვითმმართველობას არ აქვს უფლება უარი განაცხადოს ან გადასცეს სხვა ორგანოს და ჩვეულებრივი, საერთო უფლებამოსილებები, რომელსაც თვითმმართველობა ახორციელებს თავის ინიციატივით და შეუძლია ეს უფლებამოსილება გადასცეს სხვა ორგანოს.

საგულისხმოა, რომ ამგვარი დაყოფას ითვალისწინებდა 2002 წ. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომლის მე-6[1] მუხლის პირველი პუნქტი თვითმმართველობის უფლებამოსილებას ყოფდა სავალდებულო (ექსკლუზიური და დელეგირებული) და ნებაყოფლობით უფლებამოსილებად თუმცა, შემდგომ ასეთი სახით დაყოფაზე უარი ითქვა. მაგრამ, არსებული პრაქტიკა ადასტურებს საკუთარი უფლებამოსილებების ვალდებულებითი ხასიათის მიხედვით დაყოფის საჭიროებას. ამგვარი დაყოფა ერთი მხრივ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს უფლებამოსილებების ხასიათში, ხოლო მეორე მხრივ ასეთი დაყოფა სრულ შესაბამისობაში იქნება თვითმმართველობის ინსტიტუტის დუალისტურ გაგებასთან.

თავი VI. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები

ადგილობრივ თვითმმართველობას თეორიების, ცნებისა და თვითმმართველობის, როგორც საჯარო ინსტიტუტის დახასიათებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას უკავია განსაკუთრებული ადგილი როგორც სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, ისე საზოგადოების სფეროში. იგი არის ერთი მხრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოს დამაკავშირებელი რგოლი, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სახელმწიფო მართვის განვითარების მასტიმულირებელი ინსტრუმენტი. თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კანონით დადგენილ ფორმალიზებულ ინსტიტუტებს, არამედ ადგილობრივი საზოგადოების მიერ, ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების განხორციელების მიზნით, ფორმირებულ ინსტიტუტებს. სწორედ ეს უკანასკნელი არის თვითმმართველობის არსის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ნიშანი. თვითმმართველობის მიზანია არა მხოლოდ კანონით დადგენილი საკითხების გადაწყვეტა, არამედ გადასაწყვეტი საკითხების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და მათი გადაწყვეტა ადგილობრივი თანასაზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამ მიდგომიდან გამომდინარე შეიძლება განვსაზღვროთ ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თვითმმართველობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწყისებიდან გამომდინარე იყოფა ორ ჯგუფად: პრინციპების პირველი ჯგუფი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილს საჯარო ხელისუფლების სისტემაში, ხოლო პრინციპების მეორე ჯგუფი ეხება თვითმმართველობის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ფუნქციონირების საკითხებს.

პირველი ჯგუფის პრინციპებს განეკუთვნება:

ა) ურთიერთგანსხვავებული სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების არსებობა და მათი ჰარმონიზაციის აუცილებლობა;

ბ) სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნა და ამავე დროს იმის გათვალისწინებაც, რომ ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილების მკვეთრი გამიჯვნის არის შეუძლებელი;

გ) სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის დაფუძნება თანამშრომლობაზე, ამ ორგანოებს შორის სუბორდინაციისა და დაქვემდებარების გამორიცხვა;

დ) თვითმმართველობათა მიერ როგორც საჯარო ასევე კერძო სამართლებრივი ხასიათის ფუნქციათა შესრულება;

ე) თვითმმართველობაში სახელმწიფო (საჯარო-ხელისუფლებითი) და საზოგადოებრივი (თვითმმართველობითი) საწყისების თანაარსებობა;

ვ) კანონით თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვეტა;

ზ) თვითმმართველობის ფინანსური და მატერიალური რესურსების თანაბარზომიერება კანონით მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებებთან;

თ) სახელმწიფოს უფლებას მოახდინოს თვითმმართველობებზე ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება მხოლოდ ამ უფლებამოსილების განხორციელებისათის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების გადაცემით და როგორც წესი, თვითმმართველობებთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე;

ი) თვითმმართველობის უფლება სასამართლო წესით დაიცვას საკუთარი ინტერესები

მეორე ჯგუფის პრინციპებს განეკუთვნება:

ა) უფლებამოსილების განხორციელება საკუთარი ინიციატივითა და საკუთარი პასუხისმგებლობით ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;

ბ) თვითშემოქმედება, ინიციატივა და კანონის ფარგლებში მოქმედების თავისუფლება;

გ) წარმომადგენლობითი ორგანოს პირთა არჩევითობა და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშვალდებულობა წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის საჯაროობა;

ე) ლოკალურ ტერიტორიებზე თვითორგანიზებული სოციალურ ერთობათა არსებობა და მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მომზადების, მიღების, განხორციელებისა და კონტროლის პროცესში;

ვ) ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;

ზ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თვითმმართველობის უშუალო განხორციელების შესაძლებლობა.

ამ პრინციპების დაცვა, გათვალისწინება და თანმიმდევრული განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს თვითმმართველობის, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების დამაკავშირებელი ინსტიტუტის არსებობა.

ნაწილი II. ადგილობრივი თანასაზოგადოება, თვითორგანიზება და თვითორგანიზების ფორმები

თავი I. ადგილობრივი თანასაზოგადოება

- **ტერმინის შესახებ**

უმთავრესი საკითხი, რაც თემის კვლევის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენს, არის ადგილობრივი თანასაზოგადოება. ეს საკითხი საქართველოში, სამწუხაროდ, ნაკლებად არის შესწავლილი. სამართლის მეცნიერებაში შესატყვისი ტერმინიც კი არ მოგვეძევება. უფრო მეტიც, ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი (Бабичев, И.В. 2000. стр. 12, 76., Горожанин, В.А 1997, стр. 19) წინააღმდეგიც კი გამოდის ამ ტერმინის კანონმდებლობაში გამოყენებაზე. მაგალითად, ვ. გოროჟანინის (1997) აზრით, ადგილობრივ თანასაზოგადოებას არ გააჩნია რაიმე ღირებულება არც იურიდიული მეცნიერებისა და არც საკანონმდებლო პრაქტიკისათვის (стр. 19) თუმცა, მეცნიერ იურისტთა დიდი ნაწილი (Астафичев, П.А. 2007; Баженова, О.И. 2008, стр. 32, 35; Гриценко, Е.В. 2001. стр. 318; Курячая, М.М. 2007. стр. 33) არ იზიარებენ ამ მოსაზრებას და სრულიად მართებულად მიიჩნევენ, რომ სწორედ ადგილობრივი თანასაზოგადოებაა ის მთავარი სუბიექტი, რაზეც იგება და რასაც ეფუძნება თვითმმართველობის განხორციელება.

საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „თანასაზოგადოება“ გვხვდება რამოდენიმე ნორმატიულ აქტში და იქაც ეს ტერმინი გამოიყენება არა თვითორგანიზებადი სოციალური ჯგუფის, არამედ ეკოსისტემის განსაზღვრის მიზნით (მაგ. კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ „ეკოსისტემა – ცოცხალ ორგანიზმთა თანასაზოგადოება და ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან დასახლებულნი“ ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“: „ეკოსისტემა, თანასაზოგადოება, პოპულაცია, ინდივიდი“).

საქართველოს კანონმდებლობაში ასევე ფრაგმენტულად გვხვდება ტერმინი „ადგილობრივი საზოგადოება“. თუმცა, ამ ტერმინში უმთავრესად იგულისხმება გარკვეული დასახლების ან მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. ზოგიერთ შემთხვევაში კი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი. მაგრამ, არც ერთ ამ შემთხვევაში არ არის საუბარი საერთო ინტერესებით დაკავშირებულ თვითორგანიზებად ერთობაზე. შედარებით უფრო მეტი საკანონმდებლო საფუძველი გააჩნია და უფრო ხშირადაც გამოიყენება (გამოიყენებოდა) ტერმინი „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა“. ეს ტერმინი არის რუსულიდან სიტყვა-სიტყვითი თარგმანი (территориальное общественное самоуправление (ТОС), რომელიც თავის სათავეს იღებს საბჭოთა პერიოდიდან და აღნიშნავდა ტერიტორიული ნიშნით გაერთიანებულ მოქალაქეთა თვითორგანიზებულ ერთეულებს (საუბნო კომიტეტები, ქუჩის კომიტეტები, სახლმმართველობები და ა.შ.). ეს ტერმინი გვხვდება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წ. 29 იანვარს მიღებულ კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“. ამ კანონის მე-6 მუხლით საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობა განიმარტება როგორც მოსახლეობის თვითორგანიზების საზოგადოებრივი ფორმა (სოფლის კრებები, მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი კომპლექსების საზოგადოებრივი საბჭოები, საბინაო კომიტეტები და ა.შ.). სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ტერიტორიასთან დაკავშირებული თვითორგანიზებული სოციალური ერთობის აღმნიშვნელად არჩეული იქნა „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა“.

ტერმინი „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა“ 90-იანი წლების შემდგომ პერიოდის კანონებში აღარ გამოიყენებოდა, თუმცა 2013 წ. 1 მარტს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის N223 განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები“. ამ განკარგულებაში მცირეოდენი სახეცვლილებით, მაგრამ ხელახლა გაჩნდა ტერმინი „საზოგადოებრივი თვითმმართველობა“. მთავრობის განკარგულებაში

მითითებულია, რომ 2013 წ. „მიღებული იქნება კანონი, რომლის თანახმად საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები ჩაანაცვლებენ დღეს მოქმედი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ რწმუნებულებს“. განკარგულების ეს მოთხოვნა დღემდე შეუსრულებელია, თუმცა ისიც საკითხავია, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კანონის საფუძველზე საზოგადოებრივი თვითმმართველობის, ანუ ადგილობრივი თანასაზოგადოების შექმნა. ამგვარი მიდგომა თანასაზოგადოებას განიხილავს, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც კანონის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას და გაუქმდეს. მაგრამ, თანასაზოგადოება სოციალური ინსტიტუტია, რომლის არსებობაც უკავშირდება სოციალურ პროცესებს და არა სამართლებრივ ნორმებს. სამართლის ნორმა არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი სავალდებულო ქცევის წესი. სამართლის ნორმით ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება, მაგრამ არა საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნა. თავად ტერმინიც „საზოგადოებრივი თვითმმართველობა“ წინააღმდეგობრივია. ცხადია, საჭიროა „ადგილობრივი თანასაზოგადოების“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის“ ინსტიტუტების ერთმანეთისგან გამიჯვნა (მათ შორის ტერმინოლოგიურადაც), მაგრამ ამ სახით იგი ვერ გადაწყდება. „საზოგადოებრივი თვითმმართველობის“ ტერმინის შემოღება ნიშნავს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა“ არ არის „საზოგადოებრივი“ და იგი სახელმწიფო მმართველობის ნაწილია. ცხადია, არსებობს თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიები, რომლებიც თვითმმართველობას განიხილავენ სახელმწიფო მმართველობის გაგრძელებად, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ტერმინი „საზოგადოებრივი თვითმმართველობა“ ისეთივე წინააღმდეგობის შემცველია, როგორც „ცხელი ყინული“. ანგლოსაქსურ ქვეყნებსა და ამერიკაში ადგილობრივი თანასაზოგადოების, ტერიტორიული ერთობის შესატყვისია ტერმინი „კომუნიტი“ (community), გერმანიასა და ავსტრიაში - Gemeinschaft, საფრანგეთში - კომუნა, პოლონეთში - „სოლეცსტვო“ (Sołectwa), ლიტვაში - „სიანიუნაიტი“ („сянюнайти“). საქართველოში მას გარკვეულწილად შეესაბამებოდა ტერმინი - „თემი“. თუმცა, დღევანდელი კანონმდებლობით, თემი

განიმარტება არა როგორც მოსახლეობის ტერიტორიული თვითორგანიზებულობა, არამედ როგორც დასახლებათა ერთობლიობა. გარდა ამისა, ტრადიციული ქართული თემი იყო არა მხოლოდ თანასაზოგადოება, არამედ საერთო, სათემო ქონების მართვაზე დაფუძნებული ერთობა. ამიტომაც, დასახლებაში შეიძლება ყოფილიყვნენ როგორც თემის წევრები, რომლებიც სარგებლობდნენ სათემო ქონებით, ისე „ხიზნები“, რომელთაც არ გააჩნდათ უფლებები სათემო ქონებაზე, თუმცა მთლიანობაში ისინი (თემის წევრებიც და ხიზნებიც) ქმნიდნენ ერთ თანასაზოგადოებას. ამ მიმართებით, ტრადიციულ თემს უფრო შეესაბამება დღევანდელობაში დამკვიდრებული ტერმინი კონდომინიუმი (მესაკუთრეთა ამხანაგობა) და არა „თანასაზოგადოება“, როგორც ტერიტორიასთან დაკავშირებულ საერთო ინტერესებით გაერთიანებული მოსახლეობის თვითორგანიზებული ერთობა, რომელიც საკუთარი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე.

2015 წ. 22 ივლისს შეტანილი იქნა ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომელიც შეეხო თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხს. ამ ცვლილებით შემოღებული იქნა მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ინსტრუმენტი „დასახლების საერთო კრება“. კოდექსის 85[2]-ე მუხლით განისაზღვრა, რომ „დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიციირების პროცესებში ქმედით ჩართულობას“. როგორც კოდექსის ამ განმარტებიდან ჩანს, „დასახლების საერთო კრება“ არის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი კონკრეტული ფორმა და ამიტომაც, ეს ტერმინი „community“-ს აღსანიშნავად ვერ გამოდგება. „community“-ს

სინონიმად შეიძლება გამოყენებული იქნეს ტერმინები „ტერიტორიული ერთობა“ ან „ადგილობრივი თანასაზოგადოება“, თუმცა სრულყოფილად ვერც ეს ტერმინები ვერ გამოხატავენ ლოკალურ ტერიტორიასთან დაკავშირებულ თვითორგანიზებად სოციალურ ჯგუფს. „ტერიტორიული ერთობა“ ესეც რუსული „территориальная общность“-ის კალკია, ხოლო „თანასაზოგადოება“ უფრო ფართო ტერმინია, ვიდრე „კომუნიტი“. „თანასაზოგადოება“, როგორც ამას დენის პოპლინი (1979) მიუთითებს, სოციოლოგიაში გამოიყენება ძირითადად სამ შემთხვევაში: „პირველ შემთხვევაში „თანასაზოგადოება“ გამოიყენება რელიგიური, აკადემიური, პროფესიული, სამხედრო და სხვა ორგანიზაციების ან ჯგუფების წევრთა აღსანიშნავად. მეორე შემთხვევა მხედველობაში იღებს რა ურთიერთობების მორალურ-სულიერ მხარეებს, „თანასაზოგადოების“ ტერმინის გამოყენებისას აქცენტს აკეთებს შეგნებულ ღირებულებით ურთიერთობებსა და სხვა პირებთან ერთიანობის გრძნობებზე. მესამე შემთხვევაში „ტერმინი „თანასაზოგადოება“ გამოიყენება სოციალური და ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, ქალაქი) აღსანიშნავად“ (p. 1-5).

community-ს სინონიმად შეიძლება შემოტანილ და გამოყენებული იქნეს ტერმინი „ერობა“. ეს ტერმინი XIX საუკუნის შუახანებამდე სწორედ ლოკალურ ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალური ჯგუფის თვითორგანიზების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა: „როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დავა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი „პეიტრობით“ სახელდებულნი“ ... „აწინა ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვართ“ ... „აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის“ (ჭავჭავაძე, ი. 1861).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ტერმინი „ერობა“ გამოიყენებოდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს აღსანიშნავად. გასაბჭოების შემდგომ ეს ტერმინი შეიცვალა „საბჭოთი“, ხოლო 1991 წლიდან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს აღმნიშვნელად შემოტანილია და უკვე დამკვიდრებულია ტერმინი „საკრებულო“. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ტერმინი „ერობა“ პრაქტიკულად აღარ გამოიყენება, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ლექსიკოგრაფიაში (Georgian-English dictionary) community-ის შესატყვისად მიეთითება ტერმინები „თემი, ერობა“. ამიტომაც, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ტერიტორიის ინტერესებთან დაკავშირებული თვითორგანიზებადი სოციალური ჯგუფის, community-ს აღმნიშვნელად ასევე გამოყენებული იქნეს ტერმინი „ერობა“. „ამ ტერმინის შემოღებით ჯერ ერთი, გვექნება „ტერიტორიული ერთობის“, ტერიტორიასთან დაკავშირებული თანასაზოგადოების ზუსტი შესატყვისი ტერმინი და არ დაგვჭირდება უცხო ენებიდან კალკირება, ხოლო მეორე მხრივ ახალ სიცოცხლეს შეიძენს და პრაქტიკულ გამოყენებას პოვებს დღეისათვის დაუმსახურებლად მივიწყებული სიტყვა“ (სვანიშვილი, ა. 2016. გვ. 16).

ამიტომაც, თემაში ტერიტორიასთან დაკავშირებული მოსახლეობის თვითორგანიზებული ერთობის აღმნიშვნელად, ხშირ შემთხვევაში, უპირატესობა მივანიჭე ტერმინს „ერობას“. ამასთან, ამ ტერიმინთან ერთად, მის სინონიმად ასევე ვიყენებ ტერმინს „ტერიტორიული ერთობა“, „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა“ და „ადგილობრივი თანასაზოგადოება“. თუმცა, ყველა ეს ტერმინი გამოყენებული იქნება ფართო გაგებით და მასში მოვიაზრებ ტერიტორიასთან დაკავშირებული მოსახლეობის თვითორგანიზების ყველა ფორმას, როგორც ფორმალიზებულს, ასევე არაფორმალურ გაერთიანებებს.

- **თანასაზოგადოება, როგორც სოციალური ერთობის სახე**

ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს ადამიანთა გაერთიანების, ანუ სოციალური ერთობის ერთ-ერთ სახეს. ტერმინი „სოციალური ერთობა“, ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიაში და გულისხმობს „ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებას, რომელშიც იქმნება და თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში მაინც ნარჩუნდება სოციალური კავშირები“ (Щепаньский, Ян. 1969. стр. 116). სოციალური ერთობა მრავალფეროვანია ფორმისა და შინაარსის მიხედვით. ყველა სოციალური ერთობა შეიძლება დაიყოს მყარ (რომელიც მოქმედებს დროის ხანგძლივ

პერიოდში) და დროებით (რომელიც არსებობს დროის მოკლე მონაკვეთში) სახეებად. სოციალური ერთობის კლასიფიკაცია შეიძლება ნომინალურ (რომელიც ხელოვნურადაა გამოყოფილი) და რეალურ (რომელიც საზოგადოების სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენს) ტიპებად. სოციალური ერთობა შეიძლება დავყოთ დრო-სივრცით მასშტაბის მიხედვით (პლანეტარული ერთობა, სახელმწიფოებრივი ერთობა, დასახლების ერთობა) და ინტერესთა მიხედვით (პროფესიული, ეთიკური, რელიგიური).

სოციალური ერთობა ყალიბდება მაშინ, როცა სხვადასხვა ადამიანთა მიერ ხდება საერთო ინტერესების გაცნობიერება, ანუ როცა იქმნება ერთობის კონკრეტული გამოხატულებები: საერთო იდეები, საერთო ღირებულებები, საერთო ყოფითი პირობები, საერთო ინტერესები, ერთობლივი საქმიანობა და ა.შ.

სოციალური ერთობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ტერიტორიული ერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიასთან დაკავშირებული ადამიანთა თანასაზოგადოების აღმნიშვნელი ტერმინები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურაში, მათი განსაზღვრება არაერთგვაროვანია.

„თანასაზოგადოების“ მეცნიერული გააზრების ერთ-ერთი პირველი მცდელობა უკავშირდება არისტოტელეს სახელს, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებდა ტერიტორიულ სიახლოვესა და თანასაზოგადოების წევრთა უშუალო (პირისპირ) ურთიერთობაზე. ინგლისურ ენაში ტერმინი „community“ გადმოღებული იქნა ლათინურიდან XIV საუკუნეში. თავდაპირველად ამ ტერმინით განსაზღვრავდნენ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს. XVII საუკუნიდან ხდება ამ ტერმინის მნიშვნელობის გაფართოება და იგი აღნიშნავდა არა მხოლოდ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, არამედ საერთო ინტერესების მქონე პირებსაც. შემდგომ, თანდათანობით მოხდა „თანასაზოგადოების“ („community“) და „საზოგადოების“ („society“) ტერმინების მნიშვნელობის ურთიერთგამიჯვნა. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა XIX საუკუნეში, რაც უპირველესად გამოწვეული იყო ტექნოლოგიური ცვლილებებით.

XIX საუკუნის დასაწყისში ადამიანთა უმეტესობა ცხოვრობდა სოფლად და საკუთარი ხელით ქმნიდა მისთვის საჭირო ძირითად პროდუქტს. XIX საუკუნიდან იწყება გადასვლა ნატურალური მეურნეობიდან მანუფაქტურულ წარმოებაზე. ქარხნებისა და ფაბრიკების ფუნქციონირებამ განაპირობა მოსახლეობის სოფლებიდან თანდათანობით ქალაქებში მიგრაცია. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ეს ცვლილება, „საზოგადოებისა“ და „თანასაზოგადოების“ ცნებების გამიჯვნა და მათ შორის განსხვავებათა შესწავლას ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება მიაქცია გერმანელმა მეცნიერმა ფ. ტიონისმა (1998), რომელმაც ტერმინების დონეზეც გამიჯნა - gemeinschaftliche და gesellschaftliche. მათაგან, პირველი აღნიშნავდა სასოფლო თემების ცხოვრებასთან ასოცირებულ სოციალურ ერთობას, ხოლო მეორე - ქალაქებში მცხოვრებ სოციალურ ჯგუფს (стр. 207).

XIX საუკუნიდან ტერმინი „თანასაზოგადოება“ აღნიშნავდა ისეთ ერთობას, რომელიც მოწოდებული იყო „შეექმნა ადამიანებს შორის მჭიდრო, ახლო და ჰარმონიული კავშირები“ (Теннис, Ф. 1998. стр. 220). თუმცა, XX საუკუნემდე ამ ტერმინის სრულყოფილი შესწავლა არ მომხდარა. მხოლოდ 1915 წლიდან გაჩნდა „თანასაზოგადოების“ ზუსტი განმარტება. ეს განმარტება ეკუთვნოდა ამერიკელ მკვლევარს ჯ. გალპინს, რომელიც თანასაზოგადოებას განიხილავდა, როგორც „სავაჭრო სივრცეს, რომელიც არსებობს სასოფლო დასახლების გარშემო“ (Лялягина В. Н., Хубецова З. Ф. 2006. стр. 66.). აქედან იწყება ინტენსიური დისკუსიები ადგილობრივი თანასაზოგადოების არსის გარშემო.

მეცნიერთა ერთი ჯგუფის (David Jary & Julia Jary. 1991) მიერ ადგილობრივი თანასაზოგადოება განისაზღვრება როგორც „ნებისმიერი სოციალური ურთიერთობა, რომელიც ძირითადად ხორციელდება დასახლების ან გარკვეული ტერიტორიის საზღვრებს შიგნით“. მეცნიერთა სხვა ჯგუფის (Jonston, R.J., Gregory, Derek & Smith, David M. 1994) მიერ იგი განისაზღვრება როგორც „ურთიერთდაკავშირებულ ინდივიდთა სოციალური ქსელი, რომელიც კონცენტრირებულია განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში“. „ყველაზე მცირე ადამიანთა ტერიტორიული ჯგუფი, რომელსაც შეუძლია მოიცვას ადამიანთა

ცხოვრების ყველა ასპექტი ... ეს არის ლოკალური ჯგუფი, ამასთან საკმარისად ფართო იმისათვის რომ მოიცვას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ძირითადი ინსტიტუტები და ინტერესები. ეს არის ყველაზე მცირე ჯგუფი, რომელიც განასახიერებს ზოგადად საზოგადოებას“ (Грунт, З.А. 1982. стр. 91).

ცნობილი მეცნიერი იან შეპანსკი თავის ნაშრომში „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები“ (1969) ტერიტორიულ ერთობას გამოყოფს სოციალური ერთობის ერთ-ერთ სახედ და მას განმარტავს, როგორც „ადამიანთა ჯგუფის ერთობა, სადაც დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც იქმნება და ნარჩუნდება გარკვეული სოციალური კავშირები“ (стр. 116). სოციალურ ერთობას შეპანსკი უმეტეს შემთხვევაში განიხილავს, როგორც ტერიტორიულ ერთობას, რომლის შიგნითაც ერთობის წევრებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ მათი ძირითადი მოთხოვნები. ტერიტორიულ ერთობას, ის განიხილავს როგორც ადამიანთა ჯგუფს, „რომელთა წევრებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან მათ საცხოვრებელ საერთო ტერიტორიიდან გამომდინარე საერთო ინტერესებით“ (стр. 116). დ. პოპლინის (1979) აზრით ტერიტორიულ ერთობად, ითვლება „ადგილი სადაც ადამიანებს გააჩნიათ საცხოვრებელი, სამუშაო ადგილი, ზრდიან შვილებს და ატარებენ თავის ცხოვრების უმეტეს დროს“ (p. 8). კ. ანტიპევის (2013) განმარტებით, „ტერიტორიული ერთობა წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და სხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად“ (стр. 11).

1955 წ. ჯ. გილერმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც სპეციალურად ეძღვნებოდა „community“ განსაზღვრებას. ამ ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორთა მიერ „community“-ს 94 განსხვავებული განმარტება. ჯ. გილერმა მოახდინა ამ განმარტებათა კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზეც გამოყო „community“-ს ის სამი მთავარი ელემენტი, რომელიც გვხვდებოდა განმარტებათა უმრავლესობაში:

1) ტერიტორიული ერთობა;

2) სოციალური ურთიერთქმედება;

3) საერთო კავშირები.

ანალიზის საფუძველზე ჯ. გილერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „community“ წარმოადგენს ადამიანთა ერთობას, რომლებიც ურთიერთ დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში და გააჩნიათ ერთი ან რამოდენიმე საერთო კავშირი“. მოგვიანებით ა. სეტონმა და თ. მენსონმა მოახდინეს „community“-ს 125 სხვადასხვა განმარტების ანალიზი, თუმცა მიღებული დასკვნა იყო ჯ. გილერის კვლევის ანალოგიური. კვლავინდებურად გამოიყო სამი ძირითადი ცვლადი: ტერიტორია, სოციალური ურთიერთობა და ფსიქოკულტურული ნიშანი (საერთო კავშირები, საერთო ქმედება).

ადგილობრივი თანასაზოგადოების ცნების განსაზღვრისას თითოეული ეს ნიშანი უნდა იქნეს დეტალურად განხილული, თუმცა, მანამდე, ადგილობრივი თანასაზოგადოების პრობლემატიკის კომპლექსური განხილვის მიზნით საჭიროა იმ თეორიული მიდგომების ზოგადი განხილვა, რომლებიც ასახავენ ადგილობრივი თანასაზოგადოების მიმართებას სხვადასხვა სფეროებთან.

- **ადგილობრივი თანასაზოგადოების კვლევის თეორიული მიდგომები**

ადგილობრივი თანასაზოგადოების შექმნისა და განვითარების საკითხები წარმოადგენს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების შესწავლის საგანს. ეს განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივი თანასაზოგადოება უშუალოდ არის დაკავშირებული როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ თუ სამართლებრივ პროცესებთან. შესაბამისად, ადგილობრივი თანასაზოგადოების პრობლემატიკის კომპლექსური განხილვის მიზნით საჭიროა თითოეული ამ მიდგომის განხილვა.

ადგილობრივი თანასაზოგადოების პრობლემატიკის **ეკონომიკური მიდგომა** გულისხმობს ადგილობრივი თანასაზოგადოების განკარგვის ქვეშ არსებული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების, შინამეურნეობის, მოსახლეობის პროფესიული შემადგენლობის, სამუშაო ადგილების სტრუქტურის, შემოსავლის

წყაროების, შემოსავლებისა და რესურსების (ბუნებრივი, ფინანსური, ადამიანური და სხვ.) გადანაწილების შესწავლას.

ამ მიდგომაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ადგილობრივ მეურნეობას, რომელიც განისაზღვრება, როგორც საერთო სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესების საფუძველზე შინამეურნეობისა და სხვადასხვა ტიპის სამეწარმეო სუბიექტების ურთიერთდაკავშირებული საქმიანობით ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიანი ეკონომიკური, კულტურული და საინფორმაციო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ თანასაზოგადოების წევრთა დასაქმებას, შემოსავლების მიღებას და შესაბამისი დონით ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ადგილობრივი თანასაზოგადოება არა მხოლოდ დაინტერესებულია ადგილობრივი მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირებით, არამედ თავადაც მიმართავს გარკვეულ მოქმედებებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად. ეკონომიკური მიდგომით ადგილობრივი საზოგადოება განიხილება ეკონომიკურ პროცესებში მათი მონაწილეობისა და ჩართულობის შესაბამისად.

ამ მხრივ გამოიყოფა ორი ტიპის თანასაზოგადოება: <u>მონოდასახლება</u>, როცა ადგილობრივი თანასაზოგადოების მნიშვნელოვანი წილი ან უმრავლესობა დასაქმებული და დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ საწარმოსთან, რომელიც არის ერთადერთი დამსაქმებელიც და შემოსავლის მიმცემი და <u>დივერსიფიცირებული დასახლება</u>, როცა თანასაზოგადოების წევრები დაკავშირებულნი არიან როგორც სხვადასხვა დარგის ეკონომიკურ სუბიექტებთან, ასევე ჩართულნი არიან საშუალო და მცირე ბიზნესში.

მონოდასახლების თანასაზოგადოების ეკონომიკური ინტერესები ერთგვაროვანია და მთლიანად დაკავშირებულია ამ ერთადერთი საწარმოს გამართულ მუშაობაზე. მისგან განსხვავებით, დივერსიფიცირებულ თანასაზოგადოებას გააჩნია უფრო მრავალფეროვანი ეკონომიკური ინტერესები და მეტი შესაძლებლობები მოახდინონ ამ ინტერესების დაცვა და რეალიზება. ამიტომაც, „ადგილობრივი თანასაზოგადოება დივერსიფიცირებულ ეკონომიკის

პირობებში უფრო მრავალფეროვანი და მოქნილია, ვიდრე მონო დასახლებაში, რომელიც მხოლოდ ერთ სფეროს საქმიანობას ეწევა“ (Антипьев, К.А. стр. 32).

ეთნოგრაფიული მიდგომით ადგილობრივი თანასაზოგადოება შეისწავლება მათი საერთო დამახასიათებელი ცხოვრების წესის, ტრადიციების, ადათებისა და სპეციფიურ კულტურულ ღირებულებათა ერთობლიობაში, რომელიც აყალიბებს თანასაზოგადოების ეთნოსახეს. ამ მიმართებით ტერიტორიას, მის მდებარეობას, კლიმატს, ლანდშაფტს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან სწორედ იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თანასაზოგადოების ხასიათს და კულტურას. ნებისმიერ ადგილობრივ თანასაზოგადოებას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები. სოფლებისთვის, უმეტესწილად დამახასიათებელია მონოეთნიკურობა და სოფლის თანასაზოგადოების წევრები, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან ნათესაური კავშირებითაც არიან დაკავშირებულნი. განსხვავებით ქალაქები, განსაკუთრებით მსხვილი ქალაქები, როგორც წესი პოლიეთნიკურია. ურბანიზაციის პროცესმა და მობილურობის ზრდამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მიგრაციულ პროცესებს, რომელიც სცდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს. მართალია, როგორც ამას ევროპის ქვეყნების მაგალითები ადასტურებს, ეთნიკური მიგრანტები ძირითადად არ ერთვებიან ადგილობრივ თანასაზოგადოებაში, ცდილობენ იცხოვრონ განცალკევებით და ჩამოაყალიბონ თავიანთი სათვისტომოები, მაგრამ, როგორც ამას რ. კოჰენი (1996) პროგნოზირებს, „მომავალში სწორედ ეთნიკური დიასპორები ეროვნულ სახელმწიფოებთან ერთად გახდებიან საზოგადოების ორგანიზების საკვანძო ფორმები“ (P. 507-520). სწორედ ამიტომ, დღევანდელობის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი თანასაზოგადოებისა და მზარდი ეთნიკური დიასპორების ურთიერთობის საკითხი და შესაბამისად აქტუალობას იძენს ადგილობრივი თანასაზოგადოების შესწავლის ეთნოგრაფიული მიდგომაც.

ეკოლოგიური მიდგომა უკავშირდება ადგილობრივი თანასაზოგადოების შესწავლას ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის კონტექსტში. ამ მიმართებით ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება არა როგორც სოციალური ერთობის

ერთ-ერთი სახე, არამედ როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიულ სივრცეში არსებული ერთობა. ამიტომ, ძირითად პრობლემატიკას წარმოადგენს სივრცითი განსახლება, ბუნებრივი პროცესების ზემოქმედება, ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულება ინფრასტრუქტურასა და გარემოსთან. ქალაქის ადგილობრივი თანასაზოგადოება ბევრად უფრო მეტად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურაზე, ვიდრე სოფელში მცხოვრებნი. პრობლემები საგზაო მოძრაობაში, ელექტრო ენერგიის ან გაზის მიწოდებაში იწვევს ლოკალურ კრიზისს ქალაქის მოსახლეობის ცხოვრებაში. შესაბამისად, როცა დგება ალტერნატივა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას შორის, როგორც წესი, ქალაქის საზოგადოების მიერ უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება. ეკონომიკური მდგომარეობაც უშუალოდ ზემოქმედებს თანასაზოგადოების ინტერესთა ფორმირებაზე ეკოლოგიური მდგომარეობის მიმართ. ეკონომიკური სიდუხჭირე განაპირობებს საზოგადოებაში მატერიალური სარგებლის მიღების დომინანტობას ეკოლოგიურ პრობლემებზე. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მონო ეკონომიკური ტიპის დასახლებებში, სადაც ადგილობრივი თანასაზოგადოების უმთავრეს შემოსავლის მიღებისა და დასაქმების წყაროს ერთადერთი, თუნდაც ეკოლოგიურად საშიში საწარმო წარმოადგენს. ეკონომიკური სიდუხჭირე აიძულებს თანასაზოგადოებას დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში მწვავე რეაქციაც გამოხატოს მოთხოვნაზე ასეთი საწარმოს დახურვის ან გადაიარაღების შესახებ, რადგან ამ საწარმოს მიერ ეკოლოგიურ პრობლემის გადასაწყვეტად გაღებული ნებისმიერი ხარჯი პირდაპირ აისახება საწარმოზე დამოკიდებულ მოსახლეობის ფინანსურ შემოსავლებზე.

პოლიტოლოგიური მიდგომით ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ ერთობად. შესაბამისად ადგილობრივი თანასაზოგადოების ანალიზი ხდება მისი პოლიტიკური აქტიობის, ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების უნარის, ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობის კუთხით.

ადგილობრივი თანასაზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ორი ფორმა გააჩნია: უშუალო (არჩევნები და რეფერენდუმი) და წარმომადგენელთა მეშვეობით. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის ორივე ფორმას. თუმცა ერთია ფორმალურ-იურიდიული შესაძლებლობები და მეორე რეალობა. ამ მიდგომებიდან შეგვიძლია გამოვკვეთოთ ადგილობრივი თანასაზოგადოების ორი მოდელი: სახელმწიფო-ცენტრისტული და სოციო-ცენტრისტული.

სახელმწიფო-ცენტრისტული მოდელის შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზება ხდება არა შიგნიდან თვითორგანიზების საფუძველზე, არამედ გარე ძალის (ხელისუფლების ორგანოები, ძალოვანი სტრუქტურები და ა.შ.) ზემოქმედებით. იდეები, მოქმედების მიმართულებები, ინიციატივები გენერირდება არა მოსახლეობის მიერ არამედ გარედან, მმართველობითი აპარატის მიერ და მის მიერვე ხდება შესრულებული სამუშაოს შეფასებაც. „ქვემოდან“ ინიციატივები შეიძლება გაზიარებული იქნეს თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან „ზემოდან“ ინიციატივებს. ამ მოდელში ადგილი აქვს მართვის ტრადიციულ მიდგომას, როცა მოსახლეობა წარმოადგენს მართვის ობიექტს, რომელიც საჭიროებს „ზემოდან“ ორგანიზებას, კონტროლს და მანიპულირებას.

მეორე, სოციო-ცენტრისტული მოდელი დამახასიათებელია მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის მქონე სახელმწიფოებისათვის, სადაც მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული საკუთარი პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მოდელში იდეებისა და მოქმედებათა მიმართულებების განმსაზღვრელი, ისევე როგორც ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანობის შემფასებელი არის უშუალოდ ადგილობრივი თანასაზოგადოება. ადგილობრივი ხელისუფლება კი გამოდის როგორც საერთო ინტერესების გამოხატვის მექანიზმი და თავად წარმოადგენს თანასაზოგადოების რესურსს.

სამართლებრივი მიდგომით ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება როგორც წევრობაზე დაფუძნებული ტერიტორიული კორპორაცია. ასეთი კორპორაცია უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ

პირს (თუმცა არ არის გამორიცხული კორპორაციის კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ჩამოყალიბებაც).

საქართველოს კანონმდებლობით ამ საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა. მართალია, კანონმდებლობაში არ გამოიყენება ტერმინი „ადგილობრივი თანასაზოგადოება“, თუმცა გვხვდება მითითება ისეთ სუბიექტთა წრეზე, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ თანასაზოგადოებას. ეს არის ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობა და სოფლის კრება. საქართველოს კანონით „ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საერთო ინტერესების (ამ შემთხვევაში საერთო ქონების) საფუძველზე შექმნილი ბინისმესაკუთრეთა თანასაზოგადოება არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში 2015 წ. ივლისში შეტანილი ცვლილებით იურიდიულ პირად არ მიიჩნევა არც სოფლის მოსახლეობის საერთო კრება.

ფსიქოლოგიური მიდგომით ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება სოციალური აქტიობისა და მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირის კუთხით. ადამიანის საქმიანობის ფსიქოლოგია არის დიალექტიკური ურთიერთკავშირის შედეგი, რაც განპირობებულია ერთი მხრივ არსებული რეალობის ობიექტური ზემოქმედებით, ხოლო მეორე მხრივ ინდივიდის მიერ მისი სუბიექტური აღქმით. ამა თუ იმ სოციალური ერთობის წევრები ფიქრობენ, განიცდიან და მოქმედებენ გამომდინარე იმ გარემოს მოთხოვნებიდან, სადაც მათ უწევთ ცხოვრება და რომელმაც განაპირობა მათი შემეცნების ჩამოყალიბება. ამასთან, ფსიქოლოგიური მიდგომა უმთავრესად გამოიყენება ეთნიკური ერთობის და ნაკლებად ტერიტორიული ერთობის მიმართ.

მეცნიერული მენეჯმენტის მიდგომით ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება ან როგორც მუნიციპალიტეტში საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად ან მუნიციპალური მენეჯმენტის ფარგლებში, როგორც ობიექტი, რომელზეც მიმართულია ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობითი საქმიანობა.

ადგილობრივი თანასაზოგადოების შესწავლის **სოციოლოგიურ მიდგომაში** სოციოლოგები ერთობას, თანასაზოგადოებას განიხილავენ როგორც რთულ სოციალურ სისტემას, რომლის ფარგლებში შეისწავლება სოციალური ჯგუფისთვის ტიპიური სოციალური ურთიერთობები, როგორც თანასაზოგადოების შიგნით, ასევე გარე ურთიერთობების კუთხით. ერთ-ერთი პირველი სოციოლოგი, რომელიც დაინტერესდა ადგილობრივი თანასაზოგადოების საკითხით იყო ფ. ტიონისი, რომელმაც თავის ნაშრომში „თანასაზოგადოება და საზოგადოება“ ჩამოაყალიბა ამ ორი სოციალური ერთობის განმასხვავებელი საბაზო კრიტერიუმები. მისი ძირითადი იდეა მდგომარეობდა თანასაზოგადოებითი ურთიერთობების (gemeinschaftliche) შეპირისპირება საზოგადოებრივ ურთიერთობებთან (gesellschaftliche). ტიონისის მოსაზრებით პირველი სახის ურთიერთობები ეფუძნება ემოციებს, გრძნობებს და მისი შენარჩუნება ხდება როგორც შეგნებულად, ტრადიციების დაცვით, ასევე არაცნობიერად. თანასაზოგადოებაში სოციალური ერთიანობა წინ უსწრებს და პირველადია, ვიდრე მისი ნაწილები. საზოგადოებაში პირიქით სოციალური ერთიანობა იქმნება მისი ნაწილებისაგან. ამდენად, ტიონისის აზრით, განსხვავება თანასაზოგადოებასა და საზოგადოებას შორის არის განსხვავება მთლიანის ნაწილების ორგანულ და მექანიკურ დაკავშირებაში. თანასაზოგადოების შესწავლის სოციოლოგიურ მიდგომაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება: სტრატიფიკაციური, სისტემური, ინსტიტუციური და რესურსული.

<u>სტრატიფიკაციური მიდგომით</u> ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება სტრატიფიცირებულ, შინაგანად არაერთგვაროვან სისტემად. პ. სოროკინის (1992) აზრით, „სოციალური სტრატიფიკაცია ეს არის ადამიანთა ერთობის გარკვეული დიფერენციაცია კლასებად და იერარქიულ რანგებად. სოციალური სტრატიფიკაცია თავის გამოხატულებას ჰპოვებს ერთობის მაღალ და დაბალ ფენებად დაყოფაში, რომლის საფუძველია წევრებს შორის უფლებებისა და პრივილეგიების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, სოციალური ღირებულებების, ძალაუფლების, გავლენის არათანაბარი განაწილება“ (стр. 302).

ინდუსტრიამდელ, ტრადიციულ საზოგადოებაში ადგილობრივი თანასაზოგადოება ხასიათდებოდა ერთგვაროვნებით, აბსოლუტური ურთიერთდამოკიდებულებით, მაღალი სოციალური კონტროლის არსებობით, გეოგრაფიული არეალის შეზღუდულ ფარგლებით და დომინირებული პირადი კავშირებით. ინდუსტრიალიზაციის ეპოქამ, ტექნოლოგიების განვითარებამ და ურბანიზაციამ მნიშვნელოვნად შესცვალა ადგილობრივი თანასაზოგადოების ტრადიციული ჩაკეტილობა და შიდა სოციალური კავშირები. კიდევ უფრო დიდი ცვლილებები მიმდინარეობს პოსტინდუსტრიულ და საინფორმაციო საზოგადოებაში. ადამიანის საცხოვრებელმა ადგილისა და ინტერესთა წრე უკვე აღარ ემთხვევა ერთმანეთს. ინფორმაციული, კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ, საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლამ ერთი მხრივ შექმნა შესაძლებლობა დამყარდეს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მჭიდრო კავშირები პირადად უცნობ პირებს შორის მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. მეორე მხრივ, ადგილობრივ თანასაზოგადოების შიგნით შემცირდა თანასაზოგადოების სხვადასხვა სტრატებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრობენ ერთი და იმავე ტერიტორიაზე, მათ შეიძლება გააჩნდეთ სხვადასხვა მოთხოვნილებები და ღირებულებითი ორიენტირები. ამიტომ, ასეთ ერთობას ძნელია უკვე ეწოდოს თანასაზოგადოება, მათი თვითიდენტიფიკაციაც ტერიტორიის მიმართ ატარებს პირობით ხასიათს. ამ მიმართებით სტრატიფიკაციურ მიდგომას გააჩნია დიდი მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში ადგილობრივი თანასაზოგადოების შესასწავლად. თანასაზოგადოების სტრატიფიკაცია განსაკუთრებით კარგად ჩანს ქალაქების (განსაკუთრებით დიდი ქალაქების) მაგალითზე. ქალაქის მცხოვრებნი რეალურად წარმოადგენენ სხვადასხვა თანასაზოგადოებას ერთი დასახლების შიგნით. მატერიალური შესაძლებლობების ზრდა ახდენს მოქალაქეთა განცალკევებას სხვა პირებისაგან არა მხოლოდ ეკონომიკური და კულტურული, არამედ ტერიტორიული თვალსაზრისითაც (მაგ. ქალაქების გარეუბნებში კოტეჯური ტიპის მილიონერთა უბნების შექმნა). ამგვარი სტრატიფიცირება

პირობითს ხდის ტერმინს „ქალაქის თანასაზოგადოება“. რეალურად თანასაზოგადოებაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ სტრატების შიგნით.

<u>სისტემური მიდგომით</u> ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება როგორც ელემენტებისა და ქვესისტემებისგან ურთიერთდაკავშირებული რთული სისტემა. რაც უფრო მდგრადია კავშირები მით უფრო ორგანიზებულია ამგვარ კავშირებით შექმნილი სისტემა. სისტემურ მიდგომას ხშირად უწოდებენ უნივერსალურ მეთოდს, რომელიც გამოიყენება ყველა პროცესებისა და მოვლენების მიმართ. როგორც ცნობილია, მეთოდოლოგიაში „სისტემურ მიდგომად მიიჩნევა მეთოდთა ის ნაკრები, რომელთა დახმარებით ობიექტი განისაზღვრება როგორც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობა. ობიექტის კვლევის საწყის წერტილს წარმოადენს იმის აღიარება, რომ სისტემა არის არა ცალკეული ელემენტების მექანიკური ერთობლიობა, არამედ ამ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი“ (Садовский, В.Н., Юдина, Э.Г. 1969. стр. 88). ადგილობრივი თანასაზოგადოება შედგება სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობებით გაერთიანებული სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდებისაგან. ამას განაპირობებს ის, რომ თანასაზოგადოების წევრები ინტეგრირებულნი არიან ადგილობრივ ეკონომიკაში, სარგებლობენ საერთო ინფრასტრუქტურით, გააჩნიათ (თუნდაც ფრაგმენტული) წარმოდგენა ტერიტორიის ისტორიული წარსულის შესახებ, ირჩევენ ადგილობრივ ხელისუფლებას და ა.შ. სისტემური მიდგომით ქალაქის თანასაზოგადოება განიხილება როგორც ზერთული ორგანიზების სისტემა, რომელიც მთლიანობაში უფრო მეტია, ვიდრე მცხოვრებთა უბრალო ჯამი. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სისტემის ყველა ქვესისტემას გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და გარკვეული დამოუკიდებლობა. ერთი მხრივ ადგილობრივი თანასაზოგადოება ახდენს ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირებას, მაგრამ მეორე მხრივ თავად ადგილობრივი ხელისუფლება რეგულირებას უწევს ადგილობრივი თანასაზოგადოების საქმიანობას. ადგილობრივ თანასაზოგადო-ებაზე უშუალო გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები (და არა მხოლოდ

სოციალური). მაგალითად, მიგრაცია ხშირ შემთხვევაში იწვევს ადგილობრივ თანასაზოგადოებიდან დიდი პოტენციალის მქონე პირების, ლიდერების გამორიცხვას, რომლებიც ტოვებენ ამ თანასაზოგადოებას სხვა ადგილზე თავის პოტენციალის უკეთ გამოყენების სურვილით. ასეთი მიგრაცია ამორფულს ხდის ადგილობრივ თანასაზოგადოებას და აცლის მას იმ ძალებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო ადგილობრივი თანასაზოგადოების განვითარებისათვის. ადგილობრივი თანასაზოგადოების შესწავლის სისტემური მიდგომის უპირატესობაა, რომ მის მეშვეობით შესაძლებელია მოვახდინოთ სოციალური პროექტირება, მაგალითად, ადგილობრივი თანასაზოგადოების აქტივაცია. რადგან, თუ თანასაზოგადოებას განვიხილავთ როგორც სისტემას, ცხადი ხდება, რომ მისი განვითარების პოტენციალი თავად მასშია.

<u>ინსტიტუციური მიდგომა</u> ადგილობრივ თანასაზოგადოებას განიხილავს როგორც სოციალურ ინსტიტუტს, ანუ „სტატუსებისა და როლების ჯგუფი, რომელიც გათვალისწინებულია გარკვეული სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“ (Смелзер, Н. 1994. стр. 131-132). ადგილობრივი თანასაზოგადოების შიგნით ხდება ხშირად განმეორებადი სოციალური ურთიერთობებისა და პრაქტიკის შერჩევის უზრუნველყოფა. თანასაზოგადოების წარმომადგენლები ურთიერთდაკავშირებულნი არიან საცხოვრებელ გარემოსთან საერთო ინტერესებით, გააჩნიათ საკუთარი ნორმები, სოციალური ღირებულებები და ქცევის წესები. ადგილობრივი თანასაზოგადოებას, რომელიც არსებობს დროის ხანგძლივ მანძილზე გააჩნია მოწესრიგებული სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, შეუძლია ორგანიზებისა და თვითორგანიზების საფუძველზე დაიცვას ინსტიტუციური საზღვრები.

<u>რესურსული მიდგომით</u> ადგილობრივი თანასაზოგადოება განიხილება როგორც ლოკალური ტერიტორიის განვითარების ან ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების რესურსი. რესურსული მიდგომა არაერთგვაროვანია, გამომდინარე იქედან, რომ თავად რესურსი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გამოყენებული. საბჭოთა პერიოდში ტერიტორიის მოსახლეობა

განიხილებოდა როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების რესურსი. ანუ, რესურსი რომელიც საჭიროა კონკრეტული სამეურნეო ობიექტის (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ქარხნები, ფაბრიკები) ფუნქციონირებისათის და სრულიად უგულებელყოფილი იყო თანასაზოგადოების თვითორგანიზებისა და გენერირების შესაძლებლობები.

- **ადგილობრივი თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნები**

ადგილობრივი თანასაზოგადოების სხვადასხვა თეორიული მიდგომების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავუბრუნდეთ ადგილობრივი თანასაზოგადოების ცნების განმარტებას. მიუხედავად ცნების განმარტების მრავალფეროვნებისა, ძირითადად იკვეთება ადგილობრივი თანასაზოგადოების სამი მთავარი ნიშანი:

1) ტერიტორიული ერთობა;

2) სოციალური ურთიერთქმედება;

3) საერთო კავშირები.

<u>1)ადგილობრივი თანასაზოგადოება, როგორც ტერიტორიული ერთობა</u>

ტერიტორიული ერთობა ტრადიციულად განიხილება როგორც ადამიანთა გაერთიანება გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში. ტერიტორია ერთი მხრივ შეიძლება გამოდიოდეს დამოუკიდებელი ცვლადის სახით, რომელიც გავლენას ახდენს ტერიტორიულ ერთობაზე, უზრუნველყოფს მის მდგრადობას, პოტენციალის წარმოჩენასა და განვითარებას და გარკვეული თვალსაზრისით თვითკმარობასაც, ანუ შესაძლებლობას დაიკმაყოფილონ ყველა ძირითადი მოთხოვნები კონკრეტულ ლოკალურ ტერიტორიაზე. მეორე მხრივ, ტერიტორია შეიძლება განხილული იქნეს დამოკიდებულ ცვლადად, რადგან მცხოვრებნი მუდმივად ახდენენ გავლენას ტერიტორიული გარემოზე. ეს გავლენა შეიძლება გამოიხატოს მის გაუმჯობესებაში, ათვისებაში, მოთხოვნებთან ადაპტირებაში, დაცვაში, ან პირიქით განადგურებაში. „ლოკალური ერთობის საცხოვრებელი ბუნებრივი გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობების

ხასიათზე და/ან განისაზღვრება მათით, რითაც აქტუალიზირდება სივრცითი ლოკალიზაციის იდეა“ (Лисенко, Г.В. 2011. стр. 46). ამდენად, საცხოვრებელი ტერიტორია გარკვეულწილად განსაზღვრავს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთობის ცხოვრების სპეციფიკას, არამედ ურთიერთობებსაც, რისი მაგალითიცაა ქალაქის დინამიური ცხოვრების წესი და სოფლის კონსერვატიზმი. განვითარებულ, ჩამოყალიბებულ ადგილობრივ თანასაზოგადოებას უყალიბდება სპეციფიური დამოკიდებულება მის საცხოვრებელ ტერიტორიის მიმართ, ხოლო თუ თანასაზოგადოება არ არის ჩამოყალიბებული, მისთვის სულერთი ხდება დამოკიდებულება საცხოვრებელი ადგილისადმი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მიგრანტებით დასახლებულ ადგილებში. მიგრანტისათვის ნაკლებად არის საინტერესო მათი საცხოვრებელი ადგილის ისტორია, კულტურა, არქიტექტურა. ისინი, უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელ ადგილს აღიქვამენ როგორც დროებით თავშესაფარს, ამიტომ ჩამოყალიბებული ურთიერთობები და მოქმედებები იგება ყოველდღიური მოთხოვნილებიდან და არა გრძელვადიანი ხედვიდან, რაც უმეტეს შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის ტერიტორიულ სპეციფიკასთან. ამგვარი გაგებით ადგილობრივ თანასაზოგადოებად „მიიჩნევა მოსახლეობის ტერიტორიული ჯგუფი მის საცხოვრებელ (ხელოვნურ თუ ბუნებრივ) გარემოსთან მთლიანობაში“ (Горяченко, Е.Е. 1994. стр. 63-86).

<u>2) ადგილობრივი თანასაზოგადოება, როგორც სოციალური ურთიერთქმედება</u>

ტერიტორიული ერთობის, ადგილობრივი თანასაზოგადოების მეორე ნიშანია სოციალური ურთიერთობები. ტერიტორიული თანასაზოგადოების წევრებს შორის ყოველთვის უნდა არსებობდეს ურთიერთობა და ურთიერთთანამშრომლობა სოციალურ და ყოფით საკითხებში, დაწყებული მეზობლური ინტერაქციიდან, დამთავრებული შესაბამისი ტერიტორიის მართვისა და განვითარების საკითხებში აქტიური მონაწილეობით. თანასაზოგადოების შიგნით წევრთა შორის თანამშრომლობა და ურთიერთობები შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით და ყველა მათგანი არ უკავშირდებოდეს

მთლიანად თანასაზოგადოების საერთო ინტერესებს. მაგრამ, ეს არ ეწინააღმდეგება თანასაზოგადოების არსს, პირიქით, „ურთიერთობათა მრავალფეროვნება და სოციალური კავშირების მდგრადობა ამყარებს ადგილობრივ თანასაზოგადოებას როგორც სოციალურ ერთობას“ (Антипьев, К.А. 2013. стр. 23).

მაქს ვებერის (1996) თანახმად სოციალურ ურთიერთობებს გააჩნიათ ორი განსაკუთრებული ნიშანი: „1) ის არის რაციონალური და ხორციელდება შეგნებულად; 2) ის ორიენტირებულია სხვა ადამიანებზე და მიზნად ისახავს მათზე ზეგავლენის მოხდენას ან მათი მოქმედების შეცვლას“ (стр. 456). სოციალური კავშირის, როგორც სოციალური ერთობის განმაპირობებელ ფაქტორზე მიუთითებს იან შეპანსკი (1969): „სოციალური კავშირები წარმოადგენენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებათა ერთობლიობას, რომელთა რეალიზება აერთიანებს ადამიანებს სოციალურ ერთობად“ (стр. 116).

ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციის საბაზო ერთეულს, როგორც ერთგვარ სოციალურ მთლიანობას. ამ მოსაზრების მომხრეები უმთავრეს აქცენტს აკეთებენ თანასაზოგადოებაზე, როგორც სოციალურ კატეგორიაზე. ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც ტერიტორიული სოციალური ორგანიზაციის განსაზღვრებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ორი ძირითადი მიდგომა.

პირველი მიდგომის მომხრეები ადგილობრივ თანასაზოგადოებას განიხილავენ, როგორც გარკვეულ სოციალურ ჯგუფს ან სოციალურ სისტემას, ხოლო მეორე მიდგომის მომხრეები თანასაზოგადოებას განიხილავენ როგორც სოციალურ ქსელს.

ადგილობრივ თანასაზოგადოებას, ტერიტორიულ ერთობას მართლაც გააჩნია ყველა ის ძირითადი ნიშანი (ჯგუფის წევრობა, წევრობის გარკვეული კრიტერიუმები, განსაზღვრული როლები და დადგენილი ქცევის წესები), რომლის თანახმადაც ამ ერთობაში გაერთიანებული ადამიანები შეიძლება განხილული იქნეს, როგორც სოციალური ჯგუფი. ასეთი ჯგუფის სხვა სოციალური ჯგუფებისგან განმასხვავებელია ტერიტორიული განზომილება, როგორც ჯგუფის

შექმნის გამომწვევი ნიშანი. საკმაოდ გავრცელებულია მიდგომა ადგილობრივი თანასაზოგადოების განმარტებისა, როგორც სოციალური სისტემის შესახებ, რომელიც შედგება გარკვეული ქვესისტემებისგან. ეს ქვესისტემები ასრულებენ სოციალიზაციის ისეთ ლოკალურ-რელევანტურ ფუნქციებს, როგორიცაა სოციალური კონტროლი, ურთიერთდახმარება, თანამონაწილეობა, წარმოება, გადანაწილება და მოხმარება. ძალიან მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთობის როგორც სოციალური ერთეულის ჭრილში დანახვა, რადგან სწორედ ადგილობრივი თანასაზოგადოებაა საზოგადოების ქვესისტემის ის პირველი საფეხური, რომელსაც გააჩნია ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური, სოციალური ფსიქოლოგიური, მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილების პოტენციალი. ასეთი პოტენციალი არ გააჩნია სხვა სოციალურ ინსტიტუტს, როგორიცაა ოჯახი, მთავრობა, რელიგიური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რადგან თითოეული მათგანი ნაკლებად კომპლექსურია ვიდრე ერობა.

ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც სოციალური ორგანიზაციის საბაზისო ერთეულის მეორე მიდგომა, ერობას განიხილავს, როგორც სოციალურ ქსელს. ასეთი ქსელი, რომელიც გულისხმობს ადამიანებს შორის პირისპირ ურთიერთობებს, შესაძლებელია არსებობდეს მცირე დასახლებებში, სადაც ყველა ყველას იცნობს და სადაც არსებობს შესაძლებლობა თითოეულის ინტერესების გათვალისწინებით საერთო ინტერესების ფორმირებისათვის. დიდ დასახლებებში ასეთი საერთო ინტერესების ჩამოყალიბება შედარებით უფრო გართულებულია, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მაინც სავსებით შესაძლებელია. ამასთან, ქსელური ურთიერთობა გულისხმობს არა მხოლოდ ურთიერთობას ცალკეულ ინდივიდებს შორის, არამედ სოციალურ ჯგუფებს და ინსტიტუტებს, მათ შორის სხვადასხვა დონის ინსტიტუტებს შორის. ქსელური ურთიერთობების განვითარება არის ერთ-ერთი გამოსავალი საზოგადოებაში დაწყებული ატომიზაციის პროცესის შესარბილებლად. როგორც გერმანელი სოციოლოგი ნ. ლუმანი (2006) აღნიშნავს „ადგილობრივ საზოგადოებაში

ატომიზაციის პროცესი ინტენსიური ხდება არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, არამედ პატარა ქალაქებსა და თვით სოფლებშიც“ (стр. 67).

3) ადგილობრივი თანასაზოგადოების ფსიქოკულტურული ნიშანი (საერთო კავშირები)

ადგილობრივი თანასაზოგადოების განმარტების მესამე ელემენტზე - თანასაზოგადოების წევრთა საერთო კავშირები ან საერთო ვალდებულებების არსებობაზე აქცენტირებას მივყავართ ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც ფსიქოკულტურული ერთეულის გაგებამდე. აქაც გვხვდება ორგვარი, ფსიქოლოგიური და კულტურული, მიდგომა. ფსიქოლოგიური მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის აზრს ხედავენ, რადგან ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას კონკრეტულ ტერიტორიულ ერთობასთან. მეორე მხრივ კულტურული მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ თავად იდენტიფიკაცია ხდება იმიტომ, რომ ერობის წევრებს გააჩნიათ საერთო ინტერესები, საერთო მიზნები და საერთო ღირებულებები.

ცხადია, რომ საერთო ინტერესების არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს ტერიტორიული ერთობის, ადგილობრივი თანასაზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივ ინტერესების გათვალისწინებით“. საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული თუ რას წარმოადგენს ან რა იგულისხმება „ადგილობრივ ინტერესებში“. ერთი შეხედვით, ადგილობრივი ინტერესები გამოდის რაღაც შუალედურ რგოლად სახელმწიფო და პირად ინტერესებს შორის, თუმცა ინტერესის ცნება განეკუთვნება უფრო სოციალურ ვიდრე სამართლებრივ კატეგორიას. ამასთან, როცა საუბარია ადგილობრივ ინტერესზე უმეტეს შემთხვევაში იგულისხმება არა ერთი კონკრეტული ინტერესი, არამედ სხვადასხვა ინტერესთა ერთობლიობა, რომელსაც ჰყავს საერთო მატარებელი სოციუმის ან ტერიტორიული ერთობის სახით.

ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს საკმაოდ რთულ სეგმენტირებულ სოციალურ ერთობას, რომელსაც გააჩნია გარკვეული იერარქია და იყოფა უფრო მცირე ქვეჯგუფებად. ამ ქვეჯგუფებს, ასევე გააჩნიათ საკუთარი, ქვეჯგუფისათვის საერთო ინტერესები, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს მთლიანი თანასაზოგადოების საერთო ინტერესებისგან. თანასაზოგადოების საერთო ინტერესების ჩამოყალიბება, როგორც წესი, იწყება მეზობლური კავშირებიდან. ამ კავშირებიდან იკვეთება თავდაპირველი ის ვიწრო ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია ერთობლივი ცხოვრებიდან გამომდინარე პერიოდულად წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაზე, როგორიცაა ტერიტორიის დასუფთავება და მოვლა-პატრონობა, სათამაშო მოედნების მოწყობა და ა.შ. შემდეგ ხდება უფრო რთული საკითხების გადაწყვეტაზე კონცენტრირება, რაც საჭიროებს მოსახლეობის უფრო ფართო ფენების ჩართვას. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარება ერთი მხრივ ასუსტებს მეზობლურ კავშირებს და წინა პლანზე წევს ისეთ საერთო პრობლემებს, რომლებსაც ექსტერიტორიული ხასიათი გააჩნიათ, მაგრამ, მეორე მხრივ ქმნის შესაძლებლობას ტერიტორიასთან დაკავშირებულ ინტერესების დაცვაში ჩართოს ის ადამიანებიც, რომლებიც უშუალოდ არ ცხოვრობენ შესაბამის ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე უფრო მართებული ჩანს ის პოზიცია, რომლის თანახმად, არა საცხოვრებელი ადგილი, არამედ სწორედ საერთო ინტერესები განაპირობებენ პირის იდენტიფიკაციას ამა თუ იმ ჯგუფთან (მათ შორის ტერიტორიასთან).

ადამიანისათვის ზოგადად დამახასიათებელია გარკვეულ კოორდინატთა სისტემის აგება, რომლითაც იგი ხდება ერთი ჯგუფის წევრი და განცალკევდება სხვა ჯგუფებისაგან, მათ შორის ტერიტორიული ნიშნითაც. ამერიკელი სოციოლოგი რეი ოლდენბურგი (1989) ადგილობრივ თანასაზოგადოებას განიხილავს როგორც ე.წ. მესამე ადგილს. ოლდენბურგის მიხედვით „პირველი ადგილია“ ოჯახი, სახლი, „მეორე ადგილს“ წარმოადგენს სამუშაო. „მესამე ადგილია“ ნეიტრალური საჯარო სივრცე, სადაც ადამიანები მათი ინტერესების შესაბამისად ამყარებენ არაფორმალურ კონტაქტებს მსგავსი ინტერესების მქონე

სხვა პირებთან, მართავენ დისკუსიებს და იჩენენ ინიციატივებს. მაგრამ, სრული უგულებელყოფა არ შეიძლება არც იმ პოზიციისა, რომლის თანახმად ტერიტორიასთან იდენტიფიკაცია განაპირობებს საერთო ინტერესების ჩამოყალიბებას და სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირის დამყარების საჭიროებას. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ერთი სოფლიდან ან ერთი კუთხის წარმომადგენლები უფრო ადვილად ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს და გარკვეულწილად გაუცხოებულნი არიან იმ ადგილის „ძირძველი“ მკვიდრებისაგან, სადაც ისინი ცხოვრობენ. თუმცა არის მეორე ტენდენციაც, როცა ასეთი პირი მაქსიმალურად გაურბის თავის წარმოშობის ადგილის პირებთან კონტაქტს და ცდილობს მოიქცეს „ძირძველი“ მკვიდრივით. თუმცა, ორივე ეს ტენდენცია თანამედროვე დინამიურ ცხოვრებაში, მობილურობისა და კომუნიკაციის საზღვრების მოშლის პირობებში პროვინციალიზმად და დრომოჭმულ გადმონაშთად შეიძლება შეფასდეს, რომელიც თანდათანობით კარგავს თავის საფუძველს.

ტერიტორიული თვითიდენტიფიკაცია და მოსახლეობის მონაწილეობა ტერიტორიული ერთეულის განვითარებაში წარმოადგენს ადგილობრივი თანასაზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე თანასაზოგადოებად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მცირე დასახლებები, ასევე მათი გაერთიანებები და მსხვილი ქალაქებიც. „ფ. ტიონისის მოძღვრების მიხედვით თანასაზოგადოება (Gemeinschaft), რომელიც ყალიბდება ინსტიქტების, გრძნობების, ორგანული კავშირების საფუძველზე, ქმნის არაფორმალურ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ თვითმმართველობის ბირთვს“ (Новокрещенов, А.В. 1996. стр. 109-110) თუმცა ეს სოციალური ჯგუფები ნაკლებად თუ აკმაყოფილებენ ადგილობრივი თანასაზოგადოების ყველა კრიტერიუმს, განსაკუთრებით ეკონომიკური და სოციალური თვითკმარობის თვალსაზრისით. საზოგადოებას (Gesellschaft) ზოგადად შენარჩუნებული აქვს ტერიტორიული ერთობის მრავალი ნიშანი. ამასთან, ლოკალიზაციის განსხვავებული ხარისხი განაპირობებს მოსახლეობის

ინტეგრირების განსხვავებულ ხარისხს და არსებობს ზღვარი, რომლის იქით აღარ შეიძლება საუბარი ტერიტორიულ ერთობაზე.

ზემო აღნიშნულ მიდგომებიდან გამომდინარე ადგილობრივი თანასაზოგადოების განსაზღვრების საერთო კრიტერიუმებად მიიჩნევა:

- მოსახლეობის კონცენტრაცია კონკრეტულ ტერიტორიაზე;
- მოსახლეობის ტერიტორიული ჯგუფის საქმიანობისა და აღწარმოების ძირითადი ფუნქციების ლოკალიზება განსაზღვრულ ტერიტორიაზე;
- მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და გარკვეული თვითკმარობა;
- გარეშესთან შედარებით უფრო მეტი შინაგანი კავშირებით განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მთლიანობა;
- ლოკალური ერთობის ფუნქციონირების ერთგვაროვანი პირობები, რაც განაპირობებს მოსახლეობის შემადგენლობის სპეციფიკას;
- მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ტერიტორიულ ერთობასთან მიკუთვნების გაცნობიერება და სოციალური თვითიდენტიფიკაცია;
- ერთობის წევრთა საერთო ინტერესების არსებობა, რაც განაპირობებს მათ მოქმედების წესებს;
- თვითორგანიზებულობა.

ეს არის ადგილობრივი თანასაზოგადოების ტრადიციული გაგება, თუმცა, თანამედროვე პოსტინდუსტრიულმა ეპოქამ დასვა ამ ტრადიციული გაგების გადახედვის საჭიროება. უპირველესად, ეს ეხება ადგილობრივი თანასაზოგადოების ტერიტორიულ კრიტერიუმს. პირის ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან კავშირი საუკუნეების მანძილზე განპირობებული იყო ამ პირის საცხოვრებელი ადგილით. სწორედ საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრავდა პირის მიკუთვნებას ტომისა თუ სასოფლო თემისადმი. ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ, და მასთან ერთად ხელისუფლების ცენტრალიზაციამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ადამიანის ლოკალურ ტერიტორიასთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი კავშირები. თანამედროვე

პოსტინდუსტრიულმა ეპოქამ, შრომის დანაწილების მაღალმა დონემ, ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, გლობალიზაციამ და მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა ადამიანის მიკუთვნებას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან მისცა ექსტერიტორიული ხასიათი. ერთ ტერიტორიაზე ცხოვრებიდან გამომდინარე სოციალური კავშირები თანდათანობით შესუსტდა და დაირღვა. ტერიტორიულ ერთობას თანდათანობით ანაცვლებს ინტერესთა ერთობა, სადაც ინტერესთა ერთობა აღარ ემთხვევა საერთო ტერიტორიის საზღვრებს.

ინგლისელი სოციოლოგი ზ. ბაუმანი (2005) თავის ნაშრომში „ინდივიდუალიზირებული საზოგადოება“, აღნიშნავდა, რომ „თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ადამიანთა ინდივიდუალიზება და ატომიზაცია. საზოგადოების ატომიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოება ნაწილდება ცალკეულ ინდივიდუმებზე, რომლებიც ერთმანეთთან ინარჩუნებენ მინიმალურ კავშირებს და სოციალური ურთიერთობები უაღრესად დაბალია. თანამედროვე საზოგადოების მიერ შექმნილი „ატომიზირებული ინდივიდუმები“ ნაკლებად არიან ორიენტირებულნი და შემძლე სახლისა და სამუშაოს გარეთ გააჩნდეთ მყარი სოციალური ურთიერთობები“ (стр. 44). „ინდივიდუმი მოქალაქის ყველაზე სახიფათო მტერია“ აღნიშნავს ზ. ბაუმანი და იმოწმებს ალექსის დე ტოკვილის მოსაზრებას, რომ „მოქალაქე ეს არის ადამიანი, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას აღწევს ქალაქის კეთილდღეობის მეშვეობით, მაშინ როცა ინდივიდუმი გულგრილია, სკეპტიკურად განწყობილი და ეჭვითაც კი უყურებს საერთო კეთილდღეობას“. დენის პოპლინის (1979) აზრით თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდუალობა დომინირებს „ერთობის გრძნობაზე“, რასაც გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მისი აზრით „ერთობის გრძნობა ადამიანს აძლევს პოტენციურ ძალას რათა თავის ცხოვრება გახადოს უფრო სტაბილური და საიმედო. მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ერთობის გრძნობამ ხელი შეუშალოს მის ინდივიდუალურ ზრდასა და წარმატებებს“ (p. 51). ამავე პრობლემას ეხება ფილოსოფოსი ერიხ ფრომი (2008) თავის წიგნში „გაქცევა

თავისუფლებიდან“, სადაც მიუთითებს, რომ „თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის ინდივიდუალიზაციას გააჩნია ორი მხარე. ერთი მხრივ ადამიანი თავს აღიქვამს განკერძოებულ სოციალურ სუბიექტად და მოქმედებს ტრადიციული კოლექტიური სტრუქტურებიდან (თემი, ჯგუფი, კლანი და სხვ.) დამოუკიდებლად, რითაც, მეორე მხრივ, იმავდროულად ხდება საუკუნეობრივად დამკვიდრებული სოციალური კავშირების, მათ შორის ურთიერთდახმარებაზე დამყარებული კავშირების რღვევა“ (стр. 79). კიდევ უფრო სავალალო დასკვნებს აკეთებს ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ანდრე გორცი (1989). იგი თანამედროვე „მასობრივი საზოგადოების ატომიზაციის“ განხილვისას საზოგადოების წევრთა მოქმედებებს ადარებს თერმოდინამიკურ პროცესში ქაოტურად მოძრავ ელემენტებს „რომელთა შორის კავშირები არის შემთხვევითი და ემყარება საბაზრო პროცესს. შესაბამისად ეს კავშირები ეფუძნება წმინდა სტატისტიკურ კანონებს, რის გამოც მოკლებულია შინაარსსა და მიზანს“ (p. 56). ამ ტენდენციას, როგორც ამაზე მიუთითებს ვ. დამიე (Дамье В. н/д), „პერსპექტივაში მივყავართ საზოგადოების, როგორც ურთიერთდახმარებაზე დამყარებული არაფორმალური სოციალური კავშირების დარღვევაზე“ (стр. 1).

ზემო აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ბუნებრივად ისმევა კითხვა არის თუ არა თანამედროვე ეპოქაში თანასაზოგადოებისთვის ადგილი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ინდივიდუალიზმი არ წარმოადგენს სოციალური იზოლაციის ფორმას“ (Castells, M. 1996. p. 126) და როგორც ამაზე ზ. ბაუმანიც (2001) მიუთითებს „ინდივიდუალიზირებულ საზოგადოებაში ადამიანები კვლავინდებურად ესწრაფვიან ერთობას, როგორც დაკარგულ სამოთხეს, ან სამოთხეს რომლის პოვნის იმედი ისევ გაგვაჩნია“ (p. 3). ამიტომ, მართალია, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ და კომუნიკაციურმა სისტემებმა განუზომლად გაზარდა ადამიანთა მობილობა, რის შედეგადაც ტრადიციული თანასაზოგადოება, რომლის უმთავრესი ნიშანი განსაზღვრული ტერიტორი იყო, გახადა ნაკლებად დამოკიდებული გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მაგრამ ეს სულაც

არ ნიშნავს, რომ ექსტერიტორიულობა პირდაპირპროპორციული იყოს სოციალური კავშირებისა და საერთო ინტერესების დარღვევასთან. ამ შემთხვევაში ძირითადი ხდება არა ამ ტერიტორიაზე ყოფნა, არამედ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებული ინტერესები. ამ მიმართებით, საყურადღებოა ცნობილი სოციოლოგის პ. სოროკინის (1992) მოსაზრება, რომელიც სოციალური მობილურობის კუთხით განიხილავს რა სოციალურ სივრცეს ასაბუთებს, რომ „სოციალური სივრცე ძირეულად განსხვავდება გეომეტრიული სივრცისგან“ (стр. 46). სუბიექტები შესაძლოა ახლოს იყვნენ ფიზიკურ, მაგრამ დაშორებულნი სოციალურ სივრცეში და პირიქით. შესაბამისად, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ადგილობრივი თანასაზოგადოება არ უდრის კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. საილუსტრაციოდ, პირისთვის, რომელიც ცხოვრობს სოფელში, მაგრამ მუდმივად ფიქრობს სხვაგან გადასვლაზე, ნაკლებ საინტერესოა ამ სოფლის პრობლემები, ვთქვათ სოფლის დაზიანებული გზა (პირიქით, ეს შეიძლება იყოს დამატებითი არგუმენტიც რატომ უნდა დატოვოს სოფელი). შესაბამისად, მას, მიუხედავად ამ სოფელში ცხოვრებისა, არ ექნება სურვილი მონაწილეობა მიიღოს თვითორგანიზებაში და ჩათვალოს თავი ერობის წევრად. მაგრამ პირისთვის, რომელიც ცხოვრობს სხვა დასახლებაში, მაგრამ გააჩნია გარკვეული ინტერესები ამ დასახლებასთან (ვთქვათ მამა-პაპისეული კარ-მიდამო, რომლითაც წელიწადში 1-2 თვე სარგებლობს, ან ამ სოფელში ეწევა სამეურნეო საქმიანობას), ინტერესის საგანია ამ სოფლის პრობლემები და მან შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოფლის მოსახლეობის თვითორგანიზებასა და ამ პრობლემების გადაწყვეტაში. ამდენად, მობილურობამ შეიძლება პირიქით, გაზარდოს ამ ტერიტორიის ინტერესებთან დაკავშირებულ პირთა, ანუ ერობის წევრთა წრე. გარდა ამისა, სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაცია, როგორც ობიექტურად აუცილებელი პროცესი, წინა პლანზე წევს მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვას. ანუ აძლევს სტიმულს მოსახლეობის თვითორგანიზებულობას და თანასაზოგადოების ჩამოყალიბებას.

თუმცა, საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის წინააღმდეგობრივ და არათანმიმდევრულად მიმდინარეობის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დეცენტრალიზაცია და თვითორგანიზება ურთიერთგანმაპირობებელი პროცესებია. მართვის დეცენტრალიზაცია ვერ განხორციელდება თანასაზოგადოების გარეშე, ისევე, როგორც ადგილობრივ თანასაზოგადოებათა განვითარების ხელშესაწყობად აუცილებელია მართვის დეცენტრალიზაცია და ადგილებზე მეტი უფლებამოსილებების გადატანა. ერთი შეხედვით იკვრება „მანკიერი წრე“ და მართვის დეცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეებს ერთ-ერთ „წონად“ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ თითქოს საქართველოს საზოგადოება არ არის მზად თვითმმართველობისათვის, რომ საზოგადოებას არ ძალუძს მოახდინოს თვითორგანიზება და აიღოს პასუხისმგებლობა მართვის პროცესებზე.

ალექსის დე ტოკვილი თავის ცნობილ ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ ამერიკის საზოგადოების დახასიათებისას აღნიშნავდა მათ მაღალ თვითორგანიზების უნარს და აღტაცებით წერდა, რომ „თქვენ რომ რამოდენიმე ათასი ამერიკელი დაასახლოთ უდაბურ ადგილას, ისინი დაუყოვნებლივ დაიწყებენ ქალაქის შენებას, შექმნიან საკუთარ კონსტიტუციას და აირჩევენ მართვის საკუთარ ორგანოებს“ (стр. 65). დაახლოებით ამავე პერიოდში, ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებას ახასიათებდა როგორც „გათითოკაცებულს“, სადაც „ჩემი მეტია და ჩვენი ნაკლები“. ილიასეული საქართველოს საზოგადოების ეს დახასიათება ესადაგება დღევანდელობას, თუმცა ნიშნავს კი ეს, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის მზად თვითმმართველობისათვის და არ ძალუძს მოახდინოს თვითორგანიზება?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა განხილული იქნეს ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც სოციალური ერთობის თვითორგანიზების საკითხი.

თავი II. თვითორგანიზება

- **თვითორგანიზების თეორიის ისტორიული ასპექტები**

სოციალური პროცესების მართვის საკითხები მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია, რომელსაც ეძღვნება სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები, რომლებიც საფუძველს იღებენ მეცნიერების განვითარების კლასიკური, არაკლასიკური და პოსტარაკლასიკური პერიოდებიდან გამომდინარე მიდგომებიდან.

მეცნიერების განვითარების კლასიკური პერიოდი (ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი, რენე დეკარტი და გეორგ ჰეგელი, აინშტაინის ფარდობითობის თეორიამდე) სამყაროს აღიქვამდა როგორც უძრავ და მოწესრიგებულ სისტემას, სადაც პროცესები იყო წრფივი და იქმნებოდა ილუზია, რომ ამ პროცესებზე მიზანმიმართული ზემოქმედებით იყო შესაძლებელი წინასწარ დაპროექტებული შედეგის მიღწევა. გაბატონებული იყო მეთოდოლოგიური უნივერსალიზმის პრინციპი, რომლის თანახმად ნებისმიერი ობიექტების, მათ შორის სოციალური მოწყობა იხსნებოდა კლასიკური მექანიკის კანონების საფუძველზე. საზოგადოებრივ პროცესების მართვაზე ასეთი მიდგომა, სამწუხაროდ, დღემდეა შენარჩუნებული, თუმცა მეცნიერების მიერ ეს შეხედულება უკვე დიდი ხანია უარყოფილია.

XIX საუკუნეში წარმოიშვა ევოლუციის გაგების ორი ურთიერთგანსხვავებული მიდგომა: დარვინიზმი და თერმოდინამიკა. დარვინისტთა მიხედვით ევოლუცია მიმდინარეობს მარტივიდან რთულისაკენ, ანუ ხდება მუდმივი განვითარება. დარვინიზმისგან განსხვავებით თერმოდინამიკა, განსაკუთრებით მისი მეორე კანონი აცხადებს, რომ სამყაროში ხდება ენერგიის კლება და მათი გადასვლა სითბურ ენერგიაში. ენერგიის კლება იწვევს სისტემის ორგანიზებულობის შემცირებას (იკლებს სისტემის ორგანიზების შემაკავებელი ენერგია), შესაბამისად ხდება რთულის თანდათანობითი დაშლა სულ უფრო მარტივ ელემენტებად. დრო არის შეუქცევადი და მოქმედებს „დროის ისარი“, ანუ

მას გააჩნია ერთი მიმართულება და რაიმე სახის გამეორება არის გამორიცხული. სინერგეტიკამ, მოძღვრებამ თვითორგანიზებადი სისტემების შესახებ შეძლო ამ ორი მოდელის ურთიერთშეთანხმება. სინერგეტიკამ წესრიგი და ქაოსი განიხილა არა როგორც ურთიერთდაპირისპირებული, არამედ როგორც ურთიერთგანპირობებული ფაქტორები. სინერგეტიკა XX საუკუნის მეორე ნახევრის პირმშოა, თუმცა არსებული რეალობის აღქმის მასთან მიახლოებული მსოფლმხედველობითი მოდელები არსებობდნენ უძველესი პერიოდიდან „არა მხოლოდ მეცნიერულ, არამედ მეცნიერებამდელ და ფსევდო მეცნიერულ შეხედულებებში, რომლებიც სინერგეტიკული მიდგომის მსგავსად პროცესების დინამიკას განიხილავენ არახაზობრივად, სადაც არ ხდება ისეთ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირება როგორიცაა წესრიგი და ქაოსი, კანონზომიერება და შემთხვევითობა, სისტემურობა და უსისტემობა“ (Волох, О.В., Безвиконная, Е.В. 2010. стр. 10).

თვითორგანიზების კონცეფციის საკვანძო იდეას წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია სამყაროს წესრიგის (მდგრადობის) თვითორგანიზება (თვითდამკვიდრება) სამყაროსთვის თავდაპირველად დამახასიათებელი ქაოსიდან. „გაწონასწორებლობიდან დაშორებით სისტემას კვლავინდებურად შეუძლია ევოლუციონირება გარკვეულ სტაციონარულ მდგომარეობამდე“ (Пригожин, И., Стенгерс, И. 2003. стр. 130). წესრიგისა და ქაოსის ურთიერთობათა დიალექტიკა ძველაღმოსავლურ და ძველბერძნულ მითოლოგიებში გვაძლევენ სინერგეტიკულ მიდგომასთან მსგავს სურათს. თავის სტატიაში ტ. გრიგორიევა (1997) მიუთითებს, რომ

სინერგეტიკა ეყრდნობა არა ადამიანის ნებასა და შეხედულებებს, არამედ სამყაროს ნებას. მის სახით მეცნიერება ადის იმ დონეზე, რომელსაც ბუდისტურ-დაოისტურ მოძღვრებებში ეწოდება შუალედური გზა. ეს ნიშნავს მივყვეთ სამყაროს შექმნის გზას, არც მარცხნივ და არც მარჯვნივ არ გადავუხვიოთ დადგენილ წესებიდან, რადგან ჭეშმარიტება არის ცენტრში და ნებისმერ უკიდურესობას მივყავართ დაღუპვამდე. სამყაროს მითოლოგიური სურათი ქაოსს (უწესრიგობას) და კოსმოსს (წესრიგს) განიხილავს ურთიერთ მჭიდრო კავშირსა და ამბივალენტურ ურთიერთობაში. ყველა ძირითად მითოლოგიურ სისტემებში სამყარო, როგორც წესრიგი, არის ქაოსზე გამარჯვების შედეგი, მაგრამ სამყაროს

შექმნით ქაოსი არ ქრება ის არსებობს, როგორც „პარალელური“ სამყარო, როგორც წესრიგის შინაგანი მხარე, სადაც შეიძლება სამყარო ჩაინთქას, მაგრამ საიდანაც შეიძლება სამყარო ხელახლა აღორძინდეს. ამგვარად ყალიბდება სამყაროს ცვლილების პერმანენტული მოლოდინი, რომელიც თავის ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა ხალხების მითოლოგიურ მსოფლმხედველობაში (стр. 91-92).

წესრიგი იქმნება ქაოსის ელემენტების გადაჯგუფებით, რომლებიც ამის შედეგად ურთიერთდაპირისპირებული მდგომარეობიდან გადადიან ურთიერთჰარმონიულ მდგომარეობაში. ამგვარად წესრიგი წარმოიშობა არსებული (ქაოსური) ურთიერთობების დანგრევითა და შეცვლით. აღმოსავლური მითოლოგიით სამყარო განიხილება როგორც წესრიგისა და ქაოსის ციკლური მონაცვლეობითი პროცესი. შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამყაროს სინერგეტიკული სურათი უფრო ახლოა არქაულ აღმოსავლურ მსოფლმხედველობასთან, ვიდრე დასავლურ, მოდერნისტულ შეხედულებებთან. ამიტომ, პოსტარაკლასიკურ მეცნიერებასა და დასავლელ მოაზროვნეთა მიერ სინერგეტიკული მიდგომები შეიძლება ჩავთვალოთ დასავლური კულტურის ნაბიჯად აღმოსავლურ ღირებულებებისკენ. გარდა ამისა, „სინერგეტიკის შემოტანა ნიშნავს არა არსებული პარადიგმის მორიგ ცვლილებას, არამედ მეცნიერების მოძრაობის ვექტორის შეცვლას, რომელიც აღარ იზღუდება მხოლოდ ჰორიზონტალური კავშირებით“ (Волох, О.В., Безвиконная, Е.В. 2010. стр. 13).

სამყაროს მთლიანობისა და სტრუქტურული ერთიანობის სისტემურ-სინერგეტიკული პრინციპის ცალკეულმა ელემენტებმა თავის ასახვა ჰპოვეს ევროპელი მეცნიერების ციკლურ კონცეფციებში, რომლებიც თავის სათავეს იღებენ დ. ვიკოსა და ი. გარდნერის მოძღვრებებში მსოფლიო ცივილიზაციების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის ერთიანი კანონზომიერ პროცესების შესახებ. თუმცა, სამყაროსა და საზოგადოებრივ პროცესების სინერგეტიკულ მიდგომებთან ყველაზე უფრო ახლო მოძღვრებები უკავშირდება ა. შოპენჰაუერის, გ. ჰეგელის, გ. სპენსერის, ა. ბერგსონის. ხოსე ორტეგა და გასეტის, ო. შპენგლერის, ა. ტოინბის. კ. იასპერსის და კ. პოპერის სახელებს. მაგალითად, ო. შპენგლერის (1933), ა. ტოინბის (1991) და კ. იასპერსის (1991) თეორიები ეფუძნება სოციოკულტურულ სფეროში თვითორგანიზების საფუძველზე წარმოშობილ

მსოფლიო პროცესების ციკლურობის იდეას. „ისტორია განიხილება როგორც სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციათა თანაარსებობის პროცესი. თითოეული ცივილიზაცია ვითარდება საკუთარი გზით და გააჩნია განვითარების საკუთარი წყაროები. მათ შორის არ არის ისეთი ურთიერთგანმაპირობებელი კავშირები, რომელთაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ მათ შინაგან სტრუქტურაზე“ (Сорокин, П.А. 1992) ანალოგიური მიდგომაა გადმოცემული ო. შპენგლერის კლასიკურ ნაშრომში „ევროპის დაისი“ (1933), რომელშიც მოცემულია სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული ტიპის თანმიმდევრული შეცვლის პოსტულატი. კ. იასპერსის (1991) მიერ შემოთავაზებული იქნა „დროის ღერძის“ კონცეფცია, რომელიც მოიცავს ძვ.წ. IV-VI საუკუნეებს და უკავშირდება მსოფლიოს საკვანძო რელიგიების წარმოშობას. „დროის ღერძის“ მეშვეობით ხორციელდება კომუნიკატიური მიმოცვლა მთლიანად სამყაროში, როგორც სივრცისა და დროის ერთიან სტრუქტურულ საფუძველში. ციკლურმა კონცეფციებმა ხელი შეუწყო ევოლუციის პროცესების ახლებურ გააზრებას, განაპირობა კანონზომიერების პრინციპების დომინანტობა და განვითარების ციკლურობის ლოგიკური დასაბუთება. შედეგად, ეს პრინციპები დაედო საფუძვლად სისტემათა კლასიკური თეორიის ფარგლებში რეალობის სისტემურ აღქმას.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სინერგეტიკა მკვიდრდება როგორც ახალი, თანამედროვე ზოგადსამეცნიერო მეთოდოლოგია. პოსტარაკლასიკური პარადიგმის თეორიული საფუძვლები შექმნეს სისტემათა ზოგადმა თეორიამ და კიბერნეტიკამ, რომლებიც სისტემურ ობიექტებს განიხილავდნენ აბსტრაგირებულად მის შემადგენელ კონკრეტული ელემენტებისგან და ძირითად ყურადღებას ამახვილებდნენ მათ ორგანიზაციულ კავშირებსა და ურთიერთობებზე. ამ მოსაზრებით „სინერგეტიკა შეიძლება განხილული იქნეს როგორც კიბერნეტიკული და სისტემური მეცნიერული მიმართულების საფუძველზე ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური ტრადიციის მემკვიდრე“ (Волох, О.В., Безвиконная, Е.В. 2010. стр. 19).

სისტემების შესახებ თანამედროვე თეორიების საფუძვლები უკავშირდება ლუდვიგ ფონ ბერტალანფის XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებულ თეორიას ღია ბიოლოგიური სისტემების შესახებ. ბიოლოგიური ობიექტების შესწავლის მეთოდოლოგიის კვლევიდან ბერტალანფი მივიდა სისტემების ზოგადი თეორიის პროგრამის შექმნამდე, რომლის საფუძველი იყო სისტემური ობიექტების მოქმედების იმ საერთო პრინციპების აღმოჩენა, რომლებიც არ იყო დამოკიდებული ამ ობიექტების სპეციფიურობასა და შემადგენლობაზე. ეს პროგრამა ამოდიოდა სხვადასხვა სისტემებისათვის საერთო გარკვეულ სისტემურ-დინამიურ იზომორფიზმის შესაძლო არსებობაზე. ბერტალანფის (1973) აზრით „სისტემური მოდელის აგების მთავარ პრინციპს წარმოადგენდა გადარჩენა, ადაპტაცია, განვითარება და შეგუება გარემო პირობების ცვლილებებზე“ (стр. 20-37). სისტემური მეთოდოლოგიის მთავარი შედეგი იყო ის, რომ სისტემაზე ჩამოყალიბდა შეხედულება, როგორც მთლიან, ერთიან ობიექტზე, სადაც მთავარი აქცენტები გაკეთდა არა მის შემადგენელ ელემენტებზე, არამედ ამ ელემენტების იმ სტრუქტურულ კავშირებზე, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის ერთიანობას. ზოგადი თეორიის მიხედვით სისტემა განისაზღვრება როგორც ერთიანი, რომელთა შემადგენელ ელემენტთა შორის კავშირი უფრო მდგრადია, ვიდრე ამ ელემენტების სისტემის გარე პროცესებთან. ვ. სადოვსკის და ე. იუდინის (1969) მიხედვით, „სისტემის ელემენტებს შორის კავშირი შეიძლება იყოს ორგანული და მექანიკური, დინამიური (რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს) და სტატიკური, ღია და დახურული, თვითორგანიზებადი და არაორგანიზებული, მართვადი და უმართავი“ (стр. 35).

სისტემის განსაზღვრის ასეთი კლასიფიკაცია, ცხადია, არ იძლევა ტერიტორიული ერთობის, როგორც თვითორგანიზებადი სისტემის დახასიათების ცალსახა პასუხს. ამასთან, ადგილობრივი თანასაზოგადოება შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერთიანი სისტემა, რომლის ელემენტებს შორის არის ჩამოყალიბებული მდგრადი კავშირი (ნათესაური, მეგობრული, მეზობლური, კორპორატიული, ფუნქციონალური), რომელიც უფრო მყარია, ვიდრე ამ სისტემის

ელემენტების გარე კავშირი. ამასთან, იგი მუდმივად ახდენს ინფორმაციისა და ენერგიის გაცვლას გარემოსთან და განიცდის ცვლილებებს. აქედან გამომდინარე ადგილობრივი თანასაზოგადოება შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც

ა) ორგანული სისტემა, რადგან ის უპირველ ყოვლისა წარმოადგენს სოციალურ ერთობას და მისი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტების ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლებიც, (ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავეთანხმოთ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მომხრეებს) ცოცხალი ორგანიზმის ანალოგიით ასრულებენ გარკვეულ, კონკრეტულ ფუნქციას სისტემაში;

ბ) დინამიური სისტემა, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას;

გ) ღია სისტემა, რომელიც ახდენს ინფორმაციისა და ენერგიის ურთიერთგაცვლას გარემოსთან და ამავდროულად არის თვითორგანიზებადი სისტემა.

ბარტალანფის სისტემების ზოგადმა თეორიამ თავის განვითარება ჰპოვა უ. ეშბის, მ. მასაროვიჩისა და ი. ტაკახარას ნაშრომებში. მაგალითად, უ. ეშბი (1966), ცდილობდა აეხსნა თვითორგანიზაცია მისი შეპირისპირებით ორგანიზებულ სისტემებთან. მისი მოსაზრებით თვითორგანიზების შეფასება ხდება „ან როგორც სისტემის შეცვლა სტრუქტუირების (ორგანიზების) მიმართულებით ან როგორც ორგანიზების დახვეწა („ცუდი“ ორგანიზაციიდან „კარგ“ ორგანიზაციისკენ)“ (стр. 328-329).

სისტემათა თეორიასთან სინერგეტიკულ პარადიგმას აახლოებს ასევე კვლევის ობიექტად ღია სისტემების (სისტემები, რომლებიც გარემოსთან ახდენენ ნივთიერების, ენერგიისა და ინფორმაციის გაცვლას) არჩევა. თუმცა მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც. სისტემათა თეორია ძირითად კონცენტრაციას აკეთებს სისტემების განვითარების მდგრად მდგომარეობაზე და ამ მდგომარეობის შენარჩუნების შესაძლებლობის მხარდაჭერაზე, სინერგეტიკა აფართოებს კვლევის საგანს და აქცენტებს აკეთებს სისტემის არამდგრად, გაუწონასწორებელ მდგომარეობაზე. სწორედ გაუწონასწორებელ მდგომარეობაში იქნა აღმოჩენილი

სპონტანური თვითორგანიზაციის ეფექტები, რაც გახდა სინერგეტიკის შესწავლის ძირითადი საგანი.

თვითორგანიზაციის პრობლემის სპეციალური შესწავლა პირველად დაიწყო კიბერნეტიკამ. თავად ტერმინიც „თვითორგანიზებადი სისტემები“ შემოღებული იქნა ინგლისელი კობერნეტიკოსის უ. ეშბის მიერ 1947 წ.. თვითორგანიზების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. იგი უკავშირდებოდა ისეთი გამომთვლელი მანქანების შექმნას, რომელთაც ექნებოდათ უნარი მოეხდინათ ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის მოდელირება. ამიტომ, კიბერნეტიკაში, განსხვავებით სინერგეტიკისგან, წინა პლანზეა წამოწეული სისტემური ობიექტების მართვის ამოცანები. ნ. ვინერის (1968) განმარტებით „კიბერნეტიკული სისტემები შედგებიან მრავალი, ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან, რომელთაც გააჩნიათ უნარი აღიქვან, დაიმახსოვრონ, გადაამუშაონ და გაცვალონ ინფორმაცია“ (стр. 243) ამგვარი მოდელი აუცილებლად გულისხმობს შემავალი და გამომავალი უკუკავშირის არსებობას, რის შედეგადაც სისტემის მდგომარეობა და მისი განვითარება ყოველთვის განიხილება, როგორც ზემოქმედების (შინაგანი ან გარეგანი) შედეგი. კიბერნეტიკული მიდგომა გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული მიზნის არსებობას, რომლისკენაც სისტემა ისწრაფვის დამოუკიდებლად და თვითორგანიზდება მის გარშემო. სინერგიული მიდგომის შემთხვევაში მექანიზმი არ საჭიროებს წინასწარ განსაზღვრულ მიზანს. სისტემის თვითორგანიზება წარმოადგენს სისტემის ელემენტებს შორის კოოპერაციით გამოწვეულ ეფექტს. ორგანიზაციის ახალი ფორმები წარმოიშვება სპონტანურად გარეგანი ჩარევისა და წინასწარ დადგენილი მიზნის გარეშე.

კლასიკური კიბერნეტიკის საფუძველს წარმოადგენდა სისტემებისადმი სტატიკური, ხაზობრივი მიდგომა. თვითორგანიზება განიხილება, როგორც სისტემის შინაგანი ადაპტირების უნარი შეინარჩუნოს არსებული სისტემა და დააშორის იგი ენთროპიისაგან თუმცა ამით არ ხდება სისტემის ხარისხობრივი ცვლა. ცხადია, რთული სისტემების თვითორგანიზაცია გულისხმობს მის სწრაფვას

გომეოსტატიკური მდგომარეობისა და საკუთარი ღირებულებების შენარჩუნებაზე. ამასთან, რაც უფრო რთულია სისტემა, მით უფრო ადვილად ახერხებს იგი გარე ზემოქმედებისგან თავდაცვას და გომეოსტაზის შენარჩუნებას. ამავდროულად, რაც უფრო რთულია სისტემა მით უფრო ძნელია მისი შესაძლო მოქმედების წინასწარი გათვლა. თვითორგანიზებადი სისტემების წამყვანი ტენდენციაა: რაც შეიძლება შორს მდებარეობდეს ენთროპიისა და ქაოსისაგან. მაგრამ, მეორე მხრივ გაუწონასწორებლობის გარეშე არ არსებობს არც განვითარება. განვითარება ხდება გაუწონასწორებლობის, სტრესებისა და შემთხვევითობის გავლით. რადგან, სწორედ კრიზისები ავლენენ და არჩევენ საუკეთესოს. ამ ნაკლის შევსებას შეეცადა არაკლასიკური კიბერნეტიკა, რომელიც თავის საწყის იღებს ასევე ვინერის მოგვიანებით გამოქვეყნებული შრომებიდან, რომელიც საკმაოდ უახლოვდება თვითორგანიზების სინერგეტიკულ გაგებას. თავის შრომებში ვინერი მიუთითებს, რომ მისი ინტერესი კლასიკური კიბერნეტიკისთვის დამახასიათებელი მარტივი ხაზობრივი უკუკავშირიდან ინაცვლებს იმ პროცესებისაკენ, რომლებიც დამახასიათებელი ცოცხალი ორგანიზმებისათვის და გამოიხატება შემთხვევითობისადმი არახაზობრივი რეაქციით. „ჩვენ ვხედავთ, რომ არახაზობრივი ურთიერთზემოქმედებას, რომელიც წარმოშობს სიხშირეთა მიზიდულობას, შეუძლია წარმოშვას თვითორგანიზებადი სისტემა, როგორც ეს ხდება ტვინის ელექტრონულ ტალღებსა თუ ცვლადი დენის ქსელში“ (Винер, Н. 1969. стр. 19). ვინერი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს თვითორგანიზებადი სისტემების წარმოქმნის შემთხვევით ხასიათს, რომ ეს სისტემები არ წარმოადგენენ ჩაკეტილ ობიექტებს და ინარჩუნებენ მდგრადობას კვაზიგაწონასწორებულ მდგომარეობაში.

კლასიკურ კიბერნეტიკაში უდავოდ მიიჩნეოდა, რომ სისტემის არასასურველი მდგომარეობიდან გამოყვანის მეთოდია უარყოფითი უკუკავშირის რეგულაცია. ამ პროცესს ეწოდება მორფოსტაზისი, რომელიც მიმართულია სისტემის სტაბილური მდგომარეობიდან გადახრის შემცირებისაკენ. კლასიკური კიბერნეტიკის ეს აქსიომატური დებულება უდაო იყო სანამ არ იქნა შესწავლილი

სისტემები, რომელთა საწყისი მდგომარეობიდან გადახრა გამოწვეული იყო არა უარყოფითი, არამედ დადებითი უკუკავშირით, ანუ მორფოგენეზური პროცესებით, რომლებიც აძლიერებენ სისტემის საწყისი მდგომარეობიდან გადახრას. ამდენად სახეზეა ორი სახის: მორფოსტატიკური და მორფოგენეტიკური სისტემები, რაც ნიშნავს, რომ ერთი და იგივე მოქმედებამ ამ სისტემების მიმართ ურთიერთგანსხვავებული შედეგი შეიძლება მოიტანოს. ეს კარგად ჩანს თვითმმართველობის რეფორმის ანალიზისას. ყველა თვითმმართველ ერთეულისადმი ერთგავაროვანმა მიდგომამ მათი თვითკმარობის უზრუნველსაყოფად, მოიტანა სრულიად განსხვავებული შედეგები. ამ მიდგომამ თვითმმართველ ერთეულთა მცირე ნაწილს, რომელსაც გააჩნდა საკმარისი საგადასახადო ბაზა (თბილისი, ბათუმი) მისცა სტაბილური განვითარების საშუალება, ხოლო თვითმმართველ ერთეულთა უმეტესი ნაწილი, რომელთაც სათანადო საგადასახადო ბაზა არ გააჩნიათ, აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და სრულად დაქვემდებარებული ცენტრალური ხელისუფლების ნებაზე.

არაკლასიკურ კიბერნეტიკაში მორფოგენეტიკური სისტემები მიიჩნევიან ყველაზე რთულ სისტემებად. ასეთ სისტემებად განიხილება ბიოლოგიური და სოციალური სისტემები, რომელთათვისაც თვითორგანიზება დამახასიათებელია როგორც სპონტანური და თვითშემოქმედებითი პროცესი. თვითორგანიზების ასეთი პროცესები შესწავლილი იქნა ჩილელი ბიოლოგების უ. მატურანასა და ფ. ვარელის (ცოცხალი ორგანიზმების ავტოპოეზისის თეორია), ასევე ე. ლორენცის (1970) (დინამიური ქაოსის თეორია), ვ. არნოლდისა (1990) და რ. ტომის (2002) (კატასტროფების თეორია) და სხვა გამოჩენილი მეცნიერების მიერ, რომლებმაც ამ თეორიათა საფუძველზე ჩამოაყალიბეს სისტემათა ნახტომისებური გადასვლისა და ხარისხობრივი ცვლილების კვლევის უნივერსალური მეთოდები.

ავტოპოეზისის თეორიის ძირითადი იდეაა, რომ ცოცხალი სისტემები თავად წარმოშობენ თავის თავს და ამავდროულად ინარჩუნებენ საკუთარ ორგანიზებას საკუთარი სტრუქტურების ვარიაციების წყალობით. ავტოპოეზიური სისტემები თვითორგანიზებას ახდენენ ორგვარი გაგებით: ისინი აყალიბებენ საკუთარ

საზღვრებს და შინაგან სტრუქტურებს. რა მოხვდება სისტემის შიგნით და რა იქნება გარეთ ამას განაპირობებს სისტემის თვითორგანიზება და არა სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნილება, როგორც ეს მიაჩნიათ სტრუქტურულ ფუნქციონალისტებს. ავტოპოეზისის თეორიის მიხედვით თვითორგანიზებადი სისტემა წარმოადგენს ციკლურად დაკავშირებულ თვითორგანიზებად ქვესისტემათა ერთობლიობას, სადაც წინა ქვესისტემა ქმნის პირობებს შემდეგი ქვესისტემისათვის, ხოლო ბოლო ქვესისტემა კრავს ციკლს და ქმნის პირობებს პირველი ქვესისტემისათვის, რითაც ქვესისტემები უზრუნველყოფენ ერთმანეთის და მთლიანად ციკლის არსებობას. ეს თეორია ტერიტორიული თვითორგანიზების შესწავლის კუთხით საინტერესოა იმ მხრივ, რომ ავტოპოეზისი თვითორგანიზებად სისტემას განიხილავს, როგორც ავტონომიურ სისტემას, რომელიც არ არის დაკავშირებული გარე პირობებზე და მისი არსებობა და განვითარება მთლიანად დამოკიდებულია ქვესისტემების ურთიერთკავშირზე, ანუ სისტემის წარმომქმნელი ფაქტორები წარმოიშვება თავად სისტემის მიერ. ერთი შეხედვით, ავტოპოეზისის თეორია თვითორგანიზებად სისტემას განიხილავს, როგორც ჩაკეტილ სისტემას, რაც წინააღმდეგობაში მოდის სინერგეტიკულ მიდგომასთან, სადაც თვითორგანიზებადი სისტემები განიხილება როგორც ღია სისტემები. მაგალითად, ლუმანი (2006) ამტკიცებს, რომ საზოგადოება არის ავტოპოეზიური სისტემა, რომელიც აკმაყოფილება ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

1) სისტემა ქმნის თავის საკუთარ საბაზო ელემენტებს;

2) ქმნის საკუთარ საზღვრებს;

3) ქმნის საკუთარ სტრუქტურებს;

4) არის თვითრეფერენტული და ჩაკეტილი.

ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან ავტოპოეტიკური სისტემებიც არ წარმოადგენს გარემოსგან ჩაკეტილ სისტემებს. ეს სისტემები მუდმივად ღებულობენ გარემოდან იმპულსებს, თუმცა მათი რეაქცია არ არის პირდაპირი რეაგირება იმპულსებზე. ავტოპოეზისის მიხედვით სისტემა თავად იღებს გადაწყვეტილებას როგორ უპასუხოს გარე იმპულსებზე. ერთ შემთხვევაში

გარე იმპულსმა შეიძლება პირდაპირი რეაქცია გამოიწვიოს, ხოლო სხვა შემთხვევაში ამ იმპულს შეიძლება არავითარი რეაქცია არ მოჰყვეს. მაგალითად, სოფელში რაიმე საწარმოს გახსნაზე წინადადებამ შეიძლება გამოიწვიოს სოფლის მოსახლეობის გააქტიურება და თავად ჩაერთოს საწარმოს შექმნის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ ამ წინადადებას შესაძლოა მოჰყვეს უარყოფითი რეაქცია ან სოფლის მოსახლეობის მხრიდან სრულიად ინდიფერენტული დამოკიდებულება. ანუ, როგორც ამის თაობაზე მიუთითებს ავტოპოეზისის თეორიის ერთ-ერთი ავტორი უ. ვარელა, სისტემა მუდმივად შეიმუშავებს თავის მოქმედების მოდელს გარემო ზემოქმედებაზე საკუთრი თავის (სისტემის) გადასარჩენად.

სოციალური პროცესების სისტემური ანალიზისას, სხვადასხვა მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „რბილი სისტემების“ მეთოდოლოგიას, რომლის ავტორია ცნობილი ინგლისელი მეცნიერი პიტერ ჩეკლანდი. ჩეკლანდი თავის თეორიებში განიხილავს ადამიანის ორგვარ როლს. ერთი მხრივ ადამიანს, როგორც სამყაროს ნაწილს და მეორე მხრივ ადამიანს, როგორც მოაზროვნე სუბიექტს, რომელსაც შეუძლია გამოყოს თავის თავი სამყაროდან და ჩამოაყალიბოს აზრობრივი კონსტრუქცია და მეთოდიკა სამყაროს შესახებ. „რბილი სისტემის“ მიხედვით სისტემის საფუძველს ქმნის დიფუზიურ-დისიპათიური პროცესები და სოციალური სისტემების თვითორგანიზება ხდება არა ფუნქციური კავშირების, არამედ რესურსულ უზრუნველყოფის დიფუზიური პროცესების საფუძველზე. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ვ. ხიცენკო (1993) ასკვნის, რომ „რთული სისტემები შეიძლება გადარჩნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ არ შევეცდებით ისინი ვაკონტროლოთ და ვმართოთ ცენტრალიზებულად. „ზემოთ“ ცოდნის კონცენტრაციას მივყავართ ან სისტემის განადგურებისკენ ან არაეფექტურ, ავტორიტარულ მართველობისკენ. ფასეულია მხოლოდ გადანაწილებული ცოდნა და მხოლოდ ასეთ შეთხვევაში ხდება თვითორგანიზება“ (стр. 49).

თვითორგანიზება, რომლის საფუძველზეც ხდება სისტემის პარამეტრების ცვლილება, არის პასუხი სხვა, როგორც წესი, მმართველობითი სისტემის მიერ განხორციელებულ ზემოქმედებაზე. თვითორგანიზების პროცესში სისტემის

სტრუქტურა აგრძელებს თვითგანვითარებას. ადგილობრივი თანასაზოგადოების მაგალითზე, იცვლება მისი შიდა სოციალური კავშირების ხასიათი. ზოგიერთი კავშირი კარგავს თავის დომინანტურ პოზიციას და ზოგიერთი სახის სოციალური კავშირი კი პირიქით, გადმოდის წამყვან პოზიციაზე. მაგალითად, საბჭოთა საზოგადოებისათვის წამყვან როლს თამაშობდა ფუნქციონალური კავშირები (საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება). საბჭოთა წყობილების რღვევასთან ერთად თანდათანობით მოიშალა ეს ფუნქციონალური კავშირები და იგი ჩანაცვლდა ნათესაური, ქონებრივი თუ საერთო ხედვებიდან გამომდინარე სოციალური კავშირებით. ამდენად, გარეგან ზემოქმედებაზე სოციალური სისტემის თვითორგანიზაცია შეიძლება მიმართული იყოს არა მხოლოდ სისტემის განვითარების, არამედ სისტემის თვითლიკვიდაციის მიმართულებითაც, რისი არაერთი მაგალითი გვაქვს ახლო წარსულში. ნახტომისებური ცვლილების დროს მმართველობითი სისტემა, რომელიც ეფუძნება ხაზობრივ განვითარებას, ხდება არაეფექტური და რეალობას მოწყვეტილი. ამიტომაც იყო, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად საბჭოურმა ტრადიციულმა ფუნქციონალურმა მმართველობით სისტემამ განიცადა კრახი. „რბილი სისტემების“ გაუთვალისწინებლობამ განაპირობა მმართველობითი ქაოსი, რადგან რბილი სისტემები არ იმართებიან იერარქიული პრინციპით. შესაბამისად, ცენტრალიზებულ მმართველობაში თვითმმართველობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ შექმნილ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად ასევე აუცილებლად საჭიროებდა თვითორგანიზებად საფუძველს თანასაზოგადოების სახით, აღმოჩნდა ამ ტიპის მართვის შეუთავსებელი ფორმა. დღეს საკმაოდ მოდურია და ხშირად ვიყენებთ ტერმინს „მდგრადი განვითარება“. ეს ტერმინი გამოიყენება როგორც საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის, ისე რეგიონების, ქალაქების და მთლიანად ქვეყნის მიმართაც. ნ. მოისეევის (1998) აზრით „მდგრადი განვითარება პრინციპში შეუძლებელია არსებობდეს“ (стр. 116). სოციალური სისტემების კვლევა აჩვენებს, რომ მდგრადობის და გაუწონასწორობის კავშირისას სწორედ გაუწონასწორობა ახდენს რეალურ გავლენას სისტემაზე. ადგილობრივი თანასაზოგადოებასთან

მიმართებაშიც გაუწონასწორებელი მდგომარეობა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის განაპირობებს სოციალური ფენების, პოლიტიკური პრულარიზმისა და ეკონომიკური კონკურენციის გაჩენას. აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სისტემის ცვალებადობა ხასიათდება მისი სტრუქტურის მდგრადობისა და არამდგრადობის (გაუწონასწორებლობის) ერთიანობით. ადგილობრივი თანასაზოგადოებაც ერთდროულად არის მდგრადიც და გაუწონასწორებელიც, რაც ამ სისტემას ახასიათებს როგორც არახაზობრივს. ზოგადი განმარტებით „არახაზობრიობა“ წარმოადგენს სისტემის თვისებას გააჩნდეს თავის სტრუქტურაში ამ სისტემის მოქმედებასთან შესაბამისი სხვადასხვა სტაციონარული მდგომარეობა. ანუ, არახაზობრივი სისტემას შეუძლია გარეგანი ზემოქმედების პასუხად გადაიხაროს თავისი სტაციონარული მდგომარეობიდან ნებისმიერი მიმართულებით. სისტემის სტაციონარული მდგომარეობა ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მდგრადი (ზეგავლენით გამოწვეული მცირეოდენი გადახრის შემდეგ დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას), ხოლო მეორე შემთხვევაში არამდგრადი (როცა სტაციონარული მდგომარეობიდან გადახრა დროთა განმავლობაში უფრო იზრდება).

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არახაზობრივ სისტემებში მრავალრიცხოვანი გაუწონასწორებელი მდგომარეობისას შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს თუ რა მიმართულებით იმოქმედებს სისტემა. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია სოციალური სისტემებისთვის, რომლის მიმართ საკმაოდ სარისკოა პროგნოზების გაკეთება გამოცდილების საფუძველზე. თანასაზოგადოებაც წარმოადგენს ტიპიურ არახაზობრივ სისტემას და არსებული პრაქტიკაც აჩვენებს, რომ მის მიმართ გაკეთებული სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროგნოზები უმეტეს შემთხვევაში არასწორია. არახაზობრიობა იმავდროულად მიუთითებს სისტემის ცვლილების პოტენციურობაზე, ცვლილების შესაძლებლობაზე თუმცა არახაზობრივ სისტემებშიც ურთიერთგანსხვავებული სტაციონალური მდგომარეობა ერთდროულად ვერ იარსებებს. ერთი მდგომარეობა არსებობს რეალურად, ხოლო მისგან განსხვავებული მდგომარეობა მხოლოდ

პოტენციურად, რომელიც გარკვეული პირობების შემთხვევაში შეიძლება რეალურად დადგეს. ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღებით მოხდა დემოკრატიული ინსტიტუტის დაკანონება, მაგრამ ცენტრალიზებული მართვის სისტემის პირობებში მან მიიღო დემოკრატიული ანტურაჟის სახე. ამიტომ, მართვის სისტემის ცვლილების გარეშე თვითმმართველობა არსებობს მხოლოდ პოტენციურად და არა რეალურად. „არახაზობრივი სისტემა ხასიათდება არა მხოლოდ არსებული თვისებებითა და სტრუქტურებით (აქტუალური სტრუქტურა), არამედ ერთმანეთთან ალტერნატიულ მდგომარეობაში მყოფი პოტენციური სტრუქტურების კრებულით“ (Василькова, В.В. 1999. стр. 108-109).

პოტენციური სტრუქტურების აქტუალიზაცია უპირველესად დაკავშირებულია სისტემის შიგნით პროცესების გააქტიურებასთან, თვითმმართველობის შემთხვევაში - თანასაზოგადოების აქტიურობასთან. „განვითარება მოიცავს როგორც ევოლუციას, ასევე ახალ პოტენციურ სტრუქტურების წარმოშობას. ამიტომ განვითარება ხასიათდება შესაძლო ფორმების მრავალგვარობით, გაურკვევლობის მაღალი ხარისხით, სირთულით და შინაგანი იმპულსების სიმრავლით“ (Костюк, В.Н. 1993. стр. 96). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა პოტენციური მდგომარეობიდან აქტუალურ მდგომარეობაზე გადასვლის პროცესი. ეს პროცესი დაკავშირებულია კრიტიკულ ან როგორც მას სინერგეტიკოსები უწოდებენ ბიფურკაციის წერტილთან. არამდგრად მდგომარეობაში მცირე ოდენობის ფლუქტაციაც შეიძლება იყოს საკმარისი სისტემის ევოლუციური გადასვლისათვის. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის არის შესაძლებელი მცირე ზემოქმედებით მოხდეს სისტემის გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. მით უმეტეს ძალიან რთული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიცაა ევოლუციის მიმართულების პროგნოზირება, რადგან სისტემის მიერ ახალ მდგომარეობაში გადასვლა შეიძლება მოხდეს სრულიად გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი მიმართულებით. ამ შემთხვევაში დეტერმინიზმის კანონები არ მოქმედებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ სიტუაციაში განსხვავებულია ხაზობრივი და არახაზობრივი სისტემების რეაქციაც.

ხაზობრივ სისტემებში, როგორც წესი, ერთი პარამეტრის გაუმჯობესება იწვევს მთლიანად სისტემის მდგრადობის ზრდას. არახაზობრივ სისტემებში კი საკმაოდ ძლიერია ცვლილების პროცესში წინა მდგომარეობაზე დაბრუნების ტენდენცია. ეს კარგად ჩანს დღევანდელი საზოგადოების მაგალითზე, როცა სისტემაში არსებული ცვლილებებით სისტემის შესვლა ბიფურკაციის წერტილში იწვევს არა ახალ საფეხურზე გადასვლას, არამედ უკუსვლას და წარსულ რეჟიმზე დაბრუნების ტენდენციის გაძლიერებას. როგორც ზემოთ განვიხილეთ, კლასიკური სოციოლოგია და კიბერნეტიკა წესრიგს უკავშირებენ შემთხვევითობის გამორიცხვას, ხოლო სისტემური მიდგომა მიმართულია სისტემის მთლიანობის შენარჩუნებისკენ. მათგან განსხვავებით პოსტარაკლასიკური მეცნიერული თეორიები და უპირველეს ყოვლისა სინერგეტიკა სოციალურ პროცესების ანალიზისას მოიცავს თვითორგანიზაციის ყველა ეტაპს, სოციალური პროცესის ყველა ციკლს მისი წარმოშობიდან განვითარებისა და დაშლისაკენ.

სინერგეტიკის პრინციპი გულისხმობს, რომ მართველობითი ზემოქმედება შეიძლება იყოს ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმდენად, რამდენადაც ეს ზემოქმედება შეესაბამება სისტემის თვითორგანიზების შინაგან ტენდენციებს. სინერგეტიკის ფუძემდებლური პრინციპია, რომ შეუძლებელია რთულ სისტემებს თავს მოვახვიოთ განვითარების მიმართულება, რადგან ზემოქმედების ხაზი ვერ შეცვლის და ვერ ჩაენაცვლება ევოლუციის ხაზს. ასევე აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს სრული თავისუფლება სისტემის მიერ მოქმედების ალტერნატიული მოდელების რეალიზებისას. ცოცხალი სისტემა მით უფრო მდგრადია, რამდენადაც ნაკლებად არის დამოკიდებული გარეშე პირობებზე. სოციალური ევოლუცია მიმართულია მუდმივად ცვალებად გარემოში დეზორგანიზაციის დაძლევასა და სისტემის მთლიანობის შენარჩუნებაზე. ამაში მდგომარეობს მისი თვითორგანიზების უნარი. ევოლუციური მოდელი ორიენტირებულია სისტემის გომეოსტაზური მდგომარეობის შენარჩუნებასა და დაბალ თვითორგანიზების დონეზე. მისგან განსხვავებით ბიფურკაციული

მოდელი ორიენტირებულია არამდგრად მდგომარეობაში სისტემის მაღალ თვითორგანიზებასა და გარეშე ზემოქმედების როლის შემცირებაზე.

- **თვითორგანიზება და ორგანიზება**

ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს როგორც სტიქიური თვითორგანიზების, ასევე გააზრებული ორგანიზაციული ქმედების მაგალითს. ამიტომაც, ადგილობრივი თანასაზოგადოების დახასიათებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა გაჩნია ტერმინებს „თვითორგანიზებას“ და „ორგანიზებას“.

სოციალური თვითორგანიზების ზოგადი თეორია დღემდე დისკუსიის საგანია. პირველ რიგში კამათს იწვევს „ორგანიზების“ და „თვითორგანიზების“ პირველადობის საკითხი. ორგანიზაციის სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ა.ი. პრიგოჟინი, რომელიც, მართალია არ უარყოფდა თვითორგანიზების როლს, თვლიდა, რომ ეს მექანიზმი იწყებს მუშაობას მაშინ, როცა არსებობს „ცარიელი“ ადგილები, რომლებიც არ იქნა მოცული მიზანმიმართული ორგანიზაციული საქმიანობით. ა. პრიგოჟინის (1995) აზრით, „ორგანიზების არ არსებობა არ ნიშნავს სრულ უმართაობას. მართვის მექანიზმი ამ შემთხვევაში იგება სპონტანური რეგულატორების ურთიერთქმედების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ სოციალური სისტემის ფუნქციონირების ბუნებრივ პროდუქტს“ (стр. 356). ამ მსჯელობიდან გამოდის, რომ თვითორგანიზაცია დგას მეორე პლანზე და მხოლოდ მაშინ იჩენს თავს თუ დარჩა მართვისგან თავისუფალი ადგილი. კიდევ უფრო რადიკალურ შეხედულებას გამოთქვამს ს. სივოვა თავის სტატიაში „საჭირდება თუ არა თვითორგანიზებას მართველობითი უზრუნველყოფა“. ს. სივოვას აზრით „თვითორგანიზების წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სერიოზულად მიუდგება ხელმძღვანელი ამ იდეას და ჩაერთვება თუ არა ხელმძღვანელი მის რეალიზებაში“. გამოდის, რომ თვითორგანიზება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სწორად იქნა იგი ორგანიზებული. ამგვარი მიდგომა პრინციპულად ეწინააღმდეგება თვითორგანიზების არსს. საერთო მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით თვითორგანიზება ბუნებრივი პროცესია,

ეს არის მატერიის უსასრულო მოძრაობა ქაოსიდან წესრიგისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, პრიმიტიულიდან მაღალორგანიზებულ თვითგანვითარებად სისტემისკენ. სინერგეტიკის ფუძემდებელი ჰ. ჰაკენი (1991) თვითორგანიზების განმარტებისას წერდა „ჩვენ ვუწოდებთ სისტემას თვითორგანიზებადს, თუ იგი გარეგანი სპეციფიური ჩარევის გარეშე იძენს რაიმე სივრცით ან დროით სტრუქტურას. სპეციფიურ გარეგან ჩარევაში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ქმედებას, რომელიც თავს ახვევს სისტემას სტრუქტურას და უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას. თვითორგანიზების შემთხვევაში სისტემა განიცდის გარედან მხოლოდ არასპეციფიურ გავლენას“ (стр. 28-29). ამ განმარტებიდან ნათელია, რომ სისტემა, რომელიც იქმნება და მუდმივად ითხოვს გარე ორგანიზებას, ვერ ჩაითვლება თვითორგანიზებულ სისტემად.

სინერგეტიკამ ბოლო პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა და დაუპირისპირდა მანამდე არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს. ცნობილი მეცნიერების ე.ნ. კნიაზევისა და ს.პ. კურდიუმოვის (1998) აზრით „სინერგეტიკა წარმოადგენს კოევოლუციისა და რთული სისტემების თვითორგანიზების თეორიას“ (стр. 8). მიუხედავად იმისა, რომ სინერგეტიკის ფუძემდებლები ჰ. ჰაკენი და ი. პრიგოჟინი ძირითადად იკვლევდნენ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს და ნაკლებად სოციალურ სფეროებს, მათ კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა სოციალური თვითორგანიზების ზოგადი თეორია. „მართალია სინერგეტიკა წარმოიშვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, მე ყოველთვის წარმომადგინა, რომ მისი უმთავრესი თანმდევი შესაძლებლობები შეეხება ადამიანის სპეციფიკურ და სოციალურ პროცესებს. აქ ჩვენთვის იხსნება ფართო არეალი ახალი კვლევებისთვის“ (Хакен, Г. 2000. стр. 12). ამავე დროს, საგულისხმოა, რომ, როგორც ეს ფიზიკურ პროცესებზე კვლევით დამტკიცდა, თვითორგანიზება დამახასიათებელია არა მხოლოდ საზოგადოებისათვის, არამედ დევს ყველა არსებულის საფუძველში „დაწყებული ატომიდან დამთავრებული გალაქტიკითა და სამყაროთი“ (Газарян, А.1997. стр. 36).

თვითორგანიზების ცნების განმარტება საკმაოდ მრავალფეროვანია. „თვითორგანიზებად მიიჩნევა რთულ არახაზობრივ სისტემების სივრცით-დროით სტრუქტურაში წარმოშობილი პროცესები, რომლებიც იმყოფებიან წონასწორობიდან დაშორებით კრიტიკული წერტილის (ბიფურკაციის წერტილის) სიახლოვეს, რომლის ირგვლივაც სისტემის მოქმედება ხდება გაუწონასწორებელი. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ამ წერტილში სისტემამ სრულიად უმნიშვნელო ფლუქტუაციის გავლენის შედეგადაც კი შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს თავის მდგომარეობა“ (Аршинов, В.И. 1999. стр. 84). „თვითორგანიზება ეს არის პროცესი, რომელშიც იქმნება და წარმოიშვება მაღალი დონის სირთულისა და მრავალ ელემენტისაგან შემდგარი სისტემა, რომლის შემადგენელ ელემენტებს შორის არის არა ხისტი, არამედ ალბათური ხასიათის კავშირები“ (Егоров, В.С. 1994. стр. 30). „თვითორგანიზებაში ჩვენ გვესმის კოოპერატიულად დაკავშირებული ქვესისტემების მიერ გამოწვეული შეუქცევადი პროცესი, რომელიც მიმართულია უფრო ეფექტური სტრუქტურების შექმნისაკენ. თვითორგანიზებადი სისტემების ევოლუცია თელეოლოგიურია იმ გაგებით, რომ საგნების, ენერგიისა და ინფორმაციის დინამიკით საკუთარი თავი თავად მიჰყავს უფრო სრულყოფილი (ეფექტური) სტრუქტურისკენ“ (Данилец, А. н/д). „თვითორგანიზება ეს არის სტრუქტურის გამოხატვა იმ სისტემაში, რომელიც არ განიცდის მიზანმიმართულ გარეშე ზემოქმედებას (მიზანმიმართულ ზემოქმედებაში იგულისხმება ისეთი ჩარევა, რომელიც სისტემას თავს ახვევს იმ სტრუქტურას რომელიც მასში იქმნება)“ (Печенкин, А.А.1994. стр. 259).

ამ განმარტებების განზოგადებით ვ. ლ. რომანოვი (2000. стр. 36) თავის ნაშრომში „სოციალური თვითორგანიზება და სახელმწიფოებრიობა“ აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. თვითორგანიზაცია არის ახალი სისტემის შექმნის პროცესი. ეს სისტემა ან წარმოიქმნება ხელახლა, ან წარმოიშვება სხვა არსებული სისტემის ელემენტების ხარჯზე;

2. საწყისი მდგომარეობის ტრანსფორმაცია ხდება უკიდურესი გაუწონასწორებლობის მდგომარეობის დროს, როცა სისტემა ხდება უაღრესად მგრძნობიარე თვით უმნიშვნელო ზემოქმედების მიმართაც;
3. გაუწონასწორებელ მდგომარეობიდან არსებობს გამოსვლის რამოდენიმე ვარიანტი. ამ გამოსავალს პოულობს თავად სისტემა გარეგანი ჩარევისა და დაპროგრამების გარეშე;
4. ახლად შექმნილ (ტრანსფორმირებულ) სისტემა არის უფრო მაღალი დონის სირთულის და უფრო აქტიური ძველ სისტემასთან შედარებით.

ამდენად, სოციალური თვითორგანიზება არის ნებისმიერი სოციალური სისტემისათვის დამახასიათებელი სპონტანური პროცესი, რომელიც მიმართულია ერთდროულად როგორც სისტემის თვითშენარჩუნების, ისე სისტემის განვითარებისაკენ. თვითორგანიზებაზე შეიძლება ზემოქმედებდეს მხოლოდ არამიზანმიმართული გარემო პირობები. თვითორგანიზაცია არის რთული სისტემების ევოლუციის ძირითადი პროცესი, რომელიც შედგება თვითორგანიზების შეუქცევადი თანმიმდევრული (ციკლური) პროცესებისაგან და მისთვის არ არის საჭირო გარე ან ზესისტემური მიზანმიმართულება. ნებისმიერი თვითორგანიზაციისა და ევოლუციის პირობებია:

ა) ენერგიის ნაკადი დინამიკურ სისტემაში;

ბ) ჰეტეროგენობა, სისტემის მრავალფეროვნება;

გ) შერჩევა - ელიმინირება ან წუნდებული ქვესისტემებისა და ელემენტების მოშლა.

რაც შეეხება ტერმინ „ორგანიზაციას“ მას გააჩნია ორგვარი გაგება: დინამიკური და სტატიკური. სტატიკური გაგებით ტერმინი „ორგანიზაცია“ გამომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „organization“, რაც ნიშნავს აგებას, რაიმეს მოწყობას. ანუ ორგანიზაცია განიმარტება, როგორც შინაგანი წესრიგი, შეთანხმება, მთლიანის შემადგენელი ნაწილების ურთიერთთანაწყობა. დინამიკური გაგებით ტერმინი „ორგანიზაცია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „organiso“ (ვაწყობ), ანუ ორგანიზაცია განისაზღვრება როგორც პროცესების ან მოქმედებების

ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მთლიანის შემადგენელი ნაწილების ურთიერთდაკავშირების შექმნის ან განვითარებისაკენ. ამდენად, ორგანიზაცია სტატიკური გაგებით მოიცავს ინსტიტუტის შინაგან აგებულებას, მის სტრუქტურას. თვითორგანიზებასთან მიმართებით, კი განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ტერმინის დინამიკური გაგება, რადგან სწორედ ამგვარი გაგებით შეიძლება მოხდეს ამ ორი ტერმინის ურთიერთშედარება.

„ორგანიზაციის“ ცნების შესწავლისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ა. ბოგდანოვის (1989) ცნობილ ნაშრომს „ტექტოლოგია. საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერება“ (Тектология. Всеобщая организационная наука). ბოგდანოვის მიხედვით ორგანიზაცია არ გულისხმობს სუბიექტების არსებობას. ტექტოლოგიის საფუძველს ქმნის იდეა სისტემების შექმნის პროცესის საყოველთაო ორგანიზაციის შესახებ. საყოველთაობა განაპირობებს ამ პროცესების ერთიანობას, რომელიც მოიცავს აბსოლუტურად ყველაფერს დაწყებული არაორგანული მიკროსამყაროდან დამთავრებული კაცობრიობით და მეგასამყაროთი. ამიტომ, ბოგდანოვის მიერ „თვითორგანიზაცია“ და „ორგანიზაცია“ ერთმანეთისგან არ იმიჯნება და იგი არ წარმოადგენს ურთიერთგანსხვავებულ (ურთიერთდაპირისპირებულ) პროცესს. ა. ბოგდანოვი ორგანიზებას, გამომდინარე ორგანიზმის ბიოლოგიური გაგებიდან, ახასიათებს, როგორც „მთელს“, რომელიც მეტია მისი შემადგენელი ნაწილების ჯამზე. თანამედროვე გაგებით ამ ეფექტს ეწოდება სინერგია, რაც ითვლება სისტემის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად. ამ ეფექტის ანალიზისას ა. ბოგდანოვი განმარტავს ორგანიზებისა და დეზორგანიზების ცნებებს. მისი მოსაზრებით სინერგია წარმოიშვება მაშინ, როცა აქტიობის ჯამი მეტია წინააღმდეგობის ჯამზე. საპირისპირო შემთხვევაში, როცა წინააღმდეგობის ჯამი აჭარბებს აქტიობის ჯამს, ადგილი აქვს დეზორგანიზაციას. იმ შემთხვევაში თუ აქტიობა აწონასწორებს წინააღმდეგობა-ზემოქმედებას, ბოგდანოვი ასეთ მდგომარეობას უწოდებს ნეიტრალურ კომპლექსს, რომელიც შეიძლება იმართოს, განვითარდეს ან შეიცვალოს.

ა.ი. პრიგოჟინი (1995), რომელიც ანვითარებს ა. ბოგდანოვის მოსაზრებებს ასკვნის, რომ „ორგანიზება არის სისტემის მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს გარეგანი ან შინაგანი ზემოქმედების (წინააღმდეგობის) შემთხვევაში მოახდინოს თვითრეგულირება და მისადაგება. ამ პროცესში მიზნიდან გადახვევა წარმოადგენს არა შეცდომას, არამედ სისტემის ბუნებრივ თვისებას რეაგირება მოახდინოს არსებულ დაუგეგმავ სტიქიურ ფაქტორებზე“ (стр. 93). ორგანიზების ასეთი ახსნა ესადაგება სოციალური პროცესების იმგვარ გაგებას, სადაც თვითორგანიზება კი არ გამოირიცხება, არამედ მას ენიჭება საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი. ამავდროულად, ორგანიზებაზე საუბრისას ყოველთვის იგულისხმება მიზანმიმართული მოქმედება, პროცესის წინასწარი დაგეგმვა ან ამ პროცესის მისადაგება კანონზომიერ პროცესებთან, რომელიც წინასწარ განისაზღვრება სუბიექტის მიერ. ანუ, ორგანიზების დროს აშკარად ჩანს პიროვნების როლი. მაგრამ, როცა საუბარია თვითორგანიზებაზე, თვითრეგულირებად სისტემებზე, ერთი შეხედვით ამ პროცესებიდან პიროვნება გამოირიცხება. ცხადია, ასეთი გაგება არ არის მართებული. თვითორგანიზების ზოგადი თეორია არა თუ გამორიცხავს პიროვნების როლს, არამედ „სამყაროს სინერგეტიკული გაგება ადამიანს განიხილავს, როგორც ბუნების თვითშემეცნების ორგანოდ. შესაბამისად საზოგადოება არის ბუნების შემადგენელი უნიკალური ნაწილი“ (Егоров, В.С. 1999. стр. 78).

ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს თვითორგანიზებად სისტემას. თვითორგანიზების მექანიზმი მოიცავს არა მხოლოდ სოციალურ, პოლიტიკურ ან სამეურნეო საკითხებს, არამედ სულიერ, ფსიქოლოგიურ და დემოგრაფიულ სფეროებსაც. ტრადიციები, ადათი, ზნეობრივი ნორმები და თავად სახელმწიფოც არის საზოგადოების თვითორგანიზების პროდუქტი. ამ თვალსაზრისით ტერიტორიული ერთობა არსებითად განსხვავდება ორგანიზებისგან და მისი უმთავრესი მახასიათებელია ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის თვითორგანიზებადი ბუნება.

თავი III. ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების ძირითადი ასპექტები

მდგრადი ერთობის ჩამოყალიბებას, როგორც წესი, სჭირდება დიდი დრო. ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირება უშუალოდაა დაკავშირებული სოციალურ-ტერიტორიული ერთობის ფორმირებასთან, თუმცა მთლიანად იგივე არ არის. ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირება შესაძლებელია ორი გზით: ბუნებრივი და ხელოვნური ფორმით.

<u>ბუნებრივი გზა</u> გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მიერ ერთობის გაცნობიერებას და სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებას გარეშე (პოლიტიკური ან ხელისუფლების სტრუქტურების) ჩარევის გარეშე. ასეთი სახით ჩამოყალიბებული თანასაზოგადოება შეკრულია და გააჩნია როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური (პროტესტის) მოქმედების კოლექტიური უნარი. ასეთ თანასაზოგადოების მართვა შესაძლებელია მხოლოდ ჰორიზონტალური კავშირებით, დიალოგითა და თანამშრომლობით.

<u>ხელოვნური გზით</u> ადგილობრივი თანასაზოგადოება იქმნება წინაპირობების გარეშე პოლიტიკური გადაწყვეტილების ძალით. ასეთ თანასაზოგადოების წევრები ნაკლებად დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე და შესაბამისად ნაკლებია სოლიდარობის გრძნობა. მათ არ გააჩნიათ არც ტრადიცია, არც საერთო ღირებულებები, არიან ჩაკეტილნი საკუთარ პირად ან ოჯახური ინტერესებით, არ არიან განწყობილნი ერთობლივი საქმიანობისთვის და აპათიური დამოკიდებულება გააჩნიათ საცხოვრებელ ტერიტორიის პრობლემების მიმართ. ამის მაგალითები უხვად იყო საბჭოთა კავშირში, როცა მოსახლეობის ჩასახლებებით ხდებოდა დასახლების სამრეწველო ქალაქებად გარდაქმნა (მაგ., ქ. რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა, ტყიბული). ამ ქალაქებში ჩასახლებული პირები ნაკლებად აღიქვამდნენ თავს ქალაქის თანასაზოგადოების წევრებად, თუმცა დროთა განმავლობაში განიცადეს ადაპტაცია და თანდათანობით წაიშალა ზღვარი მკვიდრ და ჩამოსახლებულ მოსახლეობას შორის.

ერთმანეთისგან განსხვავდება საქალაქო და სასოფლო თანასაზოგადოებები. ქალაქის თანასაზოგადოება ხასიათდება საქმიანობის მრავალფეროვნებით. ამასთან, რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო რთულია საუბარი ერთიან ქალაქის თანასაზოგადოებაზე. სოფლის თანასაზოგადოება არის უფრო კონსერვატორული და ჩაკეტილი. სოფლის თანასაზოგადოებაში განვითარებულია მეზობლური კავშირები, რაც გამყარებულია ყოველდღიური ურთიერთობებით, ერთგვაროვანი საქმიანობითა და ცხოვრების წესით. ქალაქის თანასაზოგადოება, როგორც წესი შედგება ჯგუფებისაგან, რომელთაც გააჩნიათ თავის ტერიტორია (თუნდაც არაფორმალური) და რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სოციალური შემადგენლობით, ისე კულტურითა და ცხოვრების წესით. ჯგუფებს შორის განსხვავება კარგად ჩანს თვითმმართველობასთან მიმართებაშიც. ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან:

- თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის ფორმებით და ხარისხით;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მოტივაციით;
- ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისას სოლიდარობის ხარისხით;
- ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის ხარისხით და ურთიერთთანადგომის უნარით და სხვ.

ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირება დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან. ამ ფაქტორებიდან მეცნიერთა ნაწილი (Симагин, Ю.А. 2004. стр. 231) ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს, რომელსაც მიეკუთვნება საზოგადოების განვითარების დონე, სატრანსპორტო ქსელი, მოსახლეობის შემოსავლები, მოსახლეობის შემადგენლობა, დემოგრაფია, ეკოლოგიური მდგომარეობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ისტორიული განვითარების სპეციფიკა. მაგრამ, ალბათ უფრო მიზანშეწონილია ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების ფაქტორების დაყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. **ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი,** რომელიც მოიცავს ადგილობრივი თანასაზოგადოების ტერიტორიის გეოგრაფიულ მდებარეობას (ცენტრი - პერიფერია), კლიმატური პირობები, ტერიტორიის ფართობი და სხვ.
2. **ეკონომიკური ფაქტორი,** რომელსაც განეკუთვნება დომინირებული მეურნეობის ტიპი, მეურნეობის ეფექტიანობა, საგადასახადო ბაზა და ადგილობრივი შემოსავლების ოდენობა, საინვესტიციო მიმზიდველობა, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის დონე და სხვ.
3. **ინფრასტრუქტურული ფაქტორი,** რომელიც მოიცავს ადგილობრივი თანასაზოგადოებისათვის სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების ხელმისაწვდომობას, ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს და მის მდგომარეობას
4. **პოლიტიკური ფაქტორი,** დაკავშირებულია ადგილობრივ პოლიტიკურ მდგომარეობასთან, პოლიტიკურ ელიტის არსებობასთან, ელექტორალურ აქტიობასთან, ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტათა ურთიერთობასთან, ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციათა საქმიანობასთან
5. **ისტორიული ფაქტორი** გულისხმობს ადგილობრივი თანასაზოგადოების შექმნისა და განვითარების მიზეზებს და ისტორიას
6. **სოციალური ფაქტორი** ეხება მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს, თანასაზოგადოების წევრთა განათლების დონეს, დემოგრაფიულ მდგომარეობას, მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას, მოსახლეობის შემოსავლებისა და მოხმარების თანაფარდობას
7. **კულტურული ფაქტორი** მოიცავს ტრადიციებს, ადათებს, წეს-ჩვეულებებს, თვითმმართველობით უნარებს.

ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირება საკმაოდ ხანგძლივი და რთული პროცესია. ამ პროცესზე გავლენას ახდენენ როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, ტერიტორიული და სხვა ფაქტორები. ამასთან, ეს ფაქტორები ზემოქმედებენ როგორც მაკრო (ყველა

თანასაზოგადოებისათვის) ისე მიკრო (კონკრეტული თანასაზოგადოებისათვის) დონეზე. იდეალურ სიტუაციაში პროცესი უნდა მომდინარეობდეს თანასაზოგადოების შიგნიდან, თუმცა ეს არ გამორიცხავს გარედან (სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან) ზემოქმედებასაც. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი და პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირებისათვის აუცილებელია:

- ადგილობრივ მოსახლეობაში ჩამოყალიბდეს და მხარდაჭერილ იქნეს საერთო ინტერესები ადგილობრივ აქტუალურ პრობლემებზე;
- საერთო ინტერესები იქნეს გამყარებული მათი რეალიზების მზადყოფნით;
- საერთო ინტერესების განხორციელების ფორმები და გზები იყოს შესრულებადი;
- არსებობდეს კოლექტიური ნება თანასაზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით გადასაწყვეტად;
- თანასაზოგადოების წევრები არ იყვნენ ერთმანეთის მიმართ იურიდიულად ან ეკონომიკურად დამოკიდებულნი, რათა მათ შეეძლოთ თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილებისა და აღსრულების პროცესში მონაწილეობა.

ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების სპეციფიკა და მასზე ზემოქმედების ფაქტორები, საერთო ინტერესები და მოთხოვნილებები განაპირობებენ როგორც თანასაზოგადოების, ასევე თანასაზოგადოების შიგნით სოციალური ჯგუფების არსებობას. ეს მოთხოვნები და ინტერესები შეიძლება დავყოთ საერთო და ჯგუფურ ინტერესებად და მოთხოვნილებად.

ადგილობრივი თანასაზოგადოების საერთო მოთხოვნილებას წარმოადგენს სასიკეთო გარემო პირობების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების არსებობა, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა და სხვ. ამას გარდა, თანასაზოგადოების შიგნით არსებულ სოციალურ ჯგუფებს შეიძლება

გააჩნდეთ სპეციფიური ინტერესები და მოთხოვნილებები, რომელთა შესასრულებლადაც მიემართება ამ ჯგუფის ძალისხმევა. ამიტომ, საზოგადოებრივი ურთიერთობები განეკუთვნებიან რთულად ორგანიზებად და წინააღმდეგობრივ ურთიერთობათა კატეგორიას, რაც განაპირობებს ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების, ღირებულებებისა და მოთხოვნილებების პერმანენტულად შეთანხმების აუცილებლობას. სხვადასხვა მიმართულების კერძო ინტერესების კოორდინაციის საჭიროება წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზმის ფუნქციონირების განუყოფელ კომპონენტს, რომელიც კოლექტივში ბუნებრივად წარმოშობს ხელისუფლებით ურთიერთობებს. ვ. ჩირკინი (2005. стр. 170) მიუთითებს ორ ძირითად ფაქტორზე, რომლებიც განაპირობებენ ტერიტორიულ ერთობაში ასეთი ტიპის ურთიერთობების წარმოშობას:

1) საერთო ინტერესების რეალიზების მიზნით გაერთიანების მოთხოვნილება;

2) პირად, ჯგუფურ და საერთო ინტერესების ასიმეტრიულობა.

სოციალური სივრცის ფარგლებში კერძო ინტერესები წარმოადგენენ კონკრეტული პირის ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესებს, რომელთა რეალიზებაც ემსახურება შესაბამისად კონკრეტული პირის ან ჯგუფის ინტერესთა დაკმაყოფილებას. კერძო ინტერესთა კოოპერირება შესაძლებელია მხოლოდ საერთო ინტერესების არსებობის შემთხვევაში. სოციოლოგ დ. დიუის (2002) აზრით „შედეგებთან დამოკიდებულება წარმოშობს ინტერესთა ერთობას“ (стр. 29). სწორედ ინტერესთა ერთობა განაპირობებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდგრადობას და აყალიბებს საზოგადოებრივ ინტერესს.

ამ თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ინტერესი წარმოჩინდება, როგორც სხვადასხვა კერძო ინტერესების სტრუქტურული გაერთიანება საერთო ინტერესად, რომელიც მიმართულია სოციალური ერთობის შენარჩუნებისკენ.

თავი IV. ადგილობრივი თანასაზოგადოების ისტორიული ასპექტები

ტერიტორიასთან დაკავშირებული ადგილობრივი თანასაზოგადოება, კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სოციალური ინსტიტუტია. როგორც ამაზე მიუთითებდა რენე დიუბო, „100 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა დედამიწაზე გვიანი პალეოლოთიდან დღემდე და მათმა უმრავლესობამ თავისი ცხოვრება გაატარა მცირე, არა უმეტეს რამოდენიმე ასეულ ადამიანთა ჯგუფში. თანასაზოგადოება იმდენად დიდი ხანია არსებობს, რომ იგი ადამიანის გენების დონეზეა გამყარებული. თანამედროვე ადამიანი დღემდე განიცდის ბიოლოგიურ მოთხოვნილებას იყოს თანასაზოგადოების ნაწილი“ (Carey Phil & Sutton Sue 2004. pp. 123-134). ამიტომაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობის ისტორია, ეს არის ადამიანთა ურთიერთობებისა და ერთობლივი საქმიანობის ისტორია. სწორედ ადამიანთა თანაცხოვრება წარმოადგენს „კაცობრიობის ცივილიზაციის ევოლუციისა და გადარჩენის აუცილებელ პირობას, რომელშიც განსაკუთრებული როლი აკისრია ადგილობრივი თანასაზოგადოების ინსტიტუტს“ (Синицына, Е. н/д).

ადგილობრივი თანასაზოგადოების პირველადი ფორმა იყო სისხლით ნათესაობით კავშირებზე დამყარებული სოციალური ერთობა. შესაბამისად, ასეთი ერთობა წარმოადგენდა ჩაკეტილ სოციალურ ჯგუფს, რომელსაც გააჩნდა ერთობლივი ქონება, ეწეოდა ერთობლივ საქმიანობას და ახდენდა ერთობლივი შრომის შედეგად მიღებული პროდუქტის ჯგუფის წევრებს შორის განაწილებას. ერთობის პირველადი უჯრედი იყო ოჯახი, რომელიც მის ახლო ნათესავ ოჯახებთან ქმნიდა უფრო მსხვილ გაერთიანებას. ეს გაერთიანებები, თავის მხრივ, ასევე ნათესაურ კავშირებიდან გამომდინარე აყალიბებდნენ საგვარეულო და ტომობრივ გაერთიანებას. ასეთი, თანდათანობითი გაერთიანებების რეტროსპექტივა კარგად ჩანს ხევსურეთის, როგორც ტომობრივი გართიანების ხასიათის თემის მაგალითზე. „ხევსურეთის თემის მოსახლეობა ორგანიზებული იყო საგვარო, სამამო და საძმო თემების სახით. საგვარო აერთიანებდა ერთი გვარის

წარმომადგენლებს. გვარის რამდენიმე თაობა ერთ მამას შეადენდა და ამავე დროს თითოეული გვარი რამდენიმე (3-დან 7-მდე) მამად იყოფოდა, რაც ქმნიდა სამამო გაერთიანებს. სამამო გაერთიანება იყოფოდა საძმო თემებად. საძმო, მოძმე მამების ერთ თემად არსებობას გულისხმობს, ხევსურეთში გავრცელებული ჩვეულებრივი (ვიწრო) გაგებით საძმოა ერთ-ერთი ახალ მამათაგანი, ამდენად შედარებით ახლო ნათესავების ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთს მესაძმოეს უწოდებენ“ (ბარდაველიძე, ვ. 1952. გვ.495-502).

ევოლუციამ, სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარებამ, დასახლებებისა და სახელმწიფოს წარმოშობამ განაპირობა გაერთიანებების ჩამოყალიბებაში სისხლისმიერ ნათესაობის თანდათანობით ჩანაცვლება ტერიტორიული ნიშნით, რომელიც იქცა სოციალური ერთობის მთავარ ნიშნად. ნათესაური კავშირები ჩანაცვლდა სამეზობლო კავშირებით. თუ გვაროვნული გაერთიანება ხასიათდებოდა შრომისა და მოხმარების კოლექტიური წესით, გაერთიანების შემდგომ ფორმაში სათემო საკუთრებასთან ერთად თანდათანობით ყალიბდება და ვითარდება კერძო მიწათმფლობელობა. ამ შემთხვევაში, სოციალური ჯგუფის ფორმირებისას მთავარ პირობად ხდება ტერიტორიული ერთობა და არა ნათესაური კავშირები.

სახელმწიფო ხელისუფლების განვითარებამ ტრადიციულ თანასაზოგადოებას თანდათანობით ჩამოაცილა თანასაზოგადოების წევრთა უსაფრთხოების დაცვის და კონფლიქტის გადაწყვეტის ფუნქცია, ხოლო საწარმოო საშუალებებისა და კერძო საკუთრების განვითარებამ განაპირობა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების არსებობის მიზანშეუწონლობა და თანასაზოგადოების წევრთა ქონებრივი დიფერენციაციის მკვეთრი გაზრდა. ასეთ შემთხვევაში, ნათესაურ ინტერესებზე მაღლა დგება საკუთრებასთან დაკავშირებული ინტერესები. პიროვნება, მისი კეთილდღეობისათვის ურთიერთობებს ამყარებს მისივე წრის (შესაბამისი ქონების მფლობელ) ადამიანებთან, რითაც იგი სცილდება ნათესაურ კავშირებზე დამყარებულ

ერთობას და ხდება საერთო ინტერესების პრინციპზე აგებული სოციალური ჯგუფის წევრი.

ამდენად, ევოლუციამ ერთი მხრივ განაპირობა ტრადიციული, ნათესაურ კავშირებზე აგებული სოციალური ერთობის დაშლა, მაგრამ მეორე მხრივ შექმნა ბევრად უფრო ფართო შესაძლებლობა ჩაკეტილი სოციალური ჯგუფებიდან ღია სოციალურ ერთობათა ჩამოყალიბებისათვის. ამ პროცესმა იმოქმედა ტრადიციული თანასაზოგადოების ისეთ ძირეულ უჯრედის სტატუსზეც, როგორიც არის ოჯახი. საუკუნეების მანძილზე არა პიროვნება, არამედ ოჯახი წარმოადგენდა მთავარ სუბიექტს თემთან თუ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. მას გააჩნდა სოლიდარული პასუხისმგებლობა ოჯახის წევრის ქმედებაზე და წარმოადგენდა მხარეს სამართლებრივ ურთიერთობებში. კერძო საკუთრებამ სამართლის მთავარ სუბიექტად აქცია პიროვნება. თუმცა, ეს პროცესი ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობდა. საქართველოში ოჯახი, კომლი თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე რჩებოდა ძირითად ერთეულად. ამაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე, როცა ერთმანეთს ადარებდა ქართულ ერობასა და რუსულ „мир“-ს. „ყოველისფერი ჩვენს სოფელში კომლზედ არის და ყოფილა უწინაც გაანგარიშებული. თვლაში კომლია, სახელმწიფო და სასოფლო ხარჯი კომლია, ბეგარაში, მამულში, სულ ყველგან იგივე კომლია ანგარიშში. რუსეთში-კი ყოველი ეს თვითოეულს ცალკე სულზეა“ (ჭავაჭავაძე, ი. 1886) და აქვე მიუთითებდა ამ ფორმის უპირატესობაზე:

რუსულ мир-ში, იმის მიზეზით, რომ ყველაფერი სულზეა გაანგარიშებული, თვითოეული კაცი ცალკე ძალაუნებურად სოფლის ჯუქამშია ჩაბმული; წასვლა-მოსვლა მისი დაბრკოლებულია, ყველაფერში — გარეთ სამუშაოზედ წასასვლელადაც-კი — სოფელს უნდა დაეკითხოს, მისი ნებართვა აიღოს; სოფელს შეუძლიან ეგ ნებართვა არ მისცეს და შინ დააბას, იმიტომ რომ იქ ყველაფერის გამძღოლი, სახელმწიფო, თუ სასოფლო ხარჯის მხდელი, სულია და არა კომლი. რაკი სული ბინას მოიშლის, ყველაფერი უნდა მოიშალოს. ამ სახით, იქ თვითოეულის სულის ნება შეკრულია და თითქმის მთლად ღობეშემორტყმული, არც იქით და არც აქეთ გაძვრა არ შეუძლიან სოფლის დაუკითხავად და ნებადაურთველად.

ჩვენში, იმის მიზეზით, რომ ყველაფერი კომლზეა აგებული, თვითოეულ კომლის კაცს ცალკე არაფერი მნიშვნელობა არა აქვს სოფლისათვის, ამიტომაც სრულიად

თავისუფალია, თვისი ძალი და ღონე, როგორც უნდა და სადაც უნდა, იქ ამოქმედოს; ამაში სოფელს არავითარი ნება არა აქვს დააბრკოლოს, ოღონდ კომლი იყოს, იმიტომ რომ აქ ჩვენში ყველაფერის გამძღოლი, სახელმწიფო, თუ სასოფლო ხარჯისა და ბეგარისა, კომლია. რაკი კომლი მოუშლელია, ეკონომიური და საზოგადოებური დედაბოძიც სოფლისა მოუშლელია, თუნდაც სულ, რაც ქუდოსნები არიან კომლში, დაიქსაქსონ თავის ნებისამებრ. აქ, ჩვენში, სოფელი არა ჰხუთავს ცალკე კაცს, თავისუფალს გზას აძლევს, რადგანაც აქ, ჩვენში, სოფლის ჯუქამში მარტო კომლია და არა ცალკე კაცი.

გარდა ამისა, ილიას ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს განსხვავებად მიაჩნია ის, რომ

[რუსეთის мир -ში] თვითოეულის კაცის ცალკე მონაწილეობა სოფლის მამულში არამცთუ მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაცა: ვერავინ ვერ იტყვის უარს წილად ხდომილ მამულის აღებაზედ; ჰსურს, თუ არა ჰსურს, უნდა უსათუოდ აიღოს მამული, რაც და საცა შეხვდება დაყოფვის დროს. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა რუსეთის ერის ერთგვარ თვისებაში, რომელმაც ყველასაგან ცნობილი „იურის დღე“ („Юрьев день“) შეჰქმნა და ამ თვისებამ არამცთუ სოფლის მამულში მონაწილეობა მოვალეობად გახადა, არამედ თითქმის თითონ ბატონ-ყმობაც კი ნაყოფად გამოიბა. ... ჩვენში თავის-დღეში ეგ არ ყოფილა. ჩვენში არამცთუ ცალკე კაცი, თვით კომლიც ამ მოვალეობისაგან დახსნილი იყო: სურდა — აიღებდა მამულს, სურდა — არ აიღებდა.

როგორც ვხედავთ, ილია თავის წერილში უპირატესად წინა პლანზე წევს უფლება-ვალდებულებების საკითხს და კომლს უპირატესობას ამ მიმართებით ანიჭებს. კომლი არის სახელმწიფოს მხრიდან პიროვნებაზე ძალადობიდან დაცვის ერთგვარი ბარიერი და პიროვნების თავისუფალი მოქმედების გარანტი. ილია, საქართველოში კომლის მნიშვნელობას იმითაც ასაბუთებს, რომ:

კომლზედ აგებულმა ჩვენებურმა სოფელმა სხვა გზითაც იჩინა თავისი თავისებურობა. ჩვენი ქვეყანა, უფრო ბევრწილად, და მომეტებულად — რასაკვირველია — ჰავითა და დედამიწის მომცემლობითა, სულ სხვაა, და ამ მხრით თითქმის არაფერში ჰგავს რუსეთსა. ამ ჰავისა და მიწის გამო ჩვენებური მიწათმფლობელობა სოფლისა სხვარიგად წარიმართა. ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრგან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა.

ამიტომაც ძნელია ჩვენის გლეხკაცობისათვის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი

დანაშაულობა, რომელსაც „бродяжничество“ ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „დგმური“, როგორც ზოგიერთს ენაშია. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია.

სამწუხაროდ, როგორც განვლილმა პერიოდმა, ისე დღევანდელმა მდგომარეობამ (როცა ძალზედ ძლიერია სოფლების დაცლის ტენდენცია) გვიჩვენა, რომ კომლმა ვერ შექმნა ვერც თავისუფლების და ვერც სტაბილურობის გარანტი. ინდუსტრიალიზაციის ეპოქამ საბოლოოდ წერტილი დაუსვა კომლის, როგორც სამართლის სუბიექტის არსებობას და ტრადიციული, მრავალთაობიანი, „დიდი“ ოჯახები ჩაანაცვლა „ატომიზირებული“ ოჯახებით (nuclear family).

აქვე უნდა ითქვას, რომ კომლის, როგორც სამართლის სუბიექტის საკითხი ხელახლა განისაზღვრა საბჭოთა პერიოდში, როცა კანონით აღიარებული იქნა საკარმიდამო ნაკვეთზე და დამხმარე მეურნეობაზე საკომლო საკუთრება. თუმცა ამის მიზანი იყო არა კომლის რეაბილიტაცია, არამედ ერთი მხრივ კერძო საკუთრების დაუშვებლობა (ეს ქონება ცხადდებოდა არა კერძო პირის, არამედ ადამიანთა გარკვეული ერთობის - კომლის საკუთრებად), მეორე მხრივ გლეხობის სოფელზე დამაგრება (რის დამატებით ადმინისტრაციულ მექანიზმს გლეხობისათვის პასპორტების ჩამორთმევა წარმოადგენდა), ხოლო საჭიროების შემთხვევაში სოფლებიდან დაუსახლებელი ადგილების ასათვისებლად მოსახლეობის ისე გადასახლება, რომ სოფელში მეურნეობა არ მოშლილიყო. სამწუხაროდ, ინერციით „კომლის“ ტერმინი დღემდეა შემორჩენილი საქართველოს კანონმდებლობაში (საქართველოს კანონიები: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი), თუმცა მას რეალური სამართლებრივი დატვირთვა აღარ გააჩნია.

ამდენად, თუ შევადარებთ პირველყოფილ თანასაზოგადოებას ინდუსტრიალიზმის პერიოდის თანასაზოგადოებას მივიღებთ შემდეგ სურათს:

ცხრილი N1

პირველყოფილი და ინდუსტრიული ეპოქის თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნების ურთერთშედარება

პირველყოფილი თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნები	**ინდუსტრიული ეპოქის თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნები**
1) სისხლისმიერი ნათესაობა, რაც უპირატესად მრავალთაობიანი ოჯახებითა და ნათესაური კავშირებით დაკავშირებული ოჯახების გაერთიანებით გამოიხატებოდა; ოჯახი, კომლი წარმოადგენდა უმთავრეს სუბიექტს;	1) თანასაზოგადოების საფუძველს ქმნის საერთო ინტერესები და არა სისხლისმიერი ნათესაობა. თანასაზოგადოების უმთავრესი სუბიექტია პირი და არა კომლი
2) თანასაზოგადოების „ჩაკეტილი“ ხასიათი. თანასაზოგადოება იქმნებოდა სისხლისმიერი ნათესაობის საფუძველზე, ამდენად, გარეშე პირის თანასაზოგადოების წევრად შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ თანასაზოგადოების წევრთან დანათესავების შემთხვევაში;	2) თანასაზოგადოება არის „ღია“. თანასაზოგადოების წევრს წარმოადგენს ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავშირებულია თანასაზოგადოებასთან საერთო ინტერესებით (მაგ. ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე)
3) პატრიარქალური იერარქიის არსებობის პარალელურად გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღება. თანასაზოგადოებაში არსებობდა იერარქია: ოჯახის უფროსი, გვარის უხუცესი. თუმცა ეს თანამდებობა თანასაზოგადოების დონეზე უფრო სიმბოლური დატვირთვის და ორგანიზატორის ფუნქციის მატარებელი	3) პატრიარქალური იერარქია იცვლება ფორმალიზებული იერარქიით, რომლის დროსაც თანასაზოგადოების წევრები თავად ახდენენ მართვის ორგანოების შექმნას. უმეტეს შემთხვევაში მართვა ეფუძნება თანასაზოგადოების წევრთა თანასწორობის პრინციპს, თუმცა

იყო და არა შეუზღუდავი ერთმმართველობისა. თანასაზოგადოების უმთავრესი საკითხები, როგორც წესი წყდებოდა თანასაზოგადოების წევრთა (ოჯახის უფროსთა) საერთო კრებაზე;	გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას დაიშვება წევრთა განსხვავებული სტატუსი (ხმის მიცემისას წევრებს შეიძლება გააჩნდეთ სხვადასხვა „წონის“ ხმა)
4)თანასაზოგადოების უფლებამოსილების ფართო ხასიათი. პირველყოფილი თანასაზოგადოება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ყოფითი და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტით. იგი იღებდა გადაწყვეტილებებს თანასაზოგადოების წევრთა უსაფრთხოების, წევრებს შორის კონფლიქტის გადაწყვეტისა და სანქციის გამოყენების თაობაზეც.	4) თანასაზოგადოება უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ ყოფით საკითხებზე. უსაფრთხოება, სამართლებრივი წესრიგის დაცვა, წევრთა შორის კონფლიქტის გადაწყვეტა და შესაბამისი სანქციის გამოყენება არის არა თანასაზოგადოების, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა პრეროგატივა
5) საერთო სათემო საკუთრება, რომელიც თანასაზოგადოების წევრთა არსებობის უმთავრეს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა	5) საერთო სათემო საკუთრება ან საერთოდ არ არსებობს, ან მისი წილი ძალზედ უმნიშვნელოა
6) ერთობლივი საქმიანობა, რომლის საფუძველია საერთო სათემო მიწა. თანასაზოგადოების საერთო ყოფითი საკითხების გადაწყვეტა ფუნქციურად იყო გადანაწილებული თანასაზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდახმარების პრინციპზე დაყრდნობით;	6) ერთობლივი საქმიანობა მიმართულია საერთო საჯარო სივრცის გამოყენებაზე, ხოლო ყოფითი საკითხების გადასაწყვეტად ერთობლივი საქმიანობა ეფუძნება სარგებლიანობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს.

7) ერთობლივი შემოსავალი და ერთობლივი ხარჯები, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საერთო ქონება (უპირატესად სათემო მიწა) წარმოადგენდა შემოსავლის მიღების უმთავრეს წყაროს, შესაბამისად ძირითადი ხარჯები მიმართული იყო საერთო საქმიანობაზე. ეს, ცხადია, არ გამორიცხავდა ოჯახის პირად შემოსავლებსა და ხარჯებს, თუმცა მისი წილი პირველყოფილ ერობაში იყო უმნიშვნელო.	7) პრაქტიკულად არ არსებობს ერთობლივი შემოსავალი. ერთობლივი ხარჯები უკავშირდება ერთობლივ საქმიანობას. ხარჯები შეიძლება იყოს თანაბარწილად განაწილებული ერობის წევრებზე ან შეიძლება იყოს დიფერენცირებული გამომდინარე წევრის სტატუსიდან (მაგ. ქონებრივი მდგომარეობა) ან მისი უპირატესი სარგებლიანობის (ინტერესის) მიხედვით.
8) ტერიტორია არ წარმოადგენს თანასაზოგადოების არსებით ნიშანს (მით უმეტეს თუ თემი ეწეოდა მომთაბარე ცხოვრებას). თანასაზოგადოება ახდენდა ტერიტორიის იდენტიფიცირებას და არა პირიქით.	8) ტერიტორია წარმოადგენს თანასაზოგადოების განსაზღვრის არსებით ნიშანს, რომლის საფუძველზეც ხდება თანასაზოგადოების იდენტიფიცირება.

თავი V. თანასაზოგადოების ხელოვნურად ჩამოყალიბების მცდელობები

„სამართლიანი“ საზოგადოების შექმნის მცდელობა უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ყოველთვის არსებობდა ცდუნება იმაზე, რომ შესაძლებელია თვითორგანიზებული, ჰარმონიული „ახალი საზოგადოების“ ჩამოყალიბება, რომელშიც არ იქნებოდა შუღლი და მტრობა, სიძულვილი და დანაშაული და დაისადგურებდა საყოველთაო კეთილდღეობა. საზოგადოება, სადაც ყველა იქნებოდა თანასწორი, ყველა იმუშავებდა თავის შესაძლებლობისა და სურვილის მიხედვით და მიიღებდა ყველაფერს თავის საჭიროების მიხედვით. ანუ, როგორც ეს იყო მოგვიანებით გაცხადებული „მეცნიერული კომუნიზმის“ (1977) ლოზუნგში: „თითოეულისაგან - მისი უნარის მიხედვით, თითოეულს - მოთხოვნილების მიხედვით“ (გვ. 178). ასეთი საზოგადოება წარმოდგენილი იყო პირველყოფილი თემის იდეალიზირებული ფორმით, რომელიც თვითორგანიზების საფუძველზე მიაღწევდა ჰარმონიულ თანაცხოვრებას. ამისათვის კი აუცილებელი იყო იმ ორი უმთავრესი მიზეზის: კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს გაუქმება, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, განაპირობა პირველყოფილი თემის დაშლა.

კაცობრიობის ისტორიაში ასეთი თვითორგანიზებული, ჰარმონიული საზოგადოების შექმნის მცდელობები პირობითად, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

<u>პირველი ჯგუფი</u> მოიცავს მცდელობას (და ეს მცდელობები დღევანდელ სინამდვილეშიც გრძელდება) ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნას თანამოზარეთგან თუნდაც მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი თანასაზოგადოება, რომელიც მათ მიერვე ჩამოყალიბებული წესებით იარსებებს და არ იქნება დამოკიდებული გარე სამყაროზე.

<u>მეორე ჯგუფის</u> მცდელობა უფრო გლობალურ მაშტაბებს მოიცავდა და გულისხმობდა სახელმწიფო მექანიზმების გამოყენებით კერძო საკუთრების გაუქმებას, ერთობლივი საქმიანობის ვალდებულებას, თანასაზოგადოების წევრთა თანასწორუფლებიანობის და მათ უფლება-მოვალეობების განსაზღვრას,

თანდათანობით თვითორგანიზებული ერთობის ჩამოყალიბებას რასაც შემდგომ მოჰყვებოდა თავად სახელმწიფოს გაუქმებაც.

„სამართლიანი თანასაზოგადოების“ შექმნის უფრო ძველი და დღემდე, ფრაგმენტულად არსებული მცდელობაა თანამოაზრეთგან თუნდაც მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი თანასაზოგადოების შექმნა. ასეთი თანასაზოგადოების შექმნა ეფუძნება ერთობლივ საქმიანობას, საერთო ქონების ერთობლივად მართვას, ეგატელიზმს და თანასაზოგადოების წევრთა თანაბარ უფლება-მოვალეობებს.

გარკვეულწილად, ასეთი სახის თანასაზოგადოებებს განეკუთვნება რწმენის საფუძველზე შექმნილი რელიგიური თანასაზოგადოებები (ადრექრისტიანული თემები, მონასტრები, ინდური აშრამები, მორმონთა თემები და ა.შ.). მაგრამ, ისინი ნაკლებად წარმოადგენენ ერობის ფორმას, რადგან ამ შემთხვევებში თანასაზოგადოების პრინციპები მეორე ხარისხოვანია. წინა პლანზეა წამოწეული არა საერთო ქონება ან საერთო საქმიანობა, არამედ რწმენა და ღვთის მსახურების წესი, რაც აერთიანებთ ამ თანასაზოგადოების წევრებს. რელიგიურ თანასაზოგადოებებში, როგორც წესი, არსებობს გარკვეული იერარქიაც. ესეც არის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რის გამოც რელიგიური თანასაზოგადოებები არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერობა.

თანსწორობის პრინციპებზე აგებული „ახალი ერობის“ შექმნის პირველი მცდელობა უკავშირდება უტოპიური სოციალიზმის თეორეტიკოსებს. ინგლისელი ფილოსოფოსი რობერტ ოუენი თვლიდა, რომ საჭიროა საზოგადოების გარდაქმნის რადიკალური რეფორმის გატარება, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა საერთო საკუთრება, უფლებათა თანასწორობა და კოლექტიური შრომა. ოუენი, მომავლის „რაციონალურ“ საზოგადოებას ხედავდა მცირე ზომის სოციალისტური თვითმმართველობითი თანასაზოგადოების ფედერაციაში. ამ კომუნათა საქმიანობის მთავარი სფერო უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედება, თუმცა კომუნას ასევე შეიძლება ქონოდა სამრეწველო საწარმოებიც. XIX საუკუნის 20-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ოუენმა შექმნა კომუნა-კოლონია „ახალი ჰარმონია“, რომლის წესდება ეფუძნებოდა საერთო მფლობელობასა და

გათანაბრების პრინციპებს. კომუნის ყველა წევრს გააჩნდა თანაბარი უფლება ერთნაირ საკვებზე, ტანსაცმელსა და საცხოვრებელზე. პროექტი აღმოჩნდა წარუმატებელი. კომუნა მალევე გაკოტრდა და დაიშალა.

XIX საუკუნის შუა ხანებში გავრცელება დაიწყო ფალანსტერების იდეამ. მისი ფუძემდებელი იყო უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი შარლ ფურიე, რომელიც მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ადამიანთა გაერთიანება სოციალურ კომუნებში - ფალანგებში. მათ უნდა ქონოდათ საერთო მეურნეობა, საერთო სახელოსნოები და ეცხოვრათ საერთო სახლებში - ფალანსტერებში. მიიჩნეოდა, რომ ფალანსტერები გახდებოდა ახალი ტიპის საცხოვრებელი, სადაც ადამიანები მიეჩვეოდნენ კოლექტიურ საქმიანობას, რაც გააიოლებდა მძიმე ყოფით შრომას. ოუენისგან განსხვავებით, ფურიეს კონცეფცია საერთო საკუთრებასთან ერთად აღიარებდა კერძო საკუთრებასაც. მართალია, ფალანგის წევრი უშუალოდ არ ღებულობდა ანაზღაურებას, მაგრამ კომუნის მიერ მიღებული მთელი შემოსავალი უნდა განაწილებულიყო მის წევრებს შორის. ფურიე იმედოვნებდა, რომ ეს შემოსავალი იქნებოდა იმდენად დიდი, რომ კომუნის წევრები დაიკმაყოფილებდნენ არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ შექმნიდნენ დანაზოგსაც, რომლის მეშვეობითაც შეიძენდნენ ფალანგის პაის და თანდათანობით გახდებობდნენ მისი სრულუფებიანი მესაკუთრეები. ასეთი კოლონიების შექმნა დაიწყო ინგლისსა და ამერიკაში. პროექტი თავდაპირველად წარმატებით ვითარდებოდა. კომუნათა რაოდენობამ რამოდენიმე ათასსაც კი გადააჭარბა და იქმნებოდა კომუნათა ასოციაციებიც, თუმცა მალევე ფალანგებმაც კრახი განიცადა და დაიშალა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში (მათ შორის საქართველოში) და მის ფარგლებს გარეთაც პოპულარობა მოიპოვა ლევ ტოლსტოის ფილოსოფიურ შეხედულებების მიმდევართა მოძრაობამ „ტოლსტოველებმა“, რომლებიც აარსებდნენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს და ქმნიდნენ კომუნების ტიპის კოლონიებს. საქართველოში ასეთი კომუნის შექმნის პრეცედენტი იყო თელავის მაზრის სოფელ გულგულაში, რომელმაც მცირეხნიანი

არსებობის მიუხედავად საზოგადოების დიდი ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა. ამ კომუნის ინიციატორი იყო ადგილობრივი მემამულე ივანე კოლელიშვილი, რომელმაც 1906 წ. 8 იანვარს სოფელ გულგულაში მოაწყო სოფლის ყრილობა და განაცხადა კომუნის დაარსების შესახებ: „ხომ ხედავთ, რომ ჩვენთვის არავინ ზრუნავს, ჩვენ თვითონ ვიზრუნოთ ჩვენი თავისათვის. ცალ-ცალკე რომ ვიყვნეთ ჩვენს გაჭირვებას, ჩვენს დაბეჩავებას ვერ მოვუვლით. ყველას ერთად კი ძალიან გაგვიადვილდება ჩვენი ჭრილობების მოვლა. ვისაც ქონება გვაქვს, ჩვენი ქონება ჩამოვიდეთ სასოფლოდ, ამხანაგურად დავამუშაოთ უქონლებთან ერთად და ამხანაგურად გავიყოთ საჭიროებისდა კვალად ჩვენი ნაწვავ-ნადაგი. აი მე მთელ ჩემს ქონებას მიწებს, ვენახებს, საქონელს ჩამოვდივარ სასოფლოდ და ვინც მე მომემხრობა და თავის ქონებასაც ჩამოვა სასოფლოდ, ცალკე გავიდეთ“ („ინიციატივა ცვლილებისათვის“ 2015. გვ. 26). 190 კომლიდან, თავდაპირველად 70 ოჯახმა განაცხადა თანხმობა, თუმცა შემდეგ მათი რაოდენობა 120 კომლამდე ავიდა. კომუნა საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა, თუმცა 1906 წლის ბოლოს მაზრის უფროსის განკარგულებით კომუნა დაშლილად გამოაცხადეს, ხოლო მისი ინიციატორები ივანე კოლელიშვილი და არჩილ იაკაშვილი დააპატიმრეს და გაასახლეს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კომუნის ტიპის თანასაზოგადოებების შექმნა ხელახლა გახდა პოპულარული. ამ იდეის გავრცელებას საფუძველი მოუმზადა XX საუკუნის 60-იანი წლების ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე სტუდენტურმა მღელვარებამ. გაძლიერდა ფემინისტური და ეკოლოგიური მიმდინარეობები, შეიქმნა ჰიპების სუბკულტურა, რამაც თავის ასახვა ჰპოვა დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ათასობით სხვადასხვა ტიპის თანასაზოგადოებების, უპირველესად კი კომუნების შექმნაში. ამ პერიოდიდან იღებს სათავეს კოჰაუზინგის (cohousing), მაცხოვრებელთა ერთგვარი თანასაზოგადოების იდეა.

კოჰაუზინგი წარმოადგენს ბოლშევიკურ და ჰიპების კომუნის გარკვეულ შუალედს. იგი იგება წევრთა მიერ საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების უკეთესად რეალიზაციის პრაგმატული მოსაზრებებიდან

გამომდინარე. კოჰაუზინგის წევრებს გააჩნიათ საკუთარი ბინები და ფინანსები, ამასთან აქვთ საერთო სივრცე ერთობლივი სარგებლობისა და საქმიანობისათის. ეს შეიძლება იყოს საერთო სამზარეულო, აუზი, სპორტდარბაზი, ბაღი, ბიბლიოთეკა, საბავშვო მოედანი და ა.შ. კოჰაუზინგში, როგორც წესი, ორგანიზებულია ბავშვების მეთვალყურეობის, საერთო სარგებლობაში არსებული ობიექტების მოვლის ერთობლივი მომსახურება, ხორციელდება პროდუქტისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ერთობლივი შესყიდვა. კოჰაუზინგის წევრთა მცირე რიცხოვნობა საშუალებას იძლევა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდეს მხოლოდ მაცხოვრებელთა საერთო კრებაზე. კოჰაუზინგის ძირითადი იდეა ეფუძნება კეთილმეზობლური და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას (Грегуольдо, В. н/д).

ეკოლოგიური მოძრაობის განვითარებამ პოპულარული გახადა სხვადასხვა ტიპს ეკოდასახლებების შექმნა. ეკოდასახლებები ეფუძნება დასახლების თანასაზოგადოების წევრებს შორის და მათ ბუნებასთან ჰარმონიულ თანაარსებობას.

რონ რობერტსმა (1971. p.144) თავის წიგნში „ახალი კომუნა“ განსაზღვრა თანამედროვე კომუნების სამი ძირითადი მახასიათებელი:

1) ეგატელიზმი - კომუნებში უარყოფილია ყოველგვარი იერარქია ან სოციალური სტატუსიდან გამომდინარე რაიმე სახის გრადაცია;

2) ადამიანური მაშტაბი - კომუნის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს საკმარისად მცირე იმისათვის, რომ წევრები ყველა ერთმანეთს პირადად იცნობდეს;

3) ანტიბიუროკრატიზმი.

ასეთი კომუნები, როგორც წესი, ესწრაფვიან შექმნან ოჯახის იდეალიზირებული ფორმის ერთობა. ეს, ერთი მხრივ არის ერთგვარი რეაქცია თანამედროვე საზოგადოების და ოჯახების „ატომიზაციის“ პროცესზე, ხოლო მეორე მხრივ რეაქცია სახელმწიფოსა და კერძო საკუთრებით გამოწვეულ პრობლემებზე. ამ ტიპის კომუნებს, რომლებიც შექმნილია გარკვეულ იდეოლოგიის საფუძველზე, აქვთ როგორც საერთო ისე სპეციფიური მიდგომები. კომუნების

ნაწილი აშკარა დაპირისპირებაშია სახელმწიფოსთან, მაგალითად როგორიცაა აშშ-ში არსებული „თავისუფალი შტატის“ კომუნა და ესპანეთის მარინელადას კომუნა (Овчинников, Н. 2014). „თავისუფალი შტატის“ კომუნა შეიქმნა 2001 წ. აშშ-ს შტატ ნიუ-გემპშირში. კომუნის შექმნას საფუძვლად უდევს ჯეისონ სორესის ლიბერტარიანული შეხედულებები. კომუნა გამოირჩევა იმით, რომ კომუნის წევრები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (3 D პრინტერი, ბიტკოინი (ელექტრონული ფული)) ცდილობენ კომუნის წევრები ნაკლებად დამოკიდებულნი გახადონ სახელმწიფო მომსახურებაზე, შტატში თანამოაზრეთა მოზიდვით მოვიდნენ შტატის ხელისუფლებაში და შექმნან თავისუფალი საზოგადოება. მისგან განსხვავებით, მარინედალას კომუნას საფუძველი შეუქმნა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ. მარინედალა, ფრანკოს რეჟიმის დამხობის შემდეგ, იყო ანდალუზიის ერთ-ერთი ღატაკი ქალაქი, სადაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „მემარცხენე“ იდეები და მუშათა პარტია, რომლის მოწოდებით, ქალაქის მცხოვრებნი იკავებდნენ ქალაქის მიმდებარე, სამეფო ოჯახის წევრების თუ მსხვილი მიწათმფლობელების საკუთრებაში არსებულ მიწებს. ცხადია, ხდებოდა მათი პოლიციის წესით გასახლებები, თუმცა 12 წლიანმა ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო, რომ რეგიონის მთავრობამ, ქალაქს გამოუყო 1250 ჰა. ქალაქის მიმდებარე მიწა, რომელზედაც ქალაქის მცხოვრებლებმა დააფუძნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერატივში მომუშავე თითოეული ადამიანი ღებულობს თანაბარ გასამრჯელოს, რომლის გამოკლებით კოოპერატივის დანარჩენი შემოსავალი მთლიანად შედის საერთო ბიუჯეტში, საიდანაც ნაწილდება მაცხოვრებელთა სოციალური დაცვის ღონისძიებებზე.

მათგან განსხვავებით, ნაკლებად აგრესიული მოქმედებებით და სახელმწიფოსთან უფრო ლიბერალური დამოკიდებულებით ხასიათდება გერმანიაში მოქმედი კომუნები „თანასაზოგადოება ZEGG“, ნიდერკაუფუნგენის კომუნა და აშშ-ში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე ძველი კომუნა „Twin Oaks“ (Овчинников, Н. 2014). თითოეული ეს კომუნა ცდილობს იყოს მაქსიამალურად

ავტონომიური და დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან თუმცა, იმავდროულად, აღიარებს და იცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს.

მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებულობისა, ყველა ამ კომუნისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებია:

ა) საერთო შემოსავლები და საერთო ხარჯები. მათი პროპორცია შეიძლება იყოს განსხვავებული. ერთ შემთხვევაში კომუნის წევრის შემოსავლები და ხარჯები შეიძლება მთლიანად იყოს დამოკიდებული კომუნის შემოსავლებსა და ხარჯებზე, მეორე შემთხვევაში, შესაძლოა კომუნის წევრის ძირითადი შემოსავალი და ხარჯები არ იყოს უშუალოდ დამოკიდებული კომუნაზე;

ბ) საცხოვრისის კოლექტიური მფლობელობა. კომუნებს შორის პროპორცია აქაც შეიძლება იყოს განსხვავებული. ერთ შემთხვევაში შეიძლება კომუნის წევრს არ გააჩნდეს პირად საკუთრებაში ბინა და იგი კომუნის სხვა წევრებთან ერთად თანაბრად ფლობდეს საერთო საცხოვრებელს, მეორე შემთხვევაში შეიძლება კომუნის წევრს საკუთრებაში ქონდეს ბინა, ხოლო კომუნასთან საერთო საცხოვრისი შემოიფარგლოს მხოლოდ საერთო საჯარო სივრცით (საერთო ბაღი, საერთო ეზო, საერთო აუზი და ა.შ.);

გ) ეგატელიზმი. კომუნებში უმეტეს შემთხვევაში საერთოდ უარყოფილია ან მაქსიმალურად შეზღუდულ ფარგლებში არსებობს იერარქიული სტრუქტურები;

დ) ურთიერთდახმარება. ეს ნიშანი ყველა კომუნისთვისაა დამახასიათებელი, რაც გამოიხატება ბავშვების მოვლისა თუ მეთვალყურეობის, ასევე კომუნალური ხასიათის პრობლემების ურთიერთდახმარებით გადაწყვეტაში;

ე) გადაწყვეტილების ერთობლივი მიღება. კომუნებში გადაწყვეტილებები უმეტეს შემთხვევაში მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. რაც შეეხება გადაწყვეტილებათა სფეროს კომუნების სპეციფიკიდან გამომდინარე ის შეიძლება იყოს განსხვავებული ერთ შემთხვევაში ეხებოდეს მხოლოდ საერთო საკითხებს, ხოლო ზოგიერთ კომუნაში მოიცავდეს კომუნის წევრის პირად საკითხებსაც (Metcalf, Bill & Metcalf, William James. 1996. p. 77-83).

კომუნების ტიპის „ახალი საზოგადოების“ შექმნის მეორე სახის მცდელობა ხასიათდება სახელმწიფო ძალაუფლების იძულებითი მექანიზმების გამოყენებით. თუ, ზემო აღნიშნულ შემთხვევებში კომუნის შექმნას საფუძვლად უდევს კომუნის წევრთა ურთიერთშეთანხმება, საერთო შეხედულებები და ხასიათდება მცირე ჯგუფების გაერთიანებების ფორმით, ამ შემთხვევაში, „ახალ საზოგადოების“ შექმნას უფრო გლობალური ხასიათი გააჩნია და ეხება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს. ასეთი კომუნები იქმნება იერარქიის პრინციპზე და აქტიურად გამოიყენება იძულებითი მექანიზმები.

ამგვარი ტიპის კომუნის შექმნის ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო XIV საუკუნეში, როცა ჩეხეთში ჰუსიტური ომების დროს აჯანყებულებმა შექმნეს ქალაქი თაბორი, გააუქმეს კერძო საკუთრება და გამოაცხადეს, რომ ქალაქ თაბორში ყველაფერი საერთოა, კერძო საკუთრება წარმოადგენს სასიკვდილო ცოდვას და საზოგადოება დაყვეს ორ ნაწილად მეომრებად, რომელთაც ევალებოდათ ქალაქის დაცვა და მეურნეებად, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ ქალაქი საკვებითა და საყოფაცხოვრებო საგნებით.

სამართლიანი საზოგადოების შექმნის იდეამ თავის გამოხატულება ჰპოვა 1534 წ. მიუნსტერის აჯანყებულთა შორისაც. აჯანყებულებმა ანაბაპტისტთა რადიკალური ფრთის ხელმძღვანელობით შექმნეს მიუნსტერის კომუნა, მოახდინეს როგორც ეკლესია-მონასტრების, ასევე მოქალაქეთა კერძო საკუთრების კონფისკაცია და გამოაცხადეს საერთო საკუთრებად. გააუქმეს ფული და შეზღუდეს ვაჭრობა. მიუნსტერის კომუნის ყველა წევრი ვალდებული იყო ემუშავა და მონაწილეობა მიეღო ქალაქის დაცვაში. პროდუქტი დაყოველდღიური მოხმარების საგნები ითვლებოდა საერთო საკუთრებად და წევრებს შორის ნაწილდებოდა მკაცრად დადგენილი ნორმების მიხედვით.

სახელმწიფო ძალაუფლების იძულებითი მექანიზმების გამოყენებით „ახალი საზოგადოების“ მცდელობის ახალი ტალღა დაიწყო 1917 წ. რევოლუციით, რომელმაც გამოაცხადა კერძო საკუთრების გაუქმება და საზოგადოების იდეალურ სახედ დასახა კომუნის ტიპის თანასაზოგადოება, სადაც კომუნის წევრთა მთელი

ქონება იქნებოდა განსაზოგადოებული. ამ იდეით თავდაპირველად დაიწყო მუშა ახალგაზრდობის სახლკომუნების შექმნა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახლკომები იქმნებოდა არა მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძველზე, არამედ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეც, რადგან ასეთი გაერთიანება იყო პირის შიმშილით დაღუპვისაგან გადარჩენის ერთ-ერთი გზა. კომუნებში უმეტეს შემთხვევებში ხდებოდა ქონების მთლიანი განსაზოგადოება. უპირველესად ეს ეხებოდა ფინანსებს. მიღებული გასამრჯელოს 40%-დან 100%-მდეც კი ერთიანდებოდა ერთ ყულაბაში, საიდანაც კომუნარები ღებულობდნენ ფულს საკუთარი საჭიროებებისათვის. ზოგიერ კომუნაში, კომუნის გადაწყვეტილების გარეშე აკრძალული იყო პირადი ნივთების შეძენაც კი (Лебина Н. 1929). „ყველაფერს განაგებს ამხანაგი კოლექტივი. ის იძლევა ფულს სადილისთვის, ყიდულობს ტრამვაის ბილეთებს და თამბაქოს, იწერს გაზეთებს, გამოყოფს ფულს აბანოსა და კინოსათვის“ (Журнал „Смена“ 1929, № 2-3).

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა რუსეთში დაიწყო დისკუსია მუშათა ახალი ტიპის საცხოვრებლების თაობაზე. ამ დისკუსიის საფუძველზე 1928 წ. მიღებული იქნა სახლ-კომუნის ტიპობრივი დებულება, რომელიც ავალდებულებდა კომუნარებს კომუნაში შესახლებისას უარი ეთქვათ ყველა დანაზოგსა და პირად ნივთებზე, მოეხდინათ მათი განსაზოგადოება და კოლექტიურად გადაეწყვიტათ ისეთი საკითხები, როგორიც იყო ბავშვების აღზრდა, სადილის მომზადება, სახლის დალაგება, გართობა და ა.შ. ასეთი სახლი-კომუნები, როგორც წესი შედგებოდა ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინებისაგან, რომელთაც გააჩნდათ საერთო სამზარეულო, სასადილო ოთახი, აბანო და სამრეცხაო.

XX საუკუნის 20-იანი წლები, რომელიც უკავშირდება ახალ ეკონომიკური პოლიტიკის (НЭП) ეპოქას, ხასიათდებოდა მრავალრიცხოვანი სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტებით. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის კომუნების, არტელებისა თუ კოოპერატივების შექმნა. მათგან, შეიძლება ცალკე გამოიყოს ე.წ. შრომითი კომუნები, რომლებიც თავისთავში

აერთიანებდნენ სამეურნეო და პედაგოგიურ საქმიანობას. ასეთი შრომითი კოლონია თავდაპირველად შეიქმნა არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის. შრომით კოლონიაში აღზრდის სისტემა ეფუძნებოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. კომუნარები სწავლის პარალელურად მუშაობდნენ მინდვრებსა თუ სახელოსნოებში. ყოველდღიურად 4 საათი გამოყოფილი იყო სწავლისათვის, ხოლო 4 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათის. განსხვავებით სახლ-კომუნებისაგან, შრომით კომუნებში შემოღებული იქნა სამეურნეო ანგარიში, რითაც კომუნარები გახადა დაინტერესებული თავის შრომისადმი. ამგვარი მიდგომის შედეგი იყო ის, რომ შრომითი კომუნები გახდნენ რენტაბელურნი. მაგალითად, ქ.მოსკოვთან არსებული შრომითი კომუნა „ბოლშევსკაია“, რომელიც შეიქმნა 1924 წელს, თავდაპირველად აერთიანებდა მხოლოდ 18 პირს. 1937 წლისათვის კი ამ კომუნაში გაერთიანებული იყო 5 000-ზე მეტი ადამიანი. მათ ქონდათ საკუთარი საბავშვო ბაღი, სკოლა, საავადმყოფო, კინოთეატრი და რადიოსადგურიც კი (Позамантир, Р. Д. н/д).

1934 წ. კომუნისტური(ბ) პარტიის XVII ყრილობამ უარყოფითად შეაფასა როგორც კომუნებში არსებული გათანაბრების პრინციპი, ისე მთლიანად ეს სოციალური ექსპერიმენტი. ამას თან დაერთო რეპრესიებიც (უპირატესად შრომით კომუნებში), ხოლო 1939 წელს გამოცემული იქნა ბრძანება შრომითი კომუნების ლიკვიდაციის შესახებ. ამდენად, 30-იანი წლების ბოლოსათვის ექსპერიმენტი კომუნების სახით „ახალი, სამართლიანი“ თანასაზოგადოების შექმნისათვის წარუმატებლად დასრულდა. თუმცა ამან ვერ შეაფერხა საბჭოთა კავშირში „ახალი თანასაზოგადოების“ შექმნის პროცესი. კომუნების ნაცვლად აქცენტი გადატანილი იქნა კოლმეურნეობების შექმნაზე. მის პარალელურად კი ინერგებოდა იდეოლოგიზირებული „თვითმმართველობითი“ ფორმები, როგორიც იყო სახლმმართველობები, საუბნო კომიტეტები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები და სხვა „საზოგადოებრივი თვითშემოქმედებითი ორგანოები“.

კოლმეურნეობა იყო სამეურნეო ხასიათის გაერთიანება, სადაც წარმოების ყველა ძირითადი საშუალება (მიწა, საწარმოო საშუალებები, პირუტყვი, საწყობები და ა.შ.) იყო განსაზოგადოებრივი და ითვლებოდა კოლმეურნეობის წევრთა საერთო საკუთრებაში. კოლმეურნეობების შექმნა დაიწყო 1918 წლიდან და თავდაპირველად გამოიყოფოდა კოლმეურნეობის სამი ფორმა:

1) <u>სასოფლო-სამეურნეო კომუნა.</u> ასეთი კომუნები იქმნეობოდა ყოფილ მემემულეთა და სამონასტრო მიწებზე. განსაზოგადოებული იყო როგორც მიწა, ასევე დამხამარე ნაგებობები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. კომუნის წევრებს არ გააჩნდათ საკუთარი დამხმარე მეურნეობა და ისინი მთლიანად იყვნენ დამოკიდებული საერთო მეურნეობაზე, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი თანაბრად ნაწილდებოდა კომუნის თითოეულ წევრსა და მათ ოჯახებზე სულადობრივად.

2) <u>სასოფლო-სამეურნეო არტელი.</u> იგი გარკვეულწილად წარმოადგენდა კოოპერატივს, რომელშიც საერთო სარგებლობაში იყო მიწა და წარმოების ძირითადი საშუალებები, მაგრამ არტელის წევრებს ასევე გააჩნდათ საკუთარი სახლი და დამხმარე მეურნეობაც, რომლის ზომაც განისაზღვრებოდა არტელის წესდებით. არტელის მიერ მიღებული შემოსავალი ნაწილდებოდა არტელის წევრებს შორის მათი შრომადღეების მიხედვით.

3) <u>სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.</u> ამ შემთხვევაში განსაზოგადოებული იყო მხოლოდ მიწა. ამხანაგობის წევრებს საკუთრებაში რჩებოდათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ნაგებობები და პირუტყვი. მიღებული შემოსავალი ამხანაგობის წევრთა შორის ნაწილდებოდა არა მხოლოდ მათ მიერ გაწეული შრომის, არამედ საერთო საქმიანობისათვის მათ მიერ ამხანაგობისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების წილის მიხედვით.

1921-1929 წ.წ. კოლექტიური მეურნეობების ზომები არც თუ დიდი იყო. საშუალოდ ისინი აერთიანებდნენ 8-10 გლეხურ მეურნეობას. ამასტან, სასოფლო-სამეურნეო კომუნათა რაოდენობა მცირდებოდა, ხოლო საგრძნობლად იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და ამხანაგობების რაოდენობა,

სადაც უფრო უკეთ იყო გათვალისწინებული კერძო და საერთო ინტერესები. 1929 წლიდან გამოცხადდა ერთიანი კოლექტივიზაცია. დაიწყო გლეხური მეურნეობების იძულებითი და მასობრივი გაერთიანება. კოლექტიური მეურნეობის ერთადერთ ფორმად აღიარებული იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელმაც მოგვიანებით დაკარგა ეს დასახელება და იწოდებოდა კოლმეურნეობად. 30-იანი წლეობის მეორე ნახევარში კოლექტივიზაციის პროცესი ძირითადად იქნა დასრულებული. კოლმეურნეობის საქმიანობა რეგულირდებოდა კოლმეურნეობის ერთიანი წესდებით. მიწა კოლმეურნეობებს გადაეცემოდათ უვადო და უსასყიდლოდ სარგებლობაში. კოლმეურნეობას არ ქონდა უფლება ეს მიწა გაეყიდა ან იჯარით გაეცა. კოლმეურნეობის წესდებით განისაზღვრებოდა კოლმეურნეობის წევრთა საკარმიდამო მიწის (მათი დამხმარე მეურნეობის) ზომა და მათ საკუთრებაში არსებული პირუტყვის ზღვრული რაოდენობა. კოლმეურნეობის წევრად ითვლებოდა სოფელში მცხოვრები 16 წელს მიღწეული ყველა პირი (გარდა კულაკებისა და საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირებისა). კოლმეურნეობის წევრები საერთო კრებაზე კენჭისყრით ირჩევდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და გამგეობას. კოლმეურნეობის საქმიანობა ექვემდებერებოდა ხელისუფლების მკაცრ კონტროლს. ისინი ვალდებულნი იყვნენ გეგმიური ეკონომიკიდან გამომდინარე შეესრულებინათ მათზე დაკისრებული გეგმები. საბაზრო ფასები შეიცვალა ადმინისტრირებული ანგარიშსწორებით, რომლის საფუძველზეც ხდებოდა კოლმეურნეობათა მიერ ტექნიკის და საწვავის შეძენა. კოლმეურნეობის წევრები ანაზღაურებას ღებულობდნენ შრომადღეების მიხედვით. სახელმწიფო ახორციელებდა მუდმივ კონტროლს კოლმეურნეობის საქმიანობაზე. პერიოდულად ატარებდა კოლმეურნეების დამხმარე მეურნეობათა შემოწმებასა და ხელახალ აზომვას და ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში, მათ ჩამორთმევას. 1956 წ. მიღებული იქნა კოლმეურნეობის ახალი წესდება, რომელმაც შედარებით მეტი თავისუფლება მიანიჭა კოლმეურნეობებს. კერძოდ, კოლმეურნეობებს მიეცათ უფლება თავად დაედგინათ კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობათა მიწებისა და პირუტყვის ყოლის რაოდენობრივი ზღვრები,

სავალდებულო მიწოდება და ნატურალური ანგარიშსწორება შეიცვალა შესყიდვით, ხოლო მოგვიანებით კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება შრომადღეების ნაცვლად ხდებოდა გარანტირებული ხელფასით.

1990-იანი წლებიდან კოლმეურნეობებმა თანდათან შეწყვიტეს არსებობა. საქართველოში კოლმეურნეობების საქმიანობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის N949 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად დადგინდა, რომ „სახელმწიფო მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა უნდა მოახდინონ რეორგანიზაცია, ნებაყოფლობით საფუძველზე აირჩიონ შრომითი კოლექტივისათვის მისაღები მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციული ფორმა და გატარდნენ რეგისტრაციაში არსებული წესის შესაბამისად 1993 წლის 1 იანვრამდე“. კოლმეურნეობათა რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და მის ბაზაზე შეიძლება შექმნილიყო „გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგროფირმები, აქციონერული საზოგადოებები, ასოციაციები და მიწაზე მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმები“. ამით, დასრულდა კიდევ ერთი მცდელობა შექმნილიყო „თანასწორობაზე და სამართლიანობაზე დამყარებული“ სოციალური თანასაზოგადოება.

სამეურნეო ფორმის ერობათა ჩამოყალიბების მცდელობას ადგილი ქონდა ჩინეთშიც XX საუკუნის შუა პერიოდში „დიდი ნახტომის“ პოლიტიკურ-ეკონომიკური კამპანიის დროს. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არსებული გლეხური მეურნეობებისა და კოოპერატივების გაერთიანებების საფუძველზე ჩამოყალიბდა 26 ათასი მსხვილი „სახალხო კომუნა“. ამ კომუნებში განსაზოგადოებული იყო არა მხოლოდ მიწა და წარმოების საშუალებები, არამედ მანამდე გლეხების საკუთრებაში არსებული საკარმიდამო დამხმარე მეურნეობები, პირუტყვი და სხვა ქონება (Шапинов, В. н/д).

„სახალხო კომუნებში“ ცხოვრება და შრომის ორგანიზაცია ატარებდა გასამხედროებულ ხასიათს. გლეხებისაგან იქმნებოდა პოლკები, ბატალიონები და ასეულები. კომუნები იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი და თითოეული კომუნა აერთიანებდა 30 000-მდე ადამიანს. სახალხო კომუნებში შერწყმული იყო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ელემენტები. ყველა ოჯახს უნდა ქონოდა კუსტარული ღუმელი, რომელშიც ხდებოდა ფოლადის გამოდნობა. ასეთი წარმოებული ფოლადი იყო ძალიან დაბალი ხარისხის და მათი უდიდესი ნაწილი თავად კომუნის საჭიროებისათვის მოიხმარებოდა. შრომის ანაზღაურება ხდებოდა გათანაბრების პრინციპით და სრულად იყო იგნორირებული მატერიალური დაინტერესება. მიღებული შემოსავლის ნახევარი ნაწილდებოდა თანაბრად ხელფასის სახით კომუნის წევრებზე, ხოლო შემოსავლის მეორე ნახევარი მიდიოდა „უფასო “ მომსახურებისათვის: პროდუქტები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები, საყოფაცხოვრებო მომსახურება (აბანო, საპარიკმახერო და ა.შ.). „სახალხო კომუნების“ კამპანია, საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, ჩინეთში ბევრად უფრო სწრაფად დასრულდა. დაინტერესების არ არსებობის პირობებში მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდები არ გამოდგა საკმარისი კომუნების რენტაბელობისათვის. ამგვარი კომუნების ჩამოყალიბებით, რეალურად მნიშვნელოვნად დაეცა პროდუქციის წარმოება. ამას თან დაერთო 1960 წ. გვალვა, რამაც გამოიწვია მასობრივი შიმშილობა. შედეგად, 1961 წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობაში „დიდი ნახტომის“ პოლიტიკის შეჩერებისა და „სახალხო კომუნების“ დაშლის შესახებ.

საერთო ქონებაზე დაფუძნებული სამეურნეო ტიპის გაერთიანებების მსგავსად, ასევე წარუმატებელი გახდა მოქალაქეთა ისეთი თვითორგანიზების მცდელობა, როგორიც იყო „საზოგადოებრივი თვითშემოქმედებითი ორგანოები“ (органы общественной самодеятельности). საბჭოთა ტოტალიტარული იდეოლოგია ეხებოდა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ადამიანებს შორის ყოველდღიურ სოციალურ ურთიერთობასაც და ხელოვნურად ამკვიდრებდა „საბჭოურ თვითორგანიზების“ სტრუქტურებს ყველა შესაძლო მიმართულებით

(სახლმმართველობები, საბინაო, ქუჩის თუ უბნის კომიტეტები, სახალხო რაზმეულები, თვითშემოქმედებითი წრეები, ამხანაგური სასამართლოები და ა.შ.). ასეთი სტრუქტურების შექმნა, როგორც აცხადებდნენ, მიმართული იყო „ახალი, სამართლიანი, კომუნისტური საზოგადოების“, „ახალი ერთობის - საბჭოთა ადამიანის“ შექმნისკენ. თუმცა, რეალურად, ამ ფსევდო თვითორგანიზებული სტრუქტურების შექმნა იყო საზოგადოებაზე ტოტალიტარული მმართველობის განხორციელების კიდევ ერთი ბერკეტი. ასეთი სტრუქტურების შექმნით სახელმწიფო სრულ კონტროლს ამყარებდა მოქალაქეთა თვითორგანიზების პროცესზე, რადგან მათი არსებობა თავისთავად გამორიცხავდა და კანონგარეშედ აცხადებდა მოქალაქეთა ნებისმიერ თავისუფალ კოლექტიურ თვითორგანიზებას. ეს იყო სრულიად ხელოვნურ საფუძველზე შექმნილი გაერთიანებები, რომელთა ერთადერთ საფუძველს პარტიული იდეოლოგია და პარტიული კონტროლი ქმნიდა. ამიტომ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ყველა ამ ფსევდო თვითორგანიზებულმა სტრუქტურამ შეწყვიტა არსებობა.

ზემო აღნიშნული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანასაზოგადოების ხელოვნურად შექმნის მცდელობა, რაც არ უნდა დიდ იდეალებს ისახავდეს მიზნად, განწირულია წარუმატებლობისათვის. ასეთი სახის „ერობა“ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში, სანამ მოქმედებს ამ გაერთიანების განმაპირობებელი გარე ზემოქმედება (რწმენა, იდეოლოგია თუ სახელმწიფო იძულება). ამ ზემოქმედების შესუსტების ან შეწყვეტის შემთხვევაში ასეთ საფუძველზე შექმნილი გაერთიანება წყვეტს არსებობას. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ თვითორგანიზაცია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ გარეგანი „სპეციფიური“ ჩარევის გარეშე. სხვა შემთხვევაში ჩვენ ვღებულობთ ორგანიზებას, რომლის არსებობა დამოკიდებულია მხოლოდ ამ გარეგანი ზემოქმედებაზე.

ადგილობრივი თანასაზოგადოება, როგორც თვითორგანიზებული სისტემა ეფუძნება მის წევრთა თავისუფალ ნებას. ამ ნების რაიმე ფორმით შეზღუდვა გამორიცხავს თვითორგანიზებას. გარე ფაქტორები განაპირობებენ

თანასაზოგადოების ფორმას, მაგრამ არა თვითორგანიზებას. თვითორგანიზება არის ზოგადად მატერიის თვისება და ის ყოველთვის არსებობს. მაგრამ რა ფორმას მიიღებს თვითორგანიზება, ეს უკვე განპირობებულია სწორედ გარე ფაქტორებზე. ამიტომაც ერობის ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი შეიძლება იყოს ხანგძლივვადიანი ან ერთჯერადი. შეიძლება იქმნებოდეს ერთი კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად (მონოფუნქციური) ან ეხებოდეს საკითხთა ფართო წრეს. შეიძლება იყოს კანონით აღიარებული, კანონის ჩარჩოებში მოქცეული (მაგრამ არა კანონით განსაზღვრული) და იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ან იყოს არაფორმალიზებული კავშირი (როგორც წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმების, ისე „უსიტყვო“ შეთანხმების საფუძველზე). შეიძლება იყოს ყოფით, კეთილმოწყობის ან სოციალურ პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ან ორიენტირებული ერთობლივ სამეურნეო საქმიანობასა და მოგების მიღებაზე. შეიძლება იყოს პოზიტიური შინაარსის (რაიმეს შექმნა, გაკეთება) ან ნეგატიური შინაარსის (რაიმე მოქმედების არ დაშვება, საპროტესტო აქცია და ა.შ.). შეიძლება ეფუძნებოდეს საერთო ქონების მართვას (მაგ. კონდომინიუმი) ან არ იყოს დაკავშირებული საერთო ქონების არსებობაზე.

თავი VI. ადგილობრივი თანასაზოგადოების სამართლებრივი ფორმები

- **ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმების კლასიფიკაცია**

ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც ტერიტორიასთან დაკავშირებული მოსახლეობის თვითორგანიზებული ერთობის ფორმები საკმაოდ მრავალგვარია. უმეტესწილად ეს არის არაფორმალიზებული კავშირები თუმცა მან შეიძლება მიიღოს ფორმალიზებული სახე კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ამ მიმართებით, თანასაზოგადოების ფორმათა კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს მათი იურიდიული სტატუსის მიხედვით და გამოიყოს ორი ჯგუფი: ერობის ფორმები, რომელთაც არ გააჩნიათ იურიდიული პირის სტატუსი და თანასაზოგადოების ფორმები, რომლებიც ყალიბდებიან იურიდიულ პირებად. თუმცა ასეთი სახის კლასიფიკაცია ასახავს ადგილობრივი თანასაზოგადოების მხოლოდ გარეგან სამართლებრივ ფორმას.

გამომდინარე იქედან, რომ თანასაზოგადოების ფორმა და მისი ფორმალიზაციის ხარისხი ძირითადად დაკავშირებულია მის მიერ განხორციელებული ინიციატივების ხასიათთან, მაშტაბებთან და ხანგძლიობასთან, ამ თვალსაზრისით ადგილობრივ თანასაზოგადოებების ფორმათა კლასიფიკაციას საფუძვლად შეიძლება დაედოს ინიციატივების ხასიათი და მაშტაბები.

თუ ინიციატივას აქვს ერთჯერადი ან მოკლევადიანი ხასიათი და მისი განხორციელება არ მოითხოვს რაიმე რთულ ორგანიზაციულ მოქმედებებსა და თანასაზოგადოების წევრთა კოოპერირების განსაკუთრებულ ფორმას, მისი განხორციელება, როგორც წესი, ხდება სპონტანურად რაიმე ფორმალიზებული სტრუქტურების შექმნის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ ინიციატივებს აქვთ უფრო გლობალური ხასიათი, ეხება ფართო წრეს, მისი განხორციელება დაკავშირებულია პერიოდულად განმეორებად პროცესებთან და გათვლილია ხანგძლივ პერიოდზე, ასეთ შემთხვევაში, ამ ინიციატივათა რეალიზება საჭიროებს ურთიერთობების მეტ ფორმალიზებას და საქმიანობის უფრო ოფიციალური სახით რეგლამენტაციას. შესაბამისად, თანასაზოგადოება ღებულობს არარეგისტრირებული კავშირის სახეს,

ხოლო კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს იურიდიული პირის სახით. როგორც ლ. კონსტანტინოვა (2004) მართებულად მიუთითებს, „ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი თანასაზოგადოების შიგნით ყალიბდება სპეციალიზირებული და ფორმალიზებული სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური ინიციატივების განხორციელებას. ინიციატივებიდან გამომდინარე მათი უფლებამოსილებები შეიძლება იყოს იმდენად ფართო, რომ გარკვეულწილად გაუთანაბრდეს ადგილობრივ თვითმმართველობის უფლებამოსილებებს და განახორციელოს ადგილობრივი პოლიტიკა საკუთარი პასუხისმგებლობით თვითორგანიზებისა და თვითდაფინანსების პრინციპების საფუძველზე“ (стр.175-178.).

ამდენად, ინიციატივების ხასიათისა და მისი რეალიზების სპონტანურ თუ ფორმალიზების ხარისხიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპები:

1) ყოველდღიური სპონტანური ხასიათის აქტიობა, რომელიც უზრუნველყოფს თანასაზოგადოებაში მიკროსოციალურ კლიმატს;

2) ინიციატივები, რომლებიც ყალიბდება სპონტანურად, მაგრამ მათი განხორციელება მოითხოვს თანასაზოგადოების წევრების მხრიდან ორგანიზებულ საქმიანობას. მაგალითად, ეზოს კეთილმოწყობა ან დასუფთავების აქცია. ასეთი ინიციატივები არა მხოლოდ ახდენენ საერთო პრობლემის გადაწყვეტას, არამედ უზრუნველყოფენ ჯგუფის შეკრულობას და ხელს უწყობენ კოლექტიური მოქმედების უნარ-ჩვევების განვითარებას;

3) ინიციატივები, რომლებიც დაკავშირებულია ხანგძლივვადიან ერთობლივ საქმიანობასთან. მაგალითად, საერთო ქონების მართვა, ან საერთო სარგებლობაში არსებული საძოვრების გამოყენება და ა.შ. ასეთი ხანგძლივვადიანი ინიციატივების განხორციელება მოითხოვს სტაბილური ფორმის პროცედურებს და გარკვეულ ორგანიზებულ მოქმედებას, რომელსაც შეიძლება (თუმცა არ არის აუცილებელი) მოჰყვეს ინსტიტუციური მართვის რგოლის ჩამოყალიბება;

4) ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ცხოვრების ცალკეული მხარეების აქტივიზაციისაკენ და ღებულობენ სოციალური პროგრამის სახეს, რაც

მოითხოვს უფრო სერიოზულ ორგანიზაციულ მოქმედებებს, მათ შორის გარედან სპეციალისტებისა და რესურსების მოზიდვას. მაგალითად, ერობის სოციალურად დაუცველ პირთა დახმარების ორგანიზება, მოხუცებულთა მოვლა-პატრონობა და ა.შ.

5) ინიციატივები, რომლებიც მოიცავს მთლიანად ადგილობრივ პოლიტიკას და მიმართულია შესაბამისი ტერიტორიის განვითარებისაკენ. ეს არის ყველაზე მეტად ფორმალიზებული ინიციატივები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალური პროგრამების ერთიან კომპლექსს და ითვალისწინებს ადგილობრივი თანასაზოგადოების უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით საერთო მიზნების მიღწევას. ასეთი გრძელვადიანი პროგრამათა კომპლექსის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ ფორმალიზებულ სტრუქტურების არსებობას, რომლებმაც შესაძლოა იტვირთონ ადგილობრივი თვითმმართველობის მთელი რიგი ფუნქციების შესრულებაც.

ამ კლასიფიკაციიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს თანასაზოგადოების შემდეგი ძირითადი ფორმები:

ა) სამეზობლო კავშირები;

ბ) კონდომინიუმები;

გ) სათემო კავშირები და ურთიერთდახმარების ფონდები;

დ) საერთო კრება;

ე) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობები.

თანასაზოგადოების თითოეული ეს ფორმა ადგილობრივი პირობებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ხასიათდება სხვადასხვაგვარი ვარიაციებით, თუმცა გააჩნიათ საერთო ნიშნები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია მოსახლეობის თვითორგანიზაცია მივაკუთვნოთ ტერიტორიული ერთობის ამა თუ იმ ფორმას.

- **სამეზობლო კავშირები**

სამეზობლო კავშირი განეკუთვნება თანასაზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ძველ და შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას. სამეზობლო

კავშირები თავის არსებობას იწყებს პირველყოფილი თემიდან, თუმცა, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი და წინა პლანზე იდგა სისხლისმიერი ნათესაობა. სამეზობლო კავშირების სრულყოფილი ფორმირება იწყება დასახლებების ჩამოყალიბებასთან ერთად. ამ პერიოდიდან, სამეზობლო კავშირები თანდათანობით ანაცვლებენ სისხლისმიერ კავშირებს. ამის დასტურია ქართული ანდაზა, რომ „ახლო მეზობელი შორეულ ნათესავს ჯობიაო“. თუმცა, სოფლების დონეზე ამ კავშირების სრული ჩანაცვლება არ მომხდარა. დღემდე, ტრადიციულ სოფლებში, უმეტესწილად, კვლავინდებურად არის შენარჩუნებული სოფლის უბნების დაყოფა გვარების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ხდება არა ჩანაცვლება, არამედ ნათესაური და სამეზობლო კავშირების პარალელური თანაარსებობა. ამიტომ, სამეზობლო კავშირების, როგორც თანასაზოგადოების ერთ-ერთი ფორმის დახასიათებისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ქალაქები, სადაც ნათესაური კავშირები ჩანაცვლებულია სამეზობლო კავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურაშიც სამეზობლო კავშირი მიიჩნევა სწორედ საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად ფენომენად. სამეზობლო კავშირის უმთავრესი განმსაზღვრელია ტერიტორიული სიახლოვე. ქართულ მეტყველებაში არსებული ტერმინები „ახლო მეზობელი“, „კარის მეზობელი“, სწორედ ასეთ, უშუალო მოსაზღვრე ტერიტორიულ სიახლოვეზე მიუთითებს. თუმცა, ასეთი „სიახლოვე“ ფარდობითია და დამოკიდებულია დასახლების ტიპზე, განსახლების ტრადიციულ ფორმებსა და ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმჭიდროვეზე. ქალაქებში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ სოფლებში ასეთი „სიახლოვე“, საკამოდ ვიწროა და რამოდენიმე ათეული მეტრით განისაზღვრება, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ სოფლებში, ასევე ხუტორული ტიპის დასახლებებში მეზობლებს შორის მანძილი შეიძლება ასეულობით მეტრობითა და კილომეტრობითაც კი არსებობდეს. ამიტომაც, არ შეიძლება დავეთანხმოთ ს. სერიკჟანოვას (2014), რომელიც ერთმანეთთან აპირისპირებს რა თანასაზოგადოებასა და სამეზობლო კავშირს, აცხადებს, რომ არ შეიძლება თანასაზოგადოებისა და სამეზობლო კავშირების გაიგივება, რადგან

თანასაზოგადოება შეიძლება არსებობდეს სივრცის გარეშე, ხოლო სამეზობლო კავშირი არსებობს მხოლოდ კონკრეტულ სივრცეში.

ერთი მხრივ, ცხადია, რომ სამეზობლო კავშირის არსებობა უშუალოდ არის დაკავშირებული საერთო სივრცესთან. მაგრამ ამ ნიშნით მისი გამოყოფა ადგილობრივ თანასაზოგადოებისგან არ იქნება მართებული. სამეზობლო კავშირი არის თანასაზოგადოების, როგორც თვითორგანიზებადი სოციალური ერთობის სახე. სწორედ თვითორგანიზებადობა არის ის უმთავრესი ნიშანი, რაც უდევს საფუძვლად სამეზობლო კავშირს. თვითორგანიზება აქცევს ამ კავშირს სოციალურ თანასაზოგადოებად და არა ტერიტორია. სამეზობლო კავშირი არის ერთობა, რომლის წევრებიც ერთიანდებიან, რათა „გავლენა მოახდინონ ადგილობრივ სოციალურ მდგომარეობაზე: ისინი ისახავენ კოლექტიური ცხოვრების მიზანს და მათ გააჩნიათ ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობები“ (Schoenberg S.& Rosenbaum P. 1980. P. 56).

ალბერტ ხანტის (1974) განმარტებით, სამეზობლო კავშირი არის სოციალურ-სივრცითი ორგანიზაციის უნიკალური მაკავშირებელი რგოლი, რომელზედაც მოქმედებას ახდენს როგორც მთლიანად საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ასევე ყოველდღიური ცხოვრების რუტინა. ამიტომაც, სამეზობლო, განსაკუთრებით ქალაქის სამეზობლო კავშირები მნიშვნელოვნად დაკავშირებულია არა მხოლოდ ტერიტორიასთან, არამედ მის წევრთა სოციალურ შემადგენლობაზე.

დონალდ და რიჩარდ უორენების (1977) მიერ შემოთავაზებული იქნა სამეზობლო კავშირის ტიპოლოგიზაციის შემდეგი კრიტერიუმები:

1) თვითშემეცნება (identity). ეს კრიტერიუმი მიუთითებს იმ ადამიანთა რაოდენობაზე, რომლებიც თვლიან, რომ არიან მეზობლებთან დაკავშირებულნი;

2) ურთიერთზემოქმედება (interaction). ეს კრიტერიუმი განსაზღვრავს თუ რამდენად ძლიერია მეზობლებს შორის ურთიერთობა. მაგალითად, რამდენად ხშირად დადიან მეზობლები ერთმანეთთან სტუმრად;

3) ურთიერთკავშირი (linkages). ამ კრიტერიუმით განისაზღვრება რამდენად „ღია“ არის სამეზობლო კავშირი. რა ურთიერთობა გააჩნია მას გარე საზოგადოებასთან და როგორია ამ ურთიერთობის ბუნება.

ამ კრიტერიუმების კიდევ უფრო დეტალიზება, როგორც ტერიტორიულ, ისე სოციალურ შემადგენლობის ჭრილში მოცემულია გ. გალსტერის (2001) ნაშრომში. მის განმარტებით, სამეზობლო კავშირები განპირობებულია შემდეგი მახასიათებლებით:

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ხასიათი: ტიპი, ფართობი, მდგომარეობა, დიზაინი, კეთილმოწყობის მდგომარეობა და ა.შ.;
- ინფრასტრუქტურული მახასიათებლები: გზები, ტროტუარები, ქალაქის ლანშტაფი და პეიზაჟი, კომუნალური მომსახურების სახეები და ა.შ.;
- მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა: ასაკობრივი სტრუქტურა, ოჯახების შემადგენლობა, მოსახლეობის რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა და ა.შ.;
- მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივი მდგოამრეობა: შემოსავლების სტრუქტურა, დასაქმების დონე და ხასიათი, განათლების დონე და ა.შ.;
- სახელმწიფო მომსახურების მდგომარეობა: უსაფრთხოების დონე, საჯარო სკოლები, პარკები, რეკრიაციული ზონები, საჯარო სივრცეები;
- ეკოლოგიური მდგომარეობა: ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების დონე;
- დაშორება-სიახლოვის ხასიათი: სამუშაო ადგილის, დასვენების და სავაჭრო ცენტრების ხელმისაწვდომობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

- პოლიტიკური თავისებურებები: მოსახლეობის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი მობილიზაციის დონე;
- სოციალურ-ინტერაქტიური თავისებურებები: მეგობრების წრეები, ოჯახური კავშირები, პიროვნებებსშორისი ურთიერთობების ხასიათი, ადგილობრივ ნებაყოფლობით ორგანიზაციებსა და აქციებში მონაწილეობის დონე, სოციალიზაციის და სოციალური კონტროლის დონე;
- ემოციური თავისებურებები: ტერიტორიასთან იდენტიფიკაციის დონე და „მშობლიურობის“ განცდა, საცხოვრებელი ადგილის (შენობის, უბნის, ქალაქის) ისტორიული მნიშვნელობა.

უორენების კრიტერიუმების გათვალისწინებით მ. გოტდინერმა (1994) გამოყო ამერიკის ქალაქებში სამეზობლო კავშირთა შემდეგი ტიპები:

1) <u>ქალაქის ეთნიკური სოფელი.</u> ეს არის სამეზობლო კავშირის ისეთი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება პატრიარქალურ ერობას, სადაც მკვეთრად არის გამოხატული და დომინირებს სუბლკულტურის თავისებურება ყოვლედღიურ ცხოვრებაში. ასეთი ტიპის სამეზობლო კავშირი განეკუთვნება მაღალ ინტენსიურ ურთიერთობებზე დაფუძნებულ სტაბილურ ერობას. ხშირ შემთხვევაში მას უკავია ქალაქის ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილი და როგორც წესი, არ არის ჩართული ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ტიპის სამეზობლო კავშირისთვის დამახასიათებელია უორენების მიერ დადგენილი პირველი ორი კრიტერიუმის (თვითშემეცნება, ურთიერთზემოქმედება) მაღალი დონე და მესამე კრიტერიუმის (ურთიერთკავშირი) დაბალი დონე;

2) <u>საშუალო კლასის ურთიერთდაკავშირებული სამეზობლო კავშირი.</u> ამ ტიპის კავშირისთვის დამახასიათებელია ყველა კრიტერიუმის მაღალი დონე. როგორც წესი, ასეთი ტიპის სამეზობლო კავშირები გავრცელებულია ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებ საშუალო კლასის მოქალაქეთა შორის;

3) <u>დიფუზიური სამეზობლო კავშირი.</u> ასეთი კავშირი მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს სამეზობლო კავშირად. ამ ტიპში კარგად არის

განვითარებული მესამე კრიტერიუმი, გარე ურთიერთობები, თვითორგანიზების უნარი, მაგრამ ნაკლებად არის მოცემული პირველი ორი კრიტერიუმი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ერობა სამეზობლო კავშირების გარეშე. თუმცა, ნებისმიერ დროს შეიძლება ამ საერთო ინტერესებმა ასახვა ჰპოვონ ლოკალურ ტერიტორიაზე და ბიძგი მისცენ კონკრეტულ ტერიტორიასთან თვითიდენტიფიკაციას;

4) <u>ანომიური სამეზობლო კავშირი.</u> ასეთი ტიპის კავშირები დამახასიათებელია ქალაქის ღარიბი კვარტლებისთვის. მისი მახასიათებელია წევრთა დაბალი ორგანიზებულობა და ნაკლები პოლიტიკური აქტიობა. ასევე სუსტია მეზობელთშორისი კავშირებიც. დაბალია ურთიერთნდობა და თითოეული ცდილობს თავად გადაწყვიტოს საარსებო პრობლემები. ამ ტიპის კავშირში სამივე კრიტერიუმი დაბალ დონეზეა წარმოდგენილი;

5) <u>გარდამავალი სამეზობლო კავშირი.</u> ამ ტიპის კავშირის წევრები ხასიათდებიან მაღალი მობილობით. ისინი ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე, სანამ ამ ტერიტორიის შესაძლებლობები აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს. როგორც კი ეს მოთხოვნები იცვლება, შესაბამისად ხდება საცხოვრებელი ადგილის შეცვლაც. ასეთი ტიპის მეზობლებისთვის დამახასიათებელია ტერიტორიის ღირებულებებისადმი ინტერესი (რადგან სწორედ ეს ღირებულებები განაპირობებენ მათ საცხოვრებელ ადგილს) და ერობის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;

6) <u>თავდაცვითი სამეზობლო კავშირი.</u> ამ ტიპის კავშირისთვის დამახასიათებელია გარე საფრთხეებისგან საცხოვრებელი ტერიტორიის დაცვა. ასეთი საფრთხე შეიძლება იყოს დაკავშირებული როგორც ეკოლოგიური (მაგალითად, პარკებისა და სკვერების გაუქმება, საცხოვრებელ ზონაში ეკოლოგიურად დამაბინძურებელი საწარმოს გახსნა და ა.შ.), ისე სოციალური (მაგალითად, ამ საცხოვრებელ ზონაში დამატებითი ჯგუფების ჩასახლება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს რელიგიური ან ეთნიკური დაპირისპირება, ან კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესება, ან სამუშაო ადგილების შემცირება და

ა.შ.) მდგომარეობის გაუარესებასთან. ასეთი ტიპის სამეზობლო კავშირისთვის დამახასიათებელია ურთიერთზემოქმედების მაღალი დონე, მეზობლებს ერთმანეთთან აქვთ ინტენსიური კავშირები და გააჩნიათ საერთო მიზანი გარე საფრთხეებთან (გარე კავშირებთან) მიმართებით. ამ ტიპის მეზობლებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ ისინი ხშირად ინარჩუნებენ კავშირებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაშიც კი.

სამეზობლო კავშირების განსხვავებული სახის კლასიფიკაციაა შემოთავაზებული ამერიკელი სოციოლოგის თ. სატლსის (1972) ნაშრომში, რომელიც სამეზობლო გაერთიანებას ახასიათებს მენტალური აღქმის ჭრილში. იგი გამოყოფს სამი ტიპის ჯგუფს:

1) <u>ახლო მეზობლები (face block),</u> როცა ადგილი აქვს „პირისპირ“ ურთიერთობას და ყველა ერთმანეთს იცნობს. „ახლო მეზობლები“ სარგებლობენ ერთი და იმავე სატრანსპორტო მარშრუტით და ცხოვრობენ ერთნაირ გარემოში. სამეზობლოს ტერიტორიული ფარგლების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია ის ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია ბავშვებისთვის (ტერიტორია სადაც ნებას რთავენ იყვნენ ბავშვები). სწორედ ბავშვებს შორის ურთიერთობები, მათი საერთო სათამაშო მოედნები წარმოადგენენ იმ ძირითად საფუძველს, რომელზედაც იგება „ახლო მეზობლური“ კავშირი. ამ თვალსაზრისით კერძო ტიპის დასახლებებში, სადაც ფაქტობრივად არ არ არის ასეთი საჯარო სივრცეები, გამოირიცხება ამ ტიპის ურთიერთობები.

2) <u>„თავდაცვითი სამეზობლო“(defensible neibourhood)</u>, რომელიც მსგავსია მ. გოტდინერის (1994) შესაბამის სამეზობლოს ტიპთან. „თავდაცვითი სამეზობლო“ „ახლო მეზობლებისგან“ განსხვავებით უფრო მაღალი დონის კავშირია და შედგება „ახლო მეზობლების“ კავშირებისგან. ამ კავშირის დროსაც საკმაოდ დიდია ურთიერთცნობადობა, რაც განაპირობებს დაცულობის განცდას. თუმცა ამ შემთხვევაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება არაფორმალური ინსტიტუციების მეშვეობით. ზოგჯერ ტერიტორიის დაცვა „უცხოთაგან“ უზრუნველყოფილია ამ ტერიტორიის „ცუდი რეპუტაციით“ (სხვადასხვა ტიპის

ახალგაზრდული დაჯგუფებების, მათ შორის კრიმინალური დაჯგუფებების არსებობით).

3) „შეზღუდული პასუხისმგებლობის კავშირი“ (community with limited liabilities). ეს ტერმინი უკავშირდება ამერიკელი სოციოლოგის მორის იანოვიჩის (1960) სახელს. 1960 წ. გამოვიდა მისი წიგნი, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი პრესის როლს საქალაქო ცხოვრებაში. ამ წიგნში პირველად იქნა გამოყენებული ეს ტერმინი, რომელიც ხსნის მოქალაქეთა დიფერენცირებულ და შეზღუდული სახით მონაწილეობას სამეზობლო თუ სხვა სახის ნებაყოფლობით გაერთიანებებში. თუმცა, ასეთი ტიპის კავშირი ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს სამეზობლო კავშირად. იგი უფრო მეტად ფორმალიზებულია, ვიდრე ჩვეულებრივი სამეზობლო გაერთიანება. მისი საზღვრები შეიძლება იყოს დადგენილი სამართლებრივი აქტით (მაგ. ქალაქის მიკრორაიონი), გააჩნდეს სპეციალური დასახელება. ეს არის სხვა და სხვა სამეზობლოების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საერთო სამოქალაქო, კომერციული და სახელისუფლებო ინტერესებით (მაგ. საქალაქო პროგრამა). შესაბამისად, მათი მონაწილეობა ასეთი ტიპის კავშირში მკვეთრად დიფერენცირებულია და აქტიობაც განპირობებულია ამ საერთო მიზნისადმი ინტერესთა სხვადასხვაობით.

სამეზობლო კავშირების განსხვავებული კლასიფიკაციის მიუხედავად, სამეზობლო კავშირი წარმოადგენს ყველაზე უპირველეს და შეიძლება ითქვას მოსახლეობის ერთობის ყველაზე უფრო ბუნებრივ ფორმას, რომელიც ეფუძნება ნებაყოფლობითობას, არაფორმალურ ურთიერთობას და თვითორგანიზებას. სამეზობლო კავშირები განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებაზე. სამეზობლო კავშირების ზემოქმედების, ანუ ეფექტის მექანიზმები არა ერთხელ გამხდარა სოციოლოგთა კვლევის საგანი, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დამუშავებული. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკელი სოციოლოგების ს. ჯენკსისა და ს. მაიერის (1990) მიერ შემუშავებული სამეზობლო კავშირების ეფექტიანობის ექვსი მოდელი:

1) „ეპიდემიური“ მოდელი. ეს მოდელი ეფუძნება თანატოლთა ურთიერთგავლენას. ძირითადი მოსაზრებაა, რომ „მსგავსი მსგავს წარმოშობს“. მაგალითად, თუ ბავშვები იზრდებიან იმ გარემოში, სადაც მათი თანატოლი მეზობლები კრიმინალური ქმედებით გამოირჩევიან, სავარაუდოდ დიდი ალბათობაა, რომ ისინიც კრიმინალურ გზას დაადგნენ;

2) „კოლექტიური სოციალიზაციის“ მოდელი. ეს მოდელი ეფუძნება წარმატებული მოზარდების გავლენას ბავშვებზე. ამ შემთხვევაში მეზობლად მცხოვრები წარმატებული პირი გამოდის როგორც ნიმუში, როგორც მაგალითის მიმცემი თუ როგორ უნდა მოიქცე, რათა წარმატებას მიაღწიო;

3) „ინსტიტუციონალური მოდელი“ ეფუძნება სხვა და სხვა ინსტიტუტების, უპირველესად სკოლის და სამართალდამცავი ინსტიტუტების გავლენას;

4) „შეფარდებითი დეპრივაციის“ მოდელი დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ ადამიანები თავის წარმატებას ან წარუმატებლობას აფასებენ თავის მეზობლებთან შეფარდებით;

5) „კულტურული კონფლიქტის“ მოდელი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ წარმატების არათანაბრობის გამო, ის პირები, ვინც ვერ ამართლებენ საზოგადოების იმედებს, ცდილობენ შექმნან საკუთარი, განსხვავებული სუბკულტურა, სადაც ახდენენ თავიანთ არაადეკვატურ გრძნობებში გარკვევას;

6) „კონკურენციის“ მოდელი გულისხმობს, რომ სამუშაო ადგილებზე კონკურენციის გამწვავება მცირეშემოსავლიან ოჯახის წარმომადგენლებს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში.

სამეზობლო კავშირების ეფექტიანობის მექანიზმები კიდევ უფრო დეტალიზებულია გ. გალსტერის, რ. ანდერსონისა და ს. მასტერდის (2010) მიერ. ეს მექანიზმები დაჯგუფებულია 4 კატეგორიად.

პირველ კატეგორიაში ერთიანდება შემდეგი **სოციალურ-ინტერაქტიული** ხასიათის მექანიზმები:

1) „სოციალური გადამდებლობა“. ეს მექანიზმი მსგავსია ს. ჯენკსისა და ს. მაიერის „ეპიდემიური“ მოდელის, რომელიც გულისხმობს თანატოლთა ურთიერთზეგავლენას;

2) „კოლექტიური სოციალიზაცია“. ეს მექანიზმიც გარკვეულწილად გავს ს. ჯენკსისა და ს. მაიერის ანალოგიური სახელწოდების მოდელის, თუმცა მისგან განსხვავებით ეფუძნება არა მხოლოდ კონკრეტულ წარმატებულ ინდივიდს, არამედ ამ გარემოში დამკვიდრებულ ზოგად ნორმებს;

3) „სოციალური შეკრულობა და კონტროლი“. სოციალური წესრიგის დარღვევა და ამ დარღვევაზე კოლექტიური დამოკიდებულების არსებობა ზეგავლენას ახდენს მის წევრზე და მის შესაძლო მოქმედებაზე;

4) „მეტოქეობა“. მიიჩნევა, რომ კონკრეტულ არეალში არსებული შეზღუდული რესურსები განაპირობებს წევრებს შორის კონკურენციას ამ რესურსებით სარგებლობაზე;

5) „სოციალური ქსელი“. პირებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს მეზობლების მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია და სხვა სახის რესურსები, რომლებიც განაპირობებენ სოციალური კავშირების გაძლიერებას ან შესუსტებას;

6) „შეფარდებითი დეპრივაცია“. ეს მექანიზმი მსგავსია ს. ჯენკსისა და ს. მაიერის ანალოგიური სახელწოდების მოდელის და გულისხმობს, რომ პირები, რომელთაც შეძლეს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მიაღწიეს წარმატებებს, შეიძლება გახდნენ მათი, ნაკლებად წარმატებული მეზობლების დისკომფორტის წყარო, რომლებიც შურით უყურებენ მეზობლის წარმატებას;

7) „მშობელთა გამტარობა“. ყველა, ზემო აღნიშნული მექანიზმი გავლენას ახდენს მშობელთა ფიზიკურ თუ სულიერ მდგომარეობაზე, მათ შესაძლებლობებსა და უნარებზე, რაც შესაბამისად აისახება ოჯახსა და ბავშვების აღზრდაზე.

მეორე კატეგორიას განეკუთვნება **ეკზოგენური ხასიათის** ისეთი მექანიზმები, როგორიცაა:

1) ძალადობრივი ზემოქმედება (როცა პიროვნებას უჩნდება მის პიროვნებაზე ან მის ქონებაზე ძალადობრივი ზემოქმედების განცდა);

2) ფიზიკური გარემო (გარემოს დაბინძურება, მიდამოს გავერანება და მოუვლელობა, ინფრასტრუქტურის ობიექტების მოშლა ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს პირებზე და უჩენს უძლურების განცდასა და სტრესს).

მესამე კატეგორია აერთიანებს **გეოგრაფიული** მდგომარეობით განპირობებულ მექანიზმებს, როგორიცაა:

1) სივრცითი შეუსაბამობა (პერიფერიულობა, ძირითად სატრანსპორტო კომუნიკაციების სიშორე და ხელმიუწვდომლობა, სამუშაო ადგილიდან სიშორე და ა.შ.);

2) საზოგადოებრივი მომსახურობები (საზოგადოებრივ მომსახურების ხელმისაწვდომობა, ამ მომსახურებებზე შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა).

მეოთხე კატეგორია მოიცავს **ინსტიტუციური** ხასიათის მექანიზმებს:

1) სტიგმატიზაცია (ცალკეული ტერიტორიის ისტორიული, ეკოლოგიური, ტოპოგრაფიული, განაშენიანების ხასიათითა და ეთნიკური თუ რელიგიური შემადგენლობიდან გამომდინარე სტერეოტიპების ჩამოყალიბება, რომლებიც გავლენას ახდენს ამ ადგილას მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობებსა და თვითშეფასებაზე);

2) ადგილობრივი საჯარო მომსახურებები და საჯარო ინსტიტუციები (პირადი შესაძლებლობების განვითარება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ახლოსაა და ხელმისაწვდომია სახელმწიფო დაწესებულებები, სკოლები, ბაღები, სავადმყოფოები თუ კერძო ორგანიზაციები (ბანკები, საწარმოები, მაღაზიები და ა.შ.);

3) ადგილობრივი ბაზარი (საბაზრო ტიპის ორგანიზაციების ტერიტორიული განლაგება და მათზე ხელმისაწვდომობა).

ამგვარად, როგორც სამეზობლო კავშირები ახდენენ გავლენას საზოგადოებასა და მის წევრებზე, ასევე სამეზობლო კავშირებსა და მის წევრებზე

ახდენს გავლენას გარე პირობები. მაგრამ, სამეზობლო კავშირების ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ამ გარე პირობებთან ადაპტაცია და მისი სასიკეთო ცვლილება. „სამეზობლო კავშირი, არის იმგვარი ერთობა, რომლის წევრებიც ერთიანდებიან რათა გავლენა მოახდინონ ადგილობრივი სოციალური წესრიგის ცალკეულ ასპექტებზე, რომლებიც ისახავენ კოლექტიური ცხოვრების მიზანს და სადაც მათ ეძლევათ ამ მიზნის მიღწევის საშუალება“ (S. Schoenberg. Vol. 27, N1). ამავდროულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეზობლო კავშირი არის ადამიანების სოციალური კავშირის ერთ-ერთი ყველაზე პირველადი საფეხური, თვითორგანიზების ის დონე, „რომელიც ქმნის ისეთ სოციალურ გარემოს, რომელშიც თვით ყველაზე მორიდებული, პასიური და დაკომპლექსებური ადამიანისთვისაც კი იქმნება პირობები ადვილად გადალახოს ფსიქოლოგიური ბარიერი, გამოვიდეს დაჯავშნული კარებიდან და ჩაერთოს სამეზობლო ურთიერთობებში“ (Кокарев, И. 2001 стр. 26). სამეზობლო კავშირების ამ შესაძლებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტსაბჭოთა საზოგადოებისთვის. სამეზობლო კავშირი იძლევა საშუალებას:

- ხელი შეუწყოს „ქვემოდან“ წამოსულ ინიციატივების ჩამოყალიბებას და განხორციელებას და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ „ზემოდან“ წამოსულ დირექტივების აღსრულებაზე;
- ხელის შეუწყოს თანამშრომლობის განვითარებას მეზობლებს შორის, მაცხოვრებლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, სხვადასხვა ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს შორის;
- ხელი შეუწყოს ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებაში არსებული სოციალური კაპიტალის გამოყენებას;
- ხელს უწყობს „ჩაკეტილი“ საზოგადოების გახსნილობას იმავდროულად ადგილობრივი ტრადიციებისა და წესების შენარჩუნებით.

ამიტომაც თვლიან სამეზობლო კავშირების მკვლევარები (Неделько, С.И., Шомина, Е.С. 2003-2004), რომ „სამეზობლო კავშირების განვითარება

უზრუნველყოფს დემოკრატიული ორგანიზაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობათა განვითარებას“ (стр. 201).

სამეზობლო კავშირები, ეს არის ნებაყობლობითი, არაფორმალიზებული გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია თვითორგანიზებაზე და დაკავშირებულია ერთობლივი საქმიანობის სურვილზე. ამიტომაც, ამ ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება, პრაქტიკულად არ ხდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის მესამე კარის მეორე თავი, რომელიც ეხება სამეზობლო სამართალს, ადგენს მხოლოდ ზოგად პრინციპს, რომ მეზობლები „ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს“ (მუხლი 174) და ასევე ადგენს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებას, თუ ეს ზემოქმედება უმნიშვნელოდ ხელყოფს მეზობლის უფლებებს (მუხლი 175). სხვა მხრივ, სამოქალაქო კოდექსის ეს თავი ეხება ქონებასთან დაკავშირებულ და არა სამეზობლო ურთიერთობების საკითხს.

სამეზობლო კავშირი, როგორც წესი, არაინსტიტუციონალიზებული გაერთიანებაა. მას, შეიძლება ჰყავდეს ლიდერი ან ლიდერები, მაგრამ არა ინსტიტუციონალიზირებული სტრუქტურები. თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამეზობლო კავშირმა არ შეიძლება მოახდინოს ინსტიტუციონალიზაცია. საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით მათ შეიძლება შექმნან საკუთარი სტრუქტურები, ორგანოები და ჩამოყალიბდნენ როგორც არარეგისტრირებული კავშირი, ხოლო საერთო ქონების მართვის მიზნით ჩამოყალიბდნენ კონდომინიუმის სახით. თუმცა, ეს არის სამეზობლო კავშირის განვითარების შემდგომი ეტაპი, რადგან თავის არსით სამეზობლო კავშირი ეფუძნება უშუალო, არფორმალიზებულ ურთიერთობებს.

ი. კოკარევი (2001. стр. 201) სამეზობლო კავშირს განსაზღვრავს, როგორც კომპაქტურად მცხოვრებთა თვითორგანიზებულ, თვითშემოქმედებით სოციალურ-ფსიქოლოგიურ ერთობას, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1) ურთიერთდახმარება და გაჭირვებულ მეზობლებისთვის დახმარების გაწევა. ეს მიმართულება მოიცავს ნებაყოფლობით ისეთ პატრონაჟულ მომსახურების გაწევას, როგორიცაა დახმარების საჭიროების მქონე მეზობლისათვის საკვების, ტანსაცმლის, პირადი მოხმარების პირველადი საგნების მიწოდება, მარტოხელა ავადმყოფის, მოხუცებულის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მოვლა-პატრონობა;

2) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და კეთილდღეობის ამაღლება. ამ მიმართულებით ერთობლივი საქმიანობა მოიცავს როგორც მომსახურების (უპირველესად კომუნალური მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებისათვის შესაბამის სამსახურების მიმართ ერთობლივი მოთხოვნების ჩამოყალიბებას და კონტროლს მის შესრულებასა და დაცვაზე, ისე ერთობლივი პერიოდული საქმიანობის განხორციელებას (მაგ., ტერიტორიის საკუთარი ძალებით დასუფთავება, ეზოს კეთილმოწყობა და ა.შ.)

3) დასვენების ორგანიზება და კულტურულ-სპორტული ხასიათის აქტიობები. ამ მიმართულებით ერთობლივი საქმიანობა მოიცავს საჯარო სივრცის (ეზო, სადარბაზო, სხვენი, სარდაფი) საერთო ინტერესებისთვის მოწყობასა და გამოყენებას, ბავშვების სათამაშო მოედნებს, კულტურული თვითშემოქმედებისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარებისთვის სივრცის მოწყობას, დასვენებისათვის სათანადო გარემოს შექმნას.

გარდა ამ სამი მიმართულებისა, ი. კოკარევი (2001) აქვე მიუთითებს სამეზობლო კავშირის ერთობლივი საქმიანობის ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა მცირე მეწარმეობისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა. ჩემი აზრით, ეს ორი მიმართულება სცილდება სამეზობლო კავშირისათვის დამახასიათებელ ტიპიურ ფორმას და თითოეული ეს მიმართულება უმჯობესია განხილული იქნეს ცალკე ერობის ისეთ ფორმებში, როგორიცაა სამეურნეო ტიპის კავშირები და კონდომინიუმი.

ი. კოკარევის (2001. стр. 109) მოსაზრებით სამეზობლო კავშირის არსებობა და განვითარება დაკავშირებულია ისეთ გარეგან და შინაგან ფაქტორებთან, როგორიცაა:

- შესაბამის ტერიტორიაზე პრობლემური სიტუაციის არსებობა და მეზობელთა მიერ ამ სიტუაციის, როგორც პრობლემის გააზრება;
- მცხოვრებთა შორის აქტიური ბირთვის გამოვლენა;
- ხელისუფლების ნება და სურვილი ითანამშრომლოს ორგანიზებულ სამეზობლო კავშირთან;
- ორგანიზაციული საქმიანობისათვის საჭირო რესურსებისა და საშუალებების არსებობა;
- საქმიანობაში სპეციალის-ორგანიზატორის ჩართვა

ი. კოკარევი სამეზობლო კავშირის როგორც საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, ასევე მისი არსებობისა და განვითარების ფაქტორების ასეთი განსაზღვრით, კეთილი სურვილით, მაგრამ ძალზედ აფართოებს სამეზობლო კავშირის ფუნქციებს და დანიშნულებას. რეალურად ახდენს ამ ინსტიტუტის ფორმალიზებას და პრაქტიკულად აიგივებს რუსეთის კანონმდებლობით დადგენილ ისეთ ინსტიტუტთან, როგორიცაა ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა (территориальное общественное самоуправление).

ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა პრინციპულად არასწორია. სამეზობლო კავშირის სიძლიერე და ხიბლი მის არაფორმალიზებაშია. სამეზობლო ურთიერთობა ეფუძნება არაფორმალიზებულ კავშირებს, რაც აძლევს სამეზობლო კავშირს მაქსიმალურ მოქნილობასა და სიცოცხლისუნარიანობას. ურთიერთობის არაფორმალიზება იძლევა საშუალებას საერთო ინტერესებში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული თითოეული წევრის ინტერესებიც, მისი შესაძლებლობები, მისი მდგომარეობა და მისი პიროვნული ხასიათიც კი. საკმარისია ამ ურთიერთობის ფორმალიზება მოვახდინოთ, რომ ყველა ეს უპირატესობა, რაც გააჩნია სამეზობლო კავშირს, დაიკარგება. ეს არის შემთხვევა, როცა ურთიერთობის რეგლამენტირება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგებს. ამ ურთიერთობების

ფორმალიზების წარუმატებელი მაგალითი უკვე იყო გასული საუკუნის 20-იან წლებში სახლკომუნების სახით. მისი შერბილებული ხასიათის მაგალითია კოჰაუზინგი (cohousing), რომელიც უფრო სიცოცხლისუნარიანია თუმცა არც ამ ფორმას არ მიუღია ფართო გავრცელება. ამის უმთავრესი მიზეზია თავისუფლების შეზღუდვის მიუღებლობა. ურთიერთობის ნებისმიერი სახის ფორმალიზება ყოველთვის გულისხმობს ურთიერთობების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. სამეზობლო ურთიერთობები ცხადია, არ ნიშნავს მის ქაოსურ ხასიათს და წესების არ არსებობას. მაგრამ ეს „წესები“ არის „დაუწერელი“ და კონკრეტულ შემთხვევებში და თვით კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებით შეიძლება სხვადასხვა იყოს. უმთავრესი, რაც მათ აერთიანებთ და აყალიბებს სამეზობლო კავშირს, არის საერთო ინტერესები, რომლებიც თვითორგანიზებით, გარედან „სპეციფიური ჩარევის“ გარეშე მიიღწევა. ამიტომაც, როცა ვახდენთ სამეზობლო კავშირების კლასიფიკაციას, კატეგორიზაციას ან მათ ეფექტიანობის კრიტერიუმების განსაზღვრას, ყველა ეს მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს სამეზობლო კავშირების განვითარების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზის, ამ ურთიერთობების წახალისებისა და სტიმულირების ოპტიმალური საშუალებების გამონახვის და არა ამ ურთიერთობების ფორმალიზებისა და ჩარჩოებში მოქცევის მიზნით.

სამეზობლო კავშირი არის თანასაზოგადოების ყველაზე ბუნებრივი და ყველაზე ნაკლებად ფორმალიზებული (შეიძლება ითქვას პრინციპულად არაფორმალიზებული) ინსტიტუტი. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პირველადი (ოჯახის შემდგომ) სოციალური ინსტიტუტი, რომელშიც იწყება პიროვნების სოციალიზაცია, სწორედ აქ ყალიბდება ურთიერთნდობა, სოციალური ნორმები, კავშირები (ქსელები), რასაც პატნემი (1994) მიიჩნევს სოციალური კაპიტალის ძირითად მახასიათებლად „რომლებიც აადვილებენ თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ქცევას და ამით ზრდიან საზოგადოების ეფექტურობას“ (p.167).

სამეზობლო კავშირი არის თვითმყოფადი, თვითორგანიზებადი ინსტიტუტი, თუმცა როგორც მთლიანად თანასაზოგადოებაზე, ისე ამ

ინსტიტუტის ფორმებსა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარე ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფოს პოლიტიკა, კრიზისული სიტუაციები, სოციალური მდგომარეობა. ამიტომაც, სამეზობლო კავშირების ტიპოლოგიზაციისას, აუცილებელა ამ ფაქტორების გათვალისწინებაც.

საქართველოში, სამეზობლო კავშირების უორენების კრიტერიუმების შეფასების გათვალისწინებით, საუკუნის თვალსაწიერიდან შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი, რომლებიც გვაძლევენ სამეზობლო კავშირის ევოლუციის სურათს.

პირველი პერიოდი მოიცავს 1990 წლამდე „საბჭოურ“ პერიოდს. ამ პერიოდის სამეზობლო კავშირებისათვის დამახასიათებელია თვითშემეცნებისა და ურთიერთზემოქმედების მაღალი დონე. მოსახლეობის დაახლოებით ერთგვაროვანი სოციალური მდგომარეობა და შემოსავლები, ხშირ შემთხვევაში საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის იგივეობა (საბჭოთა პერიოდისათის ტიპიური იყო დასახლების ან დასახლების ნაწილის შექმნა კონკრეტულ საწარმოსთან, ასევე არსებობდა ე.წ. საუწყებო სახლები, სადაც ბინები ნაწილდებოდა ამ საწარმოში დასაქმებულ პირებზე. შესაბამისად მეზობლები, ხშირ შემთხვევაში მუშაობდნენ ერთი და იმავე საწარმოში) ქმნიდა კარგ პირობებს ახლო მეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

რაც შეეხება უორენების მესამე კრიტერიუმს - ურთიერთკავშირს (linkages), რომელიც განსაზღვრავს რამდენად „ღია“ არის სამეზობლო კავშირი და რა ურთიერთობა გააჩნია მას გარე ინსტიტუტებთან, მის თავისებურებაზე გავლენას ახდენდა საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმი. ერთი მხრივ სამეზობლო კავშირი წარმოადგენდა „ღია“ სისტემას. ის არ იფარგლებოდა მხოლოდ ერთი ეზოთი და ეს ურთიერთობები ვრცელდებოდა საქართველოს ყველა დასახლებებისათვის დამახასიათებელ ისეთ ტრადიციულ ერთეულზე, როგორიცაა უბანი. „უბანი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სამეზობლო კავშირი, რომლის წევრთა მიერ ეს ტერიტორია ასოცირდება მათ ერთობასთან“ (Захарова, Е. Ю. 2012. стр. 247) „უბანი, როგორც სამეზობლო კავშირი წარმოადგენს ადამიანთა კოლექტივს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან არა მხოლოდ ერთ ტერიტორიაზე ცხოვრებით, არამედ

საერთო ინტერესებით, ურთიერთდახმარებით და ურთიერთკონტროლით, ასევე საერთო ლოკალური იდენტობით“. ამ მხრივ, მ. გოტდინერის კლასიფიკაციით ამ პერიოდის სამეზობლო კავშირი ძალზედ უახლოვდება გოტდინერის მიერ ყველაზე მაღალი კლასიფიკაციით შეფასებულ საშუალო კლასის ურთიერთდაკავშირებული სამეზობლო კავშირს. იმ განსხვავებით, რომ ამ სამეზობლო კავშირებმა საბჭოთა სისტემიდან გამომდინარე ვერ ჰპოვა გარე ინსტიტუტებთან (სკოლა, საბავშვო ბაღი, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) ურთიერთობის ისეთი განვითარება, როგორც ეს დაშვებული და შესაძლებელი იყო აშშ-ში თუ ევროპის ქვეყნებში. ამიტომაც, ამ პერიოდის სამეზობლო კავშირები უფრო მეტად შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც თავდაცვითი სამეზობლო კავშირი. სამეზობლო კავშირის ასეთი ტიპი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა 90-იან (1992-1997 წ.წ.) კრიზისულ პერიოდში. სამოქალაქო დაპირისპირებამ და კრიმინალის თარეშმა სამეზობლო კავშირები გადააქცია თ. სატლსის მიერ დახასიათებულ „თავდაცვით სამეზობლოდ“. უბნებში იქმნებოდა ე.წ. „საძმოები“, რომლებიც უზრუნველყოფდნენ უბნის მაცხოვრებელთა უსაფრთხოების დაცვას „უცხოებისგან“.

მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით 2005 წ. დაწყებულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმამ, კრიმინალური ავტორიტეტებისადმი გამოცხადებულმა ბრძოლამ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა „უბნის“ სოციალურ ინსტიტუტზე, რომელიც საბჭოთა პერიოდიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც „კრიმინალურ რომანტიკაზე“ დაფუძნებული ერთობა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შეირყა კრიმინალთა ავტორიტეტი, რითაც „ქუჩის აკადემიამ“ და „უბნის ბირჟებმა“ დაკარგეს თავის მომხიბლაობა. თუმცა, მეორე მხრივ ამ ერთობის სხვა ფორმით ჩანაცვლება არ მომხდარა. ე. ზახაროვა (2012), რომელიც 2006-2012 წლებში ატარებდა კვლევას ქ. თბილისში, თავის ნაშრომში „ლოკალური სოლიდარობა: თბილისის უბნის ბირჟები, როგორც სამეზობლო კავშირის ნაწილი“ („Локальная солидарность: мужские квартальные биржи города Тбилиси как часть соседских сообществ“), ამ პერიოდის უბნის იდენტიფიკაციის ძირითად

მახასიათებლად მიუთითებს საყოფაცხოვრებო-საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებზე (მაღაზიები, საპარიკმახეროები და ა.შ.), რომლითაც უბნის მაცხოვრებლები სხვებისგან განსხვავებით უფრო შეღავათიანი პირობებით (მაგ. ნისიით) სარგებლობენ. ამდენად, უბანმა, როგორც გარკვეულმა ტერიტორიამ შეინარჩუნა მხოლოდ პირობითი აღნიშვნა და მოხდა სამეზობლო კავშირების ლოკალიზება კონკრეტული მომსახურების ობიექტის სამოქმედო არეალით. მეორე მხრივ, ამ პერიოდში გატარებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა სამეზობლო კავშირებისათვის შექმნა უორენების მესამე კრიტერიუმის - ურთიერთკავშირის (linkages) განვითარების საკანონმდებლო საფუძვლები: საჯარო სკოლებში შეიქმნა სამეურვეო საბჭოები, რომლის არჩევაშიც და მუშაობაშიც მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლეთა მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან იქმნება საკონსულტაციო საბჭოები მოსახლეობის წარმომადგენლობით, მიღებული იქნა კანონი „ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“.

მაგრამ, ამავდროულად 1990-იან წლებამდე პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. მოხდა მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაცია. გაიზარდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით ასეთი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელია 11,6%) და სოციალური დახმარების მიმღებ ოჯახების რაოდენობა. შედეგად, იმდენად დიდი გახდა სხვაობა დახმარების შემძლე და დახმარების საჭიროთა რაოდენობას შორის, რომ წარმატებული ოჯახები ან ცდილობენ გადავიდნენ საცხოვრებლად სხვა ადგილას, ან მაქსიმალურად ავიწროებენ მეზობელთა წრეს.

დიდია მიგრაციული პროცესები, რომლებიც ასევე გავლენას ახდენენ ჩამოყალიბებულ სამეზობლო კავშირებზე. აქტიური ან დიდი პოტენციის მქონე პირები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ადგილზე წარმატების მიღწევა ცდილობენ საკუთარი თავის რეალიზებას სხვა ადგილებში (საზღვარგარეთ ან დედაქალაქში), ხოლო ის პირები, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას ასევე ცდილობენ სხვა, უფრო

პრესტიჟულ ადგილებში საცხოვრებლად გადასვლას. ასეთ შემთხვევაში, გოტდინერის კლასიფიკაციით თუ შევაფასებთ დღევანდელ სამეზობლო ურთიერთობებს, ვღებულობთ ანომიურ სამეზობლო კავშირს, რომლისთვისაც დამახასიათებელია წევრთა დაბალი ორგანიზებულობა, სუსტი მეზობლური კავშირები და ურთიერთნდობის დაბალი ხარისხი, როცა თითოეული ცდილობს თავად გადაწყვიტოს საკუთარი საარსებო პრობლემები.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სამეზობლო კავშირის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა საგრძნობლად გაუმჯობესებულია, სამეზობლო კავშირების რეალური მდგომარეობა საპირისპიროდ გაუარესებულია. ამ მდგომარეობის ასახსნელად შეგვიძლია მოვიშველიოთ ევროპულ კონფერენციაზე ჰიუგ ფრაზერის მოხსენება, რომელშიც მითითებულია, რომ „თუ თქვენ გაქვთ ისეთი სახელმწიფო ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს სამუშაო ბაზრის რესტრუქტურიზაციაზე, თუ თქვენ გაქვთ ისეთი საბინაო-სამშენებლო პოლიტიკა, რომელიც ადამიანებს ყოფს მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ თქვენ გაქვთ ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ზრდის კულტურულ უთანაბრობას, ასეთ შემთხვევაში უაღრესად იზღუდება ადგილობრივი ინიციატივები და ერობის განვითარების შესაძლებლობები“ (Frazer H. 1994).

- **კონდომინიუმი**

კონდომინიუმი, როგორც საერთო საკუთრების ფორმა, გვხვდება ჯერ კიდევ რომის სამართალში. ტერმინი „კონდომინიუმი“ ლათინური წარმოშობისაა („კონ“ - საერთო, „დომინიუმ“ - ქონება). რომის სამართალში „კონდომინიუმი არის საერთო საკუთრება, როცა რამოდენიმე პირს აქვს საკუთრების უფლება ერთ და იმავე ნივთზე და თითოეული მათგანი უფლებამოსილია განკარგოს ამ განუყოფელი ნივთის თავის იდეალური წილი (pars quota, p. Pro indiviso). ამ იდეალური წილის პროპორციულად ხდება ამ ნივთთან დაკავშირებული ყველა ხარჯებისა და შემოსავლების განაწილება. სამართლებრივი მოქმედება, რომელიც ეხება

მთლიანად ნივთს (მაგ. სერვიტუტი) შეიძლება შესრულებული იქნეს მხოლოდ ყველა მესაკუთრის თანხმობით. თითოეულ მესაკუთრეს უფლება აქვს სარგებლობდეს ამ ნივთით და ახორციელებდეს ამ ნივთზე ზოგადად მიღებულ სამეურნეო ღონისძიებებს. მაგრამ, განსაკუთრებული მნიშვნელობის ზომებთან დაკავშირებით, ამ ნივთის ნებისმიერ მესაკუთრეს უფლება აქვს სხვა მესაკუთრეს აუკრძალოს ასეთი ზომის გამოყენება (ius prohibendi). „თუ ნივთის ერთ-ერთი მესაკუთრე გამოდის ამ ურთიერთობიდან და მის ადგილს არ იკავებს მისი უფლებამონაცვლე (მემკვიდრე), მაშინ მისი იდეალური წილი პროპორციულად გადადის ნივთის სხვა მესაკუთრეებზე (ius adcrescendi). ნივთის თითოეულ მესაკუთრეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს კონდომინიუმის შეწყვეტა“ (Бартошек М. 1989. стр. 79.). რომის სამართლით დადგენილი ერთობლივი ქონების მართვის ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. ქალაქებში თავისუფალი მიწის სიმცირიდან გამომდინარე ოჯახების მიერ ხდებოდა ამხანაგობების ჩამოყალიბება მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად, სადაც თითოეული მათგანი იღებდა საკუთარ წილს, მაშინ როცა მთლიანად სახლს და იმ მიწას, რომელზედაც სახლი შენდებოდა ერთობლივად მართავდნენ. ამავე მიზეზებიდან გამომდინარე XX საუკუნიდან კონდომინიუმი გახდა ევროპის ქვეყნებში სახლთმფლობელობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა და მიღებული იქნა შესაბამისი კანონებიც. მაგალითად, საფრანგეთის 1965 წ. 10 ივნისის კანონი „მრავალბინიან სახლებში საერთო საკუთრების სტატუსის შესახებ“ საკამოდ დეტალურად განსაზღვრავს შენობის იმ ნაწილებს, რომლებიც ითვლება საერთო საკუთრებას. ეს არის მიწა, ეზო, პარკები, სკვერები, სადარბაზოები, შენობის მზიდი კონსტრუქციები, საერთო კომუნიკაციები (კანალიზაციის, წყალსადენი, გაზის, ელექტრო და თბომომსახურების საერთო ქსელი), კიბეები და კიბის უჯრედები, ლიფტი, სავენტილაციო სისტემები, საერთო სარგებლობის ადგილები (გადასასვლელები, დერეფნები), სხვენი, სარდაფი. ანალოგიური მიდგომაა გერმანიის 1951 წ. კანონში „საცხოვრებელ სახლებში საკუთრების

უფლების შესახებ“. ზოგადად, ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში კონდომინიუმებთან მიმართებით შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადდი მახასიათებელი:

1) ქონების გაყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ საკუთრებად და საერთო საკუთრებად;

2) ინდივიდუალური და საერთო საკუთრება განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული;

3) საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა ეკისრებათ კონდომინიუმის წევრებს.

კონდომინიუმებთან მიმართებით განსხვავებული მიდგომაა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით. კანონი კონდომინიუმების შესახებ ა.შ.შ. კონგრესის მიერ მიღებული იქნა 1961 წ. კანონის მიღება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ კომუნალური მომსახურების ფასების მკვეთრმა ზრდამ აიძულა სახლების მფლობელები დაეწყოთ სახლის ბინების გაყიდვა ბინის მოქირავნეზე ან სხვა ნებისმიერ მსურველზე. შესაბამისად, მრავალბინიან სახლზე საკუთრების უფლება მოიპოვეს ამ სახლით მოსარგებლეებმა, რომლებმაც დაიწყეს მესაკუთრეთა ასოციაციების ჩამოყალიბება. ამან განაპირობა ის, რომ ა.შ.შ-ს კანონმდებლობით კონდომინიუმი წარმოადგენს არა საკუთრების ფორმას და არა უძრავი ქონების ობიექტს, არამედ მრავალბინიანი სახლის მართვის ფორმას.

განსხვავებული მიდგომები გვხვდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობაში. რუსეთის ფედერაციის 1996 წ. 24 მაისის კანონით „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კონდომინიუმი არის „უძრავი ქონების ერთიანი კომპლექსი, რომლის ნაწილი არის მოქალაქეების, იურიდიული პირების, ფედერაციის, ფედერაციის სუბიექტის ან თვითმმართველობის კერძო საკუთრებაში, ხოლო დანარჩენი ნაწილი - საერთო წილობრივ საკუთრებაში“. კონდომინიუმის ანალოგიურ განმარტებას აკეთებს 2000 წ. 3 მარტს მიღებული მოლდოვას კანონი „კონდომინიუმის შესახებ“. განსხვავებული მიდგომაა 2002 წ. 7 მაისს სომხეთის რესპუბლიკის კანონში „კონდომინიუმის შესახებ“. კანონით

კონდომინიუმი განიმარტება როგორც „არაკომერციული კოოპერატივი, რომლის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება. არის მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც იქმნება მათ წევრთა მიერ ქონებრივი წილობრივი შენატანებით და მიზნად ისახავს მრავალბინიან სახლებში საერთო წილობრივი საკუთრების მართვას“.

2007 წ. 11 ივლისის საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, მართალია არ იყენებს ტერმინს „კონდომინიუმს“, მაგრამ მრავალბინიან სახლს, როგორც უძრავ ქონებას ყოფს ინდივიდუალურ და საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებად. კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით „მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან“. საქართველოს ამ კანონით მნიშვნელოვანია ის, რომ კანონი მესაკუთრეთა ამხანაგობას ცნობს როგორც მრავალბინიან სახლებში, ასევე ინდივიდუალურ სახლების გაერთიანებაშიც. იმ განსხვავებით, რომ თუ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობა ითვლება დაფუძნებულად ამ კანონის ამოქმედებისთანავე („ამ კანონის ამოქმედებით დაფუძნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა“ (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი“), ინდივიდუალურ სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნა ნებაყოფლობითია - „ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა“ (მე-12 მუხლის პირველი პუნქტი). განმასხვავებელი კი არის ის, რომ თუ სხვა ქვეყნების კანონმდებლობა კონდომინიუმს (მესაკუთრეთა ამხანაგობას) ცნობს იურიდიულ პირად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი“. თუმცა, ამავე კანონით ამხანაგობას გააჩნია ყველა ის

ნიშანი (საკუთარი ქონება, ორგანიზაციული სტრუქტურა, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, საკუთარი სახელით უფლებებისა და მოვალეობების შეძენა, გარიგებების დადება, სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლა), რაც სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით არის დადგენილი იურიდიული პირებისათვის, გარდა ერთი უმთავრესი ნიშნისა, როგორიცაა ამხანაგობის წევრთა ნების თავისუფლება. კანონის თანახმად, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა ითვლება დაფუძნებულად ისეთ მრავალბინიან სახლებში, რომლებიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომლებშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა. ამრიგად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის მისი წევრების თავისუფალი ნების გამოვლინების შედეგი. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები ვერ დასახავენ სხვა მიზნებს მათი სუბიექტური მისწრაფებების განსახორციელებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფარგლებში, ან ვერ შეამცირებენ ამხანაგობისათვის დასახულ ამოცანებს, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება თავად ამხანაგობის ბუნებას. ის არ არის დამოუკიდებელი თავისი მიზნების ფორმირებაში და მიზნების განსაზღვრა არ ხდება წევრთა თავისუფალი ნების საფუძველზე“ (ტუღუში, თ., ბურჯანაძე, გ., მშვენიერაძე, გ., გოცირიძე, გ. და მენაბდე, ვ. 2013. გვ. 363).

თუ რამდენად მართებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ასეთი სამართლებრივი სტატუსი, ეს ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში კონდომინიუმი გვინდა განვიხილოთ სრულიად განსხვავებულ კუთხით, როგორც თანასაზოგადოების ერთ-ერთი ფორმა. ერთი შეხედვით, კონდომინიუმს, როგორც საერთო საკუთრების ფორმას (ან საერთო საკუთრების მართვის ფორმას) არა აქვს უშუალო კავშირი ერობასთან, როგორც მოსახლეობის თვითორგანიზებად ერთობასთან. ცხადია, რომ საერთო ქონების არსებობა სულაც არ ნიშნავს ამ ქონების მესაკუთრეთა სოციალურ ერთობას (მით უმეტეს თვითორგანიზებად ერთობას). ამიტომაც არის, რომ კონდომინიუმი ყოველთვის განიხილება როგორც სამართლებრივი და არა როგორც სოციალური ინსტიტუტი.

კონდომინიუმის ინსტიტუტის განსხვავებულ კუთხით განხილვა განპირობებულია საქართველოში (ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში) კონდომინიუმების შექმნის სპეციფიკით. საქართველოს ქალაქების ძირითად საბინაო ფონდში (ყოფილი სახელმწიფო და საქვეუწყებო საბინაო ფონდი) კონდომინიუმების შექმნა არც ევროპული (როცა ოჯახები აერთიანებდნენ თანხებს მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად, ამის ანალოგი საბჭოთა პერიოდში იყო ე.წ. კოოპერატიული ბინათმშენებლობა) და არც ამერიკული (როცა მრავალბინიანი სახლის მესაკუთრე იწყებდა ბინების გაყიდვას გარე პირებზე) გზით არ განხორციელებულა.

ამ მიმართულებით რეფორმა დაიწყო 1990 წლიდან. რეფორმა უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფოს აღარ ძალუძდა გაეწია საცხოვრებელი ფონდის მოვლა-შენახვისა და კაპიტალური რემონტის ხარჯები და სახელმწიფო ამ გზით ცდილობდა მოეხსნა პასუხისმგებლობა.

პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1990 წლის 25 იანვრის N 35 დადგენილებით „მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. ეს დადგენილება მიზნად ისახავდა საცხოვრებელი ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში გადაცემას და სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის მოხსნას ჩაეტარებინა სახლების მიმდინარე თუ კაპიტალური რემონტი.

1992 წლის 1 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის N107 დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ. ეს დადგენილება 1990 წლის დადგენილებიდან განსხვავებით ითვალისწინებდა საცხოვრებელი ბინების უსასყიდლო გადაცემას (ბინის მესაკუთრე იხდიდა მხოლოდ უმნიშვნელო ზომის სახელმწიფო ბაჟს ბინის გადასაფორმებლად). ამ დადგენილების მიზანსაც იგივე წარმოადგენდა - სახელმწიფო ბინით მოსარგებლეს საკუთრებაში გადასცემდა

სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ფართს, რითაც იხსნიდა პასუხისმგებლობას მოეხდინა ამ შენობების მიმდინარე თუ კაპიტალური რემონტი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებამ ბინით მოსარგებლეები, შეიძლება ითქვას, ,,ერთ დღეში" გამოაცხადა ბინის მესაკუთრეებად. რეფორმის ამგვარად გატარებამ მეზობლები იმავდროულად გახადა კონდომინიუმის წევრები. ამიტომაც, კონდომინიუმი, ძალზედ იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სამეზობლო კავშირის კანონით ინსტიტუციონალიზირებული ფორმა.

კანონის მიღებამ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ", სამეზობლო კავშირს შესძინა დამატებითი დატვირთვა - ეზრუნათ საერთო ქონების მოვლა-პატრონობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ვალდებულება სამეზობლო კავშირს მანამდეც გააჩნდა, თუმცა არც ქონება იყო იდენტიფიცირებული და არც წესები დადგენილი. კანონმა მოახდინა ამ ვალდებულების ფორმალიზება და გაწერა ის პროცედურები თუ რა წესით უნდა ხდებოდეს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. ამავდროულად, კანონმა სამართლებრივი შინაარსი შესძინა იმ პასუხისმგებლობებსაც, რომელიც დაკავშირებულია საერთო ქონების მართვასთან. თუ მანამდე ეს პასუხისმგებლობა მხოლოდ მორალური ხასიათის იყო, კანონის ამოქმედების შემდეგ მან სამართლებრივი ხასიათი შეიძინა.

ერთი მხრივ, ეს წარმოადგენდა სამეზობლო კავშირში, როგორც თვითორგანიზებად სისტემაში, სპეციფიურ ჩარევას. კანონი განსაზღვრავს ამხანაგობის სტრუქტურას, ინსტიტუციებს, უფლებამოსილებებს და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ თვითორგანიზებადი ერთეულის ნაცვლად მივიღოთ მართვადი ორგანიზაცია. თუ გადავხედავთ ამ კანონის მიღებიდან (2007 წლიდან) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საქმიანობის პრაქტიკას, ნათელი ხდება, რომ ამხანაგობების სახით, ხშირ შემთხვევაში, მივიღეთ პოლიტიზირებული ერთეული, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება უზრუნველყოფდა საარჩევნო ხმების მიღებას. მათზე ზემოქმედების მექანიზმს კი წარმოადგენდა მერიის პროგრამები

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების შესახებ. თანადაფინანსების პროგრამათა შერჩევის ზოგადი კრიტერიუმები საშუალებას იძლეოდა თანადაფინანსების თანხები მიმართულიყო უპირატესად ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ამხანაგობებისკენ.

მეორე მხრივ, კანონმა სამეზობლო კავშირს შეუქმნა საკანონმდებლო საფუძველი. მოახდინა მათი დამატებითი უფლებამოსილებებით აღჭურვა და რაც მთავარია, შექმნა მოსარგებლიდან მესაკუთრედ და პატრონად ქცევის შესაძლებლობა, რაც მართვის ობიექტიდან მართვის სუბიექტად გადაქცევის აუცილებელი წინაპირობაა. სამწუხაროდ, როგორც ამას ამხანაგობების არსებობის ცხრა წლიანი პერიოდი აჩვენებს, ამხანაგობათა მიერ ეს პოტენციალი არ არის გამოყენებული. ამხანაგობებმა ვერ მოახერხეს, საკმაოდ შესუსტებული სამეზობლო კავშირების გაძლიერება და მათი ახალ სიბრტყეში გადაყვანა. ამხანაგობების მიმართ არასწორმა პოლიტიკამ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ხშირ შემთხვევაში გადააქცია სახელმწიფო ადმინისტრაციის პოლიტიზირებულ დანამატად და არა თანასაზოგადოებად, როგორც თვითმმართველობის პარტნიორად. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები შეიქმნა კანონის მიერ „ზემოდან“, რის გამოც მოსახლეობის მიერ ეს ინსტიტუტი აღქმული იქნა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობა და არა მესაკუთრეთა გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად, როგორც ამხანაგობების სტრუქტურების, ისე მისი ხელმძღვანელობის არჩევა, წესდების მიღება და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებული იყო ამხანაგობის წევრთა ნებაზე. სამეზობლო კავშირების სისუსტემ, ერთიანი ნების ჩამოუყალიბებლობამ, ამხანაგობების საქმიანობის თანადაფინანსების (რომელიც ზოგჯერ ხარჯების 80-90% დაფინანსებას ითვალისწინებდა) პოლიტიკის სუბიექტურმა ხასიათმა, ამხანაგობები ჩამოაყალიბა მართვად ინსტიტუციად, რომლის ნდობის ფაქტორი საკმაოდ დაბალია და რაც მთავარია, მოსახლეობის მიერ არ აღიქმება იგი საკუთარ ორგანიზაციად.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონით უფრო თავისუფალი, „ღია“ მიდგომაა ინდივიდუალური სახლების მესაკუთრეთა მიმართ. კანონი უშვებს, მაგრამ არ ავალდებულებს ინდივიდუალური სახლების მესაკუთრეებს შექმნან ამხანაგობები. ასეთი ამხანაგობების შექმნის შემთხვევაში პირველ რიგში ისმევა კითხვა თუ რა არის ამ ამხანაგობების საფუძველი. კონდომინიუმის არსებობის საფუძველია საერთო ქონება. ინდივიდუალურ სახლებთან მიმართებით ყველაზე მაქსიმუმ რაც შეიძლება საერთო ქონებად ჩაითვალოს არის ორი მეზობლის საერთო ღობე ან კედელი. ამდენად, ამხანაგობა მხოლოდ ამ ორ მეზობელს შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს. სხვა საერთო ქონება, რომელიც შეიძლება ამ სახის ამხანაგობის საკუთრებაში ყოფილიყო, როგორიცაა საჯარო სივრცე (პარკები, სკვერები), კომუნიკაციები (საერთო წყალსადენი, გაზი, ელექტრომომარაგება და ა.შ.), საერთო გზები, ტროტუარები და სხვა ობიექტები არ წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ქონებას. ყველა ეს ობიექტი ან სახელმწიფო, ან მუნიციპალურ ან კერძო კომპანიის საკუთრებაში იმყოფება. ამიტომაც არის, რომ ასეთი სახის ამხანაგობების შექმნას დიდი გავრცელება არ ქონია. ფრაგმენტულად ასეთი ამხანაგობები შექმნილია ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში და აქაც, მათი შექმნის ძირითადი მიზანი მხოლოდ თანადაფინანსების მიღებაა.

ამავდროულად, ინდივიდუალური სახლის მესაკუთრეთა კონდომინიუმების შექმნის მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. რეალური კონდომინიუმის არსებობა მოსახლეობაში აყალიბებს მეპატრონის განცდას, რისი არარსებობაც არის თანასაზოგადოების ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დღემდე გადაუწყვეტელი რჩება დასახლების სტატუსის საკითხი. 2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად თვითმმართველობის განხორციელების ტერიტორიულ დონედ განისაზღვრა რაიონი. შედეგად, დასახლებები დარჩნენ მართვის საკუთარი ორგანოების გარეშე. მართალია, ყველა დასახლებას არც 2006 წლამდე არ გააცნდა საკუთარი მართვის ორგანო და 2006 წლამდე არსებული 1000-ზე მეტი თვითმმართველი ერთეული

აერთიანებდა 4000-ზე მეტ დასახლებას, მაგრამ 2006 წ. რეფორმამ კიდევ უფრო გაამწვავა მოსახლეობის მიერ საკუთარი დასახლების მართვის შესაძლებლობის არ არსებობის საკითხი. 2006 წლიდან დასახლებებში ან დასახლებების გაერთიანებებში დანიშნული გამგეობის რწმუნებულებმა (2012 წლიდან თვითმმართველობის რწმუნებულები, ხოლო 2014 წლიდან გამგებლის/მერის წარმომადგენლები) ვერ შეავსეს ეს ვაკუუმი. მოსახლეობის მიერ ეს თანამდებობის პირები აღიქმებიან, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ ხელისუფლების დავალებები და არა როგორც დასახლების ინტერესების გამომხატველები, რომელთა ფუნქციაა დასახლების განვითარებაზე ზრუნვა. ასეთმა მიდგომამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მოსახლეობაში ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც პირი არ თვლის თავს დასახლების, სოფლის პატრონად და მიაჩნია, რომ საფლის საერთო პრობლემები გარედან, მისი მონაწილეობის გარეშე უნდა გადაწყდეს. ასეთი დამოკიდებულების შეცვლის ერთ-ერთი მექანიზმი შეიძლება გახდეს კონდომინიუმი. დასახლებებში კონდომინიუმის ან კონდომინიუმების გაერთიანების ჩამოყალიბებით შესაძლოა გადაწყვეტილი იქნეს დასახლების სტატუსის განსაზღვრის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, დასახლება განხილული იქნება, როგორც კონდომინიუმი და იგი შეიძლება გახდეს იურიდიული პირი. თუმცა საკითხის ამგვარი გადაწყვეტისათვის აუცილებელი იქნება პირველ რიგში განისაზღვროს ის საერთო ქონება (დასახლების შიდა გზები, სანიაღვრე სისტემები, საჯარო გამოყენების სივრცე (პარკები, სკვერები ე.წ. სოფლის „ბირჟები“ და ა.შ.), სოფლის საძოვრები, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები და ა.შ.) რომელიც გადაეცემა ამ კონდომინიუმს (თუნდაც სარგებლობისა და მოვლა-პატრონობის უფლებით). მეორე მხრივ საჭირო იქნება კანონმა, ისე როგორც უმეტეს ქვეყნების კანონმდებლობითაა დადგენილი, განსაზღვროს, რომ კონდომინიუმი არის იურიდიული პირი. ასევე, აუცილებელი იქნება შეიცვალოს კონდომინიუმების მხარდაჭერის არსებული მექანიზმები. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობა თანადაფინანსების ფორმით ხელს უწყობდეს

კონდომინიუმების განვითარებას, მაგრამ ეს თანადაფინანსება, როგორც წესი, არ უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს 30-40%-ზე მეტი და რაც მთავარია თანადაფინანსება უნდა ხდებოდეს კონკურსის საფუძველზე, რაც წაახალისებს კონდომინიუმების გააქტიურებას. „ფული და სახელმწიფო მხარდაჭერა საჭიროა იმისთვის, რომ ამოქმედდეს სოციალური რეაბილიტაციის მექანიზმები სამოქალაქო სოლიდარობისა და ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების დასამკვიდრებლად“ (Кокарев И. 2001. стр. 42) და არა იმისათვის, რომ ჩაენაცვლოს ადგილობრივ თანასაზოგადოებას.

- **სათემო კავშირები**

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში ფართო გავრცელება ჰპოვა სათემო ორგანიზაციების შექმნამ და ფუნქციონირებამ. სათემო კავშირი არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც იქმნება საერთო ინტერესების მქონე ადამიანების მიერ.

ამ ინტერესების ხასიათიდან გამომდინარე გამოიყოფა ორი ტიპის სათემო კავშირი:

1) სათემო კავშირი, რომელიც აერთიანებს დასახლების ან დასახლების ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობის წარმომადგენლებს და რომლის მიზანია ამ ტერიტორიის ან სამეზობლოს საერთო პრობლემების მოგვარება და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება;

2) სათემო კავშირი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ პირებს ერთი საერთო ინტერესით, რომელიც დაკავშირებულია არა კონკრეტულ ტერიტორიასთან, არამედ საერთო პრობლემასთან ან სფეროსთან. მაგალითად, ახალგაზრდული კლუბები, ქალთა უფლებათა დაცვის ორგანიზაციები, ფერმერთა კავშირები და ა.შ.

მოცემულ თემიდან გამომდინარე, ჩვენი ინტერესის სფერია სწორედ პირველი ტიპის სათემო კავშირი. ამ სახის სათემო კავშირები შეიძლება იყოს როგორც რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

ფორმით ან იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი არარეგისტრირებული კავშირი, გაერთიანება ან ამხანაგობა, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და რომელთა მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მათ წევრთა ურთიერთშეთანხმებით.

სათემო კავშირი, როგორც „ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, არის სოციალური სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ხალხი ერთობლივი ძალისხმევით აღწევს საერთო მიზანს“ (სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისათვის. 2004. გვ. 12). ძირითადი ნიშანი, რომლითაც სათემო კავშირი განსხვავდება სხვა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, არის ის, რომ „სათემო კავშირი წარმოადგენს კავშირის მიერ განხორციელებული პროექტების უშუალო მოსარგებლეს ან მომხმარებელს, მაშინ, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები შეიძლება თავიანთი განხორციელებული პროექტების უშუალო მომხმარებლები არ იყვნენ“ (სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისათვის. 2004. გვ. 14).

სათემო ორგანიზაციის მიზნებს შეიძლება წაროადგენდეს:

- სოფელში არსებული პრობლემების გამოვლენა, შესწავლა და გადაწყვეტა;
- სოფლის განვითარებისა და მისი თითოეული მოსახლისათვის არსებობის აუცილებელი პირობების შექმნა;
- სოფლის თითოეული ოჯახისათვის ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა;
- განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრა და ამ სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა;
- სოფლის ეკოლოგიაზე ზრუნვა და ამ მიმართულებით პროექტების განხორციელება;

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა და მათი ინტერესების დაცვა, მათთვის მატერიალური უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა;
- სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში მოსახლეობის დახმარება და მათი ინტერესების დაცვა;
- მონიტორინგის განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების შესრულებაზე;
- სოფლის მოსახლეობის დახმარება საერთო სარგებლობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების (საძოვრების, სათიბების) მართვაში და სარგებლობაში;
- სათემო ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივ პროცესებში, სხვადასხვა პროგრამების შექმნასა და რეალიზაციაში, საერთო კაპიტალის მოზიდვასა და მოხმარებაში;
- ასევე სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება სოფლის მოსახლეობის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

სათემო კავშირების (როგორც ფორმალიზებული, ისე არაფორმალიზებული) ზემო აღნიშნული ეს მიზნები გამომდინარეობს მოსახლეობის ინტერესებიდან, რაც უნდა უზრუნველყოფდეს ასეთი კავშირების მდგრადობას. თუმცა, პრაქტიკაში, სამწუხაროდ ასე არაა.

ამ სახის კავშირების შექმნა დაიწყო და უპირატესად დამყარებული იყო გარე ფინანსურ დახმარებაზე და ამ დახმარების შეწყვეტისას, კავშირიც, უმეტეს შემთხვევაში, წყვეტდა არსებობას. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ სათემო კავშირები სწორედ დასახლებაში მცხოვრებ პირთა გაერთიანებით იქმნებოდა და ამ მხრივ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი სოციალური ერთობა, ხშირ შემთხვევაში იგი ხელოვნური ორგანიზების და არა

თვითორგანიზების ფორმას წარმოადგენდა და მთლიანად დამოკიდებული იყო გარე ფაქტორზე.

ამ მოსაზრების მართებულობაზე მიუთითებს „სტარტეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ სტატიაში „თემის განვითარება“, რომელიც ეხება 2006-2010 წ.წ. ცენტრის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობის შეფასებას: „სოფლად არსებობს ფორმალიზებული გაერთიანებების შექმნის არაერთი მაგალითი, ამგვარი გაერთიანებების ინიცირება, ძირითადად, ხდება გარე აქტორების ზეგავლენით და ზოგჯერ მათი უშუალო მედიაციითა და წახალისებით; ამგვარი გაერთიანებების მდგრადობის მაჩვენებელი მაღალი არ არის; არსებულ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი ინსტიტუციურ სივრცეში ამგვარ გაერთიანებებს სტაბილური ფუნქცია და ეკონომიკური რაციონალობა არ ამყარებს“ (2010). ამის გამომწვევი მიზეზები არის როგორც სუბიექტური ხასიათის, რომელიც შეიძლება უფრო მარტივად გადაიჭრას (მაგალითად, ლიდერის არასწორი შერჩევა, როცა ლიდერი თავის პიროვნული თვისებებით ვერ ახდენს გუნდის მართვას ან პირიქით, როცა არის „სუპერდომინანტი ლიდერი“, რომელიც ყველანაირ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე და ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებსაც სრულიად ერთპიროვნულად იღებს. თუ გუნდის ფორმირების ადრეულ ეტაპზე, ამგვარი მიდგომა მისაღები და საჭიროცაა, ჯგუფის განვითარების შემდგომ ეტაპზე იგი უკვე შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, ხელს უშლის ჯგუფის სხვა წევრების პიროვნული შესაძლებლობების გამოვლენას), ისე საზოგადოებაში არსებული მდგომარეობით, როცა მოსახლეობა პასიური მაყურებლის როლით შემოიფარგლება და არ ერთვება თემის საქმიანობაში.

„ყველაზე დიდი სირთულე მოსახლეობასთან მიმართებაში გახლავთ არსებული უნდობლობის, პასიურობის დაძლევა და არსებული საბჭოთა მენტალობის გადალახვა. საზოგადოება, ზოგადად, არჩევს იყოს პასიური მოთამაშის როლში და თავი აარიდოს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. ძალიან ხშირად განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება

სოფლებში ბევრ ეჭვს ბადებს, განმახორციელებელ ორგანიზაციებს აიგივებენ პოლიტიკურ პარტიებთან, წინაასაარჩევნო კამპანიებთან, ან სხვადასხვა რელიგიურ დაჯგუფებებთან. ერთი და ორი თვე, თუნდაც ნახევარი წელიც კი არ არის საკმარისი დრო უნდობლობის დასაძლევად, მოსახლეობის ნდობის მოპოვება კი თემთან მომუშავე ჯგუფისაგან დიდ მოთმინებას და ძალისხმევას მოითხოვს". („თემის განვითარება" 2010. გვ. 11) ეს დამოკიდებულება განაპირობებს იმას, რომ ხდება სათემო კავშირის „ჩაკეტვა". საკითხები განიხილება, იგეგმება და გადაწყვეტილება მიიღება ვიწრო წრეში, რითაც სათემო კავშირი წყდება მოსახლეობას და ამით კარგავს თავის უმთავრეს დანიშნულებას.

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი კოორდინატორები მიუთითებენ, ამ ტიპის ორგანიზაციებში ხდება მიზნის ჩანაცვლება საშუალებით. გრანტი, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც „პირველი ბიძგი" ორგანიზაციის შემდგომი მუშაობისთვის, ხდება ორგანიზაციის მიზანი. „ამ ტიპის ორგანიზაციები გადაიქცა გრანტის გადამამუშავებელ საწარმოებად" (საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ადგილობრივი კოორდინატორი). ორგანიზაციები სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესის მიღმა რჩება. ისინი ვერ ავსებს სახელმწიფო და კერძო სფეროს შორის არსებულ ცარიელ სივრცეს. მოსახლეობის ჩართულობა, როგორც მიზანი, მიუღწეველი რჩება.

„საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის" მიერ (2012) ჩატარებული კვლევების თანახმად, მოსახლეობის დამოკიდებულება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების მიმართ მთლიანობაში დადებითია (91.7%), მაგრამ ეს არ გულისხმობს ამგვარ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და მათ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილს. გამოკითხული რესპონდენტების 18.2%-მა მიუთითა, რომ მათ სოფელში არსებობს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ხელშეწყობით დაფუძნებული ორგანიზაცია, თუმცა ორგანიზაციებში წევრობის მაჩვენებელი ძალზე დაბალია. იმ სოფლებში, სადაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიობაზე მიუთითებენ,

გამოკითხულთა მხოლოდ 4.6%-ია სათემო ორგანიზაციების ან ასოციაციების წევრი.

სათემო კავშირის სპეციფიურ ფორმას წარმოადგენს თანასაზოგადოების ფონდი (community foundation). თანასაზოგადოების განვითარებისათვის ფონდების გამოყენების ტექნოლოგია პირველად იქნა შემოღებული ა.შ.შ.-ში 1914 წ. თანასაზოგადოების ფონდი წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა მიმართულია კონკრეტული ტერიტორიის განვითარებაზე და მიზნად ისახავს ეკონომიკური, ადამიანური და სოციალური რესურსების გაერთიანებას ერობის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტისა და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის ასამაღლებლად. ფონდების დაფინანსება ხდება როგორც კორპორატიული, ასევე კერძო ფიზიკური პირების შემოწირულობებით. შემოსული სახსრების განკარგვა ხდება ფონდის მიერ კონკურსის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ამ ტერიტორიაზე მოქმედი არაკომერციული ტიპის ორგანიზაციები და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფები. გადაწყვეტილებას ფონდიდან გრანტის გაცემაზე იღებს საგრანტო კომიტეტი, რომელიც შედგება ხელისუფლების, სამეწარმეო სუბიექტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან, ასევე მოწვეული შესაბამისი სფეროს ექსპერტებისაგან. ასეთი ფონდები შექმნილია ევროპისა და ამერიკის 50-ზე მეტ ქვეყანაში. მსოფლიოში სულ მოქმედებს „1440 ფონდი, რომელთა თითქმის ნახევარი (თითქმის 600) მოდის ა.შ.შ.-ზე. მათგან უმეტესი ნაწილი შექმნილია ბოლო 30 წლის განმავლობაში“ (Largest Community Foundations by Asset Size 2009). ექსპერტთა შეფასებით (Мерсиянова, И.В., Солодова, И.И. 2010), ფონდების ასეთი გავრცელება და წარმატება განპირობებულია საქველმოქმედო საქმიანობის ინსიტუციური მოდელის მოქნილობით. ამ მოდელის დანერგვა და წარმატებითი საქმიანობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ფონდის საქმიანობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობაზე. „ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ფონდის საქმიანობის მხარდაჭერა წარმოადგენს ამ ტერიტორიაზე ფონდის საქმიანობის წარმატების აუცილებელ

პირობას“ (Мерсиянова, И.В., Солодова, И.И. 2010. стр. 167). მეორე მხრივ, თავად თვითმმართველობის ორგანოებისთვისაც უაღრესად სასარგებლოა ასეთი ტიპის ფონდების არსებობა. თვითმმართველობის ბიუჯეტის სიმწირე, ასევე მოხელეთა შეზღუდული შტატები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ თვითმმართველობის მიერ უშუალოდ მოხდეს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობისთვის ოპერატიული და ეფექტური დახმარების გაწევა. ამ ტიპის ფონდებს აქვთ საშუალება ჩაატარონ კვლევები მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობის შეფასების კუთხით, მოამზადონ შესაბამისი პროექტები, მოიზიდონ დამატებითი სახსრები. რაც მთავარია, ასეთი ტიპის ფონდების არსებობა მოსახლეობაში აჩენს სოლიდარობის გრძნობას და ხელს უწყობს როგორც ნდობის გაღვივებას, ასევე მოსახლეობის სხვა და სხვა ფენებს შორის კავშირურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ანუ სოციალური კაპიტალის შექმნას. ეს რესურსი და შესაძლებლობა (ისევე როგორც სხვა მრავალი) საქართველოში ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა გამოყენებული. თუმცა, ბოლო პერიოდში უკვე ჩნდება ასეთი ტიპის ფონდის ჩამოყალიბების შემთხვევები. მაგალითად, თიანეთის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით საინიციატივო ჯგუფების მიერ 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო ჩამოყალიბება ასეთი ტიპის ურთიერთდახმარების ფონდმა „სოფლის ქომაგი“. ეს არის არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც სოციალურად დაუცველი პირებისათვის აგროვებს პირველადი მოხმარების საგნებს (ტანსაცმელი, საკვები, მედიკამენტები). მუნიციპალიტეტმა სოფლებში გამოყო სპეციალური ოთახები, სადაც ხდება ამ ნივთების განთავსება და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეძლევა საშუალება მივიდეს და უსასყიდლოდ მიიღოს მისთვის საჭირო ნივთები.

- **საერთო კრება**

დასახლების ან დასახლების მოსახლეობის საერთო კრება წარმოადგენს თანასაზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ძველ და გავრცელებულ ფორმას. ამ შემთხვევაში ტერმინ „საერთო კრება“-ში ვგულისხმობთ არა განხილვისა და

გადაწყვეტილების მიღების ფორმას (გადაწყვეტილების მიღების ასეთი პროცედურული ფორმა დამახასიათებელია თანასაზოგადოების ყველა ფორმისათვის დაწყებული ვიწრო სამეზობლო კავშირიდან), არამედ თანასაზოგადოების ინსტიტუციურ ფორმას, რომელიც იმართება როგორც პერიოდულად, ისე სპონტანურად და არის მოსახლეობის ნების გამოხატვის უშუალო ფორმა. ეს ფორმა არსებობდა უხსოვარი დროიდან იყო ეს ანტიკური საბერძნეთის აგორა, სლავური ტომების ვეჩე, თუ ალტინგი სკანდინავიის ქვეყნებში. ეს იყო პირველყოფილი თემის უმაღლესი ორგანო, რომელიც იხილავდა თემის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამ საერთო ორგანოსთან ერთად, ცხადია არსებობდა უფრო მცირე, დასახლების (თემში შემავალი) გვარის საერთო კრებები.

ასეთი სახის ინსტიტუცია არსებობდა საქართველოშიც საფიხვნოს (ხევსურეთი), საანმჯმნოს (თუშეთი), ერობის (ხევი) თუ სანახშოს (რაჭა) სახელწოდებით. ეს იყო თავშეყრის სპეციალური ადგილი ან ამ მიზნისათვის განკუთვნილი შენობა. „საფეხვნოს ნაგებობა ხევსურეთში მხოლოდ შატილშია შემონახული. ეს არის ღია შენობა, რომელშიც დგას ქვის სკამები. საფეხვნო მთის თითქმის ყველა სოფელში იყო და მის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა მეზობლების შეხვედრა, სჯა-ბაასი, დასვენება-გართობა. აქ ზელდნენ ტყავს, გრეხდნენ თოკს, ამოასხამდნენ ქალამნებს, თლიდნენ თითისტარებს და ა. შ. საფეხვნოში საუბარი იყო საგმირო საქმეებზე, მტერ-მოყვარეზე, ქცევის ნორმებზე, წეს-ჩვეულებებზე, აგვარებდნენ პატარ-პატარა სასოფლო საქმეებს: სათიბზე გასვლის ვადების განსაზღვრა, მწყემსობის რიგის დადგენა, დაზიანებული ხიდის შეკეთება და სხვა.“ (ოჩიაური, თ. 1985. გვ. 152).

სახელმწიფოს და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, საერთო კრებები კარგავენ თავის მნიშვნელობას და შემორჩნენ ისეთ ადგილებში სადაც ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ნაკლებად იგრძნობოდა. თუმცა, XIX საუკუნიდან ხელახლა გახდა დასახლებების საერთო კრებების საჭიროება. ეს უპირველესად გამომდინარეობდა იქედან, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა წარმოშვა ახალი ტიპის მოთხოვნილებები, რომელსაც ცენტრალური

ხელისუფლება ვერ აკმაყოფილებდა ან ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა არ მიიჩნეოდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების საგნად. ამიტომ, ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ყველაზე უფრო ოპიმალურ ფორმად გამოიკვეთა მოსახლეობის საერთო კრება, რომელიც საკუთარი ინიციატივითა და საკუთარი პასუხისმგებლობით იღებდა გადაწყვეტილებას ამ ტიპის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე.

საქართველოში, საერთო კრებების, ან როგორც მას იმ პერიოდში უწოდებდნენ „სოფლობის“, საქმიანობა იწყება 1865 წლიდან, როცა საქართველოში გატარდა საგლეხო რეფორმა. „1865 წლის 11 აპრილს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა დაამტკიცა სათანადო დებულება, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.5. გვ. 304).

დებულების მიხედვით, სოფლის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სოფლის ყრილობა. აღმასრულებელი ხელისუფალი იყო მამასახლისი, რომელსაც ირჩევდა სოფლის ყრილობა. საზოგადოებრივი მმართველობის ფუნქციები მოიცავდა როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციულ საქმეთა მოგვარებას. დებულებით, ყველა ოჯახიდან ერთი ადამიანი მაინც უნდა დასწრებოდა სოფლის ყრილობას. ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება კანონიერად ითვლებოდა, თუ მას ესწრებოდა სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. საკითხი წყდებოდა ხმების უმრავლესობით. სოფლის ყრილობა რეგულარულად იმართებოდა სოფლებში 1918 წლამდე (ვინაიდან 1919 წ. ჩატარდა არჩევნები და ადმინისტრაციული მოწყობის ახალი პრინციპი ამოქმედდა).

სოფლის ყრილობების საზოგადო მნიშვნელობის, მისი ფუნქციონირების პრინციპებსა და მექანიზმებზე ც მოგვითხრობს XIX-XX საუკუნეების პერიოდული გამოცემები „სახალხო გაზეთი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“. „კანონით ნება დართული სოფლის ერთათ შეკრება თავის ჭირ-ვარამზედ მოსალაპარაკებლად, ერთი საუკეთესო მუხლია მეცხრამეტე საუკუნის კანონ-მდებლობისა. .... ცხოვრება გართულდა, მეტს უნარს და დაკვირვებას ითხოვს. ამისათვის დროა და დიდათ

საჭიროა, ჩვენმა სოფლებმაც თავის საქმეები საზოგადო ყრილობაზედ დინჯის მოფიქრებით და მსჯელობით აწარმოოს“ („სახალხო გაზეთი“ 1909 წ.).

სოფლის ყრილობას გააჩნდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინების საკმაოდ ეფექტური მექანიზმები. „სახელმწიფო სოფლისთვის, მიწის ფართობის მიხედვით, მთლიან გადასახადს ადგენდა, შემდეგ ამის შესახებ ყრილობა თათბირობდა. ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს გადასახადისგან სრულად ათავისუფლებდნენ. კრება ირჩევდა კომისიას, რომელიც მთლიან თანხას ანაწილებდა ცალკეულ ოჯახებზე, მათი შესაძლებლობისა და სარგებლობაში მყოფი ნაკვეთების მიხედვით.“ სოფლის ყრილობა ხშირად ითავსებდა სასამართლო ფუნქციებსაც და წყვეტდა ნაკლებად მძიმე დანაშაულებების საკითხებს. სასჯელად გამოჰქონდა როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ასევე მცირედი ფულადი ჯარიმები. მოსამართლეებსაც ყრილობა ირჩევდა 3 წლით. მამასახლის აკრძალული ქონდა მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევა.

საერთო კრება, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენდა ერობის ერთ-ერთ ყველაზე მეტად განვითარებულ ფორმას, რადგან იგი, ადგილობრივი თანასაზოგადოების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, მიმართული იყო უფრო ფართო ჯგუფის ისეთი სახის საერთო საკითხების გადაწყვეტაზე, რომელიც შეიძლება უშუალო და პირდაპირ, მყისიერ გავლენას არ ახდენდა თანასაზოგადოების კონკრეტულ წევრზე. მიღებული გადაწყვეტილებებიც, როგორც წესი, იყო უფრო ხანგძლივვადიანი, რაც ხელს უწყობდა ქცევის საერთო წესების ჩამოყალიბებას, აძლევდა განვითარების მიმართულებას თვითორგანიზებას, რაც სოციალური კაპიტალის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. ამიტომაც, სრულიად მართებულია სათემო განვითარების ცენტრის ექსპერტის დ. კაკაშვილის შეფასება, რომ „სოფლის ყრილობა წარმოადგენდა თემის თვითორგანიზების ერთ-ერთ კარგ მაგალითს, დამყარებულს მმართველობის ისეთ პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ საჭიროებებსა და

საერთო ინტერესებზე ორიენტირებულობას. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების მყარ საფუძველს“ (კაკაშვილი, დ. 2015. გვ. 18-19)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სოფლის ყრილობა ჩაანაცვლა სოფლის საბჭომ და კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ. თუმცა, ეს ინსტიტუციები წარმოადგენდნენ თანასაზოგადოების ხელოვნური ფორმას, რომელთაც არაფერი ქონდათ საერთო თვითორგანიზებასთან და რეალურად ასრულებდა მხოლოდ კომპარტიის უჯრედის ფუნქციას. ამ პერიოდიდან ჩამოყალიბდა ის ნიჰილიზმი და იდენფერენტული განწყობა, რაც განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს. ასეთი დამოკიდებულების გამოა, რომ, დღევანდელ პირობებში „თითქმის შეუძლებელია მნიშვნელოვან პრობლემებზე სოფლის კრების მოწვევა. ხშირად საუბნო კრების ჩატარებაც კი მეტად პრობლემატურია“. „პრობლემა არა მარტო სოფლის შეკრება და სოფლის საერთო საკითხების მიმართ მოსახლეობის დაბალი ინტერესია, არამედ, ზოგადად, რაიმე ტიპის გაერთიანება, ინტერესთა ჯგუფების ფორმირება სხვადასხვა იდეის გარშემო: იქნება ეს სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვა, საუბნო საბჭო, ფერმერთა გაერთიანება, კოოპერატივი თუ მოყვარულთა დრამატული წრე“ (მარგველაშვილი, ა. 2015. გვ. 5-6).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთო კრებების აღსადგენად არ გადადგმულა. ამ ინსტიტუტის აღდგენა-ფუნქციონირებას მხოლოდ 2009 წლიდან მიექცა ყურადღება, რაც გამოიხატა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შექმნით. პროგრამამ განხორციელება დაიწყო 2009 წლიდან და მის სამართლებრივ საფუძველს შეადგენდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის N35 განკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ". ამ განკარგულების პირველი პუნქტით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მათ შემადგენლობაში არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 19 998 876 ლარი. 2010 წლიდან სახელმწიფო

ბიუჯეტში უკვე ცალკე მუხლად გამოიყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება. ამ პროგრამის განსახორციელებლად 2010 წ. გამოიყო 40 მილიონი ლარი, ამდენივე იქნა გამოყოფილი 2011 წელს, ხოლო 2012 წლიდან გამოიყოფა ყოველწლიურად 50 მილიონი ლარი.

სოფლის პროგრამის განხორციელება ისახავს ორ უმთავრეს მიზანს:

1) სოფლისა და დაბის (გარდა თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრისა) ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციის ან/და კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოების დაფინანსებას;

2) თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერას; მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და ურთიერთნდობის აღდგენას.

პროგრამით გათვალისწინებული თანხები ნაწილდებოდა სოფლისა და დაბების მიხედვით დასახლებაში არსებული მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. თანხების გამოყენების მიზნობრიობას განსაზღვრავდა შესაბამისი დასახლების მოსახლეობათა საერთო კრებები, იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტისადმი, რომლითაც სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას;

ბ) შესრულებულ სამუშაოს უნდა ქონოდა ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი და არ უნდა ყოფილიყო მიმართული ერთჯერადი, მოკლევადიანი მოხმარებისათვის.

პროგრამის განხორციელება დაიწყო 2009 წლიდან და ამ პროგრამამ მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. როგორც ჩატარებული კვლევები აჩვენებს 2009 წლიდან 2015 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთო კრებებში მოსახლეობის მონაწილეობა და ამაღლდა ნდობის ხარისხი.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა განხორციელებული ყოფილიყო საზოგადოებრივი მომსახურებისათვის ისეთი ღონისძიებები,

რომელთა შესრულებისათვის თვითმმართველ ერთეულებს არ გააჩნდათ საკმარისი რესურსები. მთლიანობაში 2009-2015 წ. სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იქნა სულ 249 998 262 ლარი. მათგან 2009 წ - 19 998 280 ლარი, 2010 წ. – 39 999 983 ლარი, 2011 წ. – 40 000 000 ლარი, ხოლო 2012 წლიდან ყოველწლიურად გამოიყოფა 50 000 000 ლარი.

ცხრილი N2

2009-2015 წ.წ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები

პრიორიტეტები	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
	19998280	**39999983**	**40000000**	**50000000**	**50000000**	**50000000**	**50000000**
სასმელი წყლის სისტემები	3447210	7161359	8895390	9578452	8589139,7	9303741	7769721
საკანალიზაციო სისტემები	12899	50606	84990	124373	137610	161704	355072
სარწყავი სისტემები	886012	665951	1575905	1327537	1239377	964403	1197149
სანიაღვრე არხები	1037151	983615	1496420	1536194	1788188,78	2250253	2281681
ნაპირსამაგრი სამუშაოები	75603	241871	348959	418047	518713	318896	209028
გზები	3532055	10563493	9099270	13598345	13114943,2	11996843	11743385
ხიდები	905982	1723697	1633983	1852893	1459801,9	1730853	1557547
გარე განათება	441248	1451382	1280735	2626337	2751128,5	4565703	5261671
მრავალბინიანი საცხ. სახლები, ამხანაგობრები	93086	20461	9115	149787	53103	14368	79190
სკოლების მშენებლობა, რებილიტაცია	105709	738654	223196	233145	93112,5	20000	1000
სკოლამდელი დაწეს. მშენ. რეაბილიტაცია	351643	1239595	495706	1492012	3588200,7	3787767	4187530
ამბულატორიის შენობის რემონტი	61581	271087	210833	250 881	82165	288200	444064

სახანძრო სამსახურის შენობები, აღჭურვა	0	0	12362	14230	7395	1500	-
სანაგვე ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანები	16264	161982	174082	170378	109312	48612	319552
კულტურის და ადმინისტრ. შენობების რეაბილიტაცია	530272	1628162	1045207	1044081	1552111,6	1622150	1317904
სპორტული მოედნები	1675291	2688540	2478692	2337358	2244574,4	1487285	1889110
სკვერები, ბაღები	259422	588619	573 813	442 443	702683,8	872858	1017487
სოფლის დახმარების პროგრამა	0	0	0	4 829	0	-	-
ტრაქტორების, სოფ. ტექნიკის შეძენა	121957	332484	730746	1056745	1005560	1231264	1681389
ხარჯთაღრიცხვა, პროექტირება და ექსპერტიზა	0	0	0	51145	9300	-	3500
სხვა სამუშაოები	1740254	3574805	3687390	3440565	766211,47	326991	448790
წისქვილების რეაბილიტაცია	168508	208151	241 177	317379	274297	254414	183937
ეკლესიის შეკეთება	243155	296030	97 038	185815	1206774,04	701551	333857
გაჩერების, მოსაცდელის მოწყობა	876078	1023900	1081382	857502	1074658,08	839384	1051255
თავშეყრის ადგილების მოწყობა	520438	697954	550486	916495	480620	151069	18889
სარიტუალო სახლების მოწყობა, აღჭურვა	1172942	2718788	2559514	4824255	5469820	5170927	5135932
სასაფლაოს შემოღობვა	1723519	1484127	1354440	1148778	1675020,41	1861304	1511361

მიუხედავად იმისა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მთლიანობაში საკმაოდ წარმატებულია და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსახლეობის თვითორგანიზებულობას, მას გააჩნია მთელი რიგი როგორც სამართლებრივი, ისე არსობრივი ხასიათის ხარვეზები.

1) პირველ რიგში, პრობლემა მდგომარეობს ამ პროგრამის არა საყოველთაობასა და დასახლებების სეგრეგაციაში. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზნები არ ეხება მხოლოდ სოფლის სპეციფიკას (მაგ. სოფლის მეურნეობის განვითარებას). მისი მიზნები, რომლებიც 2009 წლიდან დღემდე არ შეცვლილა, მიმართულია დასახლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისებისკენ. ორივე ეს მიზანი პრობლემატურია როგორც სოფლის ისე ქალაქისთვის. მართალია, 2014 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებებში უკვე მითითებულია, რომ „ამ პროგრამის მიზნებისთვის, სოფლის სახელწოდების ქვეშ მოიაზრება სასოფლო, სადაბო და საქალაქო ტიპის დასახლებები, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა“. მაგრამ, ეს მაინც პრობლემის ნაწილობრივი მოგვარებაა. პროგრამით დასახული მიზანი არანაკლებ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებისა და თვითმმართველი ქალაქებისთვის.

2) პროგრამით გათვალისწინებული თანხის განაწილების არსებული ფორმულა მთელ რიგ შემთხვევებში არაეფექტურია. თანხების გამოყოფა სოფლებისათვის ხდება მოსახლეობის სულადობის შესაბამისად და არა რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სისტემა მრავალმოსახლიან სოფლებში მეტ–ნაკლებად იძლევა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საშუალებას, იგი ნაკლებად ეფექტურია მცირემოსახლიანი სოფლებისთვის (მოსახლეობა მცირეა თუმცა დიდ ტერიტორიას მოიცავს), მაშინ როცა თითქმის ყველგან არის ინფრასტრუქტურული პროექტების (წყლის სისტემა, გზები და ა.შ) განხორციელების საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ თანხების განაწილების არსებული ფორმულის მიხედვით, პატარა სოფლებში ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი თანხა გამოიყენება, ვიდრე მრავალმოსახლიან სოფლებში (მაგალითად, 50 კაციან სოფელზე ერთ სულ მოსახლეზე გამოიყოფა 40 ლარი, ხოლო 1000 კაციან სოფელში ერთ სულზე 8 ლარი გამოდის), იგი მაინც ვერ უზრუნველყოფს პატარა სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

3) სოფლის პროგრამისა და თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო თანხების ხარჯვის განსხვავებული მეთოდიკა ართულებს თვითმმართველი ერთეულის მხრიდან პროგრამის თანადაფინანსების შესაძლებლობას (სოფლის პროგრამით დადგენილი თანხები შეიძლება დაიხარჯოს გამარტივებული ტენდერით. მაგრამ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების ამ ფორმით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანადაფინანსების წილი 50%-ზე ნაკლებია).

4) პროგრამა ხორციელდება წინასწარი დაგეგმვის გარეშე. შესაბამისად, მისი ეფექტიანობა დაბალია. დასახლებების საჭიროებებისა და პრიორიტეტების დადგენის გარეშე პროგრამით გათვალისწინებული თანხები იხარჯება იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რასაც ეს თანხა ყოფნის. ანუ თანხები იხარჯება არა რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე, არამედ ამ თანხებზე ხდება საჭიროებების მორგება.

5) სერიოზული პრობლემა შეიძლება შექმნას 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებში სპეციალური პუნქტის გაჩენამ (2015 და 2016 წ.წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი), რომლის თანახმად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხა ან მისი ნაწილი, შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული სოფლის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად“.

კანონის ეს პუნქტი ასევე ასახულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებულ მთავრობის დადგენილებებშიც. ამგვარი მიდგომა და ამ პუნქტის მასიური გამოყენება გამოიწვევს ამ პროცესებიდან მოსახლეობის ჩამოცილებას, რითაც დაიკარგება ექვსი წლის მანძილზე ამ პროგრამათა განხორციელების უმთავრესი შედეგი - ნდობის ფაქტორი და მოსახლეობის აქტიურობა. ამ პროგრამის უმთავრესი მონაპოვარია საერთო კრებების ჩატარების პრაქტიკა და, შეიძლება ითქვას, უკვე გარკვეული ტრადიციის ჩამოყალიბება, რაც, ზემო აღნიშნული მიდგომით შეიძლება უკვალოდ დაიკარგოს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე ჩატარებული კვლევები (მაგალითად, ა(ა)იპ „საქართველოს სამოქალაქო ინსტიტუტის“ კვლევა, რომელიც შესრულდა 2011 წ. და რომელშიც მეც ვღებულობდი მონაწილეობას) ადასტურებენ, რომ წლიდან წლამდე იზრდება საერთო კრებებში მოსახლეობის მონაწილეობის რაოდენობა. მონაწილეთა ზრდასთან ერთად პროპორციულად მცირდება იმ პირთა რაოდენობაც, რომლებიც ნიჰილისტურად არიან განწყობილნი და თვლიან, რომ მათი მონაწილეობით არაფერი შეიცვლება. ყალიბდება საერთო კრებების ჩატარების კულტურაც. მე თავად დავსწრებივარ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულ კრებებს. თუ თავდაპირველად ასეთი კრებები რთულად ტარდებოდა, ისევე როგორც XX საუკუნის დასაწყისში, როცა 1909 წ. „სახალხო გაზეთი“ წერდა, რომ სოფლის კრებაზე „წესიერი და დინჯი მსჯელობა კი არ არის, საშინელი ღრიანცელია, სადაც ყურთასმენა აღარ არის. რიგზედ ნათქვამს კი არ უგდებენ ყურს სოფელი, ყველა თავისას ყვირის“. თანდათანობით ეს კულტურა ჩამოყალიბდა და კრებებზეც „წესიერი და დინჯი მსჯელობა“ იმართება. სოფელის მაცხოვრებლებიც, რომლებმაც წინასწარ იციან თუ მომავალ წელს რა ოდენობის თანხას მიიღებს პროგრამის ფარგლებში, ერთი წლით ადრე იწყებენ მსჯელობას თუ რა მიზნით უნდა იქნეს ეს თანხა გამოყენებული. შესაბამისად, ხდება საერთო პრობლემების იდენტიფიკაციაც და საერთო ინტერესების ფორმირებაც, რაც თანასაზოგადოების არსებობის აუცილებელი წინაპირობაა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ჩატარებული სოფლის კრება, როგორც დასახლების სტატუსის გაურკვევლობის (დასახლებას არ გააჩნია საკუთარი ქონება და უფლება-მოვალეობები), ასევე პროგრამის შეზღუდული რესურსებისა და ამოცანებიდან გამომდინარე წარმოადგენს არა ერობის ფორმას, როგორც თანასაზოგადოების ინსტიტუციას, არამედ როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას. თავისთავად, ასეთ ფორმასაც გააჩნია დიდი მნიშვნელობა თანასაზოგადოების არსებობის აუცილებელი წინაპირობების შესაქმნელად. თუმცა მისი, გარკვეულწილად ერთჯერადი ხასიათი სრულად ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ასეთი სახის საერთო კრება უმეტესწილად გამოიყენება, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უპირატესად მიმართულია პრობლემატურ საკითხზე მოსახლეობის აზრის შესასწავლად.

მაგალითად, სლოვაკეთის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საერთო კრებები მოიწვევა მუნიციპალიტეტის მიერ აქტუალურ საკითხების განსახილველად. მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვთ საკონსულტაციო ხასიათი და უმთავრესად მიმართულია გადაწყვეტილების მიღებამდე ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ“ (2009 წ.) ბულგარეთის კანონის თანახმად საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს იმ დასახლებებში, რომელთა მოსახლეობაც არ აღემატება 10 000 კაცს. იმ დასახლებებში, სადაც მოსახლეობა 1000-ზე მეტია, საერთო კრებები, როგორც წესი, ტარდება საარჩევნო უბნების მიხედვით, ერთი და იმავე ან სხვადასხვა დღეს. საერთო კრება მოიწვევა მერის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებით;

გ) დასახლების ამომრჩეველთა არანაკლებ 1/50-ის, მაგრამ არა ნაკლებ 20 ამომრჩევლის მოთხოვნით.

ბულგარეთის ამ კანონის 58-ე მუხლის თანახმად, საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 30 დღისა. საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს არასამუშაო დღეს. კანონის მე-60 მუხლის თანახმად, საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1/4 მაინც. თუ დასახლებაში რეგისტრირებულია 150 და ნაკლები ამომრჩეველი, საერთო კრებას უნდა ესწრებოდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 1/3. იმ შემთხვევაში თუ საერთო კრებაზე არ მოგროვდა კანონით დადგენილი რაოდენობა, საერთო კრების ჩატარება გადაიწევს ერთი საათით, რის შემდეგ, საერთო კრება ხდება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ამომრჩეველთა 1/10 მაინც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. თუ საერთო კრებები ტარდება საარჩევნო უბნების მიხედვით, ხდება ამ უბნებზე მიღებული ხმების დაჯამება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ლიტვის კანონის 38-ე მუხლი საერთო კრებას განიხილავს, როგორც საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ერთ-ერთ ფორმას.

„უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (მიღებულია 1997 წ. 21.05) უკრაინის კანონის მე-8 მუხლით, მოქალაქეთა საერთო კრება განიხილება, როგორც მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უშუალო ფორმა. კანონის თანახმად, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება გათვალისწინებული უნდა იქნეს თვითმმართველობის ორგანოს მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.

შედარებით უფრო განსხვავებული მიდგომაა რუსეთის ფედერაციის კანონში „რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ძირითადი პრინციპების შესახებ“. ამ კანონის 25-ე და 25^1-ე მუხლებით დადგენილია მოსახლეობის საერთო კრებების სტატუსი და ჩატარების წესი. კანონი საერთო კრების სტატუსს განსხვავებს დასახლების მცხოვრებთა რაოდენობიდან გამომდინარე. კანონის თანახმად, დასახლებებში სადაც მოსახლეობის რაოდენობა

არ აღემატება 100 კაცს, წარმომადგენლობითი ორგანო არ ირჩევა და მის ფუნქციას ასრულებს მოსახლეობის საერთო კრება. ასეთ შემთხვევაში საერთო კრება წარმოადგენს უკვე ინსტიტუციას, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მისგან განსხვავებით იმ დასახლებებში სადაც მოსახლეობის რაოდენობა 100 მცხოვრებზე მეტია, რუსეთის ფედერაციის კანონი საერთო კრებას არ განიხილავს, როგორც ინსტიტუციას და იგი წარმოდგენუილია, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა. ამ შემთხვევაში რუსეთის კანონი იყენებს განსხვავებულ ტერმინსაც და საერთო კრებების ნაცვლად მიუთითებს მოსახლეობის შეკრებებზე და მოსახლეობის კონფერენციებზე. კერძოდ, „რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ძირითადი პრინციპების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე თვითმმართველობის საქმიანობის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით შეიძლება დასახლებებში ან დასახლებათა ნაწილებში ჩატარდეს მოსახლეობის შეკრებები. შეკრების ჩატარების ინიციატორი შეიძლება იყოს მოქალაქეთა ჯგუფი, წარმომადგენლობითი ორგანო ან თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელი. შეკრებების ჩატარების წესი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის წესდებით. მოქალაქეთა შეკრება უფლებამოსილია მიიღოს მიმართვები თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ, ასევე აირჩიოს თავის წარმომადგენელი, რომელიც დაიცავს და გამოხატავს შეკრების ინტერესებს თვითმმართველობის ორგანოებში. შეკრებაზე მიღებული მიმართვები სავალდებულოა განსახილველად თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების თუ თანამდებობის პირთა მიერ. მოტივირებული პასუხი ამ მიმართვებზე სავალდებულოა გამოქვეყნდეს. რაც შეეხება მოქალაქეთა კონფერენციებს, მისი საქმიანობა და უფლებამოსილება მოქალაქეთა შეკრების ანალოგიურია. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც წესი, იმართება შედარებით მსხვილ დასახლებებში და შედგება მოქალაქეთა შეკრებებზე არჩეული წარმომადგენლებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში 2015 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებით, შემოღებული იქნა დასახლების საერთო კრება, როგორც „სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიციირების პროცესებში ქმედით ჩართულობას“. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დასახლების საერთო კრება წარმოდგენილია ერთი მხრივ როგორც ინსტიტუცია (მოსახლეობის თვითორგანიზაციის ფორმა), ხოლო მეორე მხრივ, როგორც პროცესი (მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა). სტატუსის ასეთი გაორება წარმოშობს გაურკვევლობას. ერთი მხრივ კოდექსის 85[2]-ე მუხლის მე-3 პუნქტი აცხადებს, რომ „საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი.“ ამით, საერთო კრება ემსგავსება (თუმცა ამის თაობაზე კანონი პირდაპირ არ მიუთითებს) კანონის საფუძველზე შექმნილ ამხანაგობას, რომლის არსებობაც არ არის დაკავშირებული პირთა ნებაზე. ასეთი ტიპის ამხანაგობას წარმოადგენს მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. პირის მიერ მრავალბინიან სახლში ბინის შეძენა, მისი ნებისგან დამოუკიდებლად, ავტომატურად იწვევს ამ პირის ამხანაგობის წევრობას. ანალოგიურად, პირის რეგისტრაცია დასახლებაში, ნიშნავს მის დასახლების საერთო კრების წევრობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[5]-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-ისა. ასევე კანონი ადგენს საერთო კრების მოწვევის, წევრთა რეგისტრაციის, საერთო კრების ჩატარების, გადაწყვეტილების მიღებისა და გაფორმების დეტალურ წესებს. ესეც მიუთითებს, რომ საერთო კრებას კანონმდებელი განიხილავს როგორც ინსტიტუციას.

მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრული საერთო კრების უფლებამოსილებები ძირითადად შემოიფარგლება საკითხის განხილვით და არა გადაწყვეტილების მიღებით. ანუ, ამ სახით დასახლების საერთო კრება წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას და არა თვითმმართველობის უშუალო განხორციელებას. ამაზე მიუთითებს კოდექსის თავის სათაურიც: „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში“. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული თვითმმართველობის ცნებაც, რომ თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, ასევე გამორიცხავს მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უშუალო განხორციელების შესაძლებლობასაც.

ამიტომაც, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული დასახლების საერთო კრება, ისევე, როგორც ეს არის მოცემული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ზემო მოყვანილ მაგალითებში, წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის და არა მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ფორმას. ასეთი კრებების ჩატარება ძირითადად ემსახურება საზოგადოებრივი აზრის შესწავლას და არა მოქალაქეთა მიერ საკითხებზე უშუალოდ და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას.

- **ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა**

ადგილობრივი თანასაზოგადოების ყველაზე მაღალორგანიზებულ და შესაბამისად, ყველაზე უფრო ფორმალიზებულ ფორმას წარმოადგენს ლოკალურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ან ამ ტერიტორიასთან დაკავშირებულ მოსახლეობის ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი ინსტიტუცია, რომელიც იმდენად უახლოვდება ადგილობრივ თვითმმართველობას, რომ ზოგჯერ მას განიხილავენ როგორც თვითმმართველობის დამხმარე ინსტიტუციად ან მოსახლეობის მიერ თვითმმართველობის უშუალო განხორციელების ფორმად. ამ ინსტიტუციებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიება. პოლონეთში მას

უწოდებენ „სოლცესტვოს“ (sołectwa), ლიტვაში - „სიაიუნიაიტი“ („сянюнайти“), რუსეთსა და ბელორუსიაში - ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობებს (территориальное общественное самоуправление (ТОС), ინგლისში - სამრევლოებს, თუმცა, უმეტეს ქვეყნებში ეს ინსტიტუცია მოიხსენიება მისი ძირითადი ორგანოს „საბჭოს“ სახით, რომელიც იქმნება თემებში, დასახლებებსა ან დასახლებების ნაწილებში (უბნები, ქუჩები, კვარტლები და ა.შ.).

თანასაზოგადოების ეს ფორმა - ტერიტორიულ საზოგადოებრივ თვითმმართველობა - წარმოადგენს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა თვითორგანიზაციას, რომლის მეშვეობითაც ხდება საკუთარი ინიციატივების განახორციელება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ეს ფორმა ძალიან მოქნილია და მაქსიმალურად დაახლოებულია მოსახლეობასთან. მას გააჩნია მთელი რიგი სპეციფიური ნიშნები:

- წარმოიშვება მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მოქალაქეთა ინიციატივა;
- გამოირჩევა მრავალფეროვნებით;
- შეიძლება არსებობდეს ხანგძლივ პერიოდში ან შეწყდეს თუ შედეგი იქნა მიღწეული;
- შეიძლება ქონდეს ან არ ქონდეს იურიდიული პირის სტატუსი და შესაბამისი ატრიბუტიკა (სახელწოდება, წესდება, ხელმძღვანელი ორგანოები და ა.შ.);
- შეუძლია თავის თავზე აიღოს რამოდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების რეგულირება ან შეასრულოს ერთი კონკრეტული ფუნქცია.

ამ ინსტიტუციის ფუნქციების განსაზღვრის უაღრესი მოქნილობა იძლევა საშუალებას მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მოსახლეობის ინტერესები. რეალურად ამ ინსტიტუციის ფუნქციები სწორედ მოსახლეობის ინტერესების მიხედვით ყალიბდება. ამიტომაც, ტერიტორიული ერთობის ეს ფორმა შეიძლება არსებობდეს სამეზობლო კავშირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სამეურნეო

სუბიექტის, კოოპერატივის, კონდომინიუმის თუ საქველმოქმედო ორგანიზაციის სახით. ანუ, მოიცვას და შეითავსოს თანასაზოგადოების ყველა ის ფორმა, რაც შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება წარმოიშვას.

ტრანსფორმირებად საზოგადოებაში ამ ინსტიტუციას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ყალიბდება მოქალაქეთა პირველადი უნარები მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში. სრულიად მართებულია ნ. მალკოვეცი (Мальковец, Н.В. 2010), როცა მიუთითებს, რომ „ჩვენი აზრით, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა უნდა გახდეს სამოქალაქო საზოგადოების სკოლა. ამ სკოლის მთავარი ამოცანა უნდა იყოს შეასწავლოს მოქალაქეებს როგორ მოახდინონ თვითორგანიზება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად და მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნით. ამდენად, მოქალაქეთა თვითორგანიზაცია წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობის უმთავრეს ფაქტორს, რომლის გარეშეც თვითმმართველობა ვერ შეიქმნება“ (стр. 37).

უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი, რითაც თანასაზოგადოების ეს ფორმა გამოირჩევა სხვა ფორმებისაგან არის კანონით მისი აღიარება. სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით (პორტუგალია, შოტლანდია, უკრაინა, პოლონეთი, რუსეთი, ბელორუსია, ლიტვა) ფიქსირდება ამ ინსტიტუციის არსებობის შესაძლებლობა თუმცა მიდგომები განსხვავებულია. ესეც არის ერთ-ერთი სადაო საკითხი, რის თაობაზეც დღემდე გრძელდება დისკუსიები სამეცნიერო საზოგადოებაში. ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია და ერობის ფორმა თუ ადგილობრივი ხელისუფლების გაგრძელება? ამ ინსტიტუციის კანონით აღიარება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ერობის ეს ფორმა იძენს ხელისუფლების ელემენტებს და წარმოადგენს თვითმმართველობის სუბორგანოს?

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განსაზღვრის ზოგადი პრინციპი, რომ თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთვნება ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში და კანონით არ ეკრძალება თვითმმართველობას, თავისთავად ნიშნავს, რომ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის მიერ საკუთარი ინიციატივების განხორციელება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად, ნიშნავს მის შეჭრას თვითმმართველობის უფლებამოსილებაში. გარდა ამისა, იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებიც აღიარებენ ამ ინსტიტუციის არსებობას, როგორც წესი, მიუთითებენ შესაძლებლობაზე მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ცალკეული ფუნქციების დელეგირება მოქალაქეთა თვითორგანიზაციით შექმნილ ამ ინსტიტუციაზე. ამ თვალსაზრისით, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებია და შესაბამისად, მათი განხორციელება ნიშნავს თვითმმართველობის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებას. ამ მოსაზრების საკანონმდებლო გამოხატულება შეგვიძლია ვნახოთ პოლონეთისა და ლიტვის კანონებში. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესახებ“ პოლონეთის კანონის მე-5 მუხლით „სოლცესტვო“ (ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა) განიხილება, როგორც „გმინის“ (თვითმმართველობის საბაზისო ერთეულის) დამხმარე ერთეული, რომელიც იქმნება „გმინის“ საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციით. კიდევ უფრო კატეგორიულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ლიტვის კანონით მოცემული მიდგომა. ამ 31-ე მუხლი „სიაიუნიაიტის“ (ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობას) განსაზღვრავს, როგორც თვითმმართველობის ფილიალს. ამავე კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დასახლებებში ან მის ნაწილებში სიაიუნიაიტი იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციის

დირექტორის წარდგინებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საბჭოს გადაწყვეტილებით“.

უკრაინის კანონი „უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მართალია, ამ ინსტიტუციას განიხილავს, როგორც მოსახლეობის თვითორგანიზაციის ორგანოს, მაგრამ, ამავე კანონის მე-5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას, ამ სისტემის შემადგენელ, ყველაზე ქვედა რგოლად მიიჩნევს მოსახლეობის თვითორგანიზაციის ორგანოებს, რომლებიც იქმნება სოფლის, დაბის, ქალაქის ფარგლებში მცხოვრებ მოსახლეობის მიერ. შესაბამისად, უკრაინის კანონითაც ეს ინსტიტუცია წარმოდგენილია, როგორც თვითმმართველობის სისტემის ერთ-ერთი რგოლი და როგორც თვითმმართველობის გაგრძელება.

ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომაა პორტუგალიისა და შოტლანდიის კანონმდებლობით. ამ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს ასეთი ტიპის არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ არა მის სავალდებულო შექმნას. მაგალითად, შოტლანდიის კანონმდებლობით საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სათემო საბჭოები. კანონით ამ საბჭოების ძირითადი დანიშნულებაა ჩამოაყალიბონ, კოორდინაცია გაუწიონ და ხელისუფლების ორგანოებს მიაწოდონ თემში მცხოვრებ მოსახლეობის მოსაზრებები ხელისუფლების მიერ გადასაწყვეტ საკითხებზე. სათემო საბჭოების უფლებამოსილებაში ასევე შედის ზომების გატარება თემის ინტერესების დასაცავად (Федерализм... 2000, № 2). როგორც ვხედავთ, შოტლანდიის კანონი ძალზედ ზოგადად განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას და ახდენს დაკონკრეტებას მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომელიც ეკრძალება სათემო საბჭოებს. შოტლანდიის კანონით, სათემო საბჭოებს არ აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი შემოსავლის წყაროები და თავის საქმიანობისათვის სუბსიდიებს იღებენ მუნიციპალიტეტისგან, ასევე შეუძლიათ დაფინანსება მიიღონ სხვადასხვა პროექტების ფარგლებში.

ამ ორი პოზიციიდან ერთგვარი შუალედური მიდგომაა მოცემული ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის კანონებით. „ბელორუსიის

რესპუბლიკაში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ ბელორუსიის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ მოქალაქეთა თვითორგანიზებული საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (მიკრორაიონი, კვარტალი, ქუჩა, დაბა, სოფელი) მცხოვრებ მოქალაქეთა ნებაყოფლობით საფუძველზე. ამავე კანონის 26-ე მუხლით ამ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების მიზანია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მიმართ მოსახლეობის ინიციატივების გამოხატვის ხელშეწყობა და მათი განხორციელება. დაახლოებით ანალოგიურ განმარტებას იძლევა რუსეთის ფედერაციის კანონი „რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ძირითადი პრინციპების შესახებ“. ამ კანონის 27-ე მუხლის თანახმად „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა წარმოადგენს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა თვითორგანიზაციას, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელონ საკუთარი ინიციატივები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე.“ ამ განმარტებებით, ისევე, როგორც პორტუგალიისა და შოტლანდიის კანონებით, ეს ინსტიტუცია მიჩნეულია მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ფორმად, რომელიც იქმნება მოსახლეობის ინიციატივით. თუმცა მათგან განსხვავებით, როგორც ბელორუსიის, ასევე რუსეთის კანონები იძლევიან ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა არა ზოგად განსაზღვრებას, არამედ კანონებით მოცემულია უფლებამოსილებათა ის მინიმალური და სავალდებულო ჩამონათვალი, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეთ მოქალაქეთა თვითორგანიზაციით შექმნილ ამ ინსტიტუციებს და პოლონეთისა და ლიტვის კანონმდებლობის მსგავსად დადგენილია ამ ინსტიტუციათა შესაძლო ორგანოები და გადაწყვეტილების მიღების წესი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონით „რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ძირითადი პრინციპების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად,

ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ძირითადი ორგანოა მოქალაქეთა კრება (Собрание граждан). კანონის თანახმად, კრება უფლებამოსილია თუ მასში მონაწილეობას ღებულობენ შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა არანაკლებ 1/3. რუსეთის კანონით კრებებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს 16 წლის ასაკიდან. კანონი ასევე ითვალისწინებს ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოს - მოქალაქეთა კონფერენციების არსებობას, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა კრებების ერთგვარ ასოციაციას და შედგება ამ კრებების მიერ არჩეული დელეგეტებისაგან. რუსეთის ფედერაციის კანონი არ ადგენს მოსახლეობის იმ რაოდენობას როცა უნდა მოქმედებდეს მოქალაქეთა შეკრება და რა რაოდენობის შემთხვევაში უნდა იქმნებოდეს მოქალაქეთა კონფერენციები. ყველა ეს საკითხი არის შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა გადასაწყვეტი. რუსეთის ფედერაციის ამ კანონის 27-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის ინტერესების წარმოჩენა;

ბ) მოქალაქეთა შეკრებებსა და კონფერენციებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;

გ) ტერიტორიის კეთილმოწყობის, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა სოციალურ-ყოფითი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით სამეურნეო ხასიათის საქმიანობის განხორციელება, როგორც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მიერ შეგროვებული თანხებით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამართლებრივი აქტების პროექტების შეტანა, რომელთა განხილვაც სავალდებულოა შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ.

რუსეთის ფედერაციის კანონით ასევე დადგენილია მოქალაქეთა შეკრებებისა და კონფერენციების განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლებამოსილებები:

ა) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოთა სტრუქტურის განსაზღვრა;

ბ) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;

გ) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევა;

დ) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

ე) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრა და მათი შესრულების ანგარიში;

ვ) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოთა ანგარიშების მოსმენა და მათი საქმიანობის შეფასება.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი არ განსაზღვრავს ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის სამართლებრივ ფორმას და მოსახლეობას უტოვებს უფლებას თავად განსაზღვრონ ამ ინსტიტუციის სტატუსი (გახდეს იურიდიული პირი თუ არა). კანონი მუნიციპალიტეტს უტოვებს უფლებას განსაზღვროს ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის წესდების რეგისტრაციის საკითხიც. ამავე დროს, კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობამ მიიღოს იურიდიული პირის სტატუსიც, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია მისი წესდების სახელმწიფო რეგისტრაცია.

ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის საკითხი კიდევ უფრო დეტალურადაა მოცემული ბელორუსიის რესპუბლიკის კანონში „ბელორუსიის რესპუბლიკაში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“. ამ საკითხს ეძღვნება კანონის მთელი თავი (25-32

მუხლები). კანონის 25-ე მუხლით, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა იქმნება მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე. ამავე კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვრცელდება მხოლოდ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე და მათ მიერ ამ გადაწყვეტილებათა შესრულება ხდება ნებაყოფლობით საფუძველზე. ამდენად, ბელორუსიის კანონით ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა ცალსახად განისაზღვრება როგორც არა ხელისუფლების, არამედ მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ინსტიტუციად. თუმცა, შემდგომ კანონით ისე დეტალურადაა გაწერილი ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის წესი, თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილებები, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები თითქოს საკითხი ეხებოდეს არა თვითორგანიზაციას, არამედ მმართველობის ორგანოს. ეს არის გამოვლინება საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული და დღემდე შემაფერხებელ ფაქტორად არსებული შეგრძნებისა, რომ „ყველაფერი აკრძალულია, რაც კანონით არ არის დაშვებული“. ამ მიმართულებით უკრაინის კანონმდებლობა კიდევ უფრო „წინ“ წავიდა და მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმა, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა აღიარებული იქნა არა მხოლოდ კანონით „უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, არამედ მიღებული იქნა სპეციალური კანონიც „მოსახლეობის თვითორგანიზაციის ორგანოების შესახებ“ (Закон Украины об органах самоорганизации населения).

ანალოგიური მიდგომებია რუსეთის ფედერაციაშიც. მართალია რუსეთის ფედერაციის კანონი „რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ძირითადი პრინციპების შესახებ“ განსაზღვრავს ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ზოგად პრინციპებს, მათ ორგანოთა შექმნის ზოგად წესს და იმ უფლებამოსილებებს, რომელიც კანონის თანახმად განეკუთვნება ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს, მაგრამ რუსეთის ფედერაციის

სუბიექტების მიერ მიღებულია სპეციალური კანონები „ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობების შესახებ“. ეს კანონები ახდენენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მოსახლეობის გაერთიანებათა რეგულირებას, განსაზღვრავენ ტერიტორიული საზოგადოებრივი ორგანოების სამართლებრივ სტატუსს, მის ორგანოთა შექმნის წესს და უფლებამოსილებებს. ასეთ შემთხვევაში კანონებში მოცემული ჩანაწერი, რომ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თვითორგანიზაციის ფორმა, რეალურად არაფერს იძლევა. ფაქტიურად მოსახლეობის თვითორგანიზების ნაცვლად ვღებულობთ კანონით შექმნილ კიდევ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ანალოგიური პრობლემის წინაშე ვდგავართ საქართველოშიც. ერთი მხრივ ცხადია, რომ მოქალაქეთა გააქტიურების, მათი თვითორგანიზების გარეშე, რამდენიც არ უნდა შეიცვალოს კანონი თვითმმართველობის შესახებ, ყოველთვის თვითმმართველობის ნაცვლად სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს მივიღებთ. მეორე მხრივ, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა არის მოსახლეობის თვითორგანიზაციის ყველაზე მოქნილი და ყველაზე მაღალორგანიზებული ფორმა, რომელსაც შეუძლია რეალურად ჩამოაყალიბოს მოქალაქეებში საზოგადოებრივ საქმეების გადაწყვეტისათვის აუცილებელი უნარები. ამ მხრივ, სრულიად მართებული იყო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, როცა თვითმმართველობის რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საზოგადოებრივი თვითმმართველობები დაადგინა. მაგრამ, ამ ინსტიტუტის მიმართ მიდგომა თავიდანვე არასწორად განისაზღვრა. საქართველოს მთავრობის 2013 წ. 1 მარტის N 223 განკარგულებაში აღნიშნული იყო, რომ მიღებული იქნება კანონი, რომლის „შედეგად თითოეულ დასახლებაში შეიქმნება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, როგორც მოქალაქეთა მართვაში უშუალო მონაწილეობის დემოკრატიული ინსტიტუტი“. ამ კანონზე მუშაობა მართლაც დაიწყო და 2014 წლის დასაწყისისთვის პარლამენტშიც იქნა ინიცირებული კანონპროექტი

საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ. თუმცა, შემდეგ თავად კანონპროექტის ავტორებისთვისაც ნათელი გახდა, რომ ამ პროექტით მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ნაცვლად კვლავ კიდევ ერთ ადმინისტრაციულ რგოლს ვღებულობდით და ეს კანონპროექტი იქნა გაწვეული. ამდენად, იკვრება „მანკიერი წრე". კანონის მიღებით მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ნაცვლად ვღებულობთ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ხოლო კანონის არ მიღებით საზოგადოებაში საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული intra vires პრინციპი („ყველაფერი აკრძალულია რაც კანონით არ არის დაშვებული"), ხელს უშლის მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმათა ჩამოყალიბებას. ამ „მანკიერი" წრიდან გამოსავლის მოძიება უპირველესად უნდა დავიწყოთ თავდაპირველად დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემით ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა მოქალაქეთა თვითორგანიზაციაა თუ ხელისუფლების გაგრძელება.

ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა თავისი მაღალორგანიზებული ფორმით, სტრუქტურებით, მულტიფუნქციებითა და კომპლექსურობით ძალიან ახლოს დგას და მსგავსია ადგილობრივი თვითმმართველობის. მაგრამ, მისი არსებითი ნიშნებიდან (ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნა, საკუთარი სტრუქტურებისა და ფუნქციების, გადაწყვეტილების მიღებისა და საქმიანობის წესის, მიღებული გადაწყვეტილების ვალდებულების ხასიათის გარედან ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად განსაზღვრა) გამომდინარე, იგი წარმოადგენს თვითორგანიზების ფორმას, რომელიც თავის ლეგიტიმაციას იღებს მის წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ფუნქციების განხორციელებაც და მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულებაც ეფუძნება ნებაყოფლობითობას და არა კანონით დადგენილ ვალდებულებას. მაშინ, როცა თვითმმართველობის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების არა მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებები, არამედ კანონით მისთვის დადგენილი ფუნქციების შესრულებაც ატარებს ვალდებულებით ხასიათს. „ეს საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს და არა, შეიძლება ხორციელდებოდეს. სახელმწიფო ამ

საქმიანობას კი არ უშვებს, არამედ მოითხოვს მის განხორციელებას“ (Коркунов, Н.М. 1909. стр. 489).

ის ფაქტი, რომ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა საკუთარი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებებს და ახორციელებს იმ ფუნქციებს, რაც კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთვნება, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამით იძენს ადგილობრივი ხელისუფლების ძალას ან იჭრება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებში. ადგილობრივი თვითმმართველობის დუალისტური ბუნება, რომ იგი ერთდროულად არის როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების ინსტიტუტი, არათუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კიდეც ასეთი „შეჭრის“ არა მხოლოდ შესაძლებლობას, არამედ საჭიროებას და აუცილებლობასაც კი. მაგრამ, ეს არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა განვიხილოთ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების გაგრძელება. ხელისუფლების საფუძველს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი. კანონი ადგენს ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურას და უფლებამოსილებას. თვითორგანიზაცია კი გამორიცხავს გარედან „სპეციფიურ ზემოქმედებას“. ხელისუფლების ორგანოების არსებობაც და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი კანონიდან გამომდინარეობს. იგი იქმნება და ფუნქციონირებს კანონის შესაბამისად. მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, მისი მაღალინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაშიც კი მთლიანად დაფუძნებულია ნებაყოფლობით პრინციპზე. კანონმა შეიძლება მხოლოდ დაუშვას და აღიაროს მისი არსებობა (თუმცა მისი არსებობისთვის არც ეს არის სავალდებულო. ევროპის უმეტეს ქვეყნებში არ არსებობს კანონი „კომუნიტის შესახებ“, თუმცა ამ კანონის გარეშეც საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს თვითორგანიზაციის ეს ინსტიტუცია), მაგრამ მისი შექმნაც, ფუნქციონირებაც, საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების წესიც მთლიანად დამოკიდებულია მის წევრთა შეთანხმებასა და სურვილზე. ამიტომაც, თვითორგანიზაციის ისეთი ინსტიტუციონალიზებული

ფორმა, როგორიცაა ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმათველობა წარმოადგენს თანასაზოგადოების ფორმას და არა ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოს ან მის ფილიალს. ის ფორმალური მსგავსებები, რაც ერთი შეხედვით საერთოა ადგილობრივი თვითმმართველობისა და ამ ინსტიტუციისთვის, როგორიცაა წარმოამდგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არსებობა და მათი შექმნის ფორმა (პირდაპირი, ფარული კენჭისყრით არჩევა), არ არის იმის საფუძველი, რომ გავაიგიოთ ეს ინსტიტუციები. ფორმალურ მსგავსებებთან ერთად, არსებობს პრინციპული განსხვავებები. მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ფორმის არჩევაც, შექმნაც და გაუქმებაც მთლიანად დამოკიდებულია ამ მოქალაქეთა ნებაზე, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური სტრუქტურაც, შექმნისა და გაუქმების (უფლებამოსილების შეჩერებისა და დათხოვნის) წესი განისაზღვრება კანონით. ამდენად, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა სტრუქტურითა და უფლებამოსილებების თანხვედრის შემთხვევაშიც კი რჩება მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმად.

ნაწილი III ადგილობრივი თანასაზოგადოების პერსპექტივები

თავი I. სოციოკულტურული ფაქტორი. ტრადიციები თუ ინოვაციები

ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმების განხილვისას საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა მნიშვნელოვანი და საჭიროა პირველ რიგში იმ მიზნით, რომ იგი შეიძლება გახდეს ანალიზისთვის ის საწყისი წერტილი, რომელიც მიმართული იქნება იმ სფეროების გამოსავლენად, სადაც ადგილობრივი თანასაზოგადოება ვლინდება, როგორც მართვის რეალური სუბიექტი. საჭიროა კვლევები, რომელიც უზრუნველყოფს ძიების რაციონალიზაციას, იმ სოციალური და ეკონომიკური მექანიზმების, ორგანიზაციული ფორმების, მმართველობითი ტექნოლოგიების, სხვა შესაძლებლობებისა და რესურსების შერჩევასა და გამოყენებას, რომლებიც პასუხობენ ქვეყნის სპეციფიურ პირობებს და ამავდროულად ითვალისწინებენ ადგილობრივი თანასაზოგადოების ცვლილებების ტენდენციების უნივერსალურ კანონზომიერებებს გლობალიზაციის პროცესში. ამიტომაც არ არის მართებული მოდელების პირდაპირი კოპირება და გადმოტანა, არამედ საჭიროა ამ მოდელების ისეთი ფუნქციონალური ანალოგიების მოძიება და მათი ორგანიზაციული ფორმირება, რომლებიც შეესაბამებიან ქვეყნის სოციოკულტურულ თავისებურებებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ევროპის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების ეფექტიანი გამოყენება. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია არა მარტო თანასაზოგადოების, არამედ მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის აგების დაფუძნება ისეთ თეორიასა და ახლებურ სისტემაზე, რომელიც ერთი მხრივ სრულ შესაბამისობაში იქნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრინციპებთან, ხოლო მეორე მხრივ სრულად ასახავს ადგილობრივ სოციოკულტურულ თავისებურებებს, მის ტრადიციებსა და წესებს. ამიტომაც, ადგილობრივი თანასაზოგადოების საკითხის შესწავლისას თეორიულ-მეთოდოლოგიურ

საფუძვლად სინერგეტიკულ მიდგომასთან ერთად, ასევე აღებული უნდა იქნეს სოციოკულტურული მიდგომაც.

სინერგეტიკული მიდგომით „თანასაზოგადოება არ შეიძლება იქნეს დაყვანილი გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის მექანიკურ ჯამზე“ (Волох, О.В., Безвиконная, Е.В. 2010. стр. 169). ამიტომ, მოსახლეობისგან თანასაზოგადოებად ჩამოყალიბება განიხილება „არა როგორც ინერტული სოციალური მატერიის ელემენტების თვითნებური გადანაწილება რაიმე გამოგონილი პროექტის მიხედვით, არამედ, როგორც სისტემის მიერ გარემოს შინაგანი პოტენციალიდან გამომდინარე სტრუქტურების თვითშექმნა და თვითსრულყოფა“ (Князева, Е.Н., Курдюмов, С.П. 1993. стр. 44).

ტერიტორიული ერთობის მიერ მართვის სუბიექტის თვისებების შეძენა შეუძლებელია განხორციელდეს გარედან ზემოქმედებით რადგან, „სტრუქტურების განსაზღვრული არქიტექტურა პოტენციურად არსებობს შინაგანად და მხოლოდ მისი გათვალისწინებით არის შესაძლებელი ზემოქმედების შედეგად წარმატების მიღწევა“ (Князева, Е.Н., Курдюмов, С.П. 1993. стр. 49).

თანასაზოგადოება, როგორც მართვის სუბიექტი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მისი თვითორგანიზაციის პროცესის შედეგად. გარე ფაქტორებს შეუძლიათ მხოლოდ ინიცირება გაუწიონ და ხელი შეუწყონ მოსახლეობის თანასაზოგადოებად ტრანსფორმაციის პროცესს. ამ მოქმედების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს მოქმედება თვითორგანიზაციის შინაგან ლოგიკას. „თუ თვითორგანიზებადი სტრუქტურის ფორმირების პროცესში მიზანმიმართული მოქმედებით იქნება სწორი მიმართულებით ბიძგი მიცემული, თვითორგანიზაცია თავად უზრუნველყოფს თავის სტრუქტურების შექმნას“ (Бевзенко, Л.Д. 2000. стр. 76). „არსებობს დროისა და მატერიალური დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირების გზა, რომელიც უნდა იყოს რეზონანსული და რეალიზებადი არსებულ სტრუქტურებთან“ (Князева, Е.Н., Курдюмов, С.П. 1993. стр. 40). მაგრამ, იმისათვის, რომ მივაგნოთ ამ გზას საჭიროა ვიცოდეთ „ევოლუციური აკრძალვის წესები“, ანუ ის თუ რისი

განხორციელებაც არის პრინციპულად შეუძლებელი ამ სისტემაში. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თანასაზოგადოება ამავდროულად დაკავშირებულია სოციოკულტურულ თავისებურებებთან, თვითორგანიზაციის პროცესის შესასწავლად, ასევე აუცილებელია გამოყენებული იქნეს სოციოკულტურული მიდგომა, რომლის თანახმად, „საზოგადოება განიხილება, როგორც კულტურისა და სოციალობის ერთიანობა“ (Лапин, Н.И. 2000. стр. 3). შესაბამისად, თანასაზოგადოება განხილული უნდა იქნეს კულტურისა და სოციალობის ურთიერთკავშირში. „სოციოკულტურული მიდგომა ძირითად აქცენტებს აკეთებს სტრუქტურების სიღრმისეულ და მყარ სოციალურ ღირებულებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანსფორმაციის ობიექტურ საზღვრებს და ავლენენ სოციოკულტურულ საფუძვლებს, რომლებიც იძლევიან განმარტებას თუ რა განაპირობებს დაგეგმილი რეფორმიდან გადახრას. იგი იძლევა საშუალებას განისაზღვროს ის სოციოკულტურული თავისებურებები და შეზღუდვები, რომლებიც განაპირობებენ სისტემის მიერ პროცესებზე წინააღმდეგობას ან მათ მიღებას“ (Кирдина, С.Г. 2002. стр. 27).

სინერგეტიკული და სოციოკულტურული მიდგომით თანასაზოგადოება წარმოადგენს გარკვეული სოციოკულტურული სპეციფიკის მატარებელ ღია თვითორგანიზებულ სოციალურ სისტემას. თანასაზოგადოება, როგორც მართვის კოლექტიური სუბიექტი თავისთავში შეიცავს სხვა სუბიექტებს: ინდივიდუალურს (ცალკეული პირები) და კოლექტიურს (მაგ. სამეზობლო კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა თვითორგანიზებადი მიკროსტრუქტურები), რომლებიც განიხილებიან თანასაზოგადოების სტრუქტურულ ელემენტებად. ისინი ურთიერთზემოქმედებენ როგორც ერთმანეთზე, ასევე ურთიერთკავშირში არიან ამ ტერიტორიაზე მოქმედ სხვა სუბიექტებთან (ხელისუფლების ორგანოები, ბიზნესსექტორი და ა.შ.). სუბიექტებს შორის ურთიერთობის პროცესში, სოციოკულტურული თავისებურებების შესაბამისად შეიძლება ჩამოყალიბდეს ურთიერთკავშირის ჰორიზონტალური (სუბიექტი-სუბიექტი) ან ვერტიკალური (სუბიექტი-ობიექტი) სისტემა, ხოლო

ურთიერთობა სუბიექტთა შორის შეიძლება იყოს თანაბარუფლებიანი (პარტნიორული) ან დაქვემდებარებული (პატრონ-კლიენტელური) ხასიათის. ერობის სტრუქტურულ ელემენტთა ურთიერთკავშირის და ურთიერთობის ფორმები ასახავენ თანასაზოგადოების, როგორც კოლექტიური სუბიექტის სოციოკულტურულ სპეციფიკას და განაპირობებენ ტერიტორიული ერთობის ჩამოყალიბებას, ტრანსფორმაციას და განვითარებას.

ადგილობრივი თანასაზოგადოების, როგორც მართვის სუბიექტად განსაზღვრა წარმოადგენს მის შესაძლებლობას საკუთარ სოციოკულტურულ თავისებურებათა შესაბამისად, მის წევრთა მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დამოუკიდებლად (ავტონომიურად) განსაზღვროს მისი საქმიანობის მიმართულებები და სოციალური აქტიობის საშუალებები და ფორმები. ამიტომაც, ერობის „ტრანსფორმაცია და მისი, როგორც მართვის სუბიექტის მოქმედება შეუძლებელია იქნეს უზრუნველყოფილი გარე ზემოქმედებით და რეფორმატორთა მიერ ამა თუ იმ მოდელის კოპირებით, რადგან თანასაზოგადოება არის დეტერმინირებული ენდოგენური, მყარი სოციალურ-ღირებულებითი რეგულატორებით (სტრუქტურები/მექანიზმები). ამავდროულად, მის ფორმას განაპირობებს კონკრეტული ისტორიული პირობები და გააჩნია დინამიური ხასიათი“. (Воловодова, Е., Касперович, А. 2004. стр. 108).

შეიძლება გამოვყოთ თანასაზოგადოების სუბიექტურობის ორი ტიპი:

1) <u>სიტუაციური სუბიექტურობა</u>, რომელიც იგება გარეგანი ზეგავლენის შედეგად. თანასაზოგადოების იმ წევრებს, რომელთათვისაც ეს ზეგავლენა მნიშვნელოვანია, შეუძლიათ ჩამოაყალიბონ მართვის სუბიექტი, როგორც რეაქცია ამ ზეგავლენაზე. მართვის ასეთი სუბიექტი არსებობს გარეგანი „ენერგიის“ ხარჯზე მთლიანად არის დამოკიდებული ამ გარე ფაქტორზე. გარე ფაქტორის გაქრობა განაპირობებს მართვის ამ სუბიექტის არსებობის შეწყვეტას.

2) <u>მყარი სუბიექტურობა</u> გამომდინარეობს თანასაზოგადოების შინაგანი ფაქტორებიდან და იქმნება საკუთარი ინიციატივით. მყარი სუბიექტურობა, სუბიექტის მიერ ყალიბდება დამოუკიდებლად და მისი არსებობა არ არის

დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. ასეთ შემთხვევაში თავად სუბიექტის მიერ ხდება საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრაც და საქმიანობის საგნის არჩევაც.

მყარი სუბიექტურობა წარმოადგენს სისტემის თვისებას, რომელიც სოციოკულტურულ საფუძველზე იქმნება მხოლოდ ბუნებრივი თვითორგანიზების პროცესში. შესაბამისად, თანასაზოგადოების ჩამოყალიბება დაკავშირებულია თვითორგანიზების სტაბილური ფორმების ჩამოაყლიბებასთან და მყარი სუბიექტურობის გამოვლენის ზრდასთან.

სუბიექტურობის ტიპებს შორის განსხვავება პრინციპულად მნიშვნელოვანია თანასაზოგადოების შესაფასებლად. სიტუაციური ტიპის სუბიექტს შეუძლია საკმაოდ ეფექტიანად გადაჭრას სპეციფიკური პრობლემები. მაგრამ, იგი შეზღუდულია კონკრეტულ პრობლემებზე რეაქციით, ხოლო სისტემური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა და გრძელვადიანი, სტრატეგიული გეგმების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მყარი სუბიექტურობის ტიპის ერობით.

თანასაზოგადოების სოციოკულტურული სპეციფიკა და მისი სტრუქტურების ფორმირებაც განპირობებულია თანასაზოგადოების იმ სტრუქტურული ელემენტებით, რომლებიც ყველაზე უფრო მეტი სიმყარით ხასიათდებიან. სწორედ ეს ელემენტები ქმნიან თანასაზოგადოების სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ორგანიზაციას და თანასაზოგადოების შიგნით ურთიერთკავშირებისა და ურთიერთობის ფორმებიც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ამ ელემენტებს შორის მიმდინარე პროცესებზე. ამიტომაც, ადგილობრივი თანასაზოგადოების მყარი სუბიექტურობის მისაღწევად აუცილებელია მის არსებობას საფუძვლად დაედოს ყველაზე უფრო მყარი სტრუქტურული ელემენტები, რომლებიც შემძლე იქნებიან შექმნან ურთიერთკავშირისა და ურთიერთობების ჰორიზონტალური ქსელები. ამ ელემენტებმა უნდა ითამაშონ კატალიზატორის როლი თანასაზოგადოების ორგანიზაციული ფორმების და თანასაზოგადოების, როგორც მართვის სუბიექტის ჩამოსაყალიბებლად.

ადგილობრივი თანასაზოგადოება, როგორც თვითორგანიზებული ერთობა ემყარება მისი წევრების ნებაყოფლობით ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ მოქმედებებს, რომლებიც განპირობებულია მათი მიკუთვნებით ამ ერთობაზე და მიმართულია მისი წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. თანასაზოგადოების თვითორგანიზებული საქმიანობა არის მისი სუბიექტურობის განმსაზღვრელი უმთავრესი ნიშანი. ეს საქმიანობა ხორციელდება განსაზღვრულ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ (ორგანიზაციული ფორმის) ჩარჩოებში. შესაბამისად, სწორედ ეს ფორმა არის კოლექტიური სუბიექტურობის მატარებელი. ამიტომ, ტერიტორიული ერთობის, როგორც ერთიანი სოციოკულტურული სისტემის დასახასიათებლად, აუცილებელია თვითორგანიზებული საქმიანობის სპეციფიური ფორმების გამოვლენა და შესწავლა.

დასახლეთ ევროპის ქვეყნებში ტერიტორიული ერთობის უმთავრეს ფორმას წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები (არასამეწარმეო (არაკომერციული) გაერთიანებები), რომლებიც იქმნებიან მოქალაქეთა მიერ საკუთარი ინიციატივით ინდივიდუალური, კოლექტიური თუ მის წევრთა საერთო ინტერესების დაცვისა და დაკმაყოფილების მიზნით. კონკურენციისა და თანამშრომლობის პროცესში თვითორგანიზებად სტრუქტურებს შორის ყალიბდება ჰორიზონტალური და თანაბარუფლებიანი ურთიერთობები. როგორც კოლექტიური სუბიექტები, ეს თვითორგანიზებადი სტრუქტურები ხელისუფლებასთან და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოფენ ინდივიდუალური, კოლექტიური და საერთო ინტერესების დაბალანსებას, დაცვასა და დაკმაყოფილებას.

ასეთი, ასოციაციური მოდელი ეფუძნება სოციალური სტრუქტურის ჰეტეროგენობას, მისთვის დამახასიათებელ მაღალ სოციალურ მობილობასა და ინტერესთა დიფერენციაციას (სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ეთნიკურ, პროფესიულ, ასაკობრივ და სხვ.), რომლებიც წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. „არაკომერციული და არაკონფესიური

მოქალაქეთა გაერთიანებების საშუალო ევროპული მაჩვენებელი ყოველ 1 000 ადამიანზე შეადგენს საშუალოდ 40-60 გაერთიანებას“ (Глазычев, В.Л. 1999. стр. 190).

საბჭოთა სახელისუფლებო მოდელში, სადაც სახელმწიფო წარმოადგენდა მართვის სუბიექტს, ხოლო საზოგადოება და ტერიტორიული ერთობა - მხოლოდ მართვის ობიექტს, სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა იგებოდა ვერტიკალური იერარქიისა და დაქვემდებარების პრინციპზე. შეზღუდული სოციალური მობილურობის პირობებში მოსახლეობის სოციალური სტრატიფიკაცია ხდებოდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შრომის განაწილების საფუძველზე. შესაბამისად, მოსახლეობა დიფერენცირებული იყო სოციალურ-პროფესიულ (დარგობრივ) ჯგუფებად, რომლებიც უპირატესად დაკავშირებულნი იყვნენ არა საცხოვრებელ ადგილთან, არამედ იმ საწარმოსთან სადაც ისინი მუშაობდნენ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოხატავდნენ და მოქმედებდნენ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო მოქალაქეთა ისეთი თვითორგანიზებული სტრუქტურები, როგორც ეს დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომლებიც მოწოდებულნი იქნებოდნენ დაეცვათ და წარმოეჩინათ მოსახლეობის ინტერესები, არ არსებობდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დაწყებულ რეფორმებს უნდა შეეცვალათ სოციალურ ურთიერთობათა არსებული საბჭოური სისტემა და მოეხდინათ სოციალური სტრუქტურების დიფერენციაცია ინტერესთა ჯგუფების მიხედვით, რომლის საფუძველზეც, ლოკალურ დონეებზე შეიქმნებოდა ამ ინტერესების გამომხატველი თვითორგანიზებადი სტრუქტურები - მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად გახდებოდნენ ერობის ის ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საქართველოში დაიწყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის სათემო კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ, სათემო კავშირების დახასიათებისას აღვნიშნეთ, ამ

მცდელობას, მიუხედავად საკმაოდ დიდი ძალისხმევისა და ფინანსური მხარდაჭერისა, მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგები არ მოჰყვა და ეს მოდელი ვერ გახდა ქართული საზოგადოებისათვის ისეთივე ბუნებრივი თვითორგანიზაციის ფორმა, როგორც ეს არის ევროპის უმეტეს ქვეყნებში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ანგარიშში (CTC „დიალოგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის“ 2011) მითითებულია, რომ G-PAC მხარდაჭერით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული კავშირის წევრობას მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა, მხოლოდ - 1% ადასტურებს, ხოლო პოლიტიკური პარტიის წევრობას - 1,7%. მოსახლეობის მხოლოდ არასრული 5% აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რაიმე სახის კავშირი ჰქონია. კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 10%-მდე იცნობს სამოქალაქო სექტორის მუშაობას. არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ენდობა მოსახლეობის 23%, ხოლო ენდობა 18%. ამ მხრივ ბოლო წლების მანძილზე სურათი ოდნავ შეცვლილია, რადგანაც 2008-2010 წწ. არასამთავრობოების მიმართ ნდობა 8%-ის ფარგლებშია, ხოლო მათი რიცხვი, ვინც არ ენდობა 5%-ია (კავკასიის კვლევის რესურს ცენტრის კვლევა). დაახლოებით ასეთივე ნდობის დონე იყოს 2003 და 2005 წლებში (შესაბამისად 8,7% და 6%. „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“).

აღნიშნული კვლევა ადასტურებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ისეთმა ტრადიციულმა ფორმებმა, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები ვერ მოიპოვა სათანადო გავრცელება და მხარდაჭერა. ამ, არასახარბიელო შედეგის ერთ-ერთი მიზეზია სოციოკულტურული ფაქტორი, ის სოციალური ღირებულებები და კულტურის თავისებურებები, რომელიც განასხვავებს პოსტსაბჭოთა საზოგადოებას ევროპული ტრადიციებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ საზოგადოებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის არა მხოლოდ საქართველოს, არამეტ უმეტეს პოსტსაბჭოთა საზოგადოების

პრობლემა. რუსი და უკრაინელი მეცნიერები არასამთავრობო ორგანიზაციებში მოქალაქეთა დაბალი აქტიობის ძირითად მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სამოქალაქო აქტიობის ასეთი ფორმები არ არის ტრადიციული შესაბამისი საზოგადოებისათვის და გამოსავალს ტრადიციული ფორმების კვლევასა და მათ აღორძინებაში ხედავენ. ამ თვალსაზრისით, მართებულია ე. ვოლოდოვას და ა. კასპეროვიჩის (2004) შეფასება, რომელიც ეხება უკრაინაში ადგილობრივი თანასაზოგადოების ჩამოყალიბების საკითხს. მათი აზრით, „დასავლეთის ტიპის საზოგადოებისგან განსხვავებით, უკრაინელები საკუთარი მოთხოვნებისა და ინტერესების რეალიზებისათვის უფრო მეტად მოწოდებულნი არიან ჩაერთონ ურთიერთობის ისეთ ქსელებში, რომლებიც ბუნებრივად არიან ჩამოყალიბებულნი, ვიდრე აქტიურად დაიწყონ სამოქალაქო თვითორგანიზების ისეთი სტრუქტურების შექმნა, როგორიც არის არასამთავრობო ორგანიზაციები“ (стр. 118). ეს შეფასება ესადაგება ქართულ საზოგადოებასაც. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სოციოკულტურული ფაქტორი არის მართვის პროცესებისადმი საზოგადოების ნიჰილისტური და ინდეფერენტული დამოკიდებულებისა და თვითორგანიზაციის აქტიური ფორმების არ არსებობის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი. ამიტომ, ჩემი აზრით არ არის მართებული უკრაინელი მეცნიერების მიერ ამ პრობლემის გადაწყვეტის შემოთავაზებული მიდგომა, რომ თანასაზოგადოების ჩამოყალიბება უნდა დაეფუძნოს მხოლოდ სამეზობლო კავშირებს. ე. ვოლოდოვას და ა. კასპეროვიჩის (2004) მოსაზრებით, „ადგილობრივი თანასაზოგადოების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური თვითორგანიზების სისტემის შემქმნელ ისეთ სიღრმისეულ მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლებიც ასახავენ მის სოციოკულტურულ თავისებურებებს“ (стр. 117). ასეთ მექანიზმს, მათი აზრით წარმოადგენს სამეზობლო კავშირი. „თვითორგანიზებადი სამეზობლო ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე მყარ და პირველად სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ასახავენ თვითორგანიზების, თვითგანვითარებისა და ტრანსფორმაციის შინაგან ლოგიკას. სწორედ ისინი არინ შემძლე უზრუნველყონ თანასაზოგადოების, როგორც მართვის სუბიექტის თვითგანვითარება და

შეასრულონ თანასაზოგადოების ორგანიზაციულ-სტრუქტურული პროცესის ფორმირების კატალიზატორის ფუნქცია“ (Воловодова, Е., Касперович, А. 2004. стр. 118).

ცხადია, რომ სამეზობლო ურთიერთობები არის ყველაზე ბუნებრივი და დღემდე შენარჩუნებული ერთობის ფორმა. სოფლის დასახლებებში სამეზობლო ურთიერთობები უმეტეს შემთხვევაში გადაჯაჭვულია ნათესაურ კავშირებთან, რაც კიდევ უფრო მყარს ხდის ამ ურთიერთობებს. თანასაზოგადოების ფორმების დახასიათებაც აჩვენებს, რომ საქართველოს სინამდვილეში სწორედ სამეზობლო ურთიერთობებია რეალურად ერთადერთი, მართლაც თვითორგანიზებადი და წევრთა თავისუფალი ნების საფუძველზე შექმნილი თანასაზოგადოების ფორმა. თანასაზოგადოების სხვა ფორმები ან არ ჩამოყალიბებულა (მაგ., ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა) ან უპირატესად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე (სათემო ორგანიზაციები, საერთო კრებები). გასათვალისწინებელია იაპონიის მაგალითიც, სადაც „თანამედროვე ეპოქაში ნახტომისათვის არ დაწყებულა არქაული კოლექტიური სტრუქტურის, როგორც მაღალი სოლიდარობის მატარებელი ერთობის შეცვლა და განადგურება, პირიქით ეს სტრუქტურა გამოყენებული იქნა სახელმწიფოს მიზნების რეალიზაციისათვის, რომლებმაც შეძლეს უფრო უკეთესად გადაეწყვიტათ ეკონომიკის ლიბერალიზაცით გამოწვეული პრობლემები, ვიდრე ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სამოქალაქო საზოგადოებასა და ინდივიდებს“ (Шкаратан, О.И. 2003. стр. 30–53.) მაგრამ, როგორც სამეზობლო კავშირების ზოგადი დახასიათება აჩვენებს, დღევანდელ პირობებში ხდება ამ ურთიერთობების ტრანსფორმაციაც და ფრაგმენტიზაციაც. ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ტრადიციული, თუნდაც არქაული სტრუქტურები, უნდა იქნეს გამოყენებული განვითარების და წინსვლის საფუძვლად. მაგრამ, თუ ეს სტრუქტურები განიცდიან რღვევას, არ არის მართებული მათ საყრდენ წერტილად გამოყენება. დრო შეუძლებელია უკან დავაბრუნოთ და ორიენტაციის აღება რღვევის პროცესში არსებულ ტრანსფორმირებად სისტემაზე, ისევე იქნება განწირული წარუმატებლობისათვის,

როგორც საზოგადოებაში მისთვის უცხო, თუნდაც მოწინავე მოდელის ტრანსპლანტაცია.

მართალია, ტრადიციები, ადათ-წესები საზოგადოების თვითორგანიზების პროდუქტია და ამდენად, ესადაგება თანასაზოგადოების შინაგან ბუნებას, მაგრამ ასევე არასწორი იქნება ვეძებოთ და შევეცადოთ ავაღორძინოთ საუკუნეების წინანდელი თანასაზოგადოების ინსტიტუტები (მაგალითად „ხევისბერობის " ინსტიტუტი). გასათვალისწინებელია ს. სოლოვიოვის (1950 стр. 645) მოსაზრება, რომ „ყოველი ეპოქა საზრდოობს მის წინა ეპოქიდან და წარმოადგენს მის მემკვიდრეს". თანამედროვეს წინა ეპოქას კი საბჭოთა ეპოქა წარმოადგენდა, სადაც ძნელია ეძებო თანასაზოგადოების ტრადიციული ფორმები. საუკუნეების წინანდელი ფორმა კი ვეღარ ჩაითვლება „ტრადიციულ" ფორმად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც განვითარებულ ევროპის ქვეყნებში, ისე აშშ-ში, სადაც სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია, სულ უფრო ხშირად საუბრობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში მოქალაქეთა აქტიობის კლებაზე. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ თანასაზოგადოების არსებულმა ტრადიციულმა ფორმებმა ამოწურეს თავის შესაძლებლობები. ამიტომ, შედეგის მომტანი ვერ იქნება ჯიუტად ვეცადოთ ამ ფორმების შემოღება (თუნდაც კანონის გზით) ან „ავაღორძინოთ" საუკუნეების წინანდელი ფორმები, რომლებიც მისაღები და ტრადიციული იყო იმ ეპოქისათვის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, თანასაზოგადოების ჩამოყალიბებისა და თვითორგანიზების ოპტიმალური ფორმების მოძიებისათვის გარდა სოციოკულტურული ფაქტორებისა, აუცილებელია შესწავლილი და გათვალისწინებული იქნეს თანამედროვე ეპოქის ის ინოვაციები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ თვითორგანიზების ფორმებზე, ასევე გაანალიზდეს ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ადგილობრივი თანასაზოგადოების დაბალ სოციალურ-პოლიტიკურ აქტიობას.

თავი II. თვითორგანიზების თანამედროვე ფორმები: ქსელური საზოგადოება, საზოგადოებრივი ქსელები და ონ-ლაინ საზოგადოება

- **ქსელური საზოგადოება**

საზოგადოება არის ინდივიდთა კომუნიკაციური ერთობა. შესაბამისად, ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ და ანვითარებენ კომუნიკაციის შესაძლებლობებს, უშუალოდ ზემოქმედებენ საზოგადოების სტრუქტურებზე. ადგილობრივი თანასაზოგადოების ისტორიული ასპექტების განხილვისას აშკარად გამოჩნდა კომუნიკაციური ტექნოლოგიების პირდაპირი გავლენა, რამაც პირველყოფილი, სისხლისმიერ კავშირებზე დამყარებული თემური საზოგადოება თანდათანობთ გადაიყვანა ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. XX საუკუნის ბოლოდან დაიწყო ახალ, პოსტინდუსტრიულ, საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლის ეპოქა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სოციალური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროზე, შექმნეს თანასაზოგადოების ახალი ფორმის - ქსელური და ვირტუალური (ონ-ლაინ) საზოგადოების არსებობისა და განვითარების პირობები. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც იგებოდა ქსელის პრინციპით, გამოიწვია თანამედროვე საზოგადოებაში ქსელური ურთიერთობების საყოველთაო გავრცელება. „ერთ დროს დალაგებული და იერარქიული სოციალური სივრცე ჩვენ თვალწინ გადაიქცა აბურდულ სამყაროდ, სადაც არ არის გაკვალული გზები და ადამიანისათვის ასე აუცილებელი საყრდენი წერტილები“ (Лысак, И. В. Косенчук, Л. Ф. 2015 стр. 45-51). სამეცნიერო წრეებში გაჩნდა ტერმინები „ქსელური სტრუქტურები“, „სოციალური ქსელი“, „ქსელური საზოგადოება“.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო ფართომაშტაბიანი დისკუსია ახალი ტიპის თანასაზოგადოების შესახებ, რაც განპირობებული იყო როგორც თანამედროვე ეპოქაში თანასაზოგადოების როლის ცვლილებით, ასევე მისი სოციოლოგიური ანალიზის ახალი სტრატეგიის აუცილებლობით. გასული

საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე ჩნდება ტერმინი „ქსელური საზოგადოება“. მისი ავტორია ნორვეგიელი მეცნიერი სტაინ ბრეტენი, რომელმაც ეს ტერმინი პირველმა გამოიყენა თავის წიგნში „საზოგადოებისა და ადამიანის მოდელები: ხიდი თეორიასა და გამოცდილებას შორის სოციოლოგიიდან სოციალურ ფსიქოლოგიისკენ“ (Modeller av menneske og samfunn: bro mellom teori og erfaring fra sosiologi og sosialpsykologi, 1981). ამავე პერიოდში გამოდის ამერიკელი სოციოლოგის ბარი ველმენის შრომა „The Community Question“ (1979), რომელშიც იგი ასაბუთებდა, რომ ნებისმიერი ზომის საზოგადოება წარმოადგენს ქსელს (ქსელების ქსელს) და არა იერარქიული სტრუქტურით განსაზღვრულ ჯგუფს (pp. 1201-1231). მოგვიანებით, ჰოლანდიელი მეცნიერის იან ვან დეიკის მიერ გამოიცა წიგნი „ქსელური საზოგადოება“ (De Netwerkmaatschappij, 1991), რომელშიაც ქსელური საზოგადოება განისაზღვრა, როგორც „საზოგადოების ფორმა, სადაც პირადი კომუნიკაციები თანდათანობით იცვლება ციფრული ტექნოლოგიებით და სოციალური ქსელები წარმოადგენენ თანამედროვე საზოგადოების ორგანიზაციისა და სტრუქტუირების ფორმირების ძირითად საშუალებებს“ (pp: 6-40). იან ვან დეიკის მოსაზრებით თანამედროვე საზოგადოება იმყოფება ქსელურ საზოგადოებად გარდაქმნის პროცესში, რაც ნიშნავს, რომ პიროვნებათშორისი, ჯგუფური და მასობრივი კომუნიკაციები თავს იყრის ინტერნეტში ერთ მთლიანობად. ინტერნეტის მეშვეობით ადამიანები იმყოფებიან მუდმივ ურთიერთკავშირში, რაც იძლევა საშუალებას სადაც არ უნდა ვიყოთ ვხედავდეთ „მთელ სამყაროს.“ იან ვან დეიკის აზრით, ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ინფორმაციის მიღების ისეთი საშუალებები, როგორიცაა გაზეთი ან წერილი, მოძველდებიან, დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და თანდათან გაქრებიან.

ქსელური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეორია შემუშავებული იქნა ამერიკელი სოციოლოგის მანუელ კასტელსის მიერ. ეს თეორია ასახულია მის წიგნებში: „საინფორმაციო ეპოქა: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა“ და „გალაქტიკა ინტერნეტი: აზრები ინტერნეტზე, ბიზნესსა და საზოგადოებაზე“. სწორედ ამ თეორიის საფუძველზე გასული საუკუნის 90-იანი

წლებიდან დაიწყო თანასაზოგადოების, როგორც არა ტერიტორიული ერთობად, არამედ, როგორც სოციალურ ურთიერთობათა ქსელებად განხილვა. ერობების ახალი კუთხით შესწავლა დაკავშირებული იქნა ინტერნეტის გავრცელებასა და ვირტუალურ თანასაზოგადოების ფორმირებასთან. შესაბამისად, თანდათანობით იზრდებოდა იმ მეცნიერთა რიცხვი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ნებისმიერი თანასაზოგადოება, მათ შორის ტერიტორიული ერთობაც იგება ქსელური პრინციპის საფუძველზე. თუმცა, ეს მოსაზრება დღემდე საკამათო თემად რჩება.

მ. კასტელსი თავის ნაშრომში „გალაქტიკა ინტერნეტი: აზრები ინტერნეტზე, ბიზნესსა და საზოგადოებაზე“ (Галактика Интернет: Размышления об Интернете, бизнесе и обществе) აღნიშნავდა, რომ „ტერმინი „თანასაზოგადოება“ იწვევს იდეოლოგიურ დავას მათ შორის ვინც განიცდის ნოსტალგიას ტერიტორიასთან დაკავშირებულ ძველ, ტრადიციულ თანასაზოგადოებასა და ინტერნეტის გაჩენის შედეგად წარმოშობილი ალტერნატიული, ვირტუალური თანასაზოგადოების გულმხურვალე დამცველებს შორის“ (Кастельс, М. 2004. стр. 328).

მანუელ კასტელსის მიერ „ქსელური საზოგადოების“ ცნება შემოტანილი იქნა ერთი მხრივ იმ მიზნით, რომ აჩვენოს თანამედროვე სოციუმისთვის კომპიუტერული ქსელების განმსაზღვრელი როლი, ხოლო მეორე მხრივ, იმის დასასაბუთებლად, რომ თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას მივყავართ საზოგადოებრივი ურთიერთობათა ცვლილებისაკენ. კასტელსი მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქსელური პრინციპები თანდათანობით ანაცვლებენ საზოგადოების მოწყობის არსებულ იერარქიულ პრინციპებს. ამასთან, თუ ადრე ქსელური ორგანიზაცია გამოხატავდა საზოგადოების შინაგან სტრუქტურას, ახალ პირობებში იგი ხდება საზოგადოების გარეგანი სტრუქტურა და ფორმა. კასტელსის აზრით ქსელური სტრუქტურა არის „ურთიერთდაკავშირებული კვანძების კომპლექსი“, ამასთან „თითოეული კვანძის შინაარსი დამოკიდებულია შესაბამისი კონკრეტული ქსელური სტრუქტურის ხასიათზე“ (Кастельс, М. 2004. стр. 470). თავად ქსელები „წარმოადგენენ ღია

სტრუქტურებს, რომელთაც ძალუძთ შეუზღუდავად გაიზარდონ კომინიკაციის უნარის მქონე ახალი კვანძების ჩართვის ხარჯზე“ (Кастельс, М. 2004. стр. 471).

„ქსელური საზოგადოების“ „ტრადიციული საზოგადოებისგან“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმასხავებელ ნიშანს, მ. კასტელსის აზრით წარმოადგენს სოციალური მორფოლოგიის დომინირება სოციალურ ქმედებაზე, რადგან ამა თუ იმ ქსელისადმი კუთვნილება არის საზოგადოებაში ცვლილების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. ქსელური სტრუქტურის საზოგადოება ხასიათდება კომუნიკატიური გარემოს თვისობრივი ცვლილებით, სადაც ინფორმაცია თამაშობს განმსაზღვრელ როლს. ინფორმაცია კი წარმოადგენს ისეთ რესურს, რომელსაც ძალუძს სხვა რესურსზე უფრო იოლად გადალახოს ნებისმიერი ბარიერი და საზღვრები. ქსელურ საზოგადოებაში უახლესი ტექნოლოგიები წარმოადგენენ იმ დამაკავშირებელ რგოლს, რომლებიც აერთიანებენ ასეთ საზოგადოებას და ქმნიან ერთიან ინტერაქტიულ სივრცეს.

ფრანგი პოსტსტრუქტურალისტების ჟ. დელეზის და ფ. გვატარის (2010) მიერ ქსელური პრინციპების დახასიათებისას შემოღებული იქნა ტერმინი „რიზომა“ (ბერძ. *rhiza* - ფესვი). ეს ტერმინი აღებული იქნა ბიოლოგიიდან, სადაც იგი გამოხატავდა მცენარის ფესვის განსაზღვრულ აგებულებას, რომელიც ხასიათდება ცენტრალური ღერძის არ არსებობით და წარმოადგენს მრავალრიცხოვანი, ქაოსურ, ერთმანეთზე გადახლართულ ფესვთა სისტემას. ეს ტერმინი ჟ. დელეზის და ფ. გვატარის მიერ იქნა გამოყენებული თანამედროვე საზოგადოების დასახასიათებლად, რომელსაც არ გააჩნია ცენტრალური ღერძი, სადაც არ არის ცენტრალიზაცია, იერარქია, სიმეტრია და წესრიგი. „რიზომას“ საპირისპირო სტრუქტურაა „ხე“, რომელსაც გააჩნია ცენტრალური ღერძი და პერიფერიული განშტოებები „ტოტები“, დამახასიათებელი იერარქიული მოწყობით. ჟ. დელეზის და ფ. გვატარის აზრით სტრუქტურა „ხე“ ეს არის ტრადიციული საზოგადოების და ტრადიციული აზროვნების მოდელი, ხოლო „რიზომა“ წარმოადგენს თანამედროვე, პოსტმოდერნის მოდელს.

ჟ. დელეზი და ფ. გვატარი გამოყოფენ „რიზომას“ პრინციპებს, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე სოციუმისათვის. პირველი ეს არის „კავშირისა და არაერთგვაროვნების“ პრინციპი (Делез, Ж., Гваттари, Ф. 2010. стр. 12) „რიზომას“ ნებისმიერი წერტილი შეიძლება ან უნდა იყოს დაკავშირებული სხვა ნებისმიერ წერტილთან. „რიზომას“ არ აქვს განვითარების საწყისი წერტილი (საიდანაც ის იზრდება). ის თავის ბუნებით არის დეცენტრალიზებული და ანტიიერარქიული. მის არც ერთ წერტილს არ აქვს უპირატესობა სხვა წერტილთან შედარებით.

„რიზომას“ შემდეგი პრინციპია „სიმრავალე“. „სიმრავლეს არ გააჩნია არც სუბიექტი და არც ობიექტი. არის მხოლოდ განსაზღვრება, განზომილება, ზომა, რომელიც იზრდება მხოლოდ მაშინ, როცა სიმრავლე იცვლის თავის ბუნებას. ... სიმრავლე განისაზღვრება გარე, აბსტრაქტული, დეტერიტორიული ხაზით, რომლის გაყოლებით სიმრავლე იცვლის თავის ბუნებას და უკავშირდება სხვა სიმრავლეებს“ (Делез, Ж., Гваттари, Ф. 2010. стр.14–15).

შემდეგი პრინციპს წარმოადგენს „წყვეტილობა, დაყოფა“, რომლის მიხედვით „რიზომა“ შეიძლება დაიყოს, გაწყდეს ნებისმიერ წერტილში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ანახლებს თავის ზრდას იგივე ან ახალი მიმართულებით. „ყველა „რიზომა“ შეიცავს სეგმენტაციის საწყისს, რომლის მიხედვით იგი არის სტრატიფიცირებული, ტერიტორიზებული, ორგანიზებული, განსაზღვრული. მაგრამ, ამასთანავე „რიზომას“ გააჩნია დეტერიტორიზაციის საწყისიც, რომლის შესაბამისად იგი მუდმივად მოუხელთებელია“ (Делез, Ж., Гваттари, Ф. 2010. стр. 16).

„რიზომა“ არის ქსელის მოდელი,რომელსაც არ გააჩნია ცენტრი. სადაც არის სხვადასხვა მიმართულების განშტოებათა სიმრავლე, რაც აძლევს მას მოძრაობის თავისუფლებას და ნებისმიერი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, ეს მოდელი იძლევა შემოქმედებითი თავისუფლების განუსაზღვრელ შესაძლებლობას. ამასთან, „რიზომა“ არის „სარეველას“ მოდელი, რომელიც „ყველგან ხარობს, ავსებს ყველა ხვრელს და ბზარს და არ აძლევს

გახარების საშუალებას „კულტურულ“, მაგრამ ნაკლებად შემგუებელ მცენარეებს“ (Лысак, И. В., Косенчук, Л. Ф. 2015. стр. 45–51).

„რიზომას“ მოდელის განხილვისას არ შეიძლება არ ვახსენოთ ამერიკელი სენატორის ალბერტ ბევერიჯის (Albert Jeremiah Beveridge) მიერ 1912 წლიდან შემოღებული ტერმინი Grassroots (ბალახის ფესვები), რომელიც გამოყენებული იქნა „ქვემოდან“, სპონტარული და ჭეშმარიტად სახალხო ინიციატივების განსაზღვრისათვის (განსხვავებით „astroturfing“, რომლითაც აღინიშნება ხელოვნურად შექმნილი ფსევდოსახალხო მოძრაობა). თავდაპირველად ეს ტერმინი გამოიყენებოდა პოლიტოლოგიაში, თუმცა დღეისათვის ამ ტერმინმა მოიცვა ეკონომიკური სფეროც და უკვე აქტიურად საუბრობენ „Grassroots“-ზე, როგორც XXI საუკუნის სამეწარმეო საქმიანობის ახალ ტრენდზე. ეს ტერმინი შემოღებული იქნა ინდუსტრიული ეპოქის გარიჟრაჟზე. ამ მხრივ, ცხადია, რომ ამ ტერმინის შემოტანა არ ნიშნავდა რაიმე მითითებას ქსელურ საზოგადოებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „რიზომა“, ეს სწორედ ბალახის ფესვებია. Grassroots კი აღნიშნავდა სწორედ თვითორგანიზებულ ადგილობრივ თანასაზოგადოებას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის დასაწყისში შემოტანილი ტერმინი ზუსტად ასახავს და ახასიათებს XXI საუკუნის თანასაზოგადოებას.

„რიზომა“, როგორც ქსელური სტრუქტურა დაპირისპირებულია ტრადიციულ, იერარქიულ სტრუქტურასთან. „იერარქიულ სტრუქტურებისთვის დამახასიათებელია მდგრადობა, შესაძლებლობა მოახდინონ ინდუქტიური ზემოქმედება მთელ სისტემაზე, შესაძლებლობა იოლად მოახდინოს აღდგენა, კომუნიკაციის ზუსტად დადგენილი პრინციპები, დისციპლინა, სუბორდინაცია, ვალდებულებათა ნორმირება. ასეთი სტრუქტურის ნაკლია სიტუაციაზე არაოპერატიული და არაადეკვატური რეაგირება, იერარქიული საფეხურების ზრდა, ინფორმაციული ნაკადების გატარებისა და გადაწყვეტილების მიღების რთული პროცედურები. ქსელური სტრუქტურებისთვის დამახასიათებელია ჰორიზონტალური ორგანიზაცია, ერთიანი ცენტრის არ არსებობა, მონაწილეთა თანაბარუფლებიანობა (სუბორდინაციის არ არსებობა), სტრუქტურაში შესვლისა

და გამოსვლის ღიაობა, შინაგან და გარეგან ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი, თვითორგანიზაცია და თვითრეგულაცია“ (Коробейникова, Л., Гиль, Ю.А. 2010. стр. 107).

ქსელური და იერარქიული სტრუქტურების ურთიერთდაპირისპირება სულაც არ ნიშნავს, რომ ქსელურ სტრუქტურისთვის საერთოდ უცხო იყოს იერარქიული ურთიერთობა, თუმცა ეს ურთიერთობა მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება არსებობდეს. ქსელურ სტრუქტურაში პოტენციურად ყველა მონაწილეს აქვს ურთიერთკავშირი. ზოგიერთი ეს კავშირი აკუმულირდება და წარმოშობს ხაზობრივ ან მატრიცულ სტრუქტურებს, რომლებიც შემდეგ ქრება სისტემის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ქსელური სტრუქტურა არაიერარქიულია, მასში მონაწილეთა კავშირის აკუმულირების შედეგად წარმოშობილი ხაზობრივი სტრუქტურები სრულად იერარქიულია, ხოლო მატრიცული სტრუქტურებში ადგილი აქვს არა მხოლოდ იერარქიას, არამედ გადანაწილებასაც. ამიტომაც, ქსელური სტრუქტურის განსაკუთრებულობა და ხიბლიც მდგომარეობს იმაშიც, რომ მისი თითოეული მონაწილე შეიძლება გახდეს ლიდერი, შეასრულოს ცენტრის როლი, ან იყოს პასიური, მართვადი ობიექტის როლში.

ამგვარად, ქსელური სტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კვანძების დეცენტრალიზებულ კომპლექსს, რომელსაც ძალუძს დაიმატოს ახალი რგოლები და გაფართოვდეს. ეს თვისება აძლევს ქსელს მოქნილობას და დინამიურობას. საზოგადოებაში ასეთ კომუნიკაციურ კვანძს წარმოადგენს თავისუფალი ნების სოციალური სუბიექტი, რომელსაც აქვს უნარი მოახდინოს ახალი ინფორმაციის გადამუშავება, დაგროვება და შექმნა. ქსელური სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ღიაობა და სპონტანურობა. სტრუქტურის ღიაობა შეიძლება განხილული იქნეს ორი მოცემულობით: 1) როგორც ქსელის ელემენტების ღიაობა ერთმანეთის მიმართ და ელემენტებს შორის ურთიერთობის შიდა ბარიერების არ არსებობა და 2) როგორც სისტემის ღიაობა გარე გარემოსთან, ინფორმაციის თავისუფალი გადასვლის შესაძლებლობა.

ქსელური სტრუქტურის სპონტანურობა გულისხმობს ფორმირების, მიმდინარეობის და ცვლილების თავისუფლებას. იგი არ არის დეტერმინირებული. ქსელის ელემენტებს შორის არ არსებობს მუდმივი კავშირები. ეს კავშირები იქმნება გარკვეული დროით, რაც სჭირდება წარმოშობილი საკითხის გადაწყვეტას. ქსელური სტრუქტურები პოლიცენტრულია, ამასთან, მის პოტენციურ ცენტრად შეიძლება გახდეს სისტემის ნებისმიერი ელემენტი. ქსელური სტრუქტურის პოლიცენტრულობა არ ეწინააღმდეგება სისტემის მთლიანობას. სისტემის მთლიანობა უზრუნველყოფილია კომუნიკაციის შიდაქსელური ეფექტიანი არხებით, რომელიც იძლევა ქსელის სხვადასხვა ნაწილებში წარმოშობილი პროცესების სინქრონიზაციის საშუალებას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თანამდროვე სოციოკულტურული სივრცე აგებულია ქსელური პრინციპით, ხოლო საზოგადოებაში ფეხს იკიდებს და დომინანტურ პოზიციებზე გადის ქსელური სტრუქტურები.

- **სოციალური ქსელები**

ტერმინი „სოციალური ქსელი“ პირველად გამოყენებული იქნა 1954 წ. მანჩესტერის სკოლის წარმომადგენლის სოციოლოგ ჯორჯ ბარნზის (1954) მიერ თავის ნაშრომში „კლასები და კრებები ნორვეგიის კუნძულების თემებში“, მცირე ჯგუფებში არსებული კავშირების დასახასიათებლად. მის ნაშრომში ქსელი განისაზღვრებოდა როგორც ნებისმიერი „ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების ერთობა, რომელთა შორისაც არსებობს კავშირი და ურთიერთკავშირი“ (p.p. 39-58). სამი წლის შემდეგ ეს ტერმინი გამოყენებული იქნა ე. ბოტის (1957) მიერ, რომელიც სწავლობდა ინგლისელ მუშათა ოჯახებს, რომლებიც მათი აზრით ცხოვრობდნენ არა ჯგუფებში, არამედ ქსელებში, ანუ ისეთ სტრუქტურაში, სადაც ოჯახს შეიძლება ქონოდა კავშირი ცალკეულ ოჯახებთან და ორგანიზაციებთან და არა სხვებთან. სოციალური ქსელი და ქსელური სტრუქტურა ასახავდა ჯგუფის დაყოფას ქვეჯგუფებად, სადაც ურთიერთობა შეიძლებოდა დამყარებულიყო მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით და მხოლოდ განსაზღვრული პოზიციიდან.

ილია შტეინბერგი (2010), თავის ნაშრომში „ოთხი «K» პარადიგმა სოციალური ქსელების კვლევებში“, თანამედროვე სოციოკულტურულ სივრცეში სოციალური ქსელის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრის შესასწავლად გამოყოფს ოთხ მეთოდოლოგიურ მიდგომას.

პირველი მიდგომა ეფუძნება მანუელ კასტელსის თეორიას, რომლის მიხედვით, თანამედროვე ეპოქაში საზოგადოებასა და სახელმწიფოს, ასევე თავად საზოგადოების შიგნით ურთიერთობები იქნება აგებული ახალი, ქსელური პრინციპების საფუძველზე.

მეორე მიდგომა უკავშირდება პ. ბურდიესა და ჯ. კოულმენის თეორიებს, რომლებიც სოციალურ ქსელს განიხილავენ სოციალური კაპიტალის ფორმად. სოციალური კაპიტალი განიხილება, როგორც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მახასიათებელი, რომელიც ასახავს საზოგადოების წევრთა მისწრაფებას სოლიდარობის, ნდობისა და ლოიალობის საფუძველზე ერთმანეთთან დაამყაროს საზოგადოებრივი ურთიერთობები. სოციალური კაპიტალი ერთი მხრივ არის ქსელის განვითარების წყარო, რადგან იგი წარმოადგენს რეალური და პოტენციური რესურსის განსაკუთრებულ სახეს, მეორე მხრივ სოციალური ქსელი ახდენს სოციალური კაპიტალის მობილიზებას და ხელს უწყობს მის განვითარებას, ქსელის წევრებს უყალიბებს ერთმანეთის მიმართ ნდობას, სოლიდარობას და ლოიალობას.

მესამე მიდგომით სოციალური ქსელი განიხილება, როგორც ქსელის წევრებს შორის სხვადასხვა სახის რესურსების ურთიერთგაცვლის მდგრადი ერთობა. გაცვლის რესურსები შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური, როგორიცაა ნდობა, ურთიერთგაგება, სიმპატია და ა.შ. ამის შედეგად ქსელში ყალიბდება „მიზიდულობის ველები“ და „მეგობართა წრეები“.

მეოთხე მიდგომით სოციალური ქსელი განიხილება როგორც ექსტრაორდინალურ სიტუაციებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ადაპტაციის უნივერსალური საშუალება. ასეთი ქსელების ძირითადი ფუნქციაა დაიცვას

წევრები არსებული საფრთხეებისაგან, გამოუცხადოს მხარდაჭერა და გაუწიოს მათ დახმარება.

ზემო აღნიშნული მიდგომები არის არა ალტერნატიული, არამედ ურთიერთშემავსებელი, რომლებიც ერთობლიობაში ქსელურ საზოგადოებას ახასიათებენ როგორც გლობალური, საინფორმაციო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს სოციალურ ურთიერთობათა ფორმას. ქსელური საზოგადოება არის გლობელიზაციის შედეგად სტრუქტურებული კომუნიკაციური სივრცის ადექვატური სოციალური ინტერაქციის ის ახალი კონფიგურაცია, რაც მიუღწეველია ტრადიციული ინსტიტუტებისათვის.

ქსელი არის სოციალური სივრცის სტრუქტურების უნივერსალური საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებს შორის კომუნიკაციის ორგანიზებასა და მათ საბაზისო მოთხოვნების რეალიზებას. ქსელი შედგება მრავალრიცხოვანი აგენტებისაგან და შესაბამისად ქსელური კომუნიკაცია თავის ფორმით წარმოადგენს ინდივიდუალური, ჯგუფური თუ მასობრივი კომუნიკაციის ჰიბრიდს. „სოციალური ქსელი პირველ რიგში არის ინტერაქტიული, მრავალჯერადი გამოყენების ვებგვერდი, რომლის კონტენტი განისაზღვრება და ივსება თავად მომხმარებელთა მიერ. სოციალური ქსელი ხასიათდება ინფორმაციის აკუმულირებისა და გავრცელების პოტენციურად უსაზღვრო რაოდენობის დამოუკიდებელი ცენტრების არსებობით. ასეთი მოცემულობა ერთი მხრივ განაპირობებს ქსელის გლობალურობას, დემოკრატიულობასა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას, ხოლო მეორე მხრივ - კონტროლის არ არსებობას“ (Сергодеев, В.А. н/д).

ვირტუალური ქსელური საზოგადოების ფორმირება ხდება საერთო მიზნებისა და ინტერესების საფუძველზე, ქსელური რესურსებისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით. ა. ჩურაკოვი (1998) შემდეგნაირად განსაზღვრავს კიბერსივრცეში ახალ სოციოკულტურულ ჯგუფს: „ეს არის ადამიანთა თანასაზოგადოება, რომლებმაც ინტერნეტის მეშვეობით საერთო ინტერესების საფუძველზე დაამყარეს ერთმანეთთან მყარი კავშირები. ეს ერთი მხრივ არის

საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალი ფორმა, ხოლო მეორე მხრივ - უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქტი“ (стр. 34-35). ამ მოსაზრებას იზიარებს ს. პარინოვი (1999), რომელიც აღნიშნავს, რომ „ონ-ლაინ თანასაზოგადოება წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომელთა შორის ურთიერთობა დგება ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე“. „ინტერნეტ-თანასაზოგადოება წარმოადგენს კომუნიკაციის ქსელით მოსარგებლეთა სოციალური ერთობის განსაკუთრებულ სახეს, რომელთა ინტეგრაცია ეფუძნება ვირტუალურ სივრცეში საერთო დისკურს“ (Сергодеев В.А. н/д).

ვირტუალურ ქსელურ საზოგადოებას გააჩნია საერთო მიზნები, თანასაზოგადოების წევრთა ქცევებზე კონტროლის შესაძლებლობა და თვითწარმოჩენის შესაძლებლობა. ამ ტიპის თანასაზოგადოების განმსაზღვრელ ნიშნებად მიიჩნევა:

1) შესაბამისი ინფორმაციული რესურსის მომხმარებელთა არსებობა;

2) თანასაზოგადოების წევრთა შესაძლებლობა ქონდეთ ურთიერთობა „ყველას ყველასთან“ და გააჩნდეთ ინფორმაცია ამ ურთიერთობათა ისტორიის შესახებ;

3) განაწილებული როლები, რომლებიც მუდმივად შეიძლება იცვლებოდეს;

4) „ქსეთიკეტი“ ანუ ქცევის წესები, რომლებიც უნდა დაიცვას თანასაზოგადოების წევრებმა;

5) თანასაზოგადოების წევრის შესაძლებლობა კომუნიკაციის პროცესში მოახდინოს საკუთარი პირადი და საერთო ინტერესების რეალიზაცია.

ეს ნიშნები განაპირობებენ ქსელური კომუნიკაციის მულტიფუნქციონალობას, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ მრავალრიცხოვან და მუდმივად ზრდად ფუნქციებს, არამედ ამ ფუნქციების ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობასაც.

ინტერნეტ-მომხმარებალთა ზრდასთან ერთად გაიზარდა არა მხოლოდ ქსელის სოციალური მნიშვნელობა, არამედ წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები, რაც დაკავშირებულია ამ თანასაზოგადოებაში პირის თვითიდენტიფიკაციასთან

და კონტროლთან. ერთი მხრივ ქსელური ინტერნეტ-თანასაზოგადოება წარმოადგენს სოციოკულტურულ ცხოვრებით ჩამოყალიბებული ტრადიციული სტრუქტურების გაგრძელებას ახალ განზომილებაში, ხოლო მეორე მხრივ იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციოკულტურულ სივრცეს, სადაც ყალიბდება ყოველდღიური ცხოვრების ახალი ხასიათი.

- **ვირტუალური თანასაზოგადოება (virtual community)**

ვირტუალური, კიბერსივრცითი თანასაზოგადოების ცნება, შექმნისა და განვითარების საკითხები შესწავლილი იქნა სხვადასხვა სფეროს თეორეტიკოსებისა და მკვლევარების მიერ (Jones, S. G. (1995), Haythornthwaite, C. (2002) Loader, B. (1998), Rheingold, H. (1993, 1998, 2002), Schuler, D. (2004), Dutton, W. H. (1996, 1999), Shumar, W., Renninger, K.A. (2002), Woolgar, S. (2002)).

ზოგიერთი მეცნიერი ეჭვ ქვეშ აყენებს ონ-ლაინ თანასაზოგადოების (online community) არსებობას. მათი აზრით, ადამიანები უმთავრესად ინტერნეტში ეძებენ ინფორმაციას, ამყარებენ ონ-ლაინ ურთიერთობებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი წარმოადგენენ ონ-ლაინ თანასაზოგადოების წევრებს. მაგალითად, სივანანდანი (1997) სკეპტიკურად უყურებს ონ-ლაინ საზოგადოების არსებობას და მიუთითებს, რომ „ინტერნეტის თანასაზოგადოება არის ინტერესთა და არა ადამიანთა თანასაზოგადოება“. „ეს არის მხოლოდ ინფორმაციის მასივი, რადგან რასაც გრძნობს ადამიანი, ეს არის უშუალოდ მისი და არა სხვა პირებთა შეგრძნება, რომელთაც იგი საერთოდ არ იცნობს. კიბერსივრცითი თანასაზოგადოება ფორმირდება ინფორმაციული ერთეულების და არა ადამიანთა გრძნოებების საფუძველზე“. (Sivanandan, A. 1997, стр. 294) სივანანდანის მიხედვით ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა შექმნეს რეალური სამყაროს მსგავსი ფანტაზია, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გაექცნენ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სიმარტოვე, სიღარიბე და ა.შ. „ახალმა ტექნოლოგიებმა ფანტაზია აქცია რეალობად. თქვენ ახლა შეგიძლიათ იცხოვროთ ფანტაციის სამყაროში, რადგან ეს არის ის სამყარო, რომელსაც თავად თქვენ ქმნით. ამიტომ სიმარტოვის

შემთხვევაშიც თქვენ თავს არ იგრძნობთ მარტოდ, სიღარიბისას - თქვენ არ იქნებით ღარიბი. სამყაროში სადაც მიმდინარეობს კლასთა ბრძოლა, თქვენ არ იქნებით არც ერთი კლასის წარმომადგენელი. ამიტომაც პოსტმარქსიზმია კიბერსივრცის იდეოლოგია“ (Sivanandan, A. 1997, стр. 296).

პრობლემა დგება მაშინაც, როცა ვცდილობთ პასუხი გავცეთ კითხვაზე შეიძლება თუ არა ყველა ონ-ლაინ მომხმარებელი ჩავთვალო თანასაზოგადოების წევრად? ცხადია, რომ ვირტუალური თანასაზოგადოების ყველა წევრი არ იჩენს ერთნაირ აქტიურობას. უმეტესობა, ხშირად არჩევს ოყოს პასიური მეთვალყურის როლში. მეთვალყურეები რეგულარულად ნახულობენ, შედიან თანასაზოგადოებაში, მაგრამ იშვიათად იჩენენ აქტიობას. ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ მეთვალყურეთა რაოდენობა შეადგენს ონ-ლაინ თანასაზოგადოების 50%-დან 90%-მდე (Rafaeli S., Ravid G. & Soroka, V. 2004). მკვლევართა ნაწილი (Rafaeli S., Ravid G. & Soroka, V.) მიიჩნევს, რომ მეთვალყურეები, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ მხოლოდ აუდიტორიას. განსხვავებული მოსაზრება აქვთ მკვლევართა სხვა ნაწილს (ჯოუნსი, ბეიმი, რეინჰოლდი, რენინგერი და შუმარი), რომლებიც ამტკიცებენ, რომ პირები, რომლებიც რეგულარულად სტუმრობენ ონ-ლაინ, ქმნიან ვირტუალურ თანასაზოგადოებას. შუმარისა და რენინგენის (Shumar, W., & Renninger K.A. 2002) მოსაზრებით გამოიყოფა ორი ძირითადი ტენდენცია ვირტუალური თანასაზოგადოების შექმნის არსებობასთან დაკავშირებულ დისკუსიაში. ერთ შემთხვევაში დისკუსიის ცენტრში მოქცეულია „ურთიერთობის მოდელი და გზა, რომლის თანახმად მომხმარებლები და მონაწილეები მუშაობენ და სწავლობენ თანასაზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილების მიღებით“. მეორე მიმართულებით დისკუსია ეხება „მონაწილეთა კოლექტიური აღქმისა და იდენტიფიკაციის ბუნებას, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ ვირტუალურ თანასაზოგადოებასთან მათი კუთვნილების შეგრძნების აუცილებელი ინსტრუმენტის ფუნქციას“ (Shumar, W. & Renninger K.A. 2002).

თავად ვირტუალური სივრცის ბუნება მოითხოვს ონ-ლაინ თანასაზოგადოების ცნების გადახედვას, რადგან დღეისათვის ონ-ლაინ საზოგადოება წარმოადგენს დინამიურ, სადაო და ძნელად აღსაქმელ მოვლენას. კიბერსივრცის ტერმინი შემოტანილი იქნა ფანტასტი მწერლის ვილიამ გიპსონის მიერ, რომელმაც თავის ფანტასტიკურ მოთხრობაში აღწერა მომავლის ცხოვრება განსაზღვრულ სივრცეში, რომელიც რეალურია თავის აღქმითა და ზემოქმედებით, მაგრამ ამავდროულად ილუზორულია, რადგან მასში არ არსებობს ფიზიკური მატერია.

ბევერლი ჰანტერი (2002) ადგილობრივ თანასაზოგადოებას განმარტავს, როგორც „ადამიანთა ან ორგანიზაციათა ჯგუფს, რომელთაც აერთიანებთ მათ საქმიანობასთან, საცხოვრებელ ან გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებული საერთო ინტერესები, პრობლემები და ურთიერთდამოკიდებულება“ (p. 96). ვირტუალური თანასაზოგადოება ჰოვარდ რეინგოლდის (1998) მიერ განსაზღვრულია, როგორც „ადამიანთა დიდი რაოდენობის მიერ ხანგძლივი პერიოდის მანძილზე ადამიანური გრძნობების გამოხატვისა და ურთიერთობათა საფუძველზე კიბერსივრცეში პირად ურთიერთობათა სისტემის ფორმირების მიზნით ქსელში შექმნილი სოციალური ერთობა“ (p. 6).

ამგვარად, ვირტუალური თანასაზოგადოება გამოიყოფა ფიზიკური სივრციდან და კიბერსივრცის ადგილმდებარეობა „ეფუძნება ცოდნას, ინფორმაციასა და გამოცდილებას“ (Jones, S. G. 1995, p. 19). შესაბამისად, „ვირტუალური თანასაზოგადოებისათვის გეოგრაფიული ადგილი არ წარმოადგენს თანასაზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობას“ (Urry, J. 2000, p. 73). გეოგრაფიული ადგილი იცვლება ვირტუალურ, კიბერსივრცით, სადაც სოციალური ურთიერთობები იღებენ გლობალურ ხასიათს. ურის მტკიცებით, „ვირტუალურ სივრცეში იშლება საზღვარი ყოფნასა და მოგზაურობას შორის, რადგან ვირტუალურ სივრცეში ყოფნა თავისთავად უკვე ნიშნავს მოგზაურობას, გადაადგილებას“ (Urry, J. 2000, p. 73). ამ შემთხვევაში, როცა თანასაზოგადოებას არ აერთიანებს გეოგრაფიული ტერიტორია, ძლიერდება თანასაზოგადოების

არსებობის განმაპირობებელი სხვა ნიშნები. ვირტუალური სოციალური კავშირები ხდება თანასაზოგადოების არსებობის უმთავრესი პირობა (Green, L. 2002, p. 22).

ვირტუალური თანასაზოგადოების მიმართ კრიტიკა ძირითადად ეფუძნება იმას, რომ ვირტუალური თანასაზოგადოების წევრები ვერ ხედავენ ერთმანეთს და ამიტომ ეს წევრები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენენ „მხოლოდ ინფორმაციულ ერთეულებს“ (Sivanandan, A. 1997). ამ თვალსაზრისით ვირტუალური თანასაზოგადოება განიხილება, როგორც წარმოსახვითი თანასაზოგადოება. ვირტუალური თანასაზოგადოება „წარმოსახვითია რადგან მისი წევრები არ იცნობენ ერთმანეთს, ერთმანეთს არ შეხვედრიან და არ ხვდებიან, მაგრამ თითოეული მათგანისათვის აზრობრივად არსებობს ეს თანასაზოგადოება“ (Green, L. 2001, стр. 46).

წარმოსახვითი თანასაზოგადოების ცნება გაჩნდა ვირტუალურ თანასაზოგადოებაზე ადრე. „წარმოსახვითი თანასაზოგადოება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ტერიტორიიდან განკერძოებული თანასაზოგადოებისაკენ, ხოლო ვირტუალური თანასაზოგადოება კი არის მეორე ნაბიჯი, რომელიც თანასაზოგადოების ცნებას განაცალკევებს გეოგრაფიული სივრციდან“ (Albrow, M., Eade, J., Durrschmidt, J. & Washbourne, N. 1997, p. 23). მაგრამ, ვირტუალური თანასაზოგადოება არ წარმოადგენს მხოლოდ წარმოსახვით თანასაზოგადოებას, რომელშიც თანასაზოგადოების წევრებიც ასევე წარმოსახვითნი არიან.

ვირტუალური თანასაზოგადოების წევრები წარმოადგენენ კონკრეტულ ფიზიკურ პირებს თავის პიროვნული თვისებებით და მათ აქვთ თანასაზოგადოების სხვა წევრებთან „პირისპირ“ ურთიერთობები, ოღონს განსხვავებული თვალსაზრისით. ამიტომაც, არ არის მართებული ვირტუალური და წარმოსახვითი თანასაზოგადოების გაიგივება. „ვირტუალური თანასაზოგადოება წარმოადგენს თანასაზოგადოების უფრო ძლიერ ფორმას, ვიდრე წარმოსახვითი ან „ფსევდო“ თანასაზოგადოება“ (Ринкявичюс, Л., Буткявичене, Э. 2007).

ტერიტორიულ ნიშანთან ერთად, ვირტუალური თანასაზოგადოების ლოკალურ თანასაზოგადოებისგან განმასხვავებელი მეორე ნიშანია

თანასაზოგადოების წევრად გახდომის წესი. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა ინტერესი და სოციალური ფუნქცია, იგი მხოლოდ ერთი ფიზიკური თანასაზოგადოების წევრი შეიძლება იყოს. ინტერნეტის გამოყენებით კი პიროვნება შეიძლება გახდეს განუსაზღვრელი რაოდენობის თანასაზოგადოების წევრი. ვირტუალურ დისკუსიებში ინდივიდი ირჩევს თემატურ ჯგუფებს, რომლებიც შეესაბამება მის ინტერესებს და სოციალურ ფუნქციებს. ასეთი თემატური ჯგუფები არიან ძალზედ სეგმენტირებული და განსხვავებულნი თავის თემატიკით. ამიტომაც, ინდივიდი ერთდროულად ჩართულია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სხვადასხვა თემატურ ჯგუფში.

ტრადიციულ თანასაზოგადოებისგან ვირტუალური თანასაზოგადოების განმასხვავებელი ნიშანია პირის მაღალი ხარისხის ანონიმურობა. „მათი სქესი, რასა, მდგომარეობა, გარეგნობა და სხვა საჯარო თვისებები უხილავია“ (Baym, N. K. 1995, p. 140). ერთი შეხედვით, ასეთი ანონიმურობა წარმოსახვითს, გამოგონილს, უშინაარსოს და უაზროს ხდის ვირტუალურ თანასაზოგადოებას. მაგალითად, სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ფუძემდებელი პუტნამი მიიჩნევს, რომ „ვირტუალური თანასაზოგადოებაში მონაწილეთა ანონიმურობა უარყოფითად მოქმედებს სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ნდობის ფაქტორს. ინტერნეტის საშუალებით გაერთიანებული ჯგუფები სწრაფად ცვლიან ინფორმაციას მათთვის პრობლემატურ საკითხებზე. მაგრამ, მათში სუსტად გენერირდება ნდობა და თანამშრომლობა“. თუ ასეთ თანასაზოგადოებაში „შესვლა და გამოსვლა ძალზედ იოლია, მაშინ ვალდებულება, ნდობა და თანამშრომლობა არ ვითარდება“ (Putnam, R. 2000, p. 177). თუმცა, შემდგომ პერიოდში ინტერნეტის გავრცელებისა და სოციალური ქსელების გაფართოების კვალობაზე სულ უფრო მეტი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინტერნეტი არა უარყოფით, არამედ დადებით გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე. „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ინტერნეტ ფორუმში რეგისტრაცია და მონაწილეობა აყალიბებს სოციალურ სიტემას, რომლის თითოეული, როგორც

აქტიური, ისე პასიური მონაწილე საჭირო ინფორმაციის მიღებით, ვირტუალურ თანასაზოგადოებაში მოქმედი ქცევის სოციალური ნორმების შესწავლითა და აქტიურ წევრთა გაცნობით იძენს სოციალურ კაპიტალს“ (Rafaeli, S., Ravid, G., Soroka, V. 2004). მათი აზრით, ვირტუალური თანასაზოგადოების სოციალური კაპიტალი არის „სოციალური სისტემის თავისებურებათა ერთობლიობა, რომელიც იქმნება ვირტუალური თანასაზოგადოების საქმიანობის შედეგად და რომელსაც, საერთო სოციალური ნორმებისა და წესების განვითარების შედეგად მივყავართ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისაკენ“ (Rafaeli, S., Ravid, G., Soroka, V. 2004).

ამას გარდა, ვირტუალური თანასაზოგადოების წევრთა ანონიმურობა არის თანასაზოგადოების წევრთა რეალური თანასწორუფლებიანობის გარანტია. ამ შემთხვევაში მართლაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მის ასაკს, სქესს, სოციალურ მდგომარეობას, ეროვნებას, მოქალაქეობრივ სტატუსს, წარმომავლობას. აღსანიშნავია, რომ ანონიმურობა პოზიტიურად იქნა შეფასებული პირველ რიგში ფემინისტთა მიერ. „კომპიუტერი ქმნის ანონიმურობას, რაც განაპირობებს ყოველი მონაწილის თანაბარ სტატუსს“ (Baym, N. K. 1995, p. 140).

თანაბარი სტატუსი და თანაბარი მდგომარეობა იძლევა ვირტუალური თანასაზოგადოების წევრის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას. პიროვნებას წინ აღარ ეღობება იერარქიული საფეხურები, სტერეოტიპები, დოგმები და სხვა რაიმე ფორმალური თუ არაფორმალური შეზღუდვები. ვირტუალურ თანასაზოგადოებაში მისი როლი და ფუნქციები მხოლოდ მის ცოდნასა და უნარებზეა დამოკიდებული. ამგვარად, **ვირტუალური საზოგადოება რეალურად წარმოადგენს თანასაზოგადოების ისეთ იდეალურ სახეს, სადაც თანასაზოგადოების წევრები სრულად თანაბარუფლებიანი, თანასწორნი და თავისუფლები არიან.** ამავდროულად, ვირტუალური თანასაზოგადოება არის ერთობის ბუნებრივი ფორმა. იგი არ იქმნება გარე სპეციფიური ჩარევით. ონ-ლაინ თანასაზოგადოებების ფორმირება და არსებობა მთლიანად არის დამოკიდებული მის წევრთა თავისუფალ ნებაზე და არა გარედან

თავსმოხვეულ იძულებით ფორმებსა და ზომებზე. **ვირტუალური თანასაზოგადოება არის თვითორგანიზებადი ერთობა, რომელიც იქმნება, ფუნქციონირებს და ვითარდება მიზანმიმართული საწყისის გარეშე, ის არის ძალზედ დინამიური და მაღალი ადაპტაციის უნარის მქონე, რომელსაც შეუძლია ძალიან სწრაფად მოახდინოს რეაგირება შეცვლილ პირობებზე და იპოვოს ოპტიმალური გამოსავალი საკუთარი სისტემის გადასარჩენად და განსავითარებლად.** ვირტუალური თანასაზოგადოება არის ქსელური საზოგადოება, სადაც ყველას ყველასთან აქვს ან შეუძლია ქონდეს კავშირი, სადაც თითოეულის ხმა მყისიერად ესმის ყველას.

ადგილობრივი თანასაზოგადოების ცნებისა და კრიტერიუმების განხილვისას, ფ. ტიონისის მოძღვრებაზე დაყრდნობით მივუთითეთ, რომ ლოკალიზაციის განსხვავებული ხარისხი განაპირობებს მოსახლეობის ინტეგრირების განსხვავებულ ხარისხს და არსებობს ზღვარი, რომლის იქით აღარ შეიძლება საუბარი ტერიტორიულ ერთობაზე. ეს მოსაზრება მართალია ტრადიციული საზოგადოებისათვის, რომელიც იერარქიულად იგება უშუალო ურთიერთობებზე. ამ ტიპის თანასაზოგადოებისათვის არსებობს გარკვეული რაოდენობრივი ზღვარი, რომელიც ადამიანის მობილურობის ზრდასთან ერთად შეიძლება გაიზარდოს მაგრამ არა უსასრულოდ. ამ კუთხით თუ შევაფასებთ ვირტუალურ თანასაზოგადოებას, აშკარაა პრინციპული განსხვავება. ვირტუალური თანასაზოგადოება შეიძლება აერთიანებდეს მილიონობით წევრს, მაგრამ მაინც რჩებოდეს თანასაზოგადოებად, როგორც „თბილ და მყუდრო ადგილად, იმ სახურავად რომლის ქვეშ ვაფარებთ თავს წვიმის დროს, იმ ბუხრად სადაც ვთბებით ცივ ამინდში“ (Bauman, Z. 2001. p.1).

საზოგადოებაში თვითორგანიზების პროცესის დახასიათების უმნიშვნელოვანეს კატეგორიებს წარმოადგენენ დრო და სივრცე. ინდივიდის თუ სოციალური ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ახდენენ ისინი თავიანთი დროის ორგანიზებას და რა დრო გამოიყოფა თანასაზოგადოებისათვის. როგორც წესი, ეს არის ოჯახისა და სამუშაოდან

თავისუფალი დრო, რომელიც ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე მუდმივად მცირდება. ვირტუალური თანასაზოგადოების უპირატესობა ტრადიციულ თანასაზოგადოებისგან მისი ონ-ლაინ რეჟიმია, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერი, ინდივიდუალურად მოსახერხებელი დრო იქნეს ამისთვის გამოყენებული.

ანალოგიური მდგომარეობაა სივრცესთან მიმართებით. ადგილობრივი თანასაზოგადოებისათვის აუცილებელია ნეიტრალური საჯარო სივრცის არსებობა „სადაც ადამიანები მათი ინტერესების შესაბამისად ამყარებენ არაფორმალურ კონტაქტებს მსგავსი ინტერესების მქონე სხვა პირებთან, მართავენ დისკუსიებს და იჩენენ ინიციატივებს“. რეი ოლდენბურგი (1989) ამ საჯარო სივრცეს უწოდებს „მესამე ადგილს“ (პირველი ადგილია ოჯახი, ხოლო მეორე - სამუშაო). ვირტუალური თანასაზოგადოებისათვის კი ასეთი სივრცის არსებობა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

ვირტუალური თანასაზოგადოების ეს აშკარა უპირატესობები ტრადიციულ თანასაზოგადოებაზე, სოციალური ქსელების გაფართოება და მასში სულ უფრო მეტი ადამიანის ჩართვა მიუთითებს საზოგადოების ტრანსფორმაციასა და სოციალური ერთობის ახალი ტიპის ფორმის ჩამოყალიბებაზე, რომელიც პერსპექტივაში ჩაანაცვლებს ტრადიციულ სოციალურ კავშირებსა და სტრუქტურებს. „ვირტუალური თანასაზოგადოება შეიძლება იყოს რეალური თანასაზოგადოება, ის შეიძლება იყოს ფსევდოთანასაზოგადოება ან თანასაზოგადოების სრულიად ახალი ფორმა. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ იგი ძირითადად აკმაყოფილებს თანასაზოგადოების იმ მოთხოვნებსა და სურვილებს, რომლებიც ყალიბდება მსოფლიოში ტრადიციული თანასაზოგადოების დაშლის კვალდაკვალ“ (Rheingold, H. 1993, p. 62).

თუმცა, ცხადია, რომ ადამიანი არის და ყოველთვის იქნება ფიზიკური და არა ვირტუალური პირი. ვირტუალურ თანასაზოგადოებაში ყოფნა არ ნიშნავს მის მოწყვეტას ფიზიკური გარემოდან. მისი მოთხოვნები, სურვილები და ინტერესები სწორედ ფიზიკური და არა ვირტუალური გარემოთია განპირობებული. ამიტომ,

ვირტუალური თანასაზოგადოება არ არის მოწყვეტილი რეალობას, პირიქით, იგი საზრდოობს რეალობით და წარმოადგენს ამ რეალობის ასახვას ოღონდ უკვე განსხვავებულ ფორმატში და კომუნიკაციის განსხვავებული ფორმით.

ვირტუალური თანასაზოგადოება არ ნიშნავს არსებული ფიზიკური სოციალური კავშირების მოსპობას, არამედ იგი აჩენს დამატებით შესაძლებლობებს და ახდენს არსებული სოციალური კავშირების შევსებასა და გაფართოებას. ამასთან, ეს არის არა რიგითი, არამედ პრინციპულად ახალი შესაძლებლობები და კავშირები, რომელთაც ძალუძს რადიკალურად შეცვალოს მართვის პროცესები. ჯერ კიდევ რობერტ პატნემი (1994), აკავშირებდა რა ერთმანეთს სოციალურ კაპიტალსა და თანასაზოგადოების ცნებებს მიუთითებდა, რომ „სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების სახეობას, ერთობას, სადაც მოქალაქეთა სოციალური ჩართულობა მიმართულია საზოგადოების პოლიტიკური რესურსების ზრდაზე. სოციალური კაპიტალის ნაკლებობა კი უკავშირდება კლიენტელისტურ, კორუფციასა და ინდივიდუალურ მოგებაზე ორიენტირებული აქტიობის სიჭარბესა და საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნის უუნარობას“ (p.167).

ვირტუალური თანასაზოგადოება იძლევა სოციალური კაპიტალის შექმნის თვისობრივად ახალ შესაძლებლობებს. ვირტუალური ქსელი, როგორც აქტიური ისე პასიური მონაწილეთათვის ქმნის მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მაქსიმალურად მოსახერხებელ და ხელმისაწვდომ პირობებს, იძლევა ქსელში პრაქტიკულად შეუზღუდავი რაოდენობის მონაწილეთა ჩართვის, ურთიერთგაცნობის, ახალ წევრთა მოზიდვის და ურთიერთნდობის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს, რომლის საფუძველზეც აყალიბებს ქსელურ თანასაზოგადოებაში ქცევის სოციალურ ნორმებს. ამით, ვირტუალური თანასაზოგადოება ქმნის „საზოგადოების მოწყობის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა ნდობა, ნორმები და ქსელები, რომლებიც აადვილებს თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ქცევას და ამით საზოგადოების ეფექტურობას

ზრდიან" (Putnam,1994, p.167), რასაც პატნემი ახასიათებს, როგორც სოციალურ კაპიტალს.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევა ე.წ. ამორალური ფემილიზმი (Familism), რომელშიც ინდივიდის პასუხისმგებლობის სივრცე დავიწროებულია და ვრცელდება ძირითადად საკუთარ ოჯახზე, ნათესავების და მეგობრების ვიწრო წრეზე. ედვარდ ბანფილდი (1958) მიიჩნევდა, რომ ამ ტიპის საზოგადოებების ჩამორჩენილობა შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას თანასოფლელთა უუნარობით იმოქმედონ ერთობლივად რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად, რომელიც სცილდება კონკრეტული ოჯახის მოკლევადიან, მატერიალურ ინტერესებს. ადამიანები ეჭვით და უნდობლობით უყურებენ ერთმანეთს, მზად არიან საკუთარი ოჯახის ინტერესები დაიცვან უფრო ფართო საზოგადოების ხარჯზე და მიაჩნიათ, რომ მეზობლების დაწინაურება და წარმატება შესაძლოა მათთვის წარუმატებლობას ნიშნავდეს. ამიტომ, მოქალაქეები თავის თემს აღიქვამენ როგორც ბრძოლის ველს.

ვირტუალური თანასაზოგადოება, მართალია თავისთავად არ ნიშნავს პასუხისმგებლობის სივრცის გაფართოებას, მაგრამ იგი იმდენად ზრდის ურთიერთობათა წრეს (ან ქმნის მის შესაძლებლობას), რომ ეს წრე განუზომელი გავრცობის კვალობაზე უბრალოდ შეუძლებელიცაა აღქმული იქნეს „ბრძოლის ველად“. ვირტუალურ თანასაზოგადოების წევრობა აიძულებს მის თუნდაც პასიურ წევრს გასცდეს ოჯახის ინტერესებს, შეიგრძნოს და შეიმეცნოს საერთო ინტერესები. ეს საერთო ინტერესები ტრადიციული, ჩაკეტილი საზოგადოებისგან განსხვავებით ბევრად უფრო ხელშესახებია, რადგან მათ ფორმირებაში თანასაზოგადოების ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს.

ტრადიციული, იერარქიული საზოგადოება საჭიროებს გარეგან სამართლებრივ მექანიზმებს, რათა იგი არ გადაიქცეს დიქტატორულ, ავტორიტარულ ან პატრონ-კლიენტელურ სისტემად. იერარქიის არსებობა მოითხოვს გარეგან ზემოქმედებას როგორც იერარქიის შესანარჩუნებლად, ისე

სისტემის სამართლიანად მოსაწყობად. მაგრამ, სოციალური ერთობა, თავის ბუნებით არის თვითორგანიზებული სისტემა, რომელიც არა მხოლოდ არ საჭიროებს, არამედ გარკვეულწილად დაპირისპირებულიც არის გარეგან ზემოქმედებაზე. გარეგანი ზემოქმედება და თვითორგანიზების რაიმე ფორმით შეზღუდვა ამწვავებს კონფლიქტს საზოგადოებასა და სახელმწიფოს, როგორც მართველობით სტრუქტურას შორის. ქსელური საზოგადოება გამორიცხავს იერარქიულობას. იგი მთლიანად დაფუძნებულია თვითორგანიზებულობასა და ამ ერთობაში ჩართულ თითოეული მონაწილის თანაბარ შესაძლებლობაზე. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ქსელური საზოგადოება არის უფრო „ბუნებრივი“, ვიდრე ტრადიციული, იერარქიული საზოგადოება. ამ მოსაზრებას ადასტურებს სტაინ ბრეტენის (Modeller av menneske og samfunn: bro mellom teori og erfaring fra sosiologi og sosialpsykologi, 1981) და ბარი ველმენის („The Community Question“, 1979) კვლევები. ამ კვლევების თანახმად, როგორც პირველყოფილი, ისე ნებისმიერი ზომის საზოგადოება გარეგანი ჩარევის გარეშე წარმოადგენს ქსელს და არა იერარქიული სტრუქტურით განსაზღვრულ ჯგუფს.

საზოგადოების ბუნებრივი, ქსელური ფორმის შეცვლა იერარქიული სტრუქტურით განპირობებული იყო ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ტექნოლოგიური ჩარჩოებით. თავდაპირველად მხოლოდ ზეპირი, „პირისპირ“ კომუნიკაციის არსებობა განაპირობებდა შედარებით დიდ ჯგუფში გარკვეულ იერარქიას და ამ ჯგუფში იმ წრის გამოყოფას, რომელიც იყო უფლებამოსილი ჯგუფის სხვა წევრებისთვის გადაეცათ ინფორმაცია. დამწერლობის შემოღებამ ინფორმაციის გაცემა გახადა უფრო სანდო (ზეპირისგან განსხვავებით წერილობითი კომუნიკაცია ნაკლებად იძლეოდა პირვანდელი ინფორმაციის ინტერპრეტირების საშუალებას) და გახადა შესაძლებელი ინფორმაცია უფრო ფართო წრეზე გავრცელებულიყო. ბეჭდითი პრესამ ინფორმაციის გაცემა გახადა არა მხოლოდ ყველასათვის უშუალოდ ხელმისაწვდომი, არამედ უფრო ოპერატიული, ხოლო ტელევიზიამ ინფორმაციის გავრცელება გადაიყვანა თითქმის ონ-ლაინ რეჟიმში. მაგრამ ყველა ზემო ჩამოთვლილ შემთხვევაში

კომუნიკაცია არის ცალმხრივი. არსებობს სუბიექტი (ინფორმაციის მომმზადებელი და გამცემი) და ობიექტი (ინფორმაციის მიმღები). **თანამედროვე ვირტუალური თანასაზოგადოება რადიკალურად ცვლის ამ მდგომარეობას. ინფორმაცია ვრცელდება არა მხოლოდ ონ-ლაინ რეჟიმში, არამედ იგი ხდება ორმხრივი. თანასაზოგადოების წევრი არის არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, არამედ ინფორმაციის შემქმნელიც და გამავრცელებელიც.** ეს ფორმა სრულად შეესაბამება ი. ჰაბერმანსის მიერ ჩამოყალიბებულ წესებს, სადაც „ინფორმაციის გაზიარება ხდება ინკლუზიურად და საზოგადოებრივად. პროცესი ყველას ჩართულობას გულისხმობს. ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა დებატებში. დებატები თავისუფალი უნდა იყოს გარე ჩარევისგან. ყველას აქვს წვლილის შეტანის, აზრის გამოთქმის, გაზიარების, კრიტიკის და საბოლოო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა. ვალიდურია მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც ყველა ჩართული მხარის მიერ არის აღიარებული. კონსენსუსი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მონაწილე მასში თავისუფლად და ძალდაუტანებლად მონაწილეობს“ („ინფორმაციით მართვა და მანიპულაციური ტექნოლოგიები: იურგენ ჰაბერმასი და საჯარო სფეროს კონცეფცია“). ჰაბერმანსის მიხედვით, „ცხოვრების სამყარო წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ტრანსცენდენტულ ადგილს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მოსაუბრე და მსმენელი, სადაც ერთმანეთს უყენებენ პრეტენზიებს, რომ სწორედ მათი გამოთქმები შეესატყვისებიან სამყაროს… და სადაც მათ ძალუძთ გააკრიტიკონ და განამტკიცონ დასაბუთებულობის ეს პრეტენზიები, მოაწესრიგონ თავიანთი უთანხმოებები და მივიდნენ შეთანხმებამდე“.

ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ქსელური საზოგადოება არის გლობალიზაციის შედეგად სტრუქტურირებული კომუნიკაციური სივრცის ადექვატური სოციალური ინტერაქციის ის ახალი კონფიგურაცია, რაც მიუღწეველია ტრადიციული ინსტიტუტებისათვის. ურთიერთკომუნიკაციის ასეთი ფორმა პრინციპულად ცვლის მართვის ტრადიციულ მოდელს.

თავი III. წარმომადგენლობითი დემოკრატიიდან მონაწილეობით დემოკრატიისკენ

თანასაზოგადოება, როგორც თვითორგანიზებული ერთობა განაპირობებს მართველობის ფორმასა და სტილს. საზოგადოების განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ თვითორგანიზების პროცესები წინ უსწრებს და განსაზღვრავს საჯარო ხელისუფლების ფორმირების პროცესს. თანასაზოგადოებასა და ხელისუფლების პოლიტიკურ ნების ინტერესთა შეჯახება განაპირობებს საჯარო მართველობის მოდელს, რომელიც ყალიბდება პოლიტიკურ პროცესთა სუბიექტების კონკურენციის პირობებში.

ტრადიციულ, იერარქიულ საზოგადოებაში მართვა განიხილება, როგორც სუბიექტის (ხელისუფლების) მოქმედება მართვის ობიექტზე (საზოგადოებაზე). პოსტარაკლასიკური პარადიგმა კი მართვის სუბიექტის ადგილს განსაზღვრავს თავად ობიექტის (საზოგადოების) სტრუქტურაში, რომლის მიხედვით ხელისუფლება-საზოგადოება წარმოადგენს არა იერარქიულ, არამედ ქსელურ სისტემას. მისი დისიპაციური მდგომარეობის გადალახვის შესაძლებლობა განპირობებულია „მონაწილეობითი დემოკრატიის“ მექანიზმის განვითარებით. ამ შემთხვევაში, წარმომადგენლობითი დემოკრატია, როგორც იერარქიული სისტემა იცვლება მონაწილეობითი დემოკრატიით, როგორც ქსელური სისტემით. ქსელურ სისტემაში მთავრი სუბიექტი ხდება ინდივიდი, პიროვნება, რომელიც განთავისუფლებულია იერარქიული მარწუხებისაგან და გააჩნია სრული შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი პოტენციალი, რომელიც მყისიერად შეიძლება გახდეს ქსელის სხვა ნებისმიერი მომხმარებლისთვის გამოსაყენებელი და აისახოს მთლიანად ქსელის გაძლიერებაზე. ამიტომ, ძნელია არ დაეთანხმო ე. კოსოვის (2005) მოსაზრებას, რომ „პოისტინდუსტრიულ (საინფორმაციო) ეპოქაში სუვერენიზაცია უნდა დაიწყოს არა სახელმწიფოსგან, არამედ პიროვნებისგან, პიროვნების სახელმწიფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის გაძლიერების გზით“ (стр. 97).

ქსელურ საზოგადოებაში წამყვანი ადგილი უკავიათ მის წევრებს და არა სტრუქტურებს. ქსელური საზოგადოება იგება და „იმართება“ წევრთა მონაწილეობით და არა ინსტიტუციებით. ქსელურ საზოგადოებაში ინსტიტუციები წარმოადგენენ ცვლადს, რომლებიც მონაწილეთა მიერ იქმნებიან, იცვლებიან და ქრებიან. ამიტომაც არის, რომ ქსელურ საზოგადოებაში წარმომადგენლობა, როგორც წამყვანი სტრუქტურა და ინსტიტუცია, აზრს კარგავს და იგი იცვლება თითოეული წევრის უშუალო მონაწილეობით.

მონაწილეობითი დემოკრატიის (participate democracy) თეორია XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს და უკავშირდება კეროლ პეიტმანის (1970) სახელს. ამ თეორიის ძირითადი იდეა გულისხმობს კლასიკური დემოკრატიის იდეალებისკენ დაბრუნებას, სადაც მოქალაქეები აქტიურ და უშუალო მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, რაც იძლევა „ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის რიგითი წევრების მოქმედების შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს ამ სისტემის საქმიანობაზე“ (Nagel J.N. 1976. P.1–3.). განსხვავებით ელიტარული კონცეფციისგან, რომელის თანახმად „დემოკრატია არის არა ხალხის მიერ მართვის უშუალო განხორციელება, არამედ შესაძლებლობა მიიღონ ან უარყონ ის პირები, რომლებიც მათ მართავენ“ (Шумпетер, Й. 1995. стр. 372).

მონაწილეობითი დემოკრატიის თეორიის კრიტიკოსები ამ მოდელის უმთავრეს ხარვეზად მიუთითებენ „პირდაპირი დემოკრატიის ეფექტიანი და მდგრადი ინსტიტუტის არსებობის შეუძლებლობაზე როგორც სივრცით-დროით ისე სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში“. (Грачев М.Н., Мадатов, А.С. 2004. стр. 31) და მიაჩნიათ, რომ „თანამედროვე პირობებში მონაწილეობითი მოდელი წარმოადგენს მხოლოდ იდეალს, სასურველ ნორმას, რომლისკენაც უნდა ვისწრაფოთ, მაგრამ რომლის მიღწევაც ძალიან რთულია“ (Баранов, Н.А. 2008. стр.63).

ეს მსჯელობა მართებულია ტრადიციული საზოგადოების, მაგრამ არა პოსტინდუსტრიული, საინფორმაციო საზოგადოებისთვის. ონ-ლაინ

საზოგადოებაში დრო-სივრცის კატეგორიები აღარ წარმოადგენენ ურთიერთობის შემაფერხებელ ფაქტორებს, ხოლო სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა იცვლება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთშერწყმით, რის გამოც პირდაპირი დემოკრატიის განხორციელება არათუ შეუძლებელი, არამედ სრულიად რეალური ხდება. ამიტომაც არის, რომ XXI-ე საუკუნის დასაწყისის ახალ ტრენდს წარმოადგენს „დემოკრატიის დემოკრატიზაცია“ (Dahl, Robert A. pp. 953-970). მონაწილეობითი დემოკრატიის მნიშვნელობაზეა მითითება 2007 წლის ევროპის საბჭოს მინისტერიალის „ვალენსიის დეკლარაციაში“. ამ დეკლარაციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ „წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი დემოკრატიები არ არის ერთმანეთის ალტერნატივა, არამედ, ერთმანეთის შემავსებელია. მონაწილეობითი მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფს მოქალაქეების მიერ არჩეულ ადგილობრივ წარმომადგენლებს ინსტრუმენტებით მათი ფუნქციების უკეთ შესრულებისათვის. იმავდროულად, თანამონაწილეობა, ერთიანი სოციალური ქსოვილი და კარგად სტრუქტურირებული საზოგადოება უზრუნველყოფს საუკეთესო გარემოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და ადგილობრივი წარმომადგენლების შერჩევის საფუძვლის გაუმჯობესებას“.

თანამედროვე ეპოქაში უმთავრესი ღირებულება და რესურსია ინფორმაცია (უფრო ზუსტად, ინფორმაციის მიღება, ანალიზი და გამოყენება). ონ-ლაინ საზოგადოება თანაბრად ხელმისაწვდომს ხდის ყველასთვის ამ რესურსს. თუმცა, აქ დგება პრობლემა, როცა მოზღვავებული და უსასრულო რაოდენობის ინფორმაცია განაპირობებს „ინფორმაციულ ვაკუუმს“. ჯერ კიდევ თეოდორ ადორნო (1992) მიუთითებდა, რომ ტრანსნაციონალური მედია იმპერიებისა და ყველაფრის რეკლამით შევსება აღარ ტოვებს ადგილს საჯარო სფეროსთვის, რაც იწვევს ინდივიდუალიზმისა და კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობების შეზღუდვას. ეს კორპორაციები ქმნიან სხვადასხვა ტიპის გასართობ პროდუქტებს: სამზარეულოს „თავგადასავლებს“, არაფრისმომცემ საუბრებს, სენსაციებს, ჭორაობენ ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ, გვესაუბრებიან

თანამედროვე ცხოვრების სტილით აღფრთოვანების შესახებ. ამას აკეთებენ იმიტომ, რომ ეს ბევრ ხალხს იზიდავს და კარგად იყიდება. მაგრამ ინფორმაცია ამ ყველაფერში არის ძალიან ცოტა, უმნიშვნელო. პროდუქციის ავტორები იმაზე სერიოზულ ამოცანას არ ისახავენ, ვიდრე „ჩუმად უბიძგეთ აუდიტორიას უწყვეტი მოხმარებისკენ“. ამავე პრობლემას ეხება ი. ჰაბერმანსი და სვამს კითხვას, ნიშნავს თუ არა „ბევრი“ ყოველთვის უკეთესს და როგორი ინფორმაცია სჭირდება დემოკრატიულ საზოგადოებას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, საჯარო სფეროს კონცეფციის განხილვისას, ი. ჰაბერმასი გვიჩვენებს, რომ საჯარო სფერო ძირითადად მატერიალურ საკითხებთანაა დაკავშირებული. იგი განიხილავს XVII-XIX საუკუნის დიდ ბრიტანეთს, როცა კაპიტალიზმის დაბადებამ საჯარო სფერო წარმოშვა, ხოლო მეოცე საუკუნის შუა ხანებსა და ბოლოს კი ნელ-ნელა გაქრა. ეს სფერო დამოუკიდებელი იყო არა მარტო მთავრობისგან, არამედ სხვა ძირითადი ეკონომიკური ძალებისგან. ეს იყო სფერო, რომელიც საშუალებას აძლევდა ნებისმიერ მსურველს, რაციონალურად განეხილა პრობლემა (ანუ მიმდინარეობს კამათი და განხილვა. მონაწილეები, რომლებიც არ არიან შედეგით დაინტერესებულები, უარს ამბობენ და არ მანიპულირებენ მასზე), ჩაერთულიყო დისკუსიაში და ეთქვა მისი არგუმენტები. სწორედ ამ სფეროში ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი. თანამედროვე მდგომარეობის შესახებ კი ჰაბერმანსი მიუთითებს, რომ

„ჩვენ ყველამ, ვინც საარჩევნო უფლება მივიღეთ, პოლიტიკას შევუერდით, მაგრამ ამან თუ მასების აზრმა გადააჭარბა გონივრულ არგუმენტაციას? ცუდია ის, რომ ამომრჩეველი ხშირად იმ საკითხზე არ ფიქრობს, რომელიც უნდა გადაწყვიტოს, უფრო ცუდი კი ისაა, რომ ხმის მიცემის შემდეგ ყველა ამომრჩეველი „თანამედროვე პროპაგანდის“ წინაშე დგას, სადაც „მანიპულირებად საჯარო სფეროს“ შესაძლებლობა აქვს საზოგადოებრივი აზრი მართოს. რა აზრი აქვს იმას, რომ ადამიანები ხმას აძლევენ და ვერ ხვდებიან, რისთვის აძლევენ ხმას? რად გვინდა დამატებითი ინფორმაცია თუ ჩვენს მოსატყუებლად გამოიყენება? იანუსი ორსახოვანია: განათლება ზედამხედველობად, ინფორმაცია-რეკლამად, აღზრდა - მანიპულაციად იქცა“. ხდება საზოგადოებრივი სფეროს შევიწროება „პოლიტიკოსების, რეკლამის გამავრცელებლების, მედიის მიერ“ („ინფორმაციით

მართვა და მანიპულაციური ტექნოლოგიები: იურგენ ჰაბერმასი და საჯარო სფეროს კონცეფცია“).

ამგვარად, ინფორმაციის მასის გაზრდამ, საინფორმაციო ინდუსტრიის განვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა მანიპულირების შესაძლებლობა და წარმოშვა „დემოკრატიის დეფიციტი – ვარდნა რეალურ დემოკრატიულ ქმედებებსა და იდეებს შორის.“ ეს პრობლემა, რომელიც დღევანდელობაზე ზერელე დაკვირვებითაც კი თვალსაჩინოა, არის ტრადიციული მართვის მოდელის პრობლემა, სადაც ერთ მხარეს დგას ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების ინსტიტუციები, ხოლო მეორე მხარეს საზოგადოება, როგორც ინფორმაციის მიმღები.

ონ-ლაინ თანასაზოგადოების პრინციპული განსხვავება ტრადიციულ საზოგადოებასთან მდგომარეობს იმაში, რომ ონ-ლაინ თანასაზოგადოება არის არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, არამედ ინფორმაციის შემქმნელიც და გამავრცელებელიც. ამიტომაც, ზემო აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად ისეთი ტრადიციული ფორმების გამოყენება, როგორიცაა საკანონმდებლო გარანტიები, დემოკრატიული არჩევნები, ანგარიშვალდებულებათა ზრდა, ჩემი აზრით ნაკლებად იქნება შედეგის მომტანი. თითქმის ყოველწუთიერმა ინფორმაციამ და მასზე ხელმისაწვდომობამ უაღრესად დინამიური და მუდმივად ცვალებადი გახადა იდეები, შეხედულებები, ინტერესები და მთლიანად საზოგადოების ცხოვრება.

XX საუკუნის ბოლომდე ტრადიციულ საზოგადოებაში არსებული სტაბილური უმრავლესობა, რომელიც ესადაგებოდა საარჩევნო ციკლებს და ქმნიდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძველს, თანამედროვე ეპოქაში იცვლება დინამიური უმრავლესობით, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას ყოველ კონკრეტულ მოვლენასთან და საკითხთან მიმართებით. ასეთ პირობებში დემოკრატიული გზით არჩეული წარმომადგენლობითი ინსტიტუციები, რომლებიც კონკრეტული მომენტისათვის (არჩევნების პერიოდისათვის) იქმნება და გამოხატავს უმრავლესობის ნებას, არჩევნებიდან არც თუ ხანგძლივი დროის შემდეგ, შეიძლება დაპირისპირებულიც კი აღმოჩნდეს უმრავლესობის

ინტერესებთან. ეს დაპირისპირება ხდება არა იმის გამო, რომ არჩეული პირები არ ასრულებენ დანაპირებს, არამედ იმიტომ, რომ შეიცვალა თავად უმრავლესობა, რომლის ინტერესებიც კონკრეტული მოვლენისადმი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს არჩევნების პერიოდის უმრავლესობის შეხედულებისგან. ამ პრობლემის გადაწყვეტის ტრადიციული მეთოდები: კანონმდებლობის ცვლილება და, თუნდაც საარჩევნო პერიოდის შემცირება, ვერ იქნება რეალური შედეგის მომტანი. პრობლემის გადაწყვეტის გზაა **წარმომადგენლობითი დემოკრატიის თანდათანობთი ჩანაცვლება მონაწილეობითი დემოკრატიით.**

სოციალური ქსელების გავრცელება და მათი მუდმივად მზარდი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩანაცვლების პროცესი უკვე დაწყებულია. ამას ადასტურებს არსებული სტატისტიკაც. ITU-ს (გაერთიანებული ერების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალიზირებული სააგენტო) მონაცემებით უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი 6,5%-დან 43%-მდე გაიზარდა და 2015 წლის ბოლოსთვის 3,2 მილიარდი ადამიანი შეადგინა. საქართველოში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, 2015 წლის 15 სექტემბერს ინტერნეტ მომხმარებლია 581,134 აბონენტი. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) 2012 წლის მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით გაიზარა დედაქალაქსა და სოფლებში მაცხოვრებელთა რიცხვი, რომლებიც ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებენ. თუ 2011 წელს თბილისში ეს მაჩვენებელი 41% იყო, მომდევნო წელს იგი 46%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება იგივე მონაცემებს სოფლების შემთხვევაში, 2011 წლის 4%-იანმა მაჩვენებელმა 7%-მდე მოიმატა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევით, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა და 2016 წელს საქართველოს მოსახლეობის უკვე 40% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. აღსანიშნავია ასევე, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც 2015 წელს ინტერნეტს საერთოდ არ იყენებდნენ (46%) 3%-ით

არის შემცირებული. რაც შეეხება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც საერთოდ არ იციან, რა არის ინტერნეტი, მათი პროცენტული მაჩვენებელი 1%-ია.

მუდმივად იზრდება სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა. მარკეტინგულმა კომპანია eMarketer-ის 2016 წლის მონაცემებით პლანეტის ყოველი მეხუთე მცხოვრები, დაახლოებით 1.6 მილიარდი ადამიანი სხვადასხვა სოციალურ ქსელებს ხმარობს და ზრდადობის მონაცემების გათვალისწინებით სოციალური ქსელების მომხმარებლების რაოდენობა 2017 წელს 2.33 მილიარდს მიაღწევს. სოციალური ქსელების ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰოლანდიაში დაფიქსირდა - 63.5 %. შემდეგ მოდიან ნორვეგია - 63.3 %, შვედეთი - 56.4 %, სამხრეთ კორეა - 54.4%, დანია - 53.3 %, აშშ - 51.7 %, ფინეთი - 51.3, კანადა - 51.2 %, დიდი ბრიტანეთი - 50.7%.

საქართველოში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 49%-იდან (ანუ მათგან, ვინც ინტერნეტს თვეში ერთხელ მაინც იყენებს) 78% ინტერნეტს სოციალურ ქსელში შესასვლელად იყენებს. აღნიშული რესპონდენტებიდან 51% ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძებნად შედის. მოსახლეობის ზემოაღნიშნული 49%-იდან 86% იყენებს Facebook-ს, 42 - ოდნოკლასნიკებს, 13% - ვკონტაკტეს, ხოლო 5% - ტვიტერს.

დღეისათვის, სოციალური ქსელები საქართველოშიც აღარ წარმოადგენს მხოლოდ გართობის საგანს. 2015 წ. თბილისის წყალდიდობის დროს სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით მოხდა მოხალისეთა მობილიზება და აშკარად გამოჩნდა „ტრადიციული“, იერარქიული სტრუქტურის - მერიის უუნარობა სრულად გამოეყენებინა მოხალისეთა ძალები. ეს მაგალითიც მიუთითებს ქსელური მართვის უპირატესობაზე იერარქიულ მართვასთან შედარებით.

ცხადია, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მართვის იერარქიული სისტემის შეცვლა ქსელური სისტემით საკმაოდ რთული იქნება. მაგრამ, „რიზომას“ ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ქსელი ფესვს გაიდგამს იგი აუცილებლად გახდება დომინანტი. დღეისათვის სოციალური ქსელები უკვე აღარ წარმოადგენენ

ერთ „რიგით სათამაშოს“, როგორც მას თავდაპირველად აღიქვამდა მომხმარებელი. სოციალური ქსელები და ონ-ლაინ საზოგადოება არის თვითორგანიზებული სისტემის პასუხი გლობალიზაციასა და თანამედროვე საინფორმაციო ეპოქაზე, რომელმაც დაარღვია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული ჩარჩოები. თანასაზოგადოების ახალი ფორმები არის სისტემის ადაპტირების (თვითორგანიზების) უნარის გამოხატულება. სწორედ თვითორგანიზაცია და ახალ გამოწვევებზე ადაპტაციის უნარი არის ის „ძირითადი წყარო, რომელიც საზოგადოებას აძლევს ხანგძლივად არსებობის, განახლებისა და განვითარების გზების მოძიების საშუალებას“ (Николис, Г., Пригожин, И. 2003. стр. 280). ეს უნარი აძლევს სისტემას საშუალებას არა მხოლოდ გაუძლოს, არამედ თავის განვითარებისათვის გამოიყენოს გარემო ცვლილებები. წინააღმდეგ შეთხვევაში, თუ სისტემამ ვერ მოხერხა ადეკვატური გარდაქმნა, იგი განწირული იქნება დასაღუპავად და გამართლდება იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც გლობალიზაციას განიხილავენ, როგორც „კაცობრიობის აღსასრულს“. „თუ სისტემამ შეძლო საკუთარი შინაგანი გარდაქმნით შეეწყოს ახალ პირობებს, მაშინ ის გადადის ახალ სტაბილურ მდგომარეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა განიცდის დეგრადირებასა და დაშლას“ (Лавриенко, В.Н. 2007. стр. 59).

XXI საუკუნე არის წინა საუკუნეებისგან პრინციპულად განსხვავებული კომუნიკაციური და ინფორმაციული ეპოქის დასაწყისი. ახალი ეპოქა მოითხოვს და ახდენს კარდინალურ ცვლილებებს საზოგადოებრივ ურთიერთობებში, საზოგადოების კონსტრუქციაში და მართვის სისტემაში. გლობალიზაციის უპირველესი ეფექტი ვლინდება საზოგადოების „ატომიზაციით“, რაც ნიშნავს საზოგადოების არსებული ტრადიციული სტრუქტურების რღვევას. მაგრამ ეს სულაც არ არის „კაცობრიობის აღსასრული“. ინდივიდუალიზმი შეუთავსებელია ტრადიციულ, მაგრამ აუცილებელია ონ-ლაინ საზოგადოებისთვის. როგორც ა. ტოკვილი, ისე ზ. ბაუმანი ინდივიდს და ინდივიდუალიზმს მიიჩნევდა საზოგადოების ყველაზე სახიფათო მტრად „ინდივიდუმი გულგრილია, სკეპტიკურად განწყობილი და ეჭვითაც კი უყურებს საერთო კეთილდღეობას“

(Бауман З. 2005. стр. 44). ეს შეფასება მართებულია ტრადიციული, იერარქიული საზოგადოებისთვის. ასეთ საზოგადოებაში ინდივიდუალური მოქმედებები არღვევენ იერარქიულ წესრიგს და ინდივიდი მუდმივ კონფლიქტშია საზოგადოებასთან. სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა ქსელურ საზოგადოებაში. „რიზომას“ მოდელში სწორედ ინდივიდებს, ინდივიდუალურ მოქმედებებს უჭირავს წამყვანი ადგილი და ამ მოდელში უკვე იერარქიული, თუნდაც დემოკრატიული გზით შექმნილი წარმომადგენლობითი სტრუქტურები მოდიან კონფლიქტში ახალი ტიპის საზოგადოებასთან. ამიტომაც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მონაწილეობითი დემოკრატია არის მართვის ის ფორმა, რომელიც სრულად შეესაბამება და რეზონანსულია საზოგადოებაში მიმდინარე თვითორგანიზებასთან.** ეს არის განვითარების ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესი, რომელიც რადიკალურად ცვლის დამკვიდრებულ შეხედულებებს და ტრადიციულ ღირებულებებს. დღეს, ალბათ, ჯერ კიდევ საკმაოდ ილუზორულია ვისაუბროთ ვირტუალურ სახელმწიფოსა და სახელმწიფო ხელისუფლების ვირტუალურ ორგანოებზე (თუმცა, სულ რამოდენიმე ათეული წლის წინ ასევე ილუზორული ჩანდა საუბარი ინტერნეტსა და ვირტუალურ საზოგადოებაზე), მაგრამ, თანასაზოგადოების დონეზე უკვე სრულიად რეალურია ქსელური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება. ამიტომ, გზა წარმომადგენლობითობიდან მონაწილეობისაკენ, სწორედ პირველადი რგოლიდან, ადგილობრივი თანასაზოგადოებიდან უნდა დაიწყოს. ამ გზის დასაწყებად, რაგინდ საოცარიც არ უნდა იყოს, ქართული საზოგადოება თავის თვისებებით, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მეტად ესადაგება და მზადაა მართვის მონაწილეობით ფორმასა და ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

ადგილობრივი თანასაზოგადოების ძირითადი ნიშნების დახასიათებისას მოვიყვანეთ ტოკვილის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოების მაღალი თვითორგანიზებულობის და ილია ჭავჭავაძის მიერ „გათითოკაცებული“ ქართული საზოგადოების ურთიერთსაპირისპირო შეფასება. ეს შეფასება, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება არ იყოს თვითორგანიზებული.

თვითორგანიზება ეს არც ნიჭია, რომ ერთს მომადლოს ღმერთმა და მეორეს არა და არც უნარი ერთს შეეძლოს და სხვას არა. თვითორგანიზება არის თვისება და არა მხოლოდ სოციალური ჯგუფის, არამედ, ზოგადად მატერიის. „თვითორგანიზება დევს ყველა არსებულის საფუძველში დაწყებული ატომიდან დამთავრებული გალაქტიკითა და სამყაროთი“ (Газарян, А. 1997. стр. 36). ეს არის სისტემის თვისება გადარჩენისა და განვითარებისაკენ. ამიტომაც, შინაგანი ძალებისა და გარემო პირობებიდან გამომდინარე, თვითორგანიზების გამოხატულება სხვადასხვაა. მაგალითად, როცა ცხოველთა დიდ ჯოგს თავს ესხმის ერთი ან რამოდენიმე მტაცებელი, ჯოგი ახდენს თვითორგანიზებას იმ გზით, რომ იკვრება და ამით ცდილობს გადარჩენას. მაგრამ თუ ცხოველთა ჯოგი მცირეა, ხოლო მტაცებელთა რაოდენობა კი დიდი, ასეთ შემთხვევაში თვითორგანიზება, რომელიც პირველ რიგში მიმართულია გადარჩენისკენ, ვლინდება განსხვავებული ფორმით, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ გაფანტვა, ინდივიდუალური მოქმედება იძლევა გადარჩენის შანსს. ამერიკელი კოლონისტების გადარჩენისათვის თვითორგანიზების ერთად-ერთი სწორი ფორმა იყო კოლექტიური ქმედება. ამავე პერიოდის ამერიკის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე განაპირობებდა იმასაც, რომ ადგილობრივ თანასაზოგადოებას თავად უწევდათ ზრუნვა საკუთარ უსაფრთხოებაზეც, შიდა საზოგადოებრივ წესრიგის დამყარებაზე, თანასაზოგადოების წევრთა შორის ფუნქციების განაწილებასა და ზოგადად ქცევის წესების დადგენაზე. ამიტომაც, სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა ამ პერიოდის ამერიკელი პუბლიცისტი ტომას პეინი (ა/თ), რომ „ადამიანებმა თავად, მთავრობის გარეშე დაამყარეს წესრიგი, სადაც ისინი ცხოვრობენ ... საერთოდ, საზოგადოება თავად ახორციელებს თითქმის ყველაფერს, რასაც მიიწერს მთავრობა“ (стр.44). სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო იმავე პერიოდის საქართველოში, რომელიც რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა. იმპერიული, მკაცრად ცენტრალიზებული სტრუქტურები საწყისშივე სპობდა კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევის ნებისმიერ გამოვლინებას (ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ XIX საუკუნის I მესამედში წამოწყებული აჯანყებები,

რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი). ამიტომ, თვითორგანიზების, ანუ საკუთარი სისტემის გადარჩენის ერთადერთ გზას ინდივიდუალური ქმედება, მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახზე ზრუნვა წარმოადგენდა. მდგომარეობა არ შეცვლილა არც გასაბჭოების შემდეგ. პირიქით, ამ მიმართულებით მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობა სრულად გამორიცხავდა ინიციატივასა და თვითშემოქმედებას. თუ რუსეთის იმპერიაში თვითორგანიზების ისეთი ფორმა, როგორიც იყო თემი, იშლებოდა არა იმდენად მმართველობის სისტემის, არამედ ინდუსტრიალიზაციის და კერძო საკუთრების განვითარების საფუძველზე, საბჭოთა მმართველობის სისტემა ამკვიდრებდა და აკანონებდა „საბჭოურ თვითორგანიზების“ სტრუქტურებს ყველა შესაძლო მიმართულებით (სახლმმართველობები, საბინაო, ქუჩის თუ უბნის კომიტეტები, კოლმეურნეობები, სახალხო რაზმეულები, თვითშემოქმედებითი წრეები, ამხანაგური სასამართლოები და ა.შ.), რითაც, ამ ფსევდო თვითორგანიზებული სტრუქტურების შექმნით გამორიცხავდა და კანონგარეშედ აცხადებდა მოქალაქეთა ნებისმიერ თავისუფალ კოლექტიურ თვითორგანიზებას. ასეთ პირობებშიც გადარჩენისათვის თვითორგანიზების ერთადერთ გზას კვლავ ინდივიდუალური ქმედება წარმოადგენდა. შესაბამისად, ქართული საზოგადოება ჩამოყალიბდა და არის უაღრესად ინდივიდუალიზირებული საზოგადოება. ქართული საზოგადოების ეს მახასიათებელი წარმოადგენს ყველაზე დიდ ბარიერს ტრადიციული ტიპის საზოგადოებისა და ტრადიციული სახის სახელმწიფოს მშენებლობისთვის. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი (გარდა გარე ფაქტორებისა), რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წლის შემდეგაც ისევ აქტუალურია საუბარი „არშემდგარ სახელმწიფოზე“. მაგრამ, ქართული საზოგადოების ეს თვისება, რაც თითქმის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ტრადიციული საზოგადოების ასაშენებლად, არის უმთავრესი ღირებულება და აუცილებელი პირობაც თანამედროვე, ქსელური საზოგადოებისთვის. **ქსელური საზოგადოება არის ინდივიდების საზოგადოება.** ამ ტიპის საზოგადოებაში ინდივიდუალიზმი თამაშობს მთავარ როლს და ინდივიდუალური ქმედების

ერთობლიობა განაპირობებს ქსელის განვითარებას. ამდენად, ის თვისება, რაც უარყოფითად ფასდება ტრადიციულ საზოგადოებაში, არის არა მხოლოდ დადებითი, არამედ აუცილებელიც ქსელური საზოგადოებისთვის.

ტრადიციული საზოგადოების საფუძველია შრომის განაწილების პრინციპი. ასეთი საზოგადოება ეფუძნება ერთობლივ, კოლექტიურ მოქმედებას, როცა თითოეულს გარკვეული, კონკრეტული ადგილი უკავია და არის „ჭანჭიკი“ ერთიან მექანიზმში. თანამედროვე, ინფორმაციული და ცოდნის საზოგადოება არის რადიკალურად განსხვავებული ინდუსტრიული (მანუფაქტურული) საზოგადოებისგან. ამ ტიპის საზოგადოების განვითარება დამოკიდებულია არა ზუსტად გაწერილ ფუნქციათა შესრულებასა და იერარქიულ ორგანიზაციაზე, არამედ ინდივიდუალურ, ზოგჯერ სრულიად არაორდინალურ გადაწყვეტილებებსა და ქსელურ ურთიერთობებზე. ასეთი ტიპის საზოგადოება ეფუძნება ინდივიდის თავისუფლებას და მის უნარს გამოავლინოს საკუთარი, ინდივიდუალური შესაძლებლობები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირებისა და მართვის სისტემაში თანასაზოგადოების როლის განსაზღვრისას საჭიროა ორიენტაცია ავიღოთ თანასაზოგადოების პერსპექტიულ და არა არქაულ ფორმებზე. მით უმეტეს, რომ საქართველოს დღევანდელი, ინდივიდუალიზირებული და „გათითოკაცებული“ საზოგადოება ბევრად უფრო იოლად მოერგება და უფრო ბუნებრივად მიიღებს ქსელურ ურთიერთობას და მონაწილეობით მართვას, ვიდრე იერარქიულ, თუნდაც დემოკრატიულ პრინციპების საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ამასთან, მართალია ინდივიდი არის აუცილებელი პირობა ქსელის ფუნქციონირებისთვის, მაგრამ ინდივიდთა არსებობა თავისთავად არ ნიშნავს ქსელის არსებობას. იმისათვის, რომ ქსელური ურთიერთობები ჩამოყალიბდეს და განვითარდეს საჭიროა არა მხოლოდ ინდივიდთა არსებობა, არამედ ინდივიდთა აქტიურობა. ამიტომ, საჭიროა გავაანალიზოთ არსებული მდგომარეობა და ის ძირითადი მიზეზები, რაც განაპირობებს საზოგადოების დაბალ აქტიობას.

ნაწილი IV. ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების ძირითადი პრობლემები, რეკომენდაციები და დასკვნები

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობისა და თანასაზოგადოების არსებული მდგომარეობის შეფასება

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზნით დღემდე ჩატარებული არა ერთი რეფორმის მიუხედავად მდგომარეობა პრაქტიკულად უცვლელი რჩება. ადგილობრივი საზოგადოება, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური ხელისუფლების მიერ კვლავინდებურად განიხილება მართვის ობიექტად და შესაბამისად, მოსახლეობა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს აღიქვამს როგორც მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტს და არა როგორც თანასაზოგადოების სოციალური თვითორგანიზაციის ფორმას. საერთო ინტერესების ჩამოუყალიბებლობა, სოლიდარობის, ურთიერთნდობისა და სოციალური კაპიტალის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის თანასაზოგადოებებად ჩამოყალიბებას. თავად მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაც იმდენად დეტალურად არის გაწერილი კანონმდებლობით, რომ მუნიციპალურ ორგანოებს არ რჩებათ მოქმედების თავისუფლება და ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა (სამწუხაროდ, არც სურვილი). ასეთ პირობებში მუნიციპალური ხელისუფლების მოსახლეობასთან ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებით, რითაც დავიწროებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იდეა და იგი მხოლოდ მომსახურებით ფუნქციით იფარგლება.

ამგვარი დამოკიდებულება განაპირობებს იმას, რომ მოსახლეობის აზრით მათ „ყოველდღიურ ცხოვრებაზე ადგილობრივ ხელისუფლებას არანაირი (34,6%) ან ძალიან მცირე გავლენა აქვს (24,8%). მხოლოდ 7,7% თვლის, რომ ადგილობრივ ხელისუფლება დიდი გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურობაზე“ („სოფლის მოსახლეობის კვლევა“, 2013). ამიტომაც, დაბალია მოსახლეობის აქტივობა, „ისინი ძალიან იშვიათად არიან ჩართულები ადგილობრივი ხელისუფლებასთან ერთად

საკითხების გადაჭრაში, იშვიათად დადიან შეხვედრებზე, მონაწილეობენ მოხალისეობრივ საქმიანობაში და ა.შ. მათი თვითშეფასება აქტიურობის საკითხში 4 ქულიან სკალაზე 1.37 ქულის ტოლია, რომელიც საშუალოზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს“ („სოფლის მოსახლეობის კვლევა“. 2013). პაველ სვიანიევიჩის (2011) აზრით ადგილობრივ საჯარო საკითხებში საზოგადოებრივი ჩართულობის დაბალი ხარისხის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მოქალაქეები თვითმმართველობის ორგანოებს მნიშვნელოვან ინსტიტუტად არ მიიჩნევენ და თვლიან, რომ ჩართულობას აზრი მაინც არ ექნება. „ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვან საჯარო ინსტიტუტად არ მოიაზრება. მოქალაქეების ინტერესი ადგილობრივ საჯარო საკითხებთან დაკავშირებით ისევე დაბალია, როგორიც დაბალია თვითმმართველობის ინსტიტუტების საქმიანობის და იმ პოლიტიკოსების ცნობადობა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირებაში არიან ჩართულები“ (გვ.20). ანალოგიური შედეგებია მოსახლეობის აქტიურობის შეფასების მხრივ დღემდე ჩატარებულ ყველა კვლევებში, რაც აჩვენებს, რომ თვითმმართველობის განვითარების მიზნით განხორციელებული რეფორმები ვერ ახდენენ გავლენას მოსახლეობის აქტიურობის ზრდაზე. მეორე მხრივ, კვლევები აჩვენებენ, რომ დიდია მოსახლეობის სურვილი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში. 2013 წ. ჩატარებული სოფლის მოსახლეობის კვლევით „რესპონდენტთა უმრავლესობა მზადაა სოფლის პრობლემების მოსაგვარებლად მონაწილეობა მიიღოს სოფლის საბჭოს/კრების საქმიანობაში. რესპონდნეტთა პასიური ნაწილის რაოდენობა, რომელიც უფრო არ ან არ ჩაერთვება მსგავს აქტივობაში გამოკითხულთა 21%-ს შეადგენს. 14,3%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა“. ანალოგიური შედეგია 2012 წ. ჩატარებულ კვლევაში, სადაც მოსახლეობის 68,2% გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა, ეს არის ჰიპოტეტური მზაობა, რაც პრაქტიკაში ასახვას ვერ ჰპოვებს. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მოსახლეობის აქტიურობა გამოიხატება საპროტესტო მოქმედებით კონკრეტულ სიტუაციაზე, როცა ადგილი აქვს მათ

უფლებების შელახვას, პოზიტიური ფორმით კი აქტიურობა არ ან პრაქტიკულად არ არის. ACT მიერ 2013 და 2015 წ.წ. მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევები აჩვენებენ საზოგადოებაში ფრუსტრაციის ხარისხის ზრდის ტენდენციას (თვითმმართველობისათვის არასოდეს არ მიუმართავს მოქალაქეთა 78%). ამასთან, მიმართვები უმთავრესად კომუნალურ საკითხებს, სოციალურ პრობლემებს და დოკუმენტაციის მიღებას უკავშირდებოდა. ამგვარად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კვლავინდებურად რჩებიან მოსახლეობისგან მოწყვეტილ და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ ორგანოებად. „ადგილობრივი დემოკრატიის წლიური ანგარიშით“ (2008), მოსახლეობის უდიდეს ნაწილს (80%) არ აქვს იმედი, რომ თვითმმართველობის განხორციელებაში მათი ჩართულობა იქნება შედეგის მომტანი. ამიტომ, ასეთი მდგომარეობა პ. სვიანიევიჩის (2011) მიერ შეფასებულია, როგორც საქართველოს მოქალაქეების საჯარო ცხოვრებიდან „სისტემური გამოთიშვა“.

თავი II. ადგილობრივი თანასაზოგადოების დაბალი სოციალურ-პოლიტიკური აქტიობის ძირითადი მიზეზები და რეკომენდაციები

უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია სოციოლოგები და პოლიტოლოგები საუბრობენ საზოგადოების დაბალ სოციალურ-პოლიტიკურ აქტიობაზე. ეს გამოიხატება არა მხოლოდ არჩევნებში, არამედ მთლიანად საზოგადო ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შემცირებით. ზ. ბაუმანი საზოგადოების დაბალი აქტიობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მიიჩნევს საზოგადოების ატომიზაციას. მისი აზრით, საზოგადოების ატომიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოება ნაწილდება ცალკეულ ინდივიდუმებზე, რომლებიც ერთმანეთთან ინარჩუნებენ მინიმალურ კავშირებს და სოციალური ურთიერთობები უაღრესად დაბალია. თანამედროვე საზოგადოების მიერ შექმნილი „ატომიზირებული ინდივიდუმები“ ნაკლებად არიან ორიენტირებულნი და შემძლე სახლისა და სამუშაოს გარეთ გააჩნდეთ მყარი სოციალური ურთიერთობები. უმეტეს შემთხვევაში ადამიანი მხოლოდ საკუთარი ძალის იმედადაა და არ იაზრებს იმას, რომ როცა იგი საკუთარ თავს გამორიცხავს ამა თუ იმ სოციალური ერთობიდან, იგი კარგავს შესაძლებლობას გადაწყვიტოს საერთო ხასიათის პრობლემები. სოციალურ ატომიზაციას განსაკუთრებით ხელს უწყობს ურბანიზაცია. ქალაქი, თავის არქიტექტურით აიძულებს ადამიანს ჩაიკეტოს თავის ბინასა და სამუშაო ადგილზე. პირის წარმატებულობა უმთავრესად განისაზღვრება მატერიალური მდგომარეობით და საზოგადოებრივი საქმიანობა ნაკლებ პოპულარული ხდება. ამდენად, ადგილობრივი თანასაზოგადოების დაბალი აქტიობის **პირველ მიზეზად** სახელდება **საზოგადოების ატომიზაცია**. საზოგადოების ატომიზაცია არსებული რეალობაა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზოგადოების ატომიზაცია არის განვითარების (მათ შორის ურბანიზაციის) შედეგი. გლობალიზაციასთან ერთად, მომავალში საზოგადოება უფრო მეტად იქნება ატომიზირებული და თუ ატომიზაციაა საზოგადოების აქტიობის შემცირების მიზეზი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში აქტიობა კიდევ უფრო უნდა შემცირდეს. ამ ლოგიკას აშკარად მივყავართ „კაცობრიობის აღსასრულისკენ“.

საზოგადოების ატომიზაცია არის ბუნებრივი პროცესი და ამ პროცესის შეჩერება თანასაზოგადოების ტრადიციული ფორმების აღორძინების მცდელობითა თუ მათი პოპულარიზაციის გზით იქნება სრულიად უშედეგო. დაბალ სოციალურ-პოლიტიკურ აქტიობას განაპირობებს არა ის, რომ საზოგადოება ატომიზირებულია, პიროვნება საკუთარ პრობლემებში იკეტება და მისთვის პრიორიტეტული არ არის საერთო-საზოგადო საკითხები, არამედ ის, რომ თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება კონფლიქტი თანამედროვე საზოგადოებასა და საერთო-საზოგადო ინტერესების ფორმირებისა და გატარების ტრადიციულ ინსტიტუციებთან, ფორმებთან და მეთოდებთან. საზოგადოების ატომიზაცია არ ნიშნავს, რომ აღარ არსებობს საერთო ინტერესები. მაგრამ, თანამედროვე ცხოვრების დინამიურობა განაპირობებს საერთო ინტერესების ცვალებადობას, რომელიც ბევრად უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ეს იყო წინა საუკუნეებში. ამ ინტერესების ფორმირების ტრადიციული მეთოდები ვერ უზრუნველყოფენ ინტერესთა ფორმირების შესაბამის ასახვას, რაც განაპირობებს დაბალ აქტიობას და სურვილს მონაწილეობა მიიღონ საერთო ინტერესების ფორმირების პროცესში. ინდივიდის დაბალ აქტიობას განაპირობებს ასევე ამ საერთო ინტერესების განხორციელების ფორმების მიუღებლობა. ინდივიდი აღარ არის კმაყოფილი იყოს „რიგითი ჭანჭიკი“. ყველაზე დემოკრატიული არჩევნების შემთხვევაშიც კი, ინდივიდი რჩება ამომრჩევლად, მაშინ როცა მიღებული ინფორმაცია და ცოდნა უჩენს მას ამბიციას (ხშირად არც თუ უსაფუძვლოს) იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილე. დამატებითი მექანიზმების შემოღება, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (საჯარო განხილვები, გამოკითხვები, ანგარიშგება და ა.შ.) პრინციპულად ვერ ცვლის არსებულ სისტემას. ამდენად, **საზოგადოების ატომიზაცია წარმოადგენს მიმდინარე ევოლუციური პროცესის შედეგს და არა აქტიობის შემცირების მიზეზს.** მიზეზი მდგომარეობს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შეუთავსებლობასთან საერთო ინტერესების ფორმირებისა და განხორციელების ტრადიციულ ინსტიტუციებთან, ფორმებთან და მეთოდებთან. სწორედ მათი

შეცვლაა საჭირო, რათა ისინი მიესადაგოს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს.

მეორე მიზეზად ასახელებენ პოსტსაბჭოთა საზოგადოების იმ სპეციფიკას, რაც გამოიხატება სოციალური ფენების პოლარიზებითა და მათ შორის მზარდი განსხვავებულობით. არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლის დონეზეც გამოიყოფა ორი ძირითადი სოციალური ჯგუფი: ძალიან მდიდრები, რომლებიც ცხოვრობენ საკუთარი ცხოვრებით მაღალი კომფორტის პირობებში და ძალიან ღარიბები, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი სამუშაო, ძირითადად სოციალური დახმარებით არსებობენ და ხდება მათი მარგინალიზაცია. ამ ორ ჯგუფს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ არაფერი აქვთ საერთო. მათ შორის შუალედური ფენა, „საშუალო კლასი“ საკმაოდ მცირერიცხოვანია და ვერ ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას. ცხოვრების დონეებს შორის ასეთი განსხვავებულობა პრაქტიკულად გამორიცხავს მათ შორის სოლიდარობის არსებობას და სურვილსაც კი ერთობლივად გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომლებიც თავის არსით საერთო ხასიათისაა (Гудков, Л.Д., Дубин, Б.В., Зоркая, Н.А. 2008). პოსტსაბჭოთა საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაცია არის საქართველოს, როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის დამახასიათებელი რეალობა. საბჭოთა წყობილებაში აღზრდილი ადამიანები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ ცივილური ფორმით გადასულიყვნენ საბაზრო ეკონომიკაზე. სახელმწიფო სტრუქტურებმა ამ პროცესის ჰარმონიულად წარმართვის ნაცვლად, ხელი შეუწყვეს ქონების დატაცებასა და განადგურებას. 90-იანი წლები შეიძლება შევაფასოთ, როგორც კორუფციისა და კრიმინალის აღზევების პერიოდი, რომლის შედეგად მოხდა სოციალური ფენების პოლარიზება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის მოსახლეობის 10,1%, ხოლო საარსებო შემწეობის მიღების მოთხოვნით რეგისტრირებულია 498 395 ოჯახი, საიდანაც შემწეობას იღებს 125 301 ოჯახი. საზოგადოების პოლარიზებული ფენების არსებობა ხელს უშლის საერთო ინტერესების და შესაბამისად

თანასაზოგადოების ფორმირებას. სიღარიბის ზღვარზე და ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები, რომლებიც საზოგადოების უდიდეს ნაწილს შეადგენენ, თავის ძალისხმევას მიმართავენ საარსებო წყაროს საძიებლად. ასეთ საარსებო წყაროდ კი უპირატესად სახელმწიფო სოციალურ დახმარებაში პოულობენ. შესაბამისად მათი მთავარი ინტერესი მიმართულია ამ შემწეობის მიღებისა და მათი შენარჩუნებისაკენ. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ აქტიობა იცვლება შემგუებლობით. ინდივიდები ხარჯავენ თავის დროს და ძალისხმევას რათა მოერგონ და შეეგუონ არსებულ მდგომარეობას და არ არიან მზად ძალისხმევა მიმართონ არსებული მდგომარეობის შეცვლისაკენ.

პოსტსაბჭოთა საზოგადოების საინტერესო დაყოფას ახდენს ე. გრონტმახერი (2015), რომელიც რუსეთის საზოგადოებას ყოფს შემდეგ ჯგუფებად: ა) „აქტივისტები“ - პირები, რომლებიც ეძებენ და პოულობენ პრობლემიდან გამოსავალს; ბ) „მაყურებლები“ - პირები, რომლებიც თანაუგრძნობენ „აქტივისტებს“ და პირადი ინტერესებიდან ან შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე უერთდებიან მას; გ) „მთხოვნელები“, რომლებიც ელოდებიან „გარედან“ (სახელმწიფოდან, ხელისუფლების ორგანოებიდან, გავლენიანი პირებისგან და სხვ.) წყალობას; დ) „ლუმპენები“, რომლებიც არაფერს ელიან და თავი გააქვთ მათხოვრობით, ნაგვის ურნებიდან ამოღებული ნივთებით ან კრიმინალური მოქმედებით.

ე. გრონტმახერის მოსაზრებით, რუსეთის საზოგადოების 3-5% არის „აქტივისტი“, 20-25% - მაყურებელი, არანაკლებ 50% „მთხოვნელი“ და 20-25% „ლუმპენი“. ასეთი დაყოფა და ნაწილობრივ პროცენტული თანაფარდობაც ესადაგება საქართველოს სინამდვილეს. საზოგადოების აქტიური ან პოტენციურად აქტიურ წევრთა რაოდენობა არ აღემატება 25-30%, ხოლო საზოგადოების 70%-ზე მეტი არის პასიური და შეგუებული არსებულ მდგომარეობას.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ არსებობს პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება თანასაზოგადოების თვითორგანიზების დონესა და თანასაზოგადოების წევრთა ცხოვრების დონეს

შორის. რაც უფრო მაღალია თანასაზოგადოების თვითორგანიზებულობა და სოციალური კაპიტალი, მით უფრო მაღალია თანასაზოგადოების წევრთა ცხოვრების დონე (Кроль. М). ამიტომაც იყო, რომ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თანასაზოგადოების ჩამოყალიბებისა და სტიმულირების მექანიზმები გამოყენებული იქნა უპირველესად სწორედ უღარიბესი ფენებით დასახლებულ კვარტლებში. ამ მიზნით, თანასაზოგადოების განვითარება (community development) აყვანილი იქნა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე და გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დიდ ბრიტანეთში შეიქმნა თანასაზოგადოების განვითარების სპეციალური დეპარტამენტი (Evans, P. 1996, pp. 1119-1132), ხოლო აშშ-ში კანონმდებლობის დონეზე იქნა აღიარებული ის არაკომერციული ორგანიზაციები, რომლეთა საქმიანობაც მიმართული იყო ადგილობრივ თანასაზოგადოების განვითარებაზე. ამ სახელმწიფოებში ადგილობრივ თანასაზოგადოების განსავითარებლად მოხდა დაფინანსების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და შეიქმნა ახალი პროფესია ადგილობრივი თანასაზოგადოების განვითარების სპეციალისტი (Community development worker), რომლის ფუნქციაა სახელმწიფოს დაკვეთით იმუშაოს ადგილობრივ მოსახლეობასთან, გაუწიოს მათ დახმარება თანასაზოგადოების ჩამოსაყალიბებლად და შეასრულოს „კატალიზატორის“ როლი ცვლილებათა განსახორციელებლად. ეს არის ერთ-ერთი ოპტიმალური მიდგომა როგორც სიღარიბის დაძლევის, ისე საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის დასაძლევად.

მესამე მიზეზია პროფესიონალებსა და არაპროფესიონალ აქტივისტებს და ზოგადად ადგილობრივ მოსახლეობაში განსხვავებული ინტერესების არსებობა. ამ მიზეზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივი აქტივისტები იკავებენ რა რომელიმე არჩევით თანამდებობას, თავის საქმიანობას მიმართავენ პირადი ან კორპორატიული მიზნების მისაღწევად. ამიტომ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების გზითაც კი არჩეული პირები ანგარიშვალდებულნი ხდებიან მისი კანდიდატურის წამომყენებელ პარტიის ან სულაც მესამე პირების მიმართ და არა

საკუთარი ამომრჩევლებისა და თანასაზოგადოების წინაშე. ეს პრობლემა დაკავშირებულია წარმომადგენლობითი ინსტიტუტების არაეფექტურობაზე, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში, რომლის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური გზა მონაწილეობითი ფორმების დამკვიდრებაა.

მეოთხე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივი თანასაზოგადოების აქტიობის ზრდაში, სამწუხაროდ, არც სახელმწიფო და არც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ არიან დაინტერესებულნი. ყველასთვის ცნობილია, რომ პასიური, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანის მანიპულირება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე აქტიური ადამიანისა, რომელსაც ყველაფერი უნდა აუხსნა, და უფრო მეტიც, შეიძლება თავად ხელისუფლება აღმოჩნდეს ასეთი აქტიური ადამიანებზე დამოკიდებულიც. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად ხელისუფლების არაერთი ცვლისა, დღემდე არ არის შემუშავებული ის კრიტერიუმები, პირობები, სტიმულები, გარანტიები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი სუბიექტის - ადგილობრივი მოსახლეობის რეალურ ჩართვას. ამ მიზეზზე მართებულად მიუთითებს დ. ლოსაბერიძე (2015), რომ

ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის სათავეში მყოფ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ სურდა, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული, ხელისუფლების ქვედა დონეებზე აბსოლუტური კონტროლის მექანიზმების ხელიდან გაშვება. ყველა პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის ამბიცია გააჩნდა, აპელირებას დეცენტრალიზაციის აუცილებლობაზე აკეთებდა, მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოსული, მალე ივიწყებდა დაპირებას და ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფებზე დაყრდნობით, ცდილობდა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა სრული, აბსოლუტური და განუყოფელი ბატონობა ხელისუფლების ყველა დონეზე (გვ.8)

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობის დუალისტური ბუნება - ხელისუფლებითი და თვითორგანიზებული საწყისები განაპირობებენ იმას, რომ მხოლოდ პოლიტიკური ნება არ არის საკმარისი თვითმმართველობის არსებობისთვის. თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითორგანიზებად საწყისს, რომელიც ხელისუფლებით

საწყისთან სინერგიული კავშირით თავად ახდენს გავლენას ხელისუფლების პოლიტიკური ნების ფორმირებაზეც. სწორედ ამიტომ, თანასაზოგადოებას, როგორც თვითორგანიზებად ერთობას გააჩნია განსაკუთრებული, და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობაც თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად.

მეხუთე მიზეზი დაკავშირებულია დასახლების სტატუსის არ არსებობასთან. ადგილობრივი თანასაზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ტერიტორია. ადგილობრივი თანასაზოგადოება იქმნება კონკრეტულ ტერიტორიასთან დაკავშირებული ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ, თანასაზოგადოების აქტიურობა განპირობებულია იმით თუ რა უფლებები აქვთ და რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ამ ტერიტორიის განვითარებისთვის. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დასახლება არის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილი, მისამართი, რომელიც აღნიშნავს პირის რეგისტრაციის ადგილს. დასახლება არ წარმოადგენს სამართლის სუბიექტს, შესაბამისად მას არ აქვს არც ქონება, არც ტერიტორია და არც უფლებამოსილება. ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის ადგილობრივი თანასაზოგადოების ჩამოყალიბებას, რადგან ის საერთო ინტერესები, რომელიც შეიძლება არსებობდეს ამ ტერიტორიასთან მიმართებით ვერ ღებულობს შესაბამის სამართლებრივ მხარდაჭერასა და ფორმირებას. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშეც შეუძლებელი იქნება საუბარი ადგილობრივ თანასაზოგადოებაზე. „სოფლის ბედის გადაწყვეტა, მისი სამართლებრივი მდგომარეობის - სტატუსის დადგენა არა ცალკე პოლიტიკური თუ ოდენ სოციალურ-ეკონომიკური, მითუმეტეს - არა მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული ამოცანა, არამედ თემისა და საბოლოო ჯამში - მთლიანად ერის ყოფნა-არყოფნის, მისი ეგზისტენციისა და იდენტობის მრავალგანზომილებიანი, კომპლექსური პრობლემაა“ (ზარდიაშვილი, დ. 2016. აბზ. 1). ამიტომაც, დასახლების სტატუსის განსაზღვრა არის ის უპირველესი ნაბიჯი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირება.

დასახლება საუკუნეების განმავლობაში იყო თანასაზოგადოების არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ, საერთო ინტერესების ფორმირების

საფუძველი. საერთო სარგებლობის საძოვარი, სათიბი, სარეზერვო დანიშნულების მიწა, მიმდებარე ტყე, ჭალა, მდინარე თუ წყარო წარმოადგენდა თანასაზოგადოების სამკვიდროს, რომელსაც თანასაზოგადოება დამოუკიდებლად უვლიდა, პატრონობდა და განაგებდა. სწორედ ეს განაპირობებდა თანასაზოგადოების, როგორც სუბიექტის არსებობას. მართებულად მიუთითებს დ. ზარდიაშვილი (2016), რომ გასაბჭოების შემდეგ თემის (თანასაზოგადოებას) არსებობას ნიადაგი გამოეცალა თანასაზოგადოების სამკვიდროს „საერთო-სახალხო“ საკუთრებად გამოცხადებით. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომლის შედეგად დასახლებამ დაკარგა სტატუსი და თანასაზოგადოება იქცა „საერთო-სახალხო საბჭოთა საზოგადოებად“, მოხდა მისი დეფორმირება.

თავის გადასარჩენად ძალადობრივ საბჭოურ სისტემასთან ადაპტაციის აუცილებლობა, რასაც თან ახლდა თემის საკუთარი სამკვიდროსაგან გაუცხოების დამღუპველი პროცესი, განაპირობებდა მუდამ გარეშე ”პატრონის” მოიმედე და ხელის შემყურე ხიზანთა მდაბიური და მხდალი, თავკერძა და უპასუხისმგებლო „ეთიკის“ ჩამოყალიბებას, რაც საბჭოური და პოსტ-საბჭოური პატრონ-კლიენტელიზმის, უფრო სწორედ - პატრონ-ხიზნური სოციალური წყობის საფუძველია (ზარდიაშვილი, დ. 2016. აბზ.9)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იყო რამოდენიმე მცდელობა საკანონმდებლო დონეზე მომხდარიყო დასახლების სტატუსის აღდგენა. თუმცა ეს მცდელობები, დასახლების დონეზე მხოლოდ მართვის ორგანოს შექმნაზე იყო ფოკუსირებული. ასეთი იყო 1995 წ. საქართველოს პარლამენტში მომზადებული კანონპროექტი „სოფლის შესახებ“, „დაბის შესახებ“ და „ქალაქის შესახებ“. ანალოგიური იყო 2014 წ. მომზადებული კანონპროექტი „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ“. არც ერთი ეს პროექტი არ იქნა მიღებული და მიღების შემთხვევაშიაც ვერ იქნებოდა შედეგის მომტანი. პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, რომ დასახლებას არ ჰყავს საკუთარი მართვის ორგანო, არამედ ის, რომ დასახლებას არ გააჩნია ის ქონება, რომლის მართვისთვისაც შეიძლება არსებობდეს ეს ორგანო. საილუსტარციოდ, გასაბჭოების შემდეგ, სოფელი, როგორც პირველადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ გაუქმებულა. გასაბჭოების შემდეგაც დასახლებას გააჩნდა საკუთარი,

თუმცა ფორმალური, ხელისუფლების ორგანო, ჯერ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა, ხოლო შემდეგ სახალხო დეპუტატთა საბჭოები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სახალხო დეპუტატთა საბჭოები ჩაანაცვლა საკრებულოებმა, ხოლო 2006 წლიდან დასახლებები გადაიქცნენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად, სადაც დაინიშნენ თვითმმართველობის რწმუნებულები (2014 წლიდან გამგებლის/მერის წარმომადგენლები). მართველობითი სტრუქტურების ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია და ვერც მოახდენდა დასახლების სტატუსსა და ადგილობრივ თანასაზოგადოებაზე. დასახლებამ, სტატუსი და მნიშვნელობა დაკარგა არა მმართველობითი სტრუქტურის გაუქმებით ან შეცვლით, არამედ „სამკვიდროს“ (მიწის, ტყის და სხვა საჯარო ქონების) ჩამორთმევით, რომლის პატრონსაც წარმოადგენდა დასახლების თანასაზოგადოება. ამან განაპირობა ის, რომ თანასაზოგადოება „პატრონიდან“ იქცა „ხიზნად“, რომელიც დღემდე „გარე პატრონის“ ძიებაშია. ამიტომაც არის აუცილებელი დასახლებისათვის იმ ქონების დაბრუნება, რომელიც მას ჩამოერთვა გასაბჭოების შედეგად. სწორედ ეს ქონება, რომელიც წარმოადგენს დასახლების არსებობის საფუძველს (მიწა, მიმდებარე ტყე, საძოვრები, წყაროები, დასახლების შიდა ინფრასტრუქტურული (გზები, გარე განათება, სასმელი წყლის სისტემები და ა.შ) თუ სოციალურ-კულტურული ობიექტები (სოფლის ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, კლუბები და ა.შ) არის მოსახლეობის თვითორგანიზების, მოსახლეობის „ხიზნებიდან“ „პატრონად“ გადაქცევის ძირითადი წინაპირობა. თუმცა, როცა დგება რაიმე ქონების ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადაცემის საკითხი, ყოველთვის ისმის კითხვა, შეძლებს კი ეს სუბიექტი (ამ შემთხვევაში დასახლება) ამ ქონების სათანადო პატრონობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, შეიძლება დავსვათ საპასუხო კითხვაც - ახდენს კი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი ამ ქონების სათანადო მოვლა-პატრონობას და გაუარესდება თუ არა ამ ობიექტთა მდგომარეობა თუ ეს ქონება დასახლებას გადაეცემა მოსავლელად? ერთი რამ ცხადია, რომ ამ ქონების უპირატესი და ხშირად ერთადერთი მოსარგებლეც დასახლების თანასაზოგადოებაა. ამიტომ,

ობიექტურად, სწორედ თანასაზოგადოებაა ყველაზე მეტად დაინტერესებული, რომ ეს ქონება სათანადოდ იყოს მოვლილი და გამოყენებული, არ განადგურდეს და არ განიავდეს. მაგალითისათვის, საუკუნეების მანძილზე სოფელი სარგებლობდა და პატრონობდა სოფლის მიმდებარე ტყეს, რომელთა დიდი ნაწილი ბოლო 20-25 წლის მანძილზე გაიჩეხა ამავე სოფლის მოსახლეობის მიერ. მოსახლეობის ამ დამოკიდებულების შეცვლის უმთავრესი მიზეზი მოსარგებლე და მეპატრონე სუბიექტების გაყოფაშია. სანამ სოფელი იყო ამ ტყის მოსარგებლეც და მეპატრონეც, იგი ტყით გეგმაზომიერად სარგებლობდა, მაგრამ როცა სხვადასხვა სუბიექტი გახდა მოსარგებლე (სოფლის მაცხოვრებელი) და მეპატრონე (სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი), მოხდა მისი განადგურება. ანალოგიური დამოკიდებულებაა დასახლების „სამკვიდრო“ სხვა ქონების მიმართაც. მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი გზაა თანასაზოგადოების სახით მოსარგებლე და მეპატრონე სუბიექტების გაერთიანება (ამ გზის მეორე „ალტერნატივაა“ ტოტალიტარული მართველობა და მკაცრი ადმინისტრაციული მექანიზმები, რასაც ეფუძნებოდა საბჭოთა სახელმწიფო). ამიტომაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასახლებისათვის „სამკვიდროს“ დაბრუნებით არა მხოლოდ ხელი შეეწყობა თანასაზოგადოების ფორმირებას (შეიქმნება საერთო ინტერესების ჩამოყალიბების საფუძვლები), არამედ პრინციპულად შეიცვლება თანასაზოგადოების დამოკიდებულებაც ამ ქონების მიმართ. ამასთან, ცხადია, რომ დასახლებაში მცხოვრებ პირთა რაოდენობიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება იყოს განსხვავებული მიდგომები გადასაცემი ობიექტებისა და დასახლების უფლება-ვალდებულებების მიმართ. ყველა დასახლებას, განურჩევლად დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობისა, საპატრონოდ უნდა გადაეცეს დასახლების არსებობისათვის აუცილებელი ქონება: არაპრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, მათ შორის საძოვრები, სოფლის მიმდებარე ტყე, სოფლის საზღვრებში არსებული მდინარეები, ჭალები, წყაროები, აგრეთვე სოფლის საერთო სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწები და ინფრასტრუქტურის ცალკეული ობიექტები

(სოფლის თავშეყრის ადგილები ე.წ. „სოფლის ბირჟები“, მოსაცდელები, სოფლის შიდა გზები და სანიაღვრეები). რაც შეეხება სოციალურ-კულტურულ ობიექტებს (ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, საბავშვო ბაღები, სტადიონები და სხვ.), აგრეთვე კომუნალური ინფრასტრუქტურის ობიექტებს (სასმელი წყლის სისტემები, გარე განათება), მათი გადაცემა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტსა და დასახლებას შორის დადებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე: დასახლების მოთხოვნით და მუნიციპალური ბიუჯეტიდან ამ ობიექტების მოვლა-პატრონობისათვის გამოყოფილი სახსრების გადაცემით. დასახლებისათვის ქონების გადაცემისას გასათვალისწინებელია ამ ქონებაზე სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის ინტერესები (რომელიც შეიძლება მომავალშიც წარმოიშვას) და გარკვეული რისკებიც. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება (თუნდაც საწყის ეტაპზე მაინც) ქონება დასახლებას გადაეცეს არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობის უფლებით უვადოდ და უსასყიდლოდ.

რაც შეეხება დასახლების მართვის სტრუქტურებსა და ორგანოს, აქ უპირველესად გასათვალისწინებელია, რომ თანასაზოგადოება წარმოადგენს თვითორგანიზებად ერთობას და დაუშვებელია თვითორგანიზებად პროცესში „სპეციფიური“ ჩარევა, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე მართვის ორგანოს სტრუქტურისა და უფლებამოსილების განსაზღვრა. თანასაზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს რა სტრუქტურებს შექმნის, როგორ მოახდენს თვითორგანიზებას და ეყოლება თუ არა მართვის სპეციალური ორგანოები.

თანასაზოგადოების თვითორგანიზების ყველაზე ბუნებრივი და შესაბამისად, ყველაზე ოპტიმალური ფორმაა „რიზომას“ მოდელი, რომელიც გამორიცხავს იერარქიას, ეფუძნება თანასაზოგადოების ყველა წევრის რეალურ თანაბარუფლებიანობას და საშუალებას აძლევს თანასაზოგადოების ყველა წევრს მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ეს მოდელი გულისხმობს „ყველას ყველასთან“ ურთიერთობას, სადაც დრო და სივრცე არ წარმოადგენს დაბრკოლებას. ეს მოდელი რეალიზებადია ონ-ლაინ საზოგადოებაში, ხოლო შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების გარეშე

შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მცირე დასახლებაში, სადაც ყველა ყველას იცნობს და აქვთ ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობა. საშუალო და დიდ დასახლებებში, ეს მოდელი, შესაბამისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გარეშე ვერ იმუშავებს. ამიტომაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი ყველა დასახლების ინტერნეტიზაცია და ინტერნეტზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ამ მიმართებით, საგულისხმოა ევროკავშირის კომისიის ინიციატივა, რომელიც, „ბიზნესპრესნიუსის“ ინფორმაციით, ითვალისწინებს 120 მილიონი ევროს გამოყოფას, რათა უახლოეს ოთხ წელიწადში ევროკავშირის ყველა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის შესაძლებელი გახდეს უფასო უსადენო ინტერნეტით სარგებლობა). მანამდე კი, გვერდს ვერ ავუვლით სპეციალური ინსტიტუციის შექმნის საჭიროებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საერთო ინტერესების შესაბამისად დასახლების განვითარების დაგეგმვა (დასახლების განვითარების მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას) და დასახლების ქონების მართვა. მაგრამ, ასეთი ინსტიტუციის შექმნისას უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ის არის თვითორგანიზებადი ერთობის და არა ხელისუფლების ინსტიტუტი. ამიტომ, მისი შექმნა და ფუნქციონირება უნდა დაეფუძნოს თვითორგანიზების პრინციპებს და არ უნდა მოხდეს ამ ინსტიტუტის ზედმეტი ფორმალიზება, რომლითაც იგი შეიძლება გადაიქცეს ადმინისტრაციულ ორგანოდ და თანასაზოგადოების ინტერესების ნაცვლად მოახდინოს საკუთარი ინტერესების ფორმალიზება (ისე როგორც ეს, ხშირ შემთხვევაში ემართება თვითმმართველობის ორგანოებს). ამ პირობის გათვალისწინებით, დასახლების მართვის ორგანოს (პირობითად - „საზოგადოებრივი საბჭოს“) როგორც შექმნის ასევე მისი განახლების მექანიზმები უნდა იყოს ძალიან მოქნილი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია საზოგადოებრივი საბჭოს წევრები არჩეული იქნეს მოსახლეობის საერთო კრებაზე თუნდაც ფარული კენჭისყრით. მაგრამ, შერჩევის ასეთი მექანიზმი იქნება საკმაოდ ხისტი და შეიქმნება ამ ინსტიტუტის პოლიტიზირების საფრთხე. როგორც წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, არჩევნების დროს ძირითადი აქცენტები კეთდება პოლიტიკურ მოტივებზე და ვირჩევთ

„პოლიტიკურად სანდო“ პირებს. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის თვითორგანიზების ნაცვლად ვღებულობთ „პარტიულ თვითორგანიზებას“, რომელიც თანასაზოგადოების ინტერესების ნაცვლად იქნება პარტიული ინტერესების გამომხატველი.

არჩევნების წესით შექმნილ ორგანოს აქვს ის უარყოფითი მხარეც, რომ ამ წესით არჩეული პირი, მხოლოდ ასევე კენჭისყრის წესით უნდა შეიცვალოს, რაც საკმაოდ მოუქნელია. რაც მთავარია, არჩევნების წესით შექმნილი ორგანოს შემთხვევაში ვერ გამოვალთ იმ ჩაკეტილი წრიდან, რომლის მიხედვით შენარჩუნდება უკვე დამკვიდრებული განწყობა „ჩვენ ავირჩიეთ და ახლა მათ ჩვენს მაგივრად იმუშაონ და მიიღონ გადაწყვეტილებები“. ასეთი სახით ვერ მივიღებთ თვითორგანიზებას, როცა თანასაზოგადოების თითოეული წევრი თავის თავს თვლის გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად და იღებს სრულ პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე. გარდა ამისა, არჩევის წესი უმეტეს შემთხვევაში წარმოშობს არაჯანსაღ ამბიციებს. არჩეულ პირებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ ისინი არიან სოფლის თუ უბნის რჩეულები, სხვებზე მაღლა მდგომი პირები და ამიტომ უნდა გააჩნდეთ სხვებისგან განსხვავებული პრივილეგიები (ეს უპირატესად გამოიხატება არჩეულ წევრთა მიერ გარკვეული სახის ანაზღაურების მოთხოვნაში). ამიტომ, ასეთი წესით „საზოგადოებრივი საბჭოს“ ფორმირებით, უმეტეს შემთხვევაში, მივიღებთ კიდევ ერთ დამატებით ადმინისტრაციულ რგოლს.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, დასახლების „საზოგადოებრივი საბჭოს“ შექმნის ყველაზე უფრო მოქნილი და იოლი ფორმაა მისი ფორმირება მოსახლეობის გამოკითხვის გზით, იმის გათვალისწინებით, რომ პირის „საზოგადოებრივი საბჭოს“ წევრად შერჩევა, არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა კვლავ პასიურ ობიექტად უნდა დარჩეს. დასახლების ნებისმიერ მცხოვრებს უნდა ქონდეს უფლება დაესწროს საბჭოს სხდომას და იმავე უფლებებით (მათ შორის ხმის უფლება) ისარგებლოს, როგორც „საზოგადოებრივი საბჭოს“ წევრმა. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასახლების მართვის ინსტიტუციის წევრია მთლიანად დასახლების მოსახლეობა, ხოლო შერჩევა ხდება იმ პირების გამოსაყოფად,

რომლებიც იქნებიან „საკონტაქტო პირები“. „საზოგადოებრივი საბჭოს“ ამგვარი ფორმირება საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს და ყოველგვარი ზედმეტი ფორმალური პროცედურების გარეშე მოხდეს საბჭოს წევრის ჩანაცვლება, მოსახლეობა მაქსიმალურად იქნეს ჩართული დასახლების საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, შერჩეულ საბჭოს წევრებს არ ქონდეთ სხვებისგან განსხვავებული განსაკუთრებული დამატებითი უფლებები და ვალდებულებები. საბჭოს წევრები იქნებიან მხოლოდ საკონტაქტო პირები, რომელთა მეშვეობითაც თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები დაამყარებენ ურთიერთობას დასახლების/უბნის მოსახლეობასთან. ასეთი სახით მივიღებთ საკმაოდ მოქნილ ინსტიტუციას, რომელიც „რიზომას“ მსგავსია და შესაბამისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შემთხვევაში ადვილად გადავა მართვის ამ მოდელზე.

დასახლების მართვასა და თანასაზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს, რომელმაც ადმინისტრაციულ ფუნქციებთან ერთად უნდა შეიძინოს „ორგანიზატორის“ (Community development worker) ფუნქციები. წარმომადგენლის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს ადგილობრივ მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა საერთო ინტერესების ფორმირების, ურთიერთკომუნიკაციის გაუმჯობესების, დისკუსიების წარმართვის, დასახლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მომზადებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. წარმომადგენელმა უნდა იტვირთოს არა ხელმძღვანელისა და ლიდერის, არამედ ორგანიზატორის ფუნქციები და შეასრულოს „კატალიზატორის“ როლი თანასაზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ამ ფუნქციის შესრულებას, რა თქმა უნდა, სჭირდება შესაბამისი კვალიფიკაციაც და უნარ-ჩვევები. ამიტომ, საჭირო იქნება საქართველოს უმაღლეს სასწავლებელებში შემოღებული იქნეს სპეციალური სასწავლო დისციპლინა, რომელიც მოამზადებს თანასაზოგადოების განვითარების სპეციალისტებს.

მეექვსე მიზეზი მდგომარეობს თვითმმართველი ერთეულის შეზღუდულ უფლებამოსილებებში. თვითმმართველობის განსახორციელებლად პირის აქტიობა დაკავშირებულია თავად თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებასთან გადაწყვიტონ მოსახლეობის პირველადი მნიშვნელობის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საკითხები და უზრუნველყონ მათთვის სათანადო საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება. რაც უფრო ფართოა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება, მით უფრო მეტია მოქალაქის ინტერესი მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის განხორციელებაში. „საზოგადოების მონაწილეობა მართვის პროცესებში პირდაპირპროპორციულია მართვის დეცენტრალიზაციის ხარისხთან. მართვის ცენტრალიზაცია გამორიცხავს მოქალაქის ჩართულობას ამ პროცესში და მისი კანონმდებლობით აღიარებული რა გინდ ფართო უფლებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათის მატარებლები არიან“ (სვანიშვილი, ა. 2013). ამიტომაც არის, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია (მუხლი 3. პუნქტი 1) თვითმმართველობის კომპეტენციას მიაკუთვნებს „საზოგადო საქმეების მნიშვნელოვანი წილის“ მართვას და მოწესრიგებას. ამ პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია საკანონმდებლო ცვლილებებთან. საჭიროა კონსტიტუციის დონეზე იქნეს აღიარებული უფლებამოსილების გადანაწილება სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, რამაც უნდა უზრუნველყოს დეცენტრალიზაციის განხორციელება და ცენტრალური უწყებების იმ უფლებამოსილებების (კომუნალური, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ბუნებრივი რესურსების მართვის) გადაცემა მუნიციპალიტეტებისათვის, რომელთა გადაწყვეტაც ყველაზე უფრო ოპტიმალური იქნება მოხდეს თვითმმართველი ერთეულის დონეზე.

მეშვიდე მიზეზი უკავშირდება მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური რესურსების სიმწირეს. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები თანაზომიერნი უნდა იყვნენ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლებამოვალეობებთან“. თვითმმართველ ერთეულს

უნდა ქონდეს არა მხოლოდ ფართო უფლებამოსილება არამედ იმის მატერიალური შესაძლებლობაც გადაწყვიტოს და აღასრულოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის დონე ასევე პირდაპირპროპორციულად აისახება პირის სოციალურ-პოლიტიკური აქტიობის დონეზე. ცხადია, რომ ფისკალური დეცენტრალიზაცია (რაც ნიშნავს ადილობრივი თვითმმართველობისთვის გადასახადებით დაბეგვრის უფლებამოსილების და ამ გადასახადების ნაწილის დატოვების უფლების მიცემას) თვითმმართველობის განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. ფინანსური სიძლიერე საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს მოიცვას მოსახლეობის ინტერესების ფართო წრე. იზრდება შესაძლებლობა მოქალაქეთა აქტიობას მოჰყვეს შესაბამისი შედეგი. რესურსული უზრუნველყოფის გარეშე მხოლოდ უფლებამოსილების გაზრდა ვერ იქნება შედეგის მომტანი. სწორედ ამაზე მიუთითებს ევროპული ქარტიის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი და საილუსტრაციოდ, შეგვიძლია გავიხსენოთ 1998-2006 წ.წ. თვითმმართველი ერთეულები, რომელთაც ქონდათ საკმაოდ ფართო უფლებამოსილება, მაგრამ უაღრესად შეზღუდული რესურსები. ამიტომ, ყველა შეფასებით, იმ პერიოდის თვითმმართველობა მიიჩნეოდა ფორმალურ ინსტიტუტად. ამ ლოგიკით, ფინანსურ უზრუნველყოფას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა მოქალაქეთა გასააქტიურებლად, რაც საფუძვლად უდევს ე.წ. „კრიტიკული მასის“ თეორიას. ამ თეორიის თანახმად არსებობს გარკვეული კრიტიკული მასის ზღვარი (ადგილობრივი ბიუჯეტის ზომა), რომლის გადალახვის შემთხვევაში საფუძველი ეძლევა მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის განხორციელებას. ამ ზღვრის მიღწევამდე კი ფუჭია ნებისმიერი სხვა რაიმე მასტიმულირებელი მექანიზმების შემოღება თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მოსაზიდად. ერთი შეხედვით, ეს თეორია მართებულია. მუნიციპალიტეტს უნდა ქონდეს იმის ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომ მიიღოს გადაწყვეტილება და უზრუნველყოს მისი აღსრულება. მაგრამ, ჩემი აზრით, რესურსებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია ამ რესურსების დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა.

მაგალითად, 2005 წელს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები 2002 წელთან შედარების 2-ჯერ, 3-ჯერ და ზოგიერ შემთხვევაში 10-ჯერაც კი გაიზარდა. მაგრამ ეს ზრდა ოდნავადაც არ აისახა მოქალაქეთა აქტიურობის ზრდაზე, რადგან ბიუჯეტის ზრდას არ მოჰყოლია მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობის ზრდა. თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების გაზრდა მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე, რომელიც ცენტრალური უწყების მითითების შესაბამისად კონკრეტული მიზნით იხარჯებოდა (ძირითადად ეს იყო იმ პერიოდისათვის პოპულარული შადრევნების მოწყობა, ფასადების შეღებვა და ა.შ.) შესაბამისი თვითმმართევლი ერთეულის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. „კრიტიკული მასის“ თეორიის საწინააღმდეგოდ, ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის მაგალითიც. ქ. თბილისს, სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით ყოველთვის გააჩნდა საკმაოდ დიდი ბიუჯეტი (დღეისათვის თბილისი ბიუჯეტი თითქმის 1 მილიარდი ლარია), თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. 2009 წ), მოქალაქეთა მონაწილეობის მხრივ, თბილისის მაჩვენებელი 2-ჯერ უფრო დაბალია (2,2%) საშუალო მაჩვენებელთა შედარებით (5,1%). ეს ადასტურებს, რომ მარტო ფინანსური რესურსების სიდიდე არ არის მოქალაქეთა აქტიურობის განმაპირობებელი. ცხადია, საჭიროა ფისკალური დეცენტრალიზაცია, აუცილებელია მუნიციპალიტეტებს ქონდეთ უფლებამოსილების განსახორციელებლად თანაბარზომიერი ფინანსური რესურსები, მაგრამ კიდევ უფრო მთავარია ამ რესურსების დამოუკიდებლად და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად განკარგვა. ასევე, გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის (1888) სიტყვები, რომელსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს:

საითაც-კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ჩივილი და საყვედურია, რომ არა გვაქვს-რა, ღარიბნი ვართ და ამიტომაც უძლურნი და უღონონიო. ამ ჩივილსა და საყვედურს სათავე რომ მოუნახოთ, იქ მივალთ, რომ ფული არა გვაქვსო. ყველა ჩივილი და საყვედური აქედამ გამოდის და აქ მიდის. მართლა-კი ესეა? მართლა ფულის უქონლობაა დედამიზეზი ჩვენის ერის უძლურებისა და უღონობისა? ამას რომ პასუხი გავცეთ, უნდა ვიცოდეთ — კაცობრიობის ისტორიაში ფულმა შეჰქმნა ღონე და ძლიერება ადამიანისა, თუ ღონემა და ძლიერებამ შეჰქმნა ფული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაცი ჰქმნის ფულსა, თუ ფული კაცსა?

დასკვნები

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და დეცენტრალიზაციის პროცესის მიზნით გატარებული რეფორმების არაეფექტურობა მიგვითითებს, რომ საჭიროა მოვახდინოთ როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული საქმიანობის კონცეპტუალური გადაფასება. საჭიროა თვითმმართველობის არსის, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მისი ადგილის, თვითორგანიზებისა და ადგილობრივი თანასაზოგადოების მნიშვნელობის, მათი ფორმირებისა და განვითარების დაფუძნება თანამედროვე თეორიებზე და მიღებული დასკვნების რეალიზება როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა:

1. თვითმმართველობის არსის გაგება დაეფუძნოს დუალისტურ თეორიას, რომლის მიხედვით თვითმმართველობა წარმოადგენს საზოგადო და სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას. მასში ხდება როგორც ადგილობრივი საზოგადოების ისე სახელმწიფოს ინტერესებისა და ხედვების თავმოყრა და შეჯერება. თვითმმართველობა არის ორმხრივი ზემოქმედების არეალი: „ქვევიდან“ - ადგილობრივი საზოგადოების და „ზევიდან“ - სახელმწიფო ხელისუფლების. თვითმმართველობის სტაბილურობა და განვითარება ამ ორი ფაქტორის თანაბრად წარმოჩენასა და გაწონასწორებაზეა დამოკიდებული. ამასთან, ეს თანაბრობა და გაწონასწორებულობა არის სინერგიული და არა მექანიკური ხასიათის. ურთიერთობების სინერგიული ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ არა მხოლოდ საზოგადოება „ქვევიდან“ და სახელმწიფო „ზემოდან“ ზემოქმედებს თვითმმართველობაზე, არამედ თავად თვითმმართველობა ახდენს ზეგავლენას ერთი მხრივ საზოგადოებაზე („ხალხს აფხიზლებს. საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს“), ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფოზე (უზრუნველყოფს მართვის რეჟიმის დემოკრატიულობას და წარმოადგენს ამგვარი რეჟიმის საფუძველს).

თვითმმართველობის ასეთი, ორგვაროვანი ბუნება განაპირობებს იმას, რომ არასწორია ძირითადი აქცენტების გადატანა თვითმმართველობისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნაზე. თვითმმართველობა ვერ იქნება „სახელმწიფო სახელმწიფოში“. ასეთი გამიჯვნით, რეალურად ხდება თვითმმართველობისა და სახელმწიფოს დაპირისპირების პროვოცირება, სადაც თვითმმართველობა ყოველთვის წაგებული დარჩება. ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობა არ უნდა დავუპირისპიროთ სახელმწიფოს. თვითმმართველობისა და სახელმწიფოს ფუნქციონირება განხილული უნდა იქნეს ერთიან სისტემაში, რომელიც მოიცავს როგორც ორგანიზებად, ისე თვითორგანიზებად საწყისებს.

თვითმმართველობის განხორციელების უმთავრესი პრინციპია მოქმედების თავისუფლება, გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამ პრინციპის რეალიზება მხოლოდ უფლებამოსილების გამიჯვნით არა არის საკმარისი. თვითმმართველობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის ფარგლებში (როგორც ამას აღიარებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია) და არა კანონმდებლობის შესაბამისად (როგორც ეს არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით). აუცილებელია საბოლოოდ უარი ითქვას საბჭოთა პერიოდიდან დამკვიდრებულ „intra vires“ პრინციპზე. კანონით უნდა დადგინდეს თვითმმართველობის განხორციელების ფარგლები და არა განხორციელების წესი. ამიტომ, პრინციპულად არასწორია კანონით და კანონქვემდებარე აქტებით თვითმმართველობის განხორციელებისა და საქმიანობის წესის დეტალური გაწერა, რაც ზღუდავს მოქმედების თავისუფლებას და თვითმმართველობის ორგანოებს აქცევს ამ წესების მხოლოდ შემსრულებლად. ამასთან ერთად, საჭიროა მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების დაყოფა სახეებად და გამოიყოს სავალდებულო უფლებამოსილებები. ასევე აუცილებელია თვითმმართველობის ცნების განსაზღვრისას აღდგეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული

ქარტიის აღიარებული თვითმმართველობის განხორციელების მიზანი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. დაუშვებელია თვითმმართველობის განხორციელების დავიწროება მხოლოდ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებით. თვითმმართველობისთვის უმთავრესია არა „ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა“, არამედ ამ საკითხების გადაწყვეტა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

2. აუცილებელია კანონით მოხდეს თვითმმართველობის უფლების სუბიექტად ადგილობრივი თანასაზოგადოების აღიარება, „ადგილობრივი თანასაზოგადოების“ ცნების განმარტება და ადგილობრივი თანასაზოგადოების მიერ თვითმმართველობის უშუალო განხორციელების ფორმების (ადგილობრივი რეფერენდუმი, საერთო კრებები და ა.შ.) შემოღება. თანასაზოგადოება მართვის ობიექტიდან უნდა გადაიქცეს თვითმმართველობის სუბიექტად.

ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს ლოკალურ ტერიტორიასთან დაკავშირებულ მოსახლეობის თვითორგანიზებულ ერთობას. თვითორგანიზებულობა არის ის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რითაც თანასაზოგადოება განსხვავდება მოსახლეობის მექანიკური ერთობლიობისაგან. ამიტომაც, თანასაზოგადოება არ შეიძლება იქნეს დაყვანილი გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის მექანიკურ ჯამზე. თვითორგანიზების საფუძველს ქმნის ტერიტორიასთან დაკავშირებული საერთო ინტერესები, რომელთა რეალიზება აერთიანებს ადამიანებს სოციალურ ერთობად. ამასთან, თანასაზოგადოება შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ბუნებრივი თვითორგანიზების პროცესში. გარე ფაქტორებს შეუძლიათ მხოლოდ ინიცირება გაუწიონ და ხელი შეუწყონ მოსახლეობის თანასაზოგადოებად ტრანსფორმაციის პროცესს. თვითორგანიზების პროცესში ასეთი არასპეციფიური ჩარევა იქნება საერთო ინტერესების ჩამოყალიბებისათვის საჭირო საფუძვლის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, დასახლების სტატუსის დადგენა და თანასაზოგადოების დასახლების „პატრონად“ განსაზღვრა.

3. დასახლება კანონით უნდა იქნეს აღიარებული იურიდიულ პირად, რომელსაც ექნება საკუთარი ქონება, ტერიტორია და უფლებამოსილებები, ექნება შესაძლებლობა მუნიციპალიტეტისგან დელეგირების საფუძველზე მიიღოს დამატებითი უფლებამოსილებები და ამ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, მუნიციპალიტეტთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს დასახლების განვითარების სტრატეგიები და პროგრამები. დასახლების დატოვება სტატუსის გარეშე ნიშნავს ადგილობრივი თანასაზოგადოების ტერიტორიული საფუძვლის იგნორირებას. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე პირობებში ტერიტორია აღარ წარმოადგენს თანასაზოგადოების განმსაზღვრელ ისეთ უმთავრეს ნიშანს, როგორც ეს იყო გასულ საუკუნეებში, მაგრამ ტერიტორია ყოველთვის იყო და დარჩება თანასაზოგადოების ფორმირების იმ ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად, რომელთანაც დაკავშირებით ყალიბდება საერთო ინტერესები.

4. საჭიროა მოხდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების უფრო დეტალური კლასიფიცირება, სადაც ცალკე სახედ იქნება გამოყოფილი კორპორაციულად ორგანიზებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (კონდომინიუმი, დასახლება), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სკოლისგარეშე დაწესებულებები და ა.შ.). ასევე სასურველია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცალკე სახედ გამოიყოს თავად მუნიციპალიტეტების ასოციაციები.

5. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქმედებათა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გარდა საკანონმდებლო გარანტიებისა, დამოკიდებულია თვითმმართველობის ინსტიტუტში საზოგადოებრივი საწყისების ქმედითობაზე. თვითმმართველობის თვითორგანიზებადი ელემენტი, ადგილობრივი თანასაზოგადოების აქტიურობა და მისი წარმართველი როლი, განაპირობებს თვითმმართველობის განხორციელების ორიენტირებას საზოგადოების ინტერესებზე და ქმნის ინიციატივების წარმოჩენისა და შემოქმედებითი

საქმიანობის საფუძვლებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალური თვითმმართველობის განხორციელების შესაძლებლობას. სწორედ ადგილობრივი თანასაზოგადოება არის თვითმმართველობის მთავარი სუბიექტიც და ობიექტიც, რომლის გარეშე, იდეალური კანონმდებლობის შემთხვევაშიც კი, თვითმმართველობა ვერ იარსებებს. ამასთან, ადგილობრივი თანასაზოგადოება წარმოადგენს თვითორგანიზებად სისტემას.

თვითორგანიზების თანამედროვე თეორიები და თანასაზოგადოების ზოგადი ისტორიული ანალიზი აჩვენებს, რომ ფუჭია თანასაზოგადოების ხელოვნური გზით შექმნის მცდელობა. თანასაზოგადოება, როგორც თვითორგანიზებული ერთობა ვერც იძულებითი ზემოქმედებით და ვერც საკანონმდებლო ვალდებულებებით ვერ ჩამოყალიბდება. თვითორგანიზება არის სპონტანური პროცესი, რომელიც მიმართულია ერთდროულად როგორც სისტემის თვითშენარჩუნების, ისე სისტემის განვითარებისაკენ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი იყოს ზემოქმედება თვითორგანიზებადი სისტემის განვითარების პროცესზე. სინერგეტიკის ცენტრალური თეორიის მიხედვით სისტემის მდგომარეობა ემორჩილება წესრიგის პარამეტრებს. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ზეგავლენა მოვახდინოთ სისტემის მდგომარეობაზე მისი პარამეტრების შეცვლით. ანუ, შესაძლებელია საზოგადოების განვითარების კორექტირება საჭირო მიმართულებით. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ევოლუციის მიმართულება შეიძლება იყოს ნებისმიერი. პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს „ევოლუციური აკრძალვის წესები“, ანუ ის თუ რისი განხორციელებაც არის პრინციპულად შეუძლებელი ამ სისტემაში, ხოლო მეორე მხრივ გარე ფაქტორები უნდა იყოს რეზონანსული თვითორგანიზების პროცესთან და ახდენდნენ განვითარების ხელშეწყობას.

სინერგეტიკული მიდგომით მოსახლეობისგან თანასაზოგადოებად ჩამოყალიბება განიხილება როგორც სისტემის მიერ გარემოს შინაგანი პოტენციალიდან გამომდინარე სტრუქტურების თვითშექმნა და თვითსრულყოფა. ამიტომ, გარე ზემოქმედება მიმართული უნდა იყოს არა უშუალოდ

თანასაზოგადოებაზე, არამედ იმ პიროებების შეცვლაზე, რომლებიც ახდენენ გავლენას თანასაზოგადოების ქმედებებზე და განაპირობებენ მის აქტიურობას თუ პასიურობას. თანასაზოგადოების მართვის სუბიექტად აღიარება და დასახლების სტატუსის დადგენა იქნება ის უპირველესი ნაბიჯები, რომელთაც შეუძლიათ ბიძგი მისცენ თვითორგანიზების პროცესს და შექმნან ადგილობრივი თანასაზოგადოების განვითარებისათვის საჭირო გარემო.

თვითორგანიზება და შესაბამისად თანასაზოგადოება ბუნებრივი პროცესია და ყოველთვის არსებობს. ამიტომ, პრინციპულად არასწორია საუბარი თანასაზოგადოების შექმნაზე. თუმცა, ცხადია, რომ ერთ შემთხვევაში თანასაზოგადოება იძლევა იმ სინერგიულ შედეგს, როცა მთელი მეტია მის ელემენტთა ჯამზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს ეფექტი ვერ მიიღწევა. აღნიშნული დამოკიდებულია არა მხოლოდ თვითორგანიზების ხელშემწყობ გარემოზე, არამედ, და უპირატესადაც, თანასაზოგადოების შინაგან ბუნებაზე თუ რამდენად ადეკვატურია და რამდენად შეესაბამება თანასაზოგადოების შინაგანი მოწყობა და მოთხოვნები თანასაზოგადოების არსებულ ფორმებს. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები რადიკალურად ცვლიან საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებს. ამიტომაც, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ეპოქა უკვე არის პოსტმოდერნი და არა ინდუსტრიალიზმის ჯერ კიდევ „დაუსრულებელი პროექტი“, როგორც ეს მიაჩნია ი. ჰაბერმას (1991). ახალი ეპოქა მოითხოვს ახალი ტიპის თანასაზოგადოების ფორმებს. ეს ფორმები, საზოგადოების თვითორგანიზებით ყალიბდება ქსელური ურთიერთობების სახით. ვირტუალური, ონ-ლაინ საზოგადოება არის თანამედროვე ეპოქის თანასაზოგადოების შესაბამისი ფორმა და აქცენტიც სწორედ ამ ფორმის განვითარებაზე უნდა იქნეს აღებული. ცხადია, ქსელური ურთიერთობების და ქსელური თანასაზოგადოების არსებობა მოითხოვს წვდომას შესაბამის ტექნოლოგიებზე. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანი და მისასალმებელია საქართველოს მთავრობის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს სამ წელიწადში საქართველოს ყველა დასახლების ინტერნეტიზაციას. ამ პროექტის

განხორციელება შექმნის ქსელური ურთიერთობების განვითარების საფუძველს და ამასთან, კიდევ უფრო აშკარად გამოაჩენს ტრადიციული, იერარქიული სტრუქტურების, მათ შორის წარმომადგენლობითი ფორმების შეუთავსებლობას მართვის თანამედროვე მოთხოვნებთან. ეს კონფლიქტი უკვე დღესაც ჩანს, როცა სოციალურ ქსელებში მუდმივად იზრდება „ვირტუალური საზოგადოების“ წევრთა რაოდენობა და აქტიურობა და მეორე მხრივ, მცირდება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური აქტიობა რეალურ სივრცეში. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის ბუნებრივი შედეგი იქნება ვირტუალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქსელური ურთიერთობებისა და მართვის ფორმების გადმოტანა და დანერგვა რეალურ სივრცეში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იქნება მონაწილეობითი ფორმების შემოტანა და მომავალში, წარმომადგენლობითი ფორმების თანდათანობითი ჩანაცვლება მართვის ამ ფორმებით. თვითმმართველობა არის მართვის ის დონე, სადაც უშუალოდ იკვეთება საზოგადოებრივი და სახელმწიფო ელემენტები. საქართველოს სინამდვილეში თვითმმართველობის განხორციელება და არსებობა დაკავშირებულია საზოგადოებრივ საწყისების გაძლიერებაზე, რაც თანამედროვე პირობებში მხოლოდ მონაწილეობითი ფორმების გააქტიურებით შეიძლება იქნეს მიღწეული. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს წარმომადგენლობითი და არჩევითი ინსტიტუტების გაუქმება. მუნიციპალიტეტების არსებული ტერიტორიული საფუძვლები, როცა თვითმმართველი ერთეული წარმოდგენილია ან მსხვილი თვითმმართველი ქალაქის ან დასახლებათა ერთობლიობის სახით, იძლევა იმის საშუალებას, რომ მონაწილეობითი ფორმები დაინერგოს მუნიციპალიტეტში შემავალ დასახლებებში და თვითმმართველი ქალაქის უბნებში. იმ ბუნებრივ ტერიტორიულ ერთულებში, რომლებიც ქმნიან ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების ტერიტორიულ საფუძველს. დასახლებისთვის (თვითმმართველი ქალაქის უბნებისათვის) იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება და თანასაზოგადოებისათვის მისი მართვაში გადაცემა იძლევა მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის შესაძლებლობას. ასეთი მიდგომა შექმნის საერთო ინტერესების და შესაბამისად

ადგილობრივი თანასაზოგადოების ფორმირების საჭიროებას. მართვის მონაწილეობითი ფორმების დანერგვით, თითოეული ინდივიდის სხვაზე დამოკიდებულებისა და „მთხოვნელის“ მდგომარეობა შეიცვლება მეპატრონის პოზიციით, რადგან ქსელური ურთიერთობა გამორიცხავს იერარქიულ დაქვემდებარებას, პასუხისმგებლობის ერთმანეთზე გადაბრალებას და „მაყურებლის“ პოზიციაში ყოფნას. დასახლება (უბანი) არის ის ყველაზე ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული სადაც არის შესაძლებელი ადგილობრივი თანასაზოგადოების ფუნქციონირების დაწყება და თვითმმართველობის საზოგადოებრივი საწყისების გააქტიურება, რაც უშუალო ზემოქმედებას მოახდენს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაზე და უზრუნველყოფს თვითმმართველობის განხორციელებას მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, დამოუკიდებლად და საერთო პასუხისმგებლობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია. 1985
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. 2014
4. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შეასახებ“ 1997
5. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ 1991
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997
7. კანონი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2014.
8. კანონი „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2015.
9. ევროპული ქარტიის კომენტარები http://evolutio.info/content/view/245/38/. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
10. კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ 2006
11. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ 2013
12. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 2010
13. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2010
14. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის N223 განკარგულება „საქართველოს მთვარობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის რეფორმის სტრატეგიის ძირითადი პრინციპების დამტკიცების შესახებ“
15. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 14 ივლისის N362 ბრძანებულება „საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“
16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წ. 11 მარტის ბრძანება N36 „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“
17. Конституция Португальской Республики. от 2 апреля 1976 года http://www.concourt.am/armenian/legal_resources/world_constitutions/constit/portugal/portug-r.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.11.2016
18. Конституция Республики Армения. от 06.12.2015 http://parliament.am/parliament.php?id=constitution&lang=rus უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.11.2016
19. Конституция Литовской Республики от 25.10.1992. http://www3.lrs.lt/home/Konstitucija/Konstitucija_RU.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.11.2016
20. Конституция Российской Федерации. от 12.12.1993 http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_28399/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.11.2016
21. Закон Французской республики «О статусе общей собственности в многоквартирных зданиях» от 10 июня 1965 г.

22. Закон Федеративной Республики Германии «О праве собственности на жилые помещения и о праве длительного пользования жилой площадью» от 15 марта 1951 г.
23. Закон Литовской Республики „О местном самоуправлении“ 1994
24. Закон Республики Болгарии „О местном самоуправлении и местной администрации“ 1991
25. Закон Республики Болгарии „За пряко участие на гражданите в държавната власт и местното самоуправление“ 2009
26. Закон Республики Молдова „О местном публичном управлении“ 2006
27. Закон Республика Молдова „О кондоминиуме в жилищном фонде“ 2000
28. Закон Республика Молдова „О прозрачности процесса принятия решений“ 2008
29. Закон Республика Молдова „О Типовом статуте села (коммуны), города (муниципия)“ 2003
30. Федеральный закон „Об общих принципах организации местного самоуправления Российсской Федерации“ 2003
31. Федеральный закон Российсской Федерации „О товариществах собственников жилья“ 1996
32. Закон Украины "О местном самоуправлении в Украине" 1997
33. Закон Украины „Об органах самоорганизации населения“ 2001
34. Закон Республики Беларусь „О местном управлении и самоуправлении в Республике Беларусь“ 2009
35. Закон Республики Польша „О местных органах самоуправления“ 1999
36. Закон Республики Армения „О местном самоуправлении“ 2002
37. Закон Республики Армения „О кондоминиуме“ 2002
38. United States of America “Housing Act of 1961” PUBLIC LAW 87-70-JUNE 30, 1961. http://uscode.house.gov/statutes/pl/87/70.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.11.2016
39. ZÁKON Slovenskej národnej rady zo 6. „o obecnom zriadení“ septembra 1990. www.minv.sk/?zdruzenia-obci&subor=21972 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.11.2016
40. Statut Sołectwa Zaborze Gmina Oświęcim 2014. www.bip.malopolska.pl/.../Download/get/id,1094542.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.11.2016

კვლევები და ანგარიშები:

41. მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობაში. (2009). სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.
42. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის, პროფესორ-მასწავლებელთა და მეწარმეების დამოკიდებულების სოციოლოგიური შესწავლა (2002). საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

43. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების სოციოლოგიური შესწავლა (2005). საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
44. სვიანიევიჩი, პ. (2011) „საზოგადოებრივი აზრი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოში“. http://www.osgf.ge/files/publications/2011/06.12.11.Pawel_Swianiewicz_-report_December2011_GEO.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
45. „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში (2007)“. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“http://www.ivote.ge/bibliotheka/fond-ghia-sazogadoeba-saqarthvelos-gamocemebi.html?lang=ka-GE უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
46. „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში“ (2008).ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ http://www.ivote.ge/bibliotheka/fond-ghia-sazogadoeba-saqarthvelos-gamocemebi.html?lang=ka-GE უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
47. „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში“ (2008).ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/2008%20wlia%20wliuri%20angariSi.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
48. „საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში (2009-2010 წელი)“. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/angarishi%202009-2010%20osgf.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
49. „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014 წ.წ.“ (2014) სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. http://www.ivote.ge/images/doc/adgilobrivi%20demokratiis%20ganvitarebis%20angarishi%201991-2014%20%20bolo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
50. „საქართველოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ანგარიში(1991-2012)“ სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/adgilobrivi%20demokratiis%20ganvitarebis%20angarishi%201991-2012.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
51. „სოციალური კაპიტალის როლი საქართველოს სოფლის განვითარებაში“ (2012). საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი.
52. G-PAC პროგრამისა და „სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის“ ფარგლებში ა/ო „სიდა“-ს მიერ ჩატარებული „სოფლის მოსახლეობის კვლევა“. 2013 წ.
53. „საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა საზოგადოებრივი მომსახურებით“ (2013). ACT.

54. „საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა საზოგადოებრივი მომსახურებით“ (2015). ACT.
55. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
56. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. ქართული ინტერნეტბაზარი ცვლილებების მოლოდინში. http://www.transparency.ge/blog/kartuli-internetbazari-tsvlilebebis-molodinshi უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.11.2016.

57. ბარდაველიძე, ვ. (1952) „ხევსურული თემი - სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.XIII, №6,
58. ზარდიაშვილი, დ. (2016). „სოფლის სტატუსის შესახებ“. http://www.for.ge/view.php?for_id=45610&bloger_id=6&cat=12 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
59. კაკაშვილი, დ. (2015). „სოფლობა“. „ინიციატივა ცვლილებისათვის“ სათემო განვითარების ცენტრი.
60. ლოსაბერიძე, დ. „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში 2013-2014“. http://www.ivote.ge/bibliotheka/samoqalaqo-kulturis-saerthashoriso-centris-gamocemebi.html?lang=ka-GE უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
61. მარგველაშვილი, ა. (2015). „ინიციატივა ცვლილებისათვის“ სათემო განვითარების ცენტრი.
62. მელქაძე, ო., ეზუგბაია, ზ. (2002) „მუნიციპალური სამართალი“.
63. ნაკაშიძე, ბ. (1994) „თვითმმართველობა საქართველოში“.
64. ოჩიაური, თ. (1985), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9.
65. სვანიშვილი, ა. (2013) „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები“.
66. სვანიშვილი, ა. (2016) „ადგილობრივი თანასაზოგადოება (ერობა), როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების აუცილებელი პირობა“. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“ 2016 წ. N10.
67. ტუღუში, თ., ბურჯანაძე, გ., მშვენიერაძე, გ., გოცირიძე, გ., მენაბდე, ვ. (2013) ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა.
68. ჭავჭავაძე, ი. (1877). „ცხოვრება და კანონი“.
69. ჭავჭავაძე, ი. (1861). „მგზავრის წერილები“ .
70. ჭავჭავაძე, ი. (1888). „კვალად თვითმოქმედების შესახებ“.
71. ჭიჭინაძე, ბ. (2014) საქართველოს მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები. http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_chichinadze.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
72. „თემის განვითარება“ (2010) სათემო განვითარების ცენტრი.

73. „ინიციატივა ცვლილებისათვის“. (2015). სათემო განვითარების ცენტრი
74. ინფორმაციით მართვა და მანიპულაციური ტექნოლოგიები: იურგენ ჰაბერმასი და საჯარო სფეროს კონცეფცია. http://socium.ge/downloads/info-saz-teoriebi/jurgen_habermas.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
75. „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი სამოქალაქო სექტორის რეფორმირების ინიციატივით გამოდის“ http://cci.ge/article.php?ID=3238 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016
76. „სახალხო გაზეთი“. (1909). სტატიის ავტორი ფსევდონიმით - „ბევრჯელ სოფლის ყრილობაზედ დამსწრე“
77. „სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისათვის“ (2004). მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია.
78. მეცნიერული კომუნიზმი. (1977)
79. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1970). ტ.5
80. Albrow, M., Eade, J., Durrschmidt, J., Washbourne, N. (1997) “The Impact of Globaization on Sociological Concepts: Community, culture and Mileau” in Eade J (ed.) Living the global city: Globalization as a local process. - London: Routledge.
81. Alderfer H. F. Europen Local Political Structures / H. F. Alderfer // Comparatwe Local Politics: A. Sistems – Functional Approach. Boston/1973/ Local government, Developing Countries. – N.Y.
82. Banfield, Edward. C. (1958). "The Moral Basis of a Backward Society", Free Press. https://www.scribd.com/doc/49095975/Edward-C-Banfield-The-Moral-Basis-of-a-Backward-Society უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
83. Barnes J. Class and Committees in a Norwegian Island Parish // Human Relations. 1954. № 7.
84. Bauman, Z. Community: Seeking Safety in an Insecure World. - Cambridge: Polity Press. 2001
85. Baym, N. K. (1995) “The Emergence of Community in Computer-Mediated Communication” in Jones S. G. (ed.) CyberSociety: Computer-Mediated Communication and Community. - Thousand Oaks, CA: Sage Publications
86. Bott E. (1957) Family and Social Network: Roles, Norms and External Relationships in Ordinary Urban Families. L.: Tavistock Publications,
87. Bulpitt J. (1983) Territory and Power in the United Kingdom. Manchester University Press,
88. Carey Phil, Sutton Sue, «Community development through participatory arts: lessons learned from a community arts and regeneration project in South Liverpool», Community Development Journal, Vol 39, No 2, April 2004
89. Castells M. (1996).The Information Age: Economy, Society and Culture. Volume I: The Rise of the Network Society https://deterritorialinvestigations.files.wordpress.com/2015/03/manuel_castells_the_rise_of_the_network_societybookfi-org.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.

90. Castells, Manuel, (2006) The Theory of The Network Society, Great Britain by MPG Books Ltd, Bodmin, Cornwall,
91. Cawson, P. Saunders. (1983) "Corporatism, competitive politics and class struggle", in R. King (ed) Capital and Politics (London: Routledge and Kegan Paul)
92. Cohen R. (1996). Diasporas and the nation-state: from victims to challenge//International Affairs. Vol. 72, no. 3, July
93. Conference of European ministers responsible for local and regional government "Good local and regional governance – the European chellenge", 15th session, Valencia, 15-16 October, 2007, Council of Europe, MCL-15(2007)5 final 16 october, 2007
94. Jary, David & Jary, Julia. (1991) Collins Dictionary of Sociologi/– Harper Collins Publishers,
95. Dahl Robert A., «The City in the Future of Democracy», The American Political Science Review, Vol. 61, No. 4 (Dec., 1967)
96. Duncan S. & M. Goodwin. (1988) The local state and uneven development: Behind the local government crisis. London: Polity Press
97. Dutton, W. H. (1996) "Information and communication technologies: visions and realities" in Dutton W. H. (ed.) - Oxford: Oxford University Press.
98. Dutton, W. H. (1999). Society on the Line: Information Politics in the Digital Age. - New York: Oxford University Press.
99. Evans Peter, «Government Action, Social Capital and Development: Reviewing the Evidence on Synergy», World Development, Vol. 24, No. 6, 1996, pp. 1119-1132. http://biofile.ru/bio/17273.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
100. Frazer H. Empowerment and the Socially Excluded. European Conference. Sept. 1994, Glasgow: CDF.
101. Galster G. (2001) On the Nature of Neighbourhood // Urban Studies.
102. Glaster G. Quantifying the effect of neighbourhood on individuals: Challenges, alternative approaches and promising directions. Schmollers Jahrbuck. 2008. N 128
103. Galster G., Andersson, R., & Musterd, S. (2010) Who is affected by neighbourhood income mix? Gender, Age, Family, Employment and Income Differences // Urban Studies. № 47(14).
104. Gen. J. (1947) "Principles of self-organizing dynamic system". " Psychol.", v. 37
105. Georgian-English dictionary. http://www.eudict.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
106. Gorz Andre. (1989) Kritik der okonomischen Vernunft. Berlin.
107. Gottdiener, M, (1994) "The rise of urban sociology" in M. Gottdiener, The New Urban Sociology, Austin, University of Texas Press
108. Green, L. (2002) Communication, Technology and Society. - London: Sage Publications.
109. Haythornthwaite, C. (2002) "Building Social Networks via Computer Networks: Creating and Sustaining Distributed Learning Communities", in Renninger K. A.

and Shumar W. (eds.) Building Virtual Communities: Learning and Change in Cyberspace. - Cambridge: Cambridge university press.
110. Hunter A. (1974) Symbolic Communities: The Persistence and Change of Chicago's local communities. Chicago: Chicago University Press.
111. Hunter, B. (2002) "Learning in the Virtual Community Depends upon Changes in Local Communities" in Renninger K. A. and Shumar W. (eds.) Building Virtual Communities: Learning and Change in Cyberspace Cambridge: Cambridge university press.
112. Janowitz, Morris (1960) The professional soldier, a social and political portrait, Glencoe (Ill), The Free Press
113. Jencks C. & Mayer S. (1990) The social consequences of growing up in a poor neighborhood. In Inner-City Poverty in the United States / ed. L. Lynn. - Washington, DC: Natl. Acad. Press,
114. Jones G. & Stewart. J. (1985) The Case for Local Government. London: Allen and Unwin.
115. Jones, S. G. (1995). "Understanding Community in the Information Age" in Jones S. G. (ed.) CyberSociety: Computer-Mediated Communication and Community. - Thousand Oaks, CA: Sage Publications.
116. Largest Community Foundations by Asset Size / Foundation Center URL: http://foundationcenter.org/findfunders/topfunders/top25assets.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
117. Loader, B. (ed.) (1998) Cyberspace Divide: Equality, Agency and Policy in the Information Society. London: Routledge.
118. Metcalf, Bill & James William. (1996) Shared visions, shared lives: communal living around the globe. — Scotland: Findhorn Press;
119. Macpherson C.B. (1977) The Life and Times of Liberal Democracy - By C.B. Macpherson Introduction by Frank Cunningham from Oxford University Press Canada
120. Musterd, S & Andersson, R. Employment, social mobility and neighborhood effects: The casz of Cweden. International journal of urban and regional research. 2006. N30 (1)
121. Voß, Elisabeth. (1996) Was ist eine Kommune? // Das KommuneBuch / Kollektiv KommuneBuch. — Göttingen: Verlag Die Werkstatt,
122. Nagel J.N. (1976) Participation.N.Y.,
123. Oldenburg R. (1989) The Great Good Place: Cafes, Coffee Shops, Community Centers, Beauty Parlors, General Stofes, Bars, Hangollts and How They Cet You through the Day. N. Y.
124. Poplin D. (1979) Communities: a Survey of Theories and Methods of Research (2nd ed.) New York: Macmillan.
125. Putnam, R. (2000) Bowling alone. New York: Simon & Schuster.
126. Putnam, Robert D. (1994) Making Democracy Work, Civic Traditions in Modern Italy, Princeton University Press

127. Rafaeli S., Ravid G. & Soroka, V. De-lurking in virtual communities: A social communication network approach to measuring the effects of social and cultural capital. 34th Hawaii international conference on system sciences, Hawai. Vol.7. 2004. http://www.computer.org /csdl/proceedings/hicss/2004/2056/07/205670203.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
128. Rheingold, H. (1993) "A Slice of Life in My Virtual Community", in Harasim L. M. (ed.) Global Networks. - Cambridge: MIT press.
129. Rheingold, H. (1998) The Virtual Community. - interactive: http://www.rheingold.com/vc/book/, accessed 2004 04 27.
130. Rheingold, H. (2002) "Foreword", in Wellman B. and Haythornthwaite C. (eds.) The Internet and Everyday Life. - Oxford: Blackwell Publishers.
131. Roberts, Ron E. (1971) The new communes: coming together in America. Prentice-Hall
132. Schoenberg S. & Rosenbaum P. (1980) Neighbourhoods that Work: Sources for Viability in the Inner City. - Rutgers University Press,
133. Schoenberg S. Criteria for Evaluation of Neighbou hood Vitality in Working-class and Poor areas in Core Cities/ Social Problems. Vol.27, N 1 (Oct.).
134. Schuler, D. (2004) "Shaping the Network Society: the New Role of Civil Society", Schuler D. (ed.) Cyberspace. Cambridge, Mass.: MIT.
135. Shumar, W. & Renninger K.A. (2002) "Introduction: On Conceptualizing Community", in Renninger K. A. and Shumar W. (eds.) Building Virtual Communities: Learning and Change in Cyberspace. - Cambridge: Cambridge University Press
136. Sivanandan, A. (1997) Heresies and prophesies: the social and political fallout of the technological revolution: an interview. Kn. Cutting Edge. London: Verso.
137. Stein Bråten. (1981) Modeller av menneske og samfunn: bro mellom teori og erfaring fra sosiologi og sosialpsykologi,
138. The Dictionary of Human Geography// Ed. by R.J. Jonston, Derek Gregory, David M. Smith. – Bleckwell, Cambridge 1994
139. Urry, J. (2000) Sociology Beyond Societies: Mobilities for the Twenty-First Century. – London, New York: Routledge
140. Van Djik, Jan (1991) The Network Society: Social Aspects of New Media De netwerkmaastchappij Bohn Staflen Van Loghum, Houten; The Netherlands,
141. Warren R. & Warren D. (1977) The neihborhood Organizer's Handbook. Notre Dame, IN: Notre Dame University Press.
142. Wellman, Barry. (1979) "The Community Question: The Intimate Networks of East Yorkers." American Journal of Sociology 84 (March)
143. Woolgar, S. (2002) "Introduction: Five Rules of Virtuality", in Virtual Society? Technology, Cyberbole, Reality/ Woolgar S. (ed.). Oxford: Oxford University press.

144. Абрамов В.Ф. (1997) Местное самоуправление: идея и опыт. http://ecsocman.hse.ru/data/187/870/1231/011.ABRAMOV.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
145. Адорно Теодор. К логике социальных наук // Вопросы философии, 1992, № 10.
146. Антипьев, К.А. (2013) Местные сообщества как основа местного самоуправления: монография - Перм: Изд-во Перм. нац. исслед. политехн. ун-та,
147. Арнольд В.И. (1990) Теория катастроф. Москва. Наука.
148. Аршинов В.И. (1999) Синергетика как феномен постнеклассической науки. Москва. РАН ИФ
149. Астафичев П.А. (2007) Понятие, правовой статус и виды муниципальных образований в современной России: теоретико-методологические основы, опыт правового регулирования // Электронный научный журнал "Современные проблемы экономики, политики и права".. N 1: URL: http://www.sprepp.ru/12007/5.php უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
150. Атаманчук, Г.В. (1997) Теория государственного управления. Курс лекции. Москва.
151. Ашлей, П. (1910). Местное и центральное управление. СПб. 1910.
152. Бабичев, И. О некоторых актуальных вопросах муниципального права и местного самоупрпвления. Муниципальная власть. 2007. №2
153. Бабичев, И.В. (2000). Субъекты местного самоуправления. Москва.
154. Баженова, О.И. О назначении понятия "местное сообщество" при реализации гражданами права на местное самоуправление в Российской Федерации // Конституционное и муниципальное право. 2008. N 7
155. Барабашев, Г. В. (1996). Местное самоуправление Москва.
156. Баранов Н.А. (2008) Современная демократия: эволюционный подход. http://freebooks.site/uchebnik-teoriya-politiki/partitsipatornaya-demokratiya-23147.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
157. Бартошек М. (1989). Римское право: понятие, термины, определения.— Москва.Юрид. лит.,
158. Бауман З. (2005). Индивидуализированное общество. Москва. Логос
159. Бауман З. Город страхов, город надежд. пер. с анг. А. Смирнова. Логос 2008. N3 (66)
160. Бевзенко Л.Д. (2000). Соціальна самоорганізація: надія чи загроза? // Людина і влада.
161. Берталанфи Л. (1973). История и статус общей теории систем. Системные исследования. Методологические проблемы. Москва.
162. Богданов А. А. (1989). Тектология: Всеобщая организационная наука. Москва, «Экономика»,

163. Бородкин Ф.М. Ценности населения и возможности местного самоуправления // Социологические исследования. 1997 №1
164. Василькова В.В. (1999) Порядок и хаос в розвитии социальных систем. СПб. Лань.
165. Васильчеков А. Н. (1872). О самоуправлении:сравнительный обзор русских и иностранных и общественных учреждений : Т. 1 СПб.,
166. Вебер М. (1996). Основные социологические понятия. Западно-европейская социология XIX начала XX веков. Москва.
167. Винер Н. (1968). Кибернетика, или управление и связь в животном и машине. Москва. Советское радио.
168. Винер Н. (1969). Мое отношение к кибернетике. Ее прошлое и будущее. Москва.
169. Воловодова Е. Касперович А. (2004). О социокультурной специфике субъектности территориальной общины: организационный аспект.
170. Волох О.В. Безвиконная Е.В. (2010). Самоуправление в системе публичного управления в России: синергетический подход. Москва.
171. Газарян А. (1997). Элементарные представления о самоорганизующихся системах// город как самоорганизующая система. Обнинск. Ин-т. Мун. Управления
172. Глазычев В.Л. Представления о городе и технологии управления средовым развитием // Школа муниципального служащего 1–13 ноября 1998 г. : Сборник учебных материалов. Сер. “Библиотека муниципального служащего”. Вып. 14. Москва.1999
173. Гнеист Р. (1896). Правовое государство и администраривние суды Германии. СПБ.,
174. Гоббс Томас. Левиафан, или Материя, форма и власть государства церковного и гражданского. http://lib.ru/FILOSOF/GOBBS/leviafan.txt უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
175. Гонтмахер Е. „Корни травы» не выкосишь“ "Московский комсомолец" №26714 от 13 января 2015. http://www.mk.ru/social/2015/01/12/korni-travy-ne-vykosish.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
176. Горожанин В.А. (1997). Понятие и особенности правового статуса субъектов местного самоуправления в Российской Федерации. Новосибирск
177. Горяченко Е.Е (1994). Территориальная общность в изменяющихся условиях Ч. 1. - Новосибирск: ИЭ и ОПП СО РАН
178. Грачев М.Н., Мадатов А.С. (2004). Демократия: методология исследования, анализ перспектив. Москва
179. Грегуольдо В. Cohousing, или Новый способ жить дешево и цивилизованно //http://sob.ru/archive/cohousing-ili-novyiy-sposob-jit-deshevo-i-tsivilizovanno უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
180. Григорьева Т. Синергетика и Восток. Вопросы Философии. 1997. №3

181. Гриценко Е.В. (2001) Местное самоуправление в системе публичного управления федеративного государства: Значение опыта ФРГ для России. Иркутск
182. Грунт З.А. (1982). Урбанизация и территориальная общность. США глазами американских социологов. Москва. Наука,
183. Гудков Л.Д., Дубин Б.В., Зоркая Н.А. (2008). Постсоветский человек и гражданское общество / Моск. шк. полит. исследований. Москва.
184. Дамье Вадим. Атомизация общества и социальная самоорганизация. http://www.aitrus.narod.ru/social_atomization.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
185. Данилец Антон. Самоорганизация общества. http://stihiya.org/work_15780.html
186. Делез Ж., Гваттари Ф. (2010). Тысяча плато: Капитализм и шизофрения / Пер. с франц. и послесл. Я.И. Свирского; науч. ред. В.Ю. Кузнецов. Екатеринбург: У-Фактория; Москва.Астрель
187. Дьюи Д. (2002). Общество и его проблемы. Москва. Идея-Пресс
188. Егоров В.С. (1994). Философский реализм. Москва. Наука
189. Егоров В.С. (1999). Социальнии реализм. Москва. Наука
190. Еллинек Г. (2004). Общее учение о государстве / Вступ. ст.: Козлихин И. Ю. С-Пб.: Юрид. центр Пресс, ISBN 5942013101
191. Захарова Е. Ю. Локальная солидарность: мужские квартальные биржи города Тбилиси как часть соседских сообществ. http://www.kunstkamera.ru/files/lib/978-5-88431-230-2/978-5-88431-230-2_06.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
192. Игнатов В. Г., Рудой В. В. (2001). Местное самоуправление в современной России. СПб.
193. Кастельс М. (2004). Галактика Интернет: Размышления об Интернете, бизнесе и обществе / Пер. с англ. А. Матвеева, под ред. В. Харитонова. Екатеринбург: У-Фактория
194. Кирдина С.Г. (2002). Социокультурный и институциональный подходы как основа позитивной социологии в России. Социологические исследования.
195. Князева Е.Н., Курдюмов С.П. (1993). Синергетика: начала нелинейного мышления. Общественные науки и современность.
196. Князева Е.Н. Курдюмов С.П. (1998). Принципы коэволюции сложных систем и социальных явлении// Синергетика и социальное управление. Москва. РАГС
197. Кокарев И. (2001). Соседские соовщества: путь будущему России. Москва.Прометей
198. Константинова Л. В. (2004). Местное сообщество как субъект социальной политики // Местное самоуправление в системе публичной власти: российский и мировой опыт: сборник научных трудов. Саратов: Поволжская академия государственной службы им. П.А. Столыпина.
199. Коркунов Н.М. (1909). Русское государственное право. СПб.,. Т. 2.

200. Коробейникова Л.А., Гиль А.Ю. Сетевые структуры в условиях глобализации // Известия Томского политехнического университета. 2010. Т. 316. № 6
201. Косов Е. (2005). Быть русским. Москва
202. Костюк В.Н. (1993). Изменяющиеся системы. Москва. Наука.
203. Кроль Мария. Партиципативная демократия и инструменты вовлечения граждан в процесс принятия решений в рамках местного самоуправления. http://www.cloudwatcher.ru/analytics/3/view/2/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
204. Кроль Мария. Развитие местных сообществ как основа улучшения качества жизни людей http://www.cloudwatcher.ru/analytics/3/view/13/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
205. Кудрявцев В. Н. (1982). Социальные деформации. Москва
206. Курячая М.М. Местное сообщество как основа объединения граждан // Конституционное и муниципальное право. 2007. №4
207. Лавриенко В.Н. (2007). Концепция современного естествознания. Москва. Юнити.
208. Лазаревский Н.И. (1910). Лекции по государственному праву. Т. I-II. Конституционное право. 2-е изд. СПБ.
209. Лапин Н.И. (2000). Социокультурный подход и социетально-функциональные структуры. Социологические исследования.
210. Лебина Н. Советский дом-коммуна: границы тела. Журнал Смена 1929, № 2-3.// http://www.nlobooks.ru/node/2118 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
211. Лисенко Г.В. Социальные взаимодействия в пространстве современного города. Социология города. 2011. №2
212. Лоренц Э.Н. (1970). Природа и теория общей циркулации атмосферы. Ленинград.
213. Луман Н. (2006). О политической и юридической подсистемах общества. Москва
214. Лысак, И. В. Косенчук Л. Ф. Современное общество как общество сетевых структур. Информационное общество. – 2015. – № 2–3. С. 45–51// Информационное общество. 2015 № 2-3
215. Лялягина В. Н., Хубецова З. Ф. (2006). Система коммуникаций сообщества профессионалов (На примере российского сообщества рекламистов в сфере POS) // Новые идеи в теории и практике коммуникации: сб. науч. трудов / отв. ред. Д.П. Гавра. СПб.: Роза мира.
216. Маликов М. Ф. „Современные проблемы конституционного права Российской Федерации“ http://mmalikov.ru/spkprf/Razdel_7_1.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
217. Мальковец, Н.В. (2010) Местное самоуправление: проблемы общественного участия Электронный ресурс. http://www.kapital-rus.ru/articles/article/178041 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.

218. Маунц Теодор (1994). Конституционное право Германии. Том II. Москва
219. Мерсиянова И.В., Солодова И.И. (2010) Фонды местных сообществ как технология решения социальных проблем на местном уровне. http://cyberleninka.ru/article/n/fondy-mestnyh-soobschestv-kak-tehnologiya-resheniya-sotsialnyh-problem-na-mestnom-urovne უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
220. Моисеев Н.Н. (1998). Росстование простатой. Москва
221. Неделько С.И., Шомина Е.С. Самоорганизация населения как практика местного самоуправления. Москва. Полития, 2003-2004
222. Николис Г. Пригожин И. (2003). Познание сложного. Введение. Москва
223. Новокрещенов А.В. (1996) История ранней западноевропейской социологии. Новосибирск СибАГС
224. Овчинников И.И., Писарев А.Н. (2007). Муниципальное право России: Учебник. Москва. Эксмо
225. Овчинников Н. (2014). Прожить без государства: Пять коммун, где строят новый мир http://apparat.cc/world/5-communes-new-world/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
226. Оффердал О. (1999). Местное самоуправление в Скандинавии: достижения и перспективы. Полис.
227. Паринов С. Истоки Интернет-цивилизации // Интернет. 1999. № 15.
228. Пейн Томас. Здравый смысл. http://www.inliberty.ru/library/125-zdravyy-smysl უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
229. Пейтман Кэрол. (1970). „Участие и демократическая теория“. Москва
230. Печенкин А.А. (1994). Школа Андронова как один из источников синергетики в СССР. Москва. Наука
231. Позамантир Р. Д. Большевская трудовая коммуна //http://ruskline.ru/monitoring_smi/1999/07/01/bolshevskaya_trudovaya_kommuna უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
232. Пригожин А.И. (1995). Современная социология организации. Москва
233. Пригожин И. Стенгерс И. (2003). Порядок из хаоса. Новый диалог человека с природой. Москва
234. Ринкявичюс Л. Буткявичене Э. Теория информационного общества и меняющееся понятие общини в виртуальном пространстве. социологические исследования №7. 2007
235. Романов В.Л. (2000). Социальная самоорганизасия и гасударственность. Москва. РАГС
236. Садовский В.Н. Юдина Э.Г. (1969) Исследования по общей теории систем. Москва
237. Сергодеев.В.А. Сетевые интернет-сообщества: сущность и социокультурные характеристики http://cyberleninka.ru/article/n/setevye-internet-soobschestva-suschnost-i-sotsiokulturnye-harakteristiki უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.

238. Серикжанова С.С. О природе соседства, сообщества и соседских сообществ. http://articlekz.com/article/11808 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
239. Сивова С. Нуждается ли самоорганизация в управленческом обеспечении? (анализ актуальных направлений развития организационных структур) http://vasilievaa.narod.ru/16_3_97.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
240. Симагин Ю.А. (2004). Териториальная организация населения. Москва. Дашков и К⁰.
241. Синицына Е. Трансформация общины. http://www.cloudwatcher.ru/analytics/6/view/60/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
242. Смелзер Н. (1994). Социология. Москва
243. Солженицын А. И. (1998). „Россия в обвале“, Москва, „Русский путь“
244. Солженицын А.И. (1996). Публицистика. Ярославль
245. Соловьв С.М. (1950). Исторические письма. соч. т 16. Москва. ИИИ СССР,
246. Сорокин П. (1992). Социальная стратификация и мобильност. Человек, цивилизация, общество. Москва
247. Спенсер Г.. Грехи законадателей. http://ecsocman.hse.ru/data/249/902/1216/017.SPENSER.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
248. Страшун Б.А. (2000). Конституционное (государственное право) зарубежных стран: в 4 т. Тома 1-2. Часть общая: Учебник / Отв. ред. проф. Б.А. Страшун 3-е изд., обновл. и дораб. Москва. Издательство БЕК
249. Теннис Ф. Общность и общество // Социологический журнал. 1998. № 3-4
250. Тихомиров Ю. А. (1994). Местное самоуправление в поисках жизненного пространства. Местное самоуправление в России: состояние, проблемы и перспективы. Москва.
251. Тихомиров Ю. А. (1984). Управление делами общества. Москва
252. Тойнби А. (1991). Постижение истории. Москва
253. Токвиль Алексис де. (1992). Демократия в Америке: Пер. с франц. / Предисл. Гарольда Дж. Ласки. М.: Прогресс
254. Том Р. (2002). Структурная устоичивость и морфогенез. Москва
255. Трачук П.А. Зарубежние концепции государственной власти и местного самоуправления. Форум права. 2011. №4. С. 751 http://www.nbuv.gov.ua/e-journals/FP/2011-4/11tpaimc.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
256. Фадеев В.И. (1997). Муниципальное право Российской Федерации. Учебник. Москва
257. Федерализм, региональное управление и местное самоуправление// Проблемно-тематический сборник «Местное управление и самоуправление в России и за рубежом» - М: 2000, № 2.

258. Фромм Эрих. (2008).Бегство от свободы. http://vtkosnova.com/wp-content/uploads/2014/08/Erikh_Fromm_Begstvo_ot_svobody.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
259. Хакен Г. (1991). Информация и синергетика. Москва. Мир
260. Хакен Г. (2000). Можем ли мы применять синергетику в науках о человеке? Синергетика и психология. Тексты. Вып. 2. Социальные процессы http://spkurdyumov.narod.ru/Haken7.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
261. Хиценко В. (1993). Самоорганизация в социальных системах. Эволюционный менеджмент. Новосибирск. НГУ
262. Чиркин В.Е. (2005). Публичная власть. Москва. Юрист
263. Чичерин Б.Н. (1894). Курс Государственной науки. Общее государственное право. Москва. Ч. I.
264. Чураков А.Н. Информационное общество и эмпирическая социология // Социологические исследования. 1998. № 1
265. Шапинов В. Большой скачок и народные коммуны // http://library.maoism.ru/Shaping/Great_leap_forward.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
266. Шкаратан О.И. Русская культура труда и управления // Общественные науки и современность. 2003. №1
267. Шмиттер Ф. Размышления о гражданском обществе и консолидации демократии. // Полис. 1996. №5
268. Шпенглер О. (1993). Закат Европы. Москва
269. Штеинберг И. Парадигма четырех «К» в исследовании социальных сетей поддержки // Социологические исследования. 2010. № 5 http://ecsocman.hse.ru/data/2010/11/21/1214820444/Steinberg.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
270. Шумпетер, Й. (1995). Капитализм, социализм и демократия / Й. Шумпетер ; пер. с англ. / Предисл. и общ. ред. В.С. Автономова. – Москва. Экономика
271. Шустов, В.Г. Теории местного самоуправления — политологический контекст. http://vestnik.adygnet.ru/files/2013.3/2668/shustov2013_3.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
272. Щепаньский Ян. (1969). Элементарные понятия социологии. http://ecsocman.hse.ru/text/19168196/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.10.2016.
273. Эшби У.Р. (1966). Принципы самоорганизации. Москва
274. Ясперс К. (1991). Смысл и назначение истории. Москва